

სისხლის სამართლის პროცესი

(კერძო ნაწილი)

ბამონცემლობა „სამართალი“
თბილისი – 2008

წიგნის მოცემულ მონაკვეთში გადმოცემულია სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილის საკითხები, იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც მათ განიცადეს. არის საკითხთა ინდივიდუალური გადაწყვეტის მცდელობაც, რაც ნაშრომს საინტერესოს ხდის.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და საზოგადოების იმ წევრთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სისხლის სამართლის პროცესის საკითხებით. ნაშრომი დახმარებას გაუწევს პრაქტიკაში მოღვაწე იურისტებს, ასევე მაგისტრანტებს, დოქტორანტებს.

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი
და წიგნის რედაქტორი პროფ. **რეზო გომეზიძე**

წინამდებარე ნაშრომის ავტორები არიან:

სამართლის დოქტორი, თსუ ასოც პროფ. **ი. აქუშბარდია** –
თავი IX; თავი XII; XIV თავის §4; თავი XVII;

სამართლის დოქტორი, თსუ პროფ. **რ. გომეზიძე** –
თავი XIII, XIV თავის §1; §2; §3. XVIII თავის §3;

სამართლის დოქტორი, თსუ ასოც პროფ. **ლ. შაფიაშვილი** –
XVIII თავის §1; §2;

სამართლის დოქტორი, თსუ ას პროფ. **ი. ბოხაშვილი** –
თავი XV; თავი XVI;

სამართლის დოქტორი, თსუ ას პროფ. **ნ. გომეზიძე** – თავი X;
თავი XI.

© გამომცემლობა „სამართალი“, 2008

ISBN 99940-807-9-2

შინაარსი

თავი IX

წინასწარი გამოძიების წარმოების ზოგადი

დებულებანი 7

§1. წინასწარი გამოძიების არსი და მნიშვნელობა 7

§2. წინასწარი გამოძიების სისტემა 9

§3. წინასწარი გამოძიების საფუძვლები 14

§4. წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები 18

თავი X

პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემა,

ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე

შარი 31

თავი XI

საგამოძიებო მოქმედებათა ცალკეული სახეები 35

§1. ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედებათა
ჩატარების შესახებ 35

§2. დაკითხვა 39

§3. ამოღება და ჩხრეკა 51

§4. დათვალიერება 58

§5. საგამოძიებო ექსპერიმენტი 66

§6. ჩვენების ადგილზე შემოწმება 72

§7. წარდგენა ამოსაცნობად 77

§8. შემოწმება 80

§9. ექსპერტიზა 84

§10. ნიშუშების აღება საექსპერტო კვლევისათვის 91

§11. გვამის ექსკუმაცია 95

თავი XII

წინასწარი გამოძიების დამთავრება. სისხლის- სამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა.....	97
§1. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება.....	97
§2. სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტა.....	101
§3. წინასწარი გამოძიების დამთავრება და საქმის გაგზავნა სასამართლოში.....	119

თავი XIII

ზოგადი დებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ.....	128
§1. სასამართლოში საქმის განხილვის არსი და მნიშვნელობა.....	128
§2. სასამართლოში საქმეთა განხილვის ძირითადი პრინციპები.....	130
§3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება....	134
§4. პროცესის მონაწილენი სასამართლო განხილვაში.....	137
§5. სასამართლო განხილვის ფარგლები.....	145
§6. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მიღებული გადაწყვეტილებანი.....	146
§7. სასამართლო სხდომაზე განჩინების (დადგენილების) გამოტანის წესი.....	148
§8. სასამართლო სხდომის ოქმი.....	149

თავი XIV

სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინ- სტანციის სასამართლოში.....	152
§1. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი.....	152
§2. სასამართლო გამოძიება.....	164
§3. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა....	185
§4. განაჩენის დადგენა.....	191

თავი XV

განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ფორმები სისხლის სამართლის აროცმისში	222
§1. განაჩენის გასაჩივრების ფორმები.....	222
§2. აპელაცია.....	230
§3. კასაცია.....	268

თავი XVI

განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო	285
---	-----

თავი XVII

განაჩენის აღსრულება.....	305
§1. განაჩენის აღსრულების სტადიის ცნება და მნიშვნელობა	305
§2. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და მისი აღსასრულებლად მიქცევა	308
§3. განაჩენის აღსრულების სტადიაზე სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები	313
§4. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის საპროცესო წესი.....	321
§5. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები.....	325

თავი XVIII

ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებაანი	328
§1. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება.....	328
§2. წარმოება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე.....	333

§3. საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება.....	372
§4. საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს	383

თავი IX

წინასწარი გამოძიების წარმოების ზოგადი დებულებანი

§1. წინასწარი გამოძიების არსი და მნიშვნელობა.

წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის პროცესის პირველი სტადიაა. იგი იწყება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე და მთავრდება პროკურორის მიერ სასამართლოში საქმის გაგზავნით საბრალდებო დასკვნით ან სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ დადგენილებით ანდა სისხლის სამართლებრივი დევნის ან წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანით. სასამართლოში შეუძლებელია საქმეთა უმრავლესობის განხილვა თუ მათზე წინასწარ არ იყო ჩატარებული გამოძიება. გამოძიება იწოდება წინასწარ გამოძიებად იმიტომ, რომ იგი წინ უსწრებს სასამართლოში საქმის განხილვას. წინასწარი გამოძიება ტარდება სასამართლომდე და სასამართლოსთვის. გამოძიებლის მიერ გაკეთებული დასკვნები დანაშაულის ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის შესახებ ატარებს წინასწარ ხასიათს და სასამართლოსთვის წარმოადგენს ბრალდების ვერსიას, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ შემოწმებას. ამასთან გამოძიებლის დასკვნების წინასწარი ხასიათი არ ამცირებს ამ სტადიის მნიშვნელობას. წინასწარი გამოძიების სტადიაზე და საქმის სასამართლოში განხილვის დროს მტკიცების საგანი ერთი და იგივეა. პრაქტიკულად, მტკიცებულებათა უმეტესი ნაწილის შეკრება ხდება წინასწარ გამოძიებაში, ხოლო სასამართლოს სიმძიმის ცენტრი გადააქვს მათ შემოწმებაზე.

წინასწარი გამოძიება ქმნის აუცილებელ პირობებს მართლმსაჯულების კანონიერად განხორციელებისათვის. ამ სტადიაზე

მტკიცებულებების შეგროვება, ფაქტობრივ გარემოებათა გამოკვლევა, საქმის განსახილველად მომზადება ხორციელდება სასამართლომდე და სასამართლოსთვის. სწორედ ეს საქმის მასალებია სასამართლო განხილვის საგანი. ამიტომ წინასწარი გამოძიების სწორად და სრულად ჩატარება უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 43-ე პუნქტი ასე განმარტავს უშუალოდ გამოძიებას: „წინასწარი გამოძიება – უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომლის მიზანია დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგენა და მისი ჩამდენი პირის მხილება“.

საერთოდ სისხლის სამართლის პროცესის სტადიას (მათ შორის, წინასწარ გამოძიებას) ახასიათებს ოთხი ძირითადი ნიშანი: ა) უშუალო მიზანი და ამოცანები; ბ) შემაჯამებელი გადაწყვეტილება; გ) მონაწილეთა წრე და დ) საპროცესო ფორმა (პროცედურა).

წინასწარი გამოძიების მიზანია: დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა; ბრალეული პირის მხილება დანაშაულის ჩადენაში; საკმარისი მტკიცებულებების ბაზის შექმნა სასამართლო განხილვის ჩასატარებლად; დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

წინასწარი გამოძიების სტადიის ამოცანაა: დანაშაულის ფაქტის და მის ჩადენაში ბრალეული პირის დადგენა, მტკიცებულებათა შეკრება, შემოწმება, შეფასება; საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური გამოკვლევა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების დადგენა და ზომების მიღება მათი აღმოფხვრისათვის.

წინასწარი გამოძიების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ

სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების მიერ ზორციელდება დანაშაულის შესახებ ცნობების შეგროვება, დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენა. წინასწარი გამოძიების წარმოებისას განისაზღვრება მტკიცების საგანი, რათა სასამართლომ შეძლოს ყოველმხრივ და სრულად აღადგინოს ჩადენილი დანაშაულის სურათი. ამ სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლო გამოძიებისათვის წარმოადგენენ მხოლოდ საწყის მასალას და ექვემდებარებიან ყოველმხრივ შემოწმებასა და შეფასებას.

საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრულყოფილი, ობიექტური გამოკვლევის მოთხოვნა ავალდებულებს წინასწარი გამოძიების ორგანოებს დანაშაულის ჩადენის გარემოებების შესახებ შეიმუშაონ ყველა შესაძლო ვერსია და მიუკერძოებლად შეაფასონ შეკრებილი მტკიცებულებები, რაც იქნება სისხლის სამართლის საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა.

წინასწარი გამოძიების მნიშვნელობა მდგომარეობს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადებაში. ამასთან, წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმემ შეიძლება მიიღოს საბოლოო სახე, ანუ შეწყდეს საქმის წარმოება კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას (საქართველოს სსსკ 28-ე მუხლი).

§2. წინასწარი გამოძიების სისტემა

თანამედროვე მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გამოძიების სტრუქტურაში გამოიყოფა სამი ძირითადი ეტაპი. კერძოდ, საერთო გამოძიება (*inquisitio generalis*) სუმარული წარმოება (*inquisitio summarua*) და სპეციალური გამოძიება (*inquisitio specialis*).

1. საერთო გამოძიება წარმოებს განუსაზღვრელ პირთა

მიმართ, კონკრეტული ბრალდებულის გარეშე. თუმცა შესაძლებელია გამოძიების საწყის ეტაპზე ცნობილი იყოს ეჭვიმიტანილი, მაგრამ ბრალდება მის მიმართ ჯერ არ იყოს ოფიციალურად წარდგენილი. ამიტომ გამოძიება სამართლებრივი ასპექტით წარმოებს არა კონკრეტული პირის მიმართ, არამედ ფაქტის მიმართ, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ეჭვიმიტანილის მიმართ გამოიყენება არა აღკვეთის ღონისძიება, არამედ იძულებითი ღონისძიების ისეთი სახე, რომელიც მას დროებით უზღუდავს პირად თავისუფლებას. ასეთია მოკლევადიანი დაკავება.

საერთო გამოძიების მიზანია დაადგინოს დანაშაულებრივი ქმედების არსებობა ან არარსებობა და მხილებული იყოს ბრალეული პირი.

ანგლო-ამერიკული ტიპის პროცესში (ინგლისი, აშშ) საერთო გამოძიების ეტაპი ვლინდება ე.წ. პოლიციური გამოძიების სახით. ანგლოსაქსური სამართლებრივი დოქტრინა ასეთ საქმიანობას თვლის არა სისხლის სამართლებრივ საპროცესო, არამედ ადმინისტრაციულ საქმიანობად. პოლიცია ფლობს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას. სამართლებრივად პოლიცია მოქმედებს როგორც მხარე, რომელიც ამზადებს მასალებს სასამართლო განხილვისათვის. პოლიციური გამოძიება მოიცავს სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვას ბრალდების წაყენების თაობაზე ან დაპატიმრების ორდენის მიღების თაობაზე, რაც არსებითად კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის თანაბარია.

საფრანგეთში საერთო გამოძიებას შეესაბამება მოკვლევა, რომელიც ხორციელდება პოლიციის მიერ პროკურორის ხელმძღვანელობით.

გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში საერთო გამოძიების ეტაპს შეესაბამება მოკვლევა „უბრალო ეჭვის“ საფუძველზე. აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევითვის კი აუცილებელია „სერიოზული ეჭვი“, ბრალეულობის მაღა-

ლი ხარისხი და სასამართლოს განაჩენით მსჯავრდების რეალური შესაძლებლობა.

რუსეთში საერთო გამოძიების ეტაპი ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანამდე. საერთო გამოძიების საპროცესო შინაარს შეადგენს პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, აგრეთვე ეჭვმიტანილის დაკავება.

საქართველოში საერთო გამოძიების ეტაპი იწყება სისხლის სამართლებრივი დევნის, ანდა წინასწარი გამოძიების დაწყების მომენტიდან და გრძელდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანამდე.

2. გამოძიების მეორე ეტაპს წარმოადგენს ე.წ. სუმარული წარმოება.

სუმარული წარმოება თავდაპირველად ინგლისის სისხლის სამართლის პროცესში ერქვა წინასწარი სასამართლო გამოძიების ფორმას, როდესაც პირს წარუდგენდნენ თავდაპირველ ბრალდებას. განსაზღვრული კატეგორიის დანაშაულებზე, რომლებსაც დიდი საზოგადოებრივი საშიშროება არ ახასიათებდათ, მოსამართლე ატარებდა წინასწარ სასამართლო გამოძიებას და მასვე მიეცა უფლება განეხილა არსებითად ეს საქმე და გამოეტანა განაჩენი. სწორედ აქედან მოდის სუმარული წარმოების, როგორც პროცესის გამარტივებული და დაჩქარებული ფორმის ცნება.

სუმარული წარმოების დანიშნულება პირველდაწყებითი ბრალდების წარდგენა და დაცვის მხარის პოზიციის კონკრეტულიზაციაა.

ინგლისში, აშშ-ში გამოძიების სუმარული ეტაპი წარმოებს სასამართლოში საქმის წინასწარი სასამართლო განხილვის სახით, სადაც ხდება პირველდაწყებითი ბრალდების წარდგენა და ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტა. ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულებზე, რომლებიც დიდი

საზოგადოებრივი საშიშროებით არ ხასიათდებიან, საქმე შეიძლება განხილული იყოს არსებითად, განაჩენის გამოტანით.

საფრანგეთში მოკვლევის შედეგების მიხედვით პროკურორი აღძრავს სისხლის სამართლებრივ დევნას და შეაქვს სისხლის სამართლებრივი სარჩელი სასამართლო გამოძიებლის წინაშე.

გერმანიაში ბრალდებულს დაკავების შემდეგ წარედგინება სერიოზული ეჭვის დამადასტურებელი მტკიცებულებები და იგი დაიკითხება სასამართლო სხდომაზე. ბრალდებულის დაკითხვა განამტკიცებს პირველდაწყებით ბრალდებას, სწორედ აქ კლინდება სუმარული გამოძიების ელემენტები.

რუსეთში გამოძიების სუმარული ეტაპი ემთხვევა ბრალდების წარდგენის პროცედურას, რაც გულისხმობს ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების შინაარსის გაცნობას, ბრალდებულის უფლებების განმარტებას.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში ამ ეტაპს შეესაბამება დადგენილების გამოტანა პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, ბრალდების წარდგენა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტა.

3. გამოძიების მესამე ეტაპი არის სპეციალური გამოძიება, ანუ გამოძიება რომელიც წარმოებს კონკრეტული ბრალდებულის მიმართ. ისტორიულად სპეციალურ გამოძიებას სხვადასხვაგვარად უწოდებდნენ ფორმალურს ან სასამართლო გამოძიებას, რადგან ხორციელდებოდა სასამართლო ორგანოს მიერ სასამართლოს გამოძიებლის ან გამოძიების მოსამართლის მიერ.

ამ ეტაპზე კიდევ ერთხელ მოწმდება მამხილებელი მტკიცებულებების დასაბუთებულობა და განისაზღვრება საბოლოო ბრალდება.

ინგლისში საბოლოო ბრალდების ფორმირებას წინ უსწრებს მტკიცებულებათა გამოვლენის პროცედურა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სპეციალური გამოძიების ნიშნებს. ამ შემთხვევაში

ბრალდების მხარე დაცვის მხარეს წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შეკრებილ მტკიცებულებებზე, რაც დასაცავის სასარგებლოა, ხოლო დაცვა სასამართლოს და ბრალმდებელს უხსნის დაცვითი პოზიციის არსს.

აშშ-ში სპეციალური გამოძიების ეტაპი ფაქტობრივად ხორციელდება დიდი ჟიურის მიერ, როცა იგი გამამტყუნებელ მტკიცებულებებს დამატებით ამოწმებს და ასევე ამოწმებს ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დასაბუთებულობას მანამ, სანამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს მის საქმეს არსებითად. ეს ეტაპი მთავრდება საბრალდებო აქტის დამტკიცების შესახებ დიდი ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღებით.

საფრანგეთში სპეციალური გამოძიების ეტაპი ხორციელდება უკვე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული კონკრეტული პირის მიმართ. სასამართლო გამოძიებელი წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მხარეთა მონაწილეობით განახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს კონკრეტული პირის მიმართ მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით.

გერმანიაში სპეციალური გამოძიება გულისხმობს კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია პირველ-დაწყებითი ეჭვის დასაბუთებასთან, რაც მთავრდება საბოლოო ბრალდების წაყენებით.

რუსეთში, ისევე როგორც საქართველოში, სპეციალური გამოძიება მოიცავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, რომელიც სრულდება საბრალდებო დასკვნის გამოტანით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსეთის სისხლის სამართლის პროცესში, ისევე როგორც საქართველოში არსებობს საქმის სასამართლომდელი მომზადების მეოთხე ეტაპი-პროკურორის მოქმედება საბრალდებო დასკვნით შემოსულ საქმეზე. ეს ეტაპი ფორმალურად ითვლება წინასწარი გამოძიების ნაწილად, მაგრამ მას აქვს შედარებით დამოუკიდებლობა – ამ ეტაპისათვის არის დადგენილი

სპეციალური ამოცანები, ვადები, პროკურორის საქმიანობის ფორმები და შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.

§3. წინასწარი გამოძიების საფუძველები

წინასწარი გამოძიების დაწყების მოვალეობა. წინასწარი გამოძიების დაწყების მოვალეობა აკისრია გამოძიებელს და პროკურორს. კანონის თანახმად (სსსკ 261-ე მუხლი) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში ისინი იწყებენ წინასწარ გამოძიებას. ამასთან, თუ გამოძიებელმა დაიწყო წინასწარი გამოძიება, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პროკურორს. კანონი არ მიუთითებს რაიმე კონკრეტულ ვადაზე, მაგრამ იგულისხმება გონივრული ვადა. კანონით ასევე არ არის განსაზღვრული შეტყობინების ფორმა. შეტყობინება პროკურორს შეიძლება გადაეცეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ტექნიკური საშუალებით და ა. შ.

ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ და მათი განხილვის წესი. წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი არის ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ჩამოთვლილია სუბიექტები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დანაშაულის ჩადენის შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია გამოძიებელსა და პროკურორს.

ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ გამოძიებელს და პროკურორს შეიძლება მიაწოდონ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, მოქალაქემ. ასეთი ინფორმაცია შეიძლება უფლებამოსილ თანამდებობის პირს მიეწოდოს განცხადების, საჩივრის, ან უბრალო შეტყობინების სახით. ინფორმაციის მიწოდების ფორმა კანონის თანახმად (სსკ 265-ე მუხლი) შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი, ან სხვაგვარად დაფიქსირებული. ზეპირი ცნობა უნდა იყოს შეტანილი ოქმში, რომელსაც

ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები პირი.

ოქმში უნდა მიეთითოს ცნობის მიმწოდებელი პირის ვინაობა, სახელი, გვარი, დაბადების წელი, საცხოვრებელი ადგილი, თანამდებობა, ინფორმაციის მიღების წყარო, ინფორმაციის მოკლე შინაარსი, მისი მიღების თარიღი. თუ განმცხადებელი 14 წელს მიღწეული პირია, მას აფრთხილებენ ხელწერილის ჩამორთმევით ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ასევე უნდა აღინიშნოს დასახელებულ ოქმში.

ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, შეიძლება იყოს სხვაგვარად დაფიქსირებული. აქ იგულისხმება შეტყობინება, რომელიც მიწოდებულია ტელეფონით, ფაქსით, იმეილით და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ასეთ დროს რეკომენდებულია შედგეს ოქმი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, სადაც აღინიშნება შეტყობინების მიმწოდებელი პირის ვინაობა, შეტყობინების შინაარსი და მისი მიღების თარიღი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ გამოძიებელსა და პროკურორს შეიძლება მიაწოდონ როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირებმა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფირმების, გაერთიანებების, ასოციაციების ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა მიერ მიწოდებული ცნობები, რომელიც უნდა იყოს წერილობით შედგენილი, პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. აღნიშნული თანამდებობის პირებიც უნდა გაფრთხილდნენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ინფორმაცია დანაშაულის შესახებ უფლებამოსილ თანამდებობის პირს შეიძლება მიაწოდოს უშუალოდ დანაშაულის ჩამდენმა პირმა ან მასში მონაწილეებმა, ანუ პირი ნებაყოფლობით, ბრალის აღიარებით ცხადდება გამოძიებელთან, პროკურორთან. დანაშაულის ჩადენის ან მის ჩადენაში თავისი მონაწილეობის

შესახებ პირის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსი დაწვრილებით უნდა აისახოს შესაბამის ოქმში.

ინფორმაცია დანაშაულის შესახებ შეიძლება გამოვლენილი იყოს უშუალოდ გამოძიებლის, პროკურორის მიერ სხვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას. ამ შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება განვიხილოთ უფრო განვრცობილი შინაარსითაც. ზშირად პრაქტიკაში გამოძიებელმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას შეიძლება გამოავლინოს სხვა დანაშაულის ნიშნები, ან მომხდარი დანაშაულის ფაქტი, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ცხადია იგი მოვალეა დაიწყოს წინასწარი გამოძიება ამ ფაქტზე ან მის მიერ გამოვლენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით. გამონაკლის წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც ამ ორგანოს წარმომადგენლები დანაშაულის თვითმხილველი ან დაზარალებულია. ასევე ინფორმაცია შეიძლება მოწოდებული იყოს აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ.

ინფორმაცია დანაშაულის შესახებ შეიძლება მოძიებული იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კერძოდ პრესაში, რეგისტრირებულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა მომხდარი დანაშაულის შესახებ, ასევე რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალა, ინფორმაცია, სიუჟეტი შეიძლება გახდეს წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი. დანაშაულის შესახებ ინფორმაციას შეიძლება შეიცავდეს ფოტო, კინო, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, რომელთა ჩვენება ტელევიზიით ჟურნალისტის მიერ სათანადო კომენტარებით უნდა გახდეს წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი.

წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი შეიძლება გახდეს ანონიმური წერილი. მართალია, კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს წინასწარი გამოძიების დაწყებას ანონიმური წერილის საფუძველზე, მაგრამ უშვებს ასეთ შესაძლებლობას და გამოძიებელს, პროკურორს, აღჭურავს სათანადო უფლებამოსილებით. ამასთან კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ დაუშვებელია პირის

მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე. მართალია, ხშირად ანონიმური წერილები ცილისმწამებლურია, მაგრამ დანაშაულის ფაქტზე მიღებული ყველა ინფორმაცია სასურველია შემოწმებას დაექვემდებაროს და არ დარჩეს რეაგირების გარეშე. შემოწმებისას თუ დადასტურდა ანონიმურ წერილში მოყვანილი მონაცემები, წინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველი იქნება არ ანონიმური წერილი, არამედ მისი შემოწმებით მიღებული შედეგები.

საქმის ქვემდებარეობით გადაგზავნა. როგორც უკვე აღინიშნა გამოძიებელი, პროკურორი, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დაუყოვნებლივ იწყებენ წინასწარ გამოძიებას. ასეთი ინფორმაციის არსებობისას წინასწარი გამოძიების დაწყება აღნიშნული თანამდებობის პირებისთვის უფლება კი არ არის, არამედ მოვალეობაა. მაგრამ წინასწარი გამოძიების წარმოების პროცესში შეიძლება გამოიკვეთოს, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სხვა ორგანოს ექვემდებარება, ასეთ შემთხვევაში ისინი ვალდებული არიან კანონით დადგენილი წესით ჩაატარონ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა დათვალთქმობა, ჩხრეკა, ამოღება და სხვა. რადგან დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულის კვალის გაქრობა, მტკიცებულებათა მოსპობა, განადგურება, ბრალდებულის მიმალვა და ა. შ. გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შესრულების შემდეგ პროკურორი მოვალეა საქმე დაუყოვნებლივ გადააგზავნოს ქვემდებარეობის მიხედვით.

§4. წინასწარი გამოძიების ჩატარების პირობები

წინასწარი გამოძიების სავალდებულობა. წინასწარი გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების მქონე სუბიექტებს წარმოადგენენ გამოძიებელი და პროკურორი. კანონის თანახმად, წინასწარი გამოძიება სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება საჯარო და კერძო – საჯარო ბრალდების ყველა საქმე. წინასწარი გამოძიება, როგორც წესი, არ ტარდება კერძო ბრალდების საქმეზე. თუმცა გამონაკლისის სახით სსსკ 270-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კერძო ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიება შეიძლება ჩატარდეს დაზარალებულის ან განსასჯელის მოთხოვნით, პროკურორის წინადადებით, თუ მხარეები არ არიან ამის წინააღმდეგი და მოსამართლის ინიციატივით.

კერძო ბრალდების საქმეზე წინასწარი გამოძიება უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როცა საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა შეუძლებელია სასამართლო სხდომაზე და ამისათვის აუცილებელია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.¹

წინასწარი გამოძიების ვადა. წინასწარი გამოძიების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იქნება საქმე გამოძიებული და

¹ განსაკუთრებით ასეთი აუცილებლობა შეიძლება დადგეს ერთ წარმოებად კერძო ბრალდების საქმეთა გაერთიანების დროს, როცა შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებაში განხილვისას საჩივრის შემტანი პირები პროცესში ერთ დროულად მონაწილეობენ როგორც დაზარალებული და განსასჯელი. ასეთ საქმეზე თუ იქნება დაზარალებულის ან განსასჯელის შუამდგომლობა ან თუ ამ საქმეში მონაწილეობს პროკურორი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესების ან დაზარალებულის უფლებების დაცვის მიზნით და ის შუამდგომლობს ან სასამართლო საკუთარი ინიციატივით მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარების შესახებ იმ მოტივით, რომ არ არის შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებები სასამართლოში საქმის განხილვისათვის და აუცილებელია წინასწარი გამოძიების ჩატარება სრული მოცულობით.

ბრალეული პირი მხილებული. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაყოვნება იწვევს მტკიცებულებების დაკარგვას და არსებითად აძნელებს, ბევრ შემთხვევაში კი საერთოდ შეუძლებელს ხდის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. გამოძიების ოპერატიულად ჩატარება აუცილებელია როგორც ბრალდებულისა და დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, ასევე საქმის გარემოებების უფრო სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოკვლებისათვის. 1998 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავდა წინასწარი გამოძიების ვადებს. კანონის თანახმად წინასწარი გამოძიება უნდა დამთავრებულიყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან არა უგვიანეს სამი თვისა. გათვალისწინებული იყო წინასწარი გამოძიების ვადის გაგრძელებაც. განსაკუთრებით რთულ საქმეზე საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება ჰქონდა წინასწარი გამოძიების ვადა გაეგრძელებინა 12 თვეზე მეტი ვადით. აქედან გამომდინარე კანონი არ ადგენდა საგამოძიებო ვადის გაგრძელების მაქსიმალურ ზღვარს. 2005 წლის 25 მარტს კანონში შეტანილი ცვლილებით წინასწარი გამოძიების კონკრეტული ვადები გაუქმდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის შესაბამისად წინასწარი გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.

წინასწარი გამოძიების ვადებში შედის როგორც საკუთრივ მთელი საქმის წარმოებისთვის დადგენილი გონივრული ვადა, ასევე ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ვადები.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია დაკავების ვადები, ბრალდების წარდგენის, ბრალდებულის დაკითხვის, დაპატიმრების, პროკურორის მიერ მასთან საბრალდებო დასკვნით შემოსულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების ვადები და ა.შ. სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა მნიშვნელოვნად

არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად წარმოებს წინასწარი გამოძიება. აღნიშნული ვადების დადგენასა და მათ დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიების სწრაფად და სრულად ჩატარებისათვის და პროცესის მონაწილეთა უფლებების უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული ვადების დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას თავისდროულად დამთავრდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება.

კანონით გათვალისწინებულ გონივრულ ვადაში იგულისხმება ვადა, რომელიც მოცემული კონკრეტული დანაშაულის გამოძიებისათვის არის საჭირო და საკმარისი. იმ გარემოებების და სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც შეიძლება საქმის გამოძიებისას გამოვლინდეს, მაგალითად, მიმალული ბრალდებულის ძებნა, მტკიცებულებების მოპოვების სირთულე დანაშაულის ჩადენის გარემოებების გათვალისწინებით, პროცესის მონაწილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც აძნელებს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებას და სხვა. გამოძიების წარმოების გონივრულ ვადაში, ცხადია, არ თავსდება საქმის წარმოების შეგნებული გაჭიანურება, რაც შეიძლება გამოიხატოს ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უსაფუძვლოდ გადადებაში და ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების დაუსაბუთებლად არ ჩატარებაში, მიმალული ბრალდებულის მოსაძებნად ხანგრძლივი დროის მანძილზე ზომების არ მიღებაში, თავისდროულად ექსპერტიზის არ დანიშვნაში და ა.შ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინასწარი გამოძიების გონივრული ვადა გარკვეულწილად შემოსაზღვრულია კანონში არსებული დათქმით, კერძოდ, არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგე-

ბლობისგან განთავისუფლების საფუძველს, კერძოდ, პირი თავისუფლდება სისხლი სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თუ გავიდა ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სსსკ კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ბ) ექვსი წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

შეტყობინება დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ, ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ. სსსკ 273-ე მუხლის შესაბამისად გამომძიებელი ღებულობს გადაწყვეტილებას საქმეში პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ.

გამომძიებლის გადაწყვეტილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ უნდა გაფორმდეს მოტივირებული დადგენილებით, რომელსაც გამომძიებელი გამოიტანს იმ მომენტში, როცა დაადგენს, რომ კონკრეტულ პირს დანაშაულის შედეგად მიყენებული აქვს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გამომძიებელი ვალდებულია შეატყობინოს პირს დაზარალებულად ცნობის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით, რაც უნდა აისახოს სისხლის სამართლის საქმის მასალებში. ცხადია, გამომძიებელმა უნდა განუმარტოს დაზარალებულს თავისი უფლება-მოვალეობები, რის შესახებაც აღინიშნება დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილებაში და დაკითხვის ოქმში.

დანაშაულის შედეგად ზიანის მიყენების შემთხვევაში გა-

მომძიებელი მოვალეა განუმარტოს დაზარალებულს უფლება, წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი. პირს თვითონაც შეუძლია აღძრას შუამდგომლობა სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ. გამომძიებელს გამოაქვს დადგენილება სამოქალაქო მოსარჩელედ პირის ცნობის ან სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ მას შემდეგ, როცა ამ პირისაგან მიიღებს სასარჩელო განცხადებას.

საქართველოს სსსკ 68-ე მუხლის თანახმად, თუ სამოქალაქო სარჩელის წარმდგენი დაზარალებული სამოქალაქო მოსარჩელედ იქნა ცნობილი, ეს აისახება დადგენილებაში პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ ან ცალკე გამოტანილ დადგენილებაში.

სამოქალაქო მოსარჩელედ შეიძლება ცნობილ იქნეს პროკურორი, ასევე იურიდიული პირი, თუ ის მოითხოვს ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებას. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო მოსარჩელედ მიიჩნევა ასევე გარდაცვლილი დაზარალებულის მემკვიდრე და ლიკვიდირებული იურიდიული პირის უფლებამონაცვლე.

სამოქალაქო მოსარჩელეს გამომძიებელი გადასცემს ან უგზავნის სათანადო დადგენილების ასლს, სადაც უნდა იყოს ჩამოთვლილი სამოქალაქო მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობანი (საქართველოს სსსკ 86-ე მუხლი).

სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შემდეგ საკმაო საფუძვლების არსებობისას გამომძიებელი გამოიტანს დადგენილებას პირის სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ. აღნიშნულ დადგენილებაში უნდა იყოს ასახული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. დადგენილება უნდა გაეცნოს სამოქალაქო მოპასუხეს ხელმოწერით და ამავე დროს განემარტოს საქართველოს სსსკ 90-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი, რაც აისახება დადგენილებაში.

წინასწარი გამოძიების მონაცემების გამჟღავნების დაუშვებლობა. სასამართლო განხილვისაგან განსხვავებით წინასწარ გამოძიებაში, მისი სპეციფიკურობის გამო, საჯაროობა დასაშვებია მხოლოდ მკაცრად შეზღუდულ ფარგლებში. წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურებამ შეიძლება გამოიწვიოს აუცილებელი მტკიცებულებების დაკარგვა, შესაძლებლობა მისცეს დანაშაულის ჩამდენ პირს დაემალოს გამოძიებას, ზიანი მიადგეს დაზარალებულს, დაირღვეს პროცესის სუბიექტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, არსებითად გართულდეს წინასწარი გამოძიების სტადიის ამოცანების განხორციელება.

ცხადია, წინასწარ გამოძიებაში საჯაროობის შეზღუდვა არ გულისხმობს გამოძიების გასაიდუმლოებას. გამოძიებელი ეყრდნობა საზოგადოების დახმარებას, მოქალაქეთა მხარდაჭერას დანაშაულის გახსნაში, იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, პრესას, რადიოს, ტელევიზიას ბრალეულ პირთა სამხილებლად, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოსავლენად.

სსსკ 274-ე მუხლის თანახმად გამოძიებელმა ან პროკურორმა უნდა უზრუნველყონ რომ არ გამჟღავნდეს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, მონაცემები საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისა და მისი შედეგების, ჩვენებათა შინაარსის თაობაზე, აგრეთვე მონაცემები ექსპერტთა დასკვნის შესახებ. ამ მიზნით მათ შეუძლიათ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს ჩამოართვან ხელწერილი – ვალდებულება, რომ მათი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნონ საქმეში არსებული ცნობები და გააფრთხილონ ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ხელწერილის ჩამორთმევის შესახებ კეთდება ჩანაწერი საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროთ ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს. რაც შეეხება დამცველს, ცხადია, დამცველი

ვალდებულია არ გაამჟღავნოს წინასწარი გამოძიების მონაცემები, მაგრამ ეს ვალდებულება არ ვრცელდება მის საუბარზე ბრალდებულთან ან ეჭვმიტანილთან. დაზარალებულის, მოწმის ან სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაძლებელია ბრალდებულს საქმის მასალების გაცნობის დროს არ წარედგინოს მათი ანკეტური მონაცემები და ცნობები მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. წინასწარი გამოძიების მონაცემების განსაზღვრული მოცულობით გახმაურების ნებართვა უნდა გასცეს გამოძიებელმა ან პროკურორმა წერილობითი ფორმით. ასეთი ნებართვა მიზანშეწონილია გაფორმდეს ცალკე დადგენილების სახით, სადაც უნდა იყოს მითითებული ვის ეძლევა წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურების ნებართვა, გამოძიების რა მასალების, რა მოცულობით, რა ფორმით გახმაურების ნებართვა ეძლევა მას.

წინასწარი გამოძიების მონაცემების გამოქვეყნება ასევე შეიძლება მხოლოდ გამოძიებლის ან პროკურორის ნებართვით. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ სისხლის სამართლის საქმე ჯერ არ არის დამთავრებული, რომ სასამართლოს ჯერ საქმე არ განუხილავს და განაჩენი არ გამოუტანია, რომ გამოძიებლის დასკვნები საქმის გარემოებებზე მხოლოდ მისი მოსაზრებებია და შესაბამისი ცნობების წინასწარმა გამოცხადებამ შეიძლება ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

როგორც გამოძიებელი და პროკურორი, ასევე სასამართლოც მხარეთა შუამდგომლობით უფლებამოსილია, თუ საქმე განიხილება დახურულ სხდომაზე, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს ჩამოართვას ხელწერილი ვალდებულება, რომ მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნონ საქმეში არსებული ცნობები და გააფრთხილოს ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

რამდენიმე გამოძიებლის მიერ საგამოძიებო მოქმედების შეს-

რულება. საერთო წესის მიხედვით გამოძიებას ატარებს ერთი გამოძიებელი. დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი იწყებს წინასწარ გამოძიებას, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს. სწორედ ამ მომენტიდან მას ეკისრება საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის ვალდებულება. 1998 წელს მიღებული სსსკ-ის მიხედვით რთულ და მოცულობით დიდ საქმეებზე შესაძლებელი იყო საქმეზე გამოძიება ჩაეტარებინა რამდენიმე გამოძიებელს და შექმნილიყო გამოძიებელთა ჯგუფი, რაც ხელს უწყობდა რთულ საქმეებზე წინასწარი გამოძიების დროულად, ოპერატიულად, ეფექტურად ჩატარებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. 2005 წლის 25 მარტს საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით გაუქმდა წინასწარი გამოძიების დავალება გამოძიებელთა ჯგუფისათვის. კანონმა შეინარჩუნა მხოლოდ ნორმა იმასთან დაკავშირებით, რომ საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე გამოძიებლის მიერ, თუ საგამოძიებო მოქმედების მონაწილენი ერთდროულად უნდა იყვნენ სხვადასხვა შენობაში ან ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული.

რამდენიმე გამოძიებლის მიერ ერთდროულად შეიძლება ჩატარდეს დათვალიერება, ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და სხვა საგამოძიებო მოქმედებები. ერთ-ერთი გამოძიებელი ინიშნება ხელმძღვანელად, რომელიც კოორდინაციას უწევს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. იგი თითოეულ გამოძიებელს განუსაზღვრავს უშუალო კონკრეტულ ამოცანას – რომელ შენობაში, შენობის ნაწილში, რა ადგილას უნდა განახორციელოს დათვალიერება, ჩხრეკა, საგამოძიებო ექსპერიმენტი თუ სხვა საგამოძიებო მოქმედება; რა მიზანს ისახავს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება. ხელმძღვანელმა უნდა გაანაწილოს გამოძიებლები სხვადასხვა ადგილას და აგრეთვე პროცესის მონაწილენი საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად, ჩაუტაროს

მათ ინსტრუქტაჟი, განუმარტოს თავიანთი უფლება — მოვალეობანი. ხელმძღვანელს შეუძლია მითითებები მიცეს ცალკეულ გამომძიებლებს ჩასატარებელ საქმიანობასთან დაკავშირებით. გამომძიებლები ასრულებენ ხელმძღვანელის დავალებას. ხელმძღვანელი პასუხს აგებს საგამომძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე. საბოლოოდ ხელმძღვანელმა უნდა შეადგინოს საგამომძიებო მოქმედების ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს როგორც ხელმძღვანელი, ასევე ყველა გამომძიებელი; რომლებიც ასრულებდნენ სათანადო საგამომძიებო მოქმედებას ერთდროულად, ასევე სხვადასხვა საპროცესო სტატუსის მქონე პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამომძიებო მოქმედებაში.

გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება. გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება წარმოადგენს არა მხოლოდ პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ გამომძიების პროცესში დაშვებული დარღვევებისა და შეცდომების აღმოფხვრის საშუალებასაც.

საქართველოს სსსკ 279-ე მუხლის თანახმად, გამომძიებლის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა გამო საჩივრები წარედგინება შესაბამის პროკურორს. პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან, ან სასამართლოში კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან გადაწყვეტილების გამო უნდა იყოს შეტანილი აღნიშნული საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე პროკურორთან. კანონის თანახმად დასაშვებია საჩივრის შეტანა იმ პირთან, ან იმ ორგანოში, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება საჩივრდება. ამ შემთხვევაში საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს ადრესატს. ამასთან მას უნდა დაურთოს საკუთარი განმარტებაც.

საჩივრის განხილვა არ შეიძლება დაევალოს იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

რაც შეეხება სასამართლოში გასაჩივრებას, უშუალოდ სასამართლოში საჩივრდება გამოძიებლის ან პროკურორის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედება, რომლის შედეგადაც პირს მიაღდა ზიანი (სსკ 227-ე მ.), ასევე სისხლის სამართლებრივი დევნის ან წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება, ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ გამოძიებლის ან პროკურორის დადგენილება (სსსკ 242-ე მ.).

საჩივარი შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. ზეპირი საჩივარი შეიტანება ოქმში. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს განცხადებული საჩივრის შინაარსი შეტანილ უნდა იქნეს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკა, ამოღება, დათვალიერება და ა. შ.) ოქმში. ამასთან, გამოძიებელი, რომელიც საგამოძიებო მოქმედებას ატარებს, ვალდებულია საჩივრის წარდგენის ფაქტი შეატყობინოს პროკურორს.

პროკურორს საჩივრის განხილვის შედეგად უფლება აქვს მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ; სისხლის სამართლის საქმის სრული ან ბრალდების ნაწილში შეწყვეტის შესახებ; გასაჩივრებული მოქმედების იურიდიული ძალის არმოქონედ ცნობის შესახებ; საჩივრის უარყოფის შესახებ.

კანონის თანახმად, პროკურორს უფლება არა აქვს საჩივარი გამოიყენოს საჩივრის შემოშანი პირის ან იმ პირის საზიანოდ, რომლის ინტერესების დასაცავადაც იგი იყო შეტანილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სხვა პირმა ან ორგანომ შეიტანა საწინააღმდეგო ხასიათის საჩივარი, ანდა საჩივრის შემოწმებისას დადგინდა სხვა გარემოებები.

პროკურორის მოქმედებაზე საჩივარი, როგორც წესი, იგზავნება ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორი შეისწავ-

ლის საჩივარს, მიიღებს გადაწყვეტილებას და საჩივრის შემტანს აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას. პროკურორის გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების სახით. დაუშვებელია საჩივრის განხილვა დაევალოს იმ პროკურორს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

წინასწარი გამოძიების პროცესში შეტანილი საჩივრები და ამ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ეს აუცილებელია, რათა სასამართლოში ანალოგიური საჩივრის შეტანისას სასამართლო განხილვის მონაწილენი დარწმუნდნენ იმაში, რომ წინასწარ გამოძიებაში საჩივარი შემოწმდა და მასზე მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება, რაც, თავის მხრივ, ეხმარება სასამართლოს სწორი გადაწყვეტილება მიიღოს ხელახლა შეტანილ საჩივარზე.

დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენა. წინასწარ გამოძიებაში გამოძიებულს, პროკურორს ევალებათ მტკიცების საგნის ელემენტებთან ერთად დაადგინონ დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებები. ამ გარემოებების გამოსავლენად მიმართული საქმიანობა საპროცესო ხასიათისაა და შეადგენს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოვალეობას.

დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების დადგენა გულისხმობს იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლენას, რომლებმაც განაპირობეს დანაშაულის ჩადენა.

სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გამოძიებელი და პროკურორი მოვალენი არიან გამოავლინონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

დამაშაულის ხელშემწყობი გარემოებები დგინდება საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით.

ძირითად საპროცესო ფორმას, რომელიც მიმართულია დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების აღსაკვეთად, წარმოადგენს

წარდგინების შეტანა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ან თანამდებობის პირთან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისას, გამომძიებელი ან პროკურორი შესაბამისი ორგანიზაციის თანამდებობის პირს უგზავნის წარდგინებას ამ გარემოებათა გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

წარდგინება პროცესუალური აქტია და მასში მოცემული დასკვნები უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

წარდგინებაში აისახება დანაშაულის ჩადენაზე გავლენის მომხდენი გარემოებების ერთობლიობა, ის მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას. ასევე შეიტანება წინადადება მათ აღმოსაფხვრელად. გამომძიებელმა, პროკურორმა უნდა მიუთითონ იმ კონკრეტულ ზომებზე, რომლებიც უნდა იყოს მიღებული გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნულ პირებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ იმ ორგანოების ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ორგანიზაციულ საქმიანობაში, სადაც შეტანილია წარდგინება.

წარდგინება შეიძლება შეტანილ იქნეს წინასწარი გამოძიების ნებისმიერ მომენტში. ამასთან, როგორც წესი, გამომძიებელს წარდგინება შეაქვს საქმის პროკურორისათვის გადაცემამდე, პროკურორს კი საქმის სასამართლოში გაგზავნამდე.

წარდგინება, როგორც პროცესუალური დოკუმენტი, თან ერთვის საქმეს. წარდგინება, როგორც წესი, უნდა იყოს შეტანილი იმ თანამდებობის პირთან, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით შეუძლია და მოვალეა მიიღოს ზომები დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად. თუ ეს მიზეზები და პირობები ეხება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან მათ ხელმძღვანელს, მიზანშეწონილია წარდგინება შეტანილ იქნეს

ზემდგომ ინსტანციაში, ან ზემდგომ თანამდებობის პირთან.

გამომძიებელი, პროკურორი უფლებამოსილია წარდგინება გაუგზავნოს შესამაბისი ორგანიზაციის თანამდებობის პირს საქმის შეწყვეტის შემთხვევაშიც.

კანონი არ განსაზღვრავს წარდგინების რაოდენობას. ერთსა და იმავე საქმეზე წარდგინებები შეიძლება გაეგზავნოთ სხვადასხვა ორგანოების თანამდებობის პირებს.

კანონის თანახმად, წარდგინების განხილვა სავალდებულოა. შედეგი ერთი თვის ვადაში უნდა ეცნობოს წარდგინების ავტორს. წარდგინებასთან დაკავშირებით მიღებულ ზომებზე შეტყობინება უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს. თუ შეტყობინება მოვიდა საქმის სასამართლოში გაგზავნის შემდეგ, იგი აუცილებლად უნდა გაიგზავნოს სასამართლოში საქმეზე დასართავად.

კანონით დადგენილ ვადაში წარდგინების განხილვის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების 20 მინიმალურ ოდენობამდე. დაჯარიმება მოხდება მოსამართლის დადგენილებით, პროკურორის წარდგინების საფუძველზე.

თაზი X

პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე უარი

წინასწარი გამოძიების სტადიაზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემა, ბრალდების წაყენება და შეცვლა, ბრალდებაზე უარი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია.

პირის ბრალდებულის სახით დაკითხვას წინ უსწრებს პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემა და მისთვის ბრალდების წაყენება. პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მისაცემად საჭიროა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად (282-ე მუხ.) გამოძიებელს პროკურორის თანხმობით ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

1. ბრალდებული პირის სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე და რიცხვი;

2. ბრალდების ფორმულირება, ანუ პირისადმი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

3. მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ეს დანაშაული აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა;

4. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის, ნაწილი, ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

აღნიშნული გარემოებები უმჯობესია ფორმულირებული იყოს ისეთი ფორმით, რომ სრულყოფილად იყოს აღწერილი დანაშაუ-

ლის მთლიანი მექანიზმი. აღნიშნულ დადგენილებას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია საქმის შემდგომი წარმოებისათვის. კერძოდ, დადგენილებით თანაბრად არის დაინტერესებული როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარე. კერძოდ:

1. დადგენილებაში აღიწერება დანაშაულებრივი ქმედების როგორც ფაქტობრივი ისე იურიდიული მხარე და ამით ძალზე ნათლად განისაზღვრება გამოძიების საგანი. გამოძიებლის მოქმედება კი უფრო მიზანმიმართული ხდება.

2. პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა ქმნის პროცესის კიდევ ერთ მონაწილეს, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად უფლება აქვს პყავდეს დამცველი.

პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლის საპროცესო და არა სისხლის სამართლებრივი ინსტიტუტია.

თუ პირის მიერ ჩადენილ ქმედებას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლი ან მუხლის ნაწილი ან ქვეპუნქტი, მაშინ დადგენილებაში ცალ-ცალკე უნდა მიეთითოს თითოეული ამ დანაშაულის კვალიფიკაცია. დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი კი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას ამ პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ დანაშაულის ჩადენაში მხილებულია რამოდენიმე პირი, დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილი უნდა იქნეს თითოეული მათგანის მიმართ.

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, გამოძიებელმა, პროკურორმა უნდა განსაზღვრონ ბრალდების წყებების დრო და ადგილი. პირს, რომელიც ბრალდებულად იქნა პასუხისგებაში მიცემული იბარებენ უწყებით ან სხვა საშუალებით. თუ აღნიშნული პირი თავს არიდებს გამოცხადებას ან სხვა მიზეზით შეუძლებელია

მისთვის ბრალდების პირადად წარდგენა, გამომძიებელი ან პროკურორი უფლებამოსილია ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება გაუგზავნოს ბრალდებულს ფოსტით ან გადასცეს მის დამცველს. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი გამომძიებელი ან პროკურორი უფლებამოსილნი არიან გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის მოყვანის შესახებ. თუ ბრალდებული დაემალება გამომძიებას, გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა მის მიმართ პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მოსამართლის მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ცხადდება ასეთი პირის ძებნა. ბრალდება წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 48 საათისა. დანიშნულ დროს ბრალდებულის გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს ბრალდება უნდა წარედგინოს მისი მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. თუ პირი ეჭვმიტანილის სახით იყო დაკავებული, დაკავების შესახებ ოქმის შედგენიდან არა უგვიანეს 48 საათისა, გამოტანილი უნდა იქნეს დადგენილება პირის ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. კერძოდ: გამომძიებელი დარწმუნდება რა ბრალდებულის პიროვნებაში უცხადებს დადგენილებას და განუმარტავს მას ბრალდების წაყენების არსს. უზრუნველყოფს დამცველის მომსახურებით და როგორც პროცესის მონაწილეს განუმარტავს უფლებებსა და მოვალეობებს და დაკითხავს ბრალდებულის სახით.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის განსხვავებულ წესს ადგენს გარკვეულ პირთა წრის მიმართ.

1. სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს წევრის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა;

2. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებული სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა;

3. საერთო სასამართლოს წევრის ბრალდებული სახით პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა.

გამომძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი უფლებამოსილია წინასწარი გამოძიებისას წარდგენილი ბრალდების შეცვლისა და შევსების მიზნით პირს ახალი ბრალდება წარუდგინოს.

პროკურორს ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელს უფლება აქვს შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის მიმართ წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში. სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება გადაეცემა ბრალდებულსა და მის დამცველს.

საგამოძიებო მოქმედებათა ცალკეული სახეები

§1. ზოგადი დებულებანი საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ

საგამოძიებო მოქმედება არის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სუბიექტები არიან: გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე (სასამართლო).

პროცესუალურ ლიტერატურაში ტერმინი „საგამოძიებო მოქმედება“ ორგვარი ფართო და ვიწრო გაგებით განიხილება.¹

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ძირითადი მიზანია ისეთი ფაქტებისა და გერემოებების დადგენა, რომელსაც კავშირი აქვს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან და ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას საქმეზე. ყოველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება უნდა იყოს საპროცესო კანონმდებლობის განუხრელი დაცვის საფუძველზე განხორციელებული დასაბუთებული და მოტივირებული საგამოძიებო მოქმედება. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს დაუშვებელია ძალის მუქარის, შანტაჟის, მოტყუებისა და სხვა უკანონო ხერხების გამოყენება. ასევე დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა ან ისეთი მოქმედების შესრულების დავალება, რაც პიროვნების

¹ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა სახის მიდგომა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. კერძოდ მეცნიერთა ნაწილი საგამოძიებო მოქმედებებს მიაკუთვნებს: დაკითხვას, დათვალერებას, ჩხრეკას და ამოღებას, ექსპერტიზას, ამოსაცნობად წარდგენას. იშვიათად კი: ჩვენების აღვლზე შემოწმებას, გვამის ექსპუატიას, ნიშნების აღებას საქსპერტო კვლევისათვის.

ღირსების დამამცირებელია. დაუშვებელია საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ღამის საათებში (ღამის დროს განეკუთვნება დრო 22 საათიდან დილის 6 საათამდე), გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც პირდაპირ კავშირშია პიროვნების უფლებების შეზღუდვასთან, საცხოვრებელი ბინის დათვალიერებასთან მისი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ, საფოსტო, სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოების დაცვასთან, ჩხრეკა, ამოღება და სხვა. უნდა ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

სასამართლოში წარმოების დაწყების საფუძველია უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების გაცემის შესახებ. პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ სასამართლო განხილვის დაწყებამდე უკან გამოითხოვონ შუამდგომლობა.

შუამდგომლობაში მოყვანილი უნდა იყოს მონაცემები დანაშაულის შესახებ, რომლის გამოც დასახულია შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რა მონაცემები უნდა მიიღონ ასეთი მოქმედების შედეგად, მისი ჩატარების ვადა, ადგილი, უშუალო შემსრულებელი, აგრეთვე სასამართლოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებისათვის საჭირო სხვა მონაცემები და, თუ ყოველივე ეს საკმარისი არ არის, მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს მათი შევსება. მოსამართლე შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების დამთავრებისთანავე თავისი ბრძანებით ნებას რთავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, ანდა გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. მოსამართლის ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს მისი შედგენის თარიღი და ადგილი, მოსამართლის გვარი, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა.

განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, ბრძანების მოქმედების ვადა, თანამდებობის პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს ბრძანება, მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით. აღნიშნული დადგენილება არ საჩივრდება.

გარკვეულ შემთხვევაში ისეთი პირველადი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი, როგორიცაა: ჩხრეკა, ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება გადაუდებელ შემთხვევაში (გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც: არსებობს დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროება, პირს წაასწრებენ დანაშაულის ფაქტზე, საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ან შეუძლია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო) შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც და ასევე სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყებამდე, მაგრამ ამის შესახებ პროკურორმა 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს მოსამართლეს, რომელიც ასევე 24 საათში გადაწყვეტს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების ან მათი ჩატარების უკანონობის შესახებ საკითხს.

საგამოძიებო მოქმედებებს მიეკუთვნება: დაკითხვა, ამოღება და ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება, წარდგენა ამოსაცნობად, შემოწმება, ექსპერტიზა, ნიმუშების აღება საექსპერტო კვლევისათვის, გვამის ექსპუმაცია.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას ფიქსაციის ძირითადი საშუალებაა ოქმი. დამატებით კი შეიძლება იქნეს გამოყენებული ისეთი ტექნიკური საშუალებები, როგორიცაა: ფოტო-კინო, ვიდეო და აუდიო აპარატურა კვალთა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მიზნით, ასევე ხმის, ვითარების, გარემოებათა ფირსა და ფონოგრამაზე დაფიქსირებისათვის.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების ოქმი შეიძლება დაიწეროს ხელით, დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ოქმის სისრულის მიზნით კი შეიძლება ფოტო და კინოგადაღების, ვიდეო და აუდიოჩანაწერის გამოყენება.

ოქმში აღნიშნული უნდა იყოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, ჩატარების პირობები, იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება, საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელი და გვარი, მისამართი. ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს გამოძიებლის მოქმედების თანმიმდევრობა, გამოვლენილი მტკიცებულებები და საქმისათვის არსებითი გარემოებები, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე პირთა განცხადებები.

ოქმი გასაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების მონაწილე ყველა პირს. მათ უფლება აქვთ გამოთქვან შენიშვნები, რომლებიც ოქმში აისახება. ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება და შესწორება დადასტურებულ უნდა იქნეს მათი ხელმოწერით.

ოქმს ხელს აწერენ თანამდებობის პირი, რომელმაც ოქმი შეადგინა, დაკითხული პირი, თარჯიმანი სპეციალისტი და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ყველა მონაწილე.

იმ შემთხვევაში თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მოწმე ან სხვა პირი უარს ამბობს საგამოძიებო მოქმედების ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ ოქმში კეთდება აღნიშვნა, რასაც ხელმოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი. ოქმის ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა განმარტოს უარის მიზეზი და ეს უნდა აღინიშნოს ოქმში.

თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმე ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებულია შესაძლებლობას ხელი მოაწეროს ოქმს, საგამოძიებო

ბელი იწვევს გარეშე პირს, რომელიც დასაკითხი პირის თანხმობით ამოწმებს და ხელმოწერით ადასტურებს მისი ჩვენების ჩანაწერის სისწორეს. ოქმს ხელს აწერს გამომძიებელი.

გამომძიებელი ვალდებულია ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენელს, აგრეთვე საგამომძიებო მოქმედების ჩატარების მონაწილე სხვა პირებს განუმარტოს უფლებები და მოვალეობები და გადასცეს წერილობითი ნუსხა.

§2. დაკითხვა

დაკითხვა სისხლის სამართლის პროცესში არის ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამავე დროს მნიშვნელოვანი საგამომძიებო მოქმედება, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს. დაკითხვის მიზანია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების, პიროვნების, საგნისა და სხვა რაიმე ობიექტის შესახებ სწორი და ობიექტური ჩვენების მიღება.

დაკითხვის არსი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ დასაკითხი პირისაგან მიღებული ჩვენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სახის მტკიცებულების წყაროა. დაკითხვის პროცესში დაცული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკითხვის შედეგს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება.

დაკითხვის სახეები და დაკითხვის სუბიექტები – დაკითხვას ექვემდებარება ეჭვმიტანილი და ბრალდებული თუ მათ აქვთ სურვილი მისცენ ჩვენება, დაზარალებული და მოწმე, ასევე ექსპერტი.

დაკითხვა ტარდება გამოძიებლის სამსახურებრივ კაბინეტში მაგრამ გადაუდებლობის შემთხვევაში დასაკითხი პირის ყოფნის ადგილას (საცხოვრებელ ადგილას, სამკურნალო ადგილას, სასწავლო დაწესებულებაში, თავისუფლების აღკვეთის ადგილას და ა.შ.). დაკითხვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი ჩატარების შედეგად გამოძიებელი იღებს ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულის ჩვენებას. ამ მტკიცებულებათა დასაშვებობა განისაზღვრება დაკითხვის პროცედურის დაცვით. აღნიშნული პირების დაკითხვის ოქმი კი ემსახურება ჩვენების შენახვის პროცესუალურ ფორმას. მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია ასევე ოქმზე დართულ ყველა სქემას, ნახატს, ნახაზს, დიაგრამას, რომელიც გარკვეული ფორმით ახდენს ჩვენების ილუსტრირებასა და ახდენს მის კონკრეტიზირებას.

ასაკობრივი მდგომარეობის მიხედვით დაკითხვა შეიძლება დაეყოს შემდეგ სახეობად: სრულწლოვანი პირების დაკითხვა, მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა, განსასჯელის დაკითხვა. წარმოების პროცესისა და თანმიმდევრობის მიხედვით კი დაკითხვა შეიძლება იყოს პირველადი, დამატებითი და განმეორებითი.

პირველადია დაკითხვა, როდესაც დასაკითხ პირს პირველად ოფიციალურად იბარებენ დასაკითხად გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ ჩვენების მისაცემად. რა დროსაც დამკითხავმა პირმა მაქსიმალურად სწორი და ამომწურავი ჩვენება უნდა მიიღოს. განმეორებით დაკითხვას მიმართავენ იმ შემთხვევაში როდესაც პირველი ჩვენება ეჭვს იწვევს. ერთი და იგივე პირი ერთ საქმეზე შეიძლება დაიკითხოს რამოდენიმეჯერ საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

დამატებითი დაკითხვა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი დამატებითი გარემოების ახსნა, რომლის შესახებაც ადრე ჩატარებული და-

კითხვების დროს ნაწილობრივ ან საერთოდ არ ყოფილა განხილული.

დაკითხვის ეფექტურობის მიღწევა დამოკიდებულია დასაკითხი პირის სრულ, ყოველმხრივ შესწავლაზე. მისი მისწრაფებებისა და ფსიქოლოგიური განწყობის შესწავლაზე.

დაკითხვის საგნის განსაზღვრისა და დაკითხვის პროცესისათვის საქმეში არსებული საჭირო მტკიცებულებების გამოყენებაში და სხვა.

ჩვენების ფორმირების პროცესი — ინფორმაცია რომელსაც დასაკითხი პირისაგან ვიღებთ ჩვენების სახით შესაძლოა თვითონ მას მიღებული ჰქონდეს სხვადასხვა გზითა და საშუალებით. აღნიშნული ინფორმაცია კი პირს შეიძლება მიღებული ჰქონდეს როგორც უშუალო აღქმით (იყო ფაქტის თვითმხილველი და პირადად აღიქვა და დაიმახსოვრა გამოსაძიებელი შემთხვევა, მისი ჩამდენი პირი ან მასში მონაწილე რომელიმე პირი, ან მისი რომელიმე გარემოება — მეორე შემთხვევაში კი დასაკითხ პირს ასეთი ინფორმაცია შეიძლება მიღებული ჰქონდეს სხვა რომელიმე პირისაგან და მისი ჩვენება ატარებდეს ნაწარმოებ ხასიათს). ორივე შემთხვევაში აღნიშნული პირისაგან მიღებული 2 სახის ჩვენებას უნდა მიეცეს სწორი შეფასება. რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩვენების ფორმირების პროცესი და ის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენების ფორმირების პროცესზე.

ჩვენების ფორმირების პროცესში უნდა განვასხვავოთ 3 ეტაპი: აღქმა, დამახსოვრება, გადმოცემა.

აღქმა: ჩვენების ფორმირების საწყისი ეტაპია, რომლის დროსაც ხდება გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ასახვა მეხსიერებაში გადასატანად სმენის, მხედველობისა და მგრძნობელობითი ორგანოების მეშვეობით.

ჩვენების ფორმირების ამ ეტაპზე აღქმის ხარისხზე გარკვეულ გავლენას ახდენს პირის ფსიქოლოგიური განწყობა, მისი

დამოკიდებულება გამოსაძიებელ შემთხვევასთან და სხვა ფაქტორებთან. ისეთთან როგორცაა სიმთვრალე, შიში, დადლილობა და ა.შ. ასევე ცუდი მეტეოროლოგიური პირობები – წვიმა, ჭექა-ქუხილი, თოვლი და სხვა.

დამახსოვრება: ჩვენების ფორმირების პროცესის მეორე ეტაპია, რომელზედაც ღიდ გავლენას ახდენს ჯანმრთელობა, ასაკი, შთაბეჭდილების სიძლიერე და ა.შ.

გადმოცემა: ჩვენების ფორმირების პროცესის მესამე შემაჯამებელი სტადიაა, რა დროსაც მხედვლობაში უნდა იქნეს მიღებული აღქმული ფაქტის გაზვიადება და ფანტაზიისადმი პირის მიდრეკილება. მისი უნარი შეუცდომლად და სრულყოფილად გადმოსცეს დანაშაულებრივი შემთხვევის შესახებ აღქმული და დამახსოვრებული ფაქტები.

დაკითხვის ჩატარების საფუძველი და პროცესუალური წესი – დაკითხვის ჩატარებისათვის აუცილებელია არსებობდეს მისი ჩატარების საფუძველი. ეჭვმიტანილსა და ბრალდებულთან დაკავშირებით ასეთი საფუძველია აქტი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესში ამ მონაწილეების არსებობას და აკისრებს გამოძიებელს მათი დაკითხვის უფლებამოსილებას. აღნიშნული ეხება ასევე დაზარალებულის დაკითხვასაც. მოწმის დაკითხვის საფუძველი კი არის ის მონაცემები (გარემოებები) რაც მისთვის არის ცნობილი და რომელთაც მნიშვნელობა გააჩნიათ გამოძიებისა და საქმეზე მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად.

მოწმეს, დაზარალებულს, ასევე თავისუფლებაში მყოფ ეჭვმიტანილს ან ბრალდებულს გამოძიებელთან ან პროკურორთან იბაძებენ უწყებით. უწყება იგზავნება ფოსტით ან შიკრიკის ხელით. გამოძახება შეიძლება ასევე დეპეშით, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებით. უწყებაში უნდა აღინიშნოს თუ რა სტატუსით იბარებენ პირს დასაკითხად, ვინ და რისთვის იბარებს მას, რა მისამართზე არის გამოძახებული, გამოცხადების

დღე, საათი და ასევე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები. უწყების ხელზე მიღებისას გამოძახებულმა ხელის მოწერით უნდა დაადასტუროს თუ ადგილზე არ იმყოფება გამოძახებული პირი, უწყება უნდა ჩაბარდეს მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ან ადგილობრივი მმართველობისა და თვითმართველობის ორგანოს წარმომადგენელს. ის პირები კი რომლებიც საგამოძიებო ან დროებითი ყოფნის იზოლატორში, მიმღებ გამანაწილებელში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ან აღმზრდელობით კოლონიაში იმყოფებიან, იძახებენ ამ დაწესებულებათა ადმინისტრაციის მეშვეობით.

დასაკითხი პირის გამოძახების შემდეგ დაკითხვის დაწყებამდე უნდა გამოიკითხოს დასაკითხი პირი შემდეგი გარემოებების შესახებ: გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, სარგებლობს თუ არა იმუნიტეტით, არის თუ არა ნასამართლევნი და ა.შ. დამკითხვემა პირმა ასევე უნდა დაადგინოს იცის თუ არა დასაკითხმა სისხლის სამართლის პროცესის ენა. თუ არ იცის რომელ ენაზე შეუძლია და სურს ჩვენების მიცემა. თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა უნდა გამოიძახონ თარჯიმანი, რომლის ხარჯებსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. დასაკითხ პირს უნდა განემარტოს, რა საქმეზეა გამოძახებული. თავისუფალი თხრობის შეწყვეტა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა თუ მისი თხრობა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს არ შეეხება. გარკვეული გარემოებების დაზუსტების მიზნით შეიძლება მას დაუსვან კითხვები. დასაკითხი პირისათვის მისახვედრი კითხვების დასმა დაუშვებელია. დაკითხვის პროცესში დასაკითხ პირს შეუძლია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი დოკუმენტი ან ჩანაწერი, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმესთან. დაკითხვის ხანგძლივობა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრება 4სთ. დაუშვებელია მისი გაგრძელება დღის განმავლობაში 8 საათზე მეტი ხნით,

დაკითხვა შეიძლება მოხდეს რამოდენიმეჯერ თითო საათიანი შესვენებით.

დაკითხვისადმი წარდგენილი მოთხოვნები გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობიდან და მისი დარღვევით მიღებული ჩვენება კარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას და როგორც დამოუკიდებელი სახის მტკიცებულების წყაროს სასამართლო არ გაიზიარებს.

გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს შეუძლიათ დასაკით პირს წარუდგინონ საქმეზე დართული საგნები და დოკუმენტები. რომლის შესახებაც ინფორმაცია უნდა აღინიშნოს ოქმში და ამავე დროს აღნიშნული საგნების აღწერილობაც და ის განმარტება რაც მასთან დაკავშირებით განაცხადა დასაკითხმა პირმა.

დაკითხვის მომზადება – დაკითხვის მომზადება ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტადიაა, რომელიც გამომძიებელმა უნდა დაიწყოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყებისა და საქმის წარმოებაში მიღების მომენტიდან. კერძოდ გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს დაკითხვის ადგილი და დრო; დასაკითხ პირთა გამოძახების ხერხების შერჩევა; დასაკითხ პირთა დაკითხვის თანმიმდევრობა; საქმეში არსებული მონაცემების გულდასმით შესწავლა; დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად კანონით გათვალისწინებული პირების შერჩევა (პირები, რომელთა მონაწილეობაც გარემოებიდან გამომდინარე აუცილებელია და პირდაპირ არის გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით – დამცველი, პედაგოგი, ფსიქოლოგი, სპეციალისტი). დაკითხვის პროცესში საჭირო სამეცნიერო – ტექნიკური საშუალებების შერჩევა, მომარჯვება და ა.შ.

ექვმიტანილის დაკითხვა – სისხლის სამართლის პროცესში ექვმიტანილად ითვლება პირი, რომლის შესახებაც არსებობს საფუძველი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად. მოწმისა და

დაზარალებულისაგან განსხვავებით ეჭვმიტანილისათვის ჩვენების მიცემა მისი უფლებაა და არა მოვალეობა. მას აქვს დუმილის უფლება და უფლება არ მისცეს ჩვენება. შეხვედეს დამცველს, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად, ისარგებლოს დამცველის მონაწილეობით, დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად.

ეჭვმიტანილის დაკითხვის პროცესუალური წესი ვრცელდება ბრალდებულის დაკითხვაზე. დაკითხვის დაწყებამდე გამოძიებულმა და პროკურორმა ეჭვმიტანილს უნდა აცნობოს ეჭვის არსი და განუმარტონ მისი უფლებები. მათ მიერ მიცემული ჩვენება ცალ-ცალკე არის არა მარტო მტკიცებულების დამოუკიდებელი წყარო, არამედ მათი თავდაცვის საუკეთესო საშუალებაც.

დაკითხვის დაწყებამდე ეჭვმიტანილს უნდა მიეცეს წინადადება თქვას ყოველივე ის, რაშიცაა იგი ეჭვმიტანილი. დაკითხვის მიმდინარეობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხმის ჩამწერი აპარატურა, მაგრამ ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს დასაკითხ ეჭვმიტანილ პირს.

ეჭვმიტანილის დაკითხვის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული თვით დამკითხავი პირის მომზადებაზე (გამოძიებელი, პროკურორი), ვინაიდან აღნიშნულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ ეჭვმიტანილის სპეციფიკური პროცესუალური მდგომარეობა, მისი ფსიქოლოგიური განწყობა და მაქსიმალურად გამოიყენონ მის შესახებ მათ ხელს არსებული ინფორმაცია.

ეჭვმიტანილის დაკითხვაში მონაწილე დამცველს კანონით მინიჭებული აქვს შეკითხვების დასმის უფლება. მაგრამ თუ მის მიერ დასმული შეკითხვა იქნება რაიმე გარემოებაზე მიმნიშნებელი, იგი უნდა იქნეს შეტანილი დაკითხვის ოქმში, მაგრამ

გამომძიებელმა უნდა განარიდოს ეს შეკითხვა და მასზე პასუხის გაცემა.

ბრალდებულის დაკითხვა – ბრალდების წაყენების შემდეგ პირველ დაკითხვამდე ბრალდებულს უფლება აქვს შეხვდეს პირისპირ თავის დამცველს და მისგან მიიღოს სათანადო კონსულტაცია, რის შემდეგაც გამომძიებელი უნდა შეუდგეს ბრალდებულის დაკითხვას წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტზე. დაკითხვას შეიძლება დაესწროს დამცველი და პროკურორი (ისეთი კატეგორიის საქმეებზე კი როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანი, ყრუ-მუნჯი, ან სისხლის სამართლის პროცესის ენის არმცოდნეა პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა). ბრალდებული უნდა დაიკითხოს წაყენებული ბრალდების არსის მიხედვითა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა შესახებ. დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს უნდა განემართოს მისი უფლებები და მოვალეობები. დაკითხვის მიმდინარეობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხმის ჩამწერი აპარატურა. რომლის შესახებაც უნდა ეცნობოს ბრალდებულს რა დროსაც უნდა მოხდეს მთლიანი ჩვენების ჩაწერა და არა მისი ცალკეული ფრაგმენტების. დაკითხვის დამთავრებისთანავე უნდა მოხდეს მთლიანი ჩანაწერის მოსმენა, რის შემდეგაც დასაკითხ პირს უნდა ჰკითხონ, ხომ არ სურს რიმეს დამატება ან დაზუსტება და დაადასტუროს ხმის ჩანაწერის სისწორე.

დეტალური ჩვენების მიღებისა და საქმეზე გარკვეული გარემოებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღების მიზნით ბრალდებული შეიძლება დაკითხულ იქნეს რამოდენიმეჯერ. ყოველი დაკითხვის დროს კი შედგენილ იქნეს დაკითხვის ოქმი.

დაკითხვის დაწყებისთანავე გამომძიებელი ვალდებულია გააარკვიოს: ცნობს თუ არა ბრალდებული წაყენებულ ბრალდებას. ბრალდებულს შეუძლია აირჩიოს დუმილის უფლება რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავს დამნაშავედ ცნობს.

ბრალდებულის დაკითხვა იწყება მისი თავისუფალი თხრობით. ბრალდებულმა ჩვენების მიცემისას თავისუფლად უნდა ჩამოაყალიბოს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, რის შემდგომაც მას შეიძლება დაუსვან კითხვები გამომძიებელმა, პროკურორმა და დამცველმა. გამომძიებელს უფლება აქვს განარიდოს კითხვა, თუ იგი საქმეს არ ეხება ან მისახვედრია, მაგრამ კითხვა უნდა დაფიქსირდეს ოქმში.

მოწმის დაკითხვა – სისხლის სამართლის პროცესში არსებულ მტკიცებულებათა შორის ყველაზე გავრცელებული და დამოუკიდებელი სახის მტკიცებულებაა მოწმის ჩვენება. მოწმის სახით შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ ის პირი, ვინც იცის გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების ან მასში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაცია და თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლია მისცეს სწორი ჩვენება.

მოწმის დაკითხვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩვენების ფორმირების პროცესი, მისი ფსიქოლოგიური განწყობა და ჩვენების ჩამოყალიბებაზე გავლენის მქონე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე დაკითხვის დაწყებამდე გამომძიებელმა საქმის გარემოებათა გათვალისწინებით წინასწარ უნდა განსაზღვროს დაკითხვის საგანი. წინასწარ უნდა გაირკვეს მისი პიროვნება და დამოკიდებულება გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით. მოწმეს უნდა განემარტოს მისთვის მინიჭებული უფლება-მოვალეობები; უფლება ჰყავდეს ადვოკატი და ა.შ. თუმცა ადვოკატის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საგამომძიებო მოქმედების ჩატარებას და რის შესახებაც უნდა განემარტოს მოწმეს. მოწმე უნდა დაიკითხოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ, რა დროსაც მიზანშეწონილია გაირკვეს მისი დამოკიდებულება ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან და დაზარალებულთან.

დაკითხვა უნდა განხორციელდეს თავისუფალი თხრობის

საფუძველზე რის შემდგომაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომადგენელი, დამატებითი, დამაზუსტებელი და მაკონტროლებელი კითხვები. რა დროსაც მას უნდა წარედგინოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, ფოტოსურათები და სხვა.

დაზარალებულის დაკითხვა — სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულად ითვლება პირი, რომელსაც მიაღვა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი უშუალოდ დანაშაულის ან შეურაცხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, ან რომელსაც ასეთი ზიანი მიაყენა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ფსიქიკურად დაავადებულმა პირმა. დაზარალებულად ითვლება ასევე ისეთი ფიზიკური პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი დანაშაულის მომზადების ან მცდელობის გამო. პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობა ხდება გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ. რის შემდგომაც უნდა მოხდეს დაზარალებულის დაკითხვა. დაზარალებულის დაკითხვას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, ვინაიდან დაზარალებული თვითონაა მსხვერპლი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და უშუალოდ იღებს ფიზიკურ, მორალურ, ქონებრივ ზიანს, რა დროსაც მან, შეიძლება უფრო გაზვიადებულად აღიქვას და წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული ქმედება. აღნიშნული გარემოება კი მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული დაზარალებულის დაკითხვისას. დაზარალებულმა არასწორი ჩვენება შეიძლება ააგოს სხვადასხვა გარემოებების ზემოქმედების შედეგად (შიში, შურისძიება და ა.შ.).

დაზარალებულსა და მის უფლებამონაცვლის, ან მისი წარმომადგენლის დაკითხვის უშუალო დაწყებამდე საჭიროა მათ განემარტოთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები. იმ შემთხვევაში როდესაც სავალდებულოა ადვოკატ-წარმომადგენლის მონაწილე-

ეობა იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ (სსსკ ითვალისწინებს ადვოკატის მონაწილეობის სავალდებულო ხასიათს იმ შემთხვევაში: დაზარალებული არასრულწლოვანია, ქმედუნაროა ან შეზღუდულქმედუნარიანია და გარემოება, როცა დაზარალებულს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები, გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, რომელსაც გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო, სახელმწიფო უზრუნველყოფს არასმქონე დაზარალებულის ინტერესების წარმომადგენლად ადვოკატის მოწვევას სახელმწიფოს ხარჯზე. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში დაზარალებულისათვის სახელმწიფო ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო).

დაზარალებულსა და მის უფლებამონაცვლეს ზემოაღნიშნულ უფლებებთან ერთად კანონით ეკისრებათ მთელი რიგი მოვალეობებიც. კერძოდ: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს მიერ გამოძახების შემთხვევაში და გულახდილად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის შესახებ იცის და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს და არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გაფრთხილებული იქნა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი. ცრუ ჩვენების მიცემისათვის კი დაზარალებული შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.

არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის თავისებურება – არასრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა წინასწარი გამოძიების პროცესში გარკვეულწილად განსხ-

ვაკდება სრულწლოვანი მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის თავისებურებებისაგან. ვინაიდან არასრულწლოვანის ფსიქიკა, მისი ცნობიერება გარესამყაროსთან და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენებთან მეტნაკლებად ჯერ კიდევ სრულყოფილი სახით არაა ჩამოყალიბებული და მისი აზროვნება და შთაგონების პროცესი არსებითად განსხვავდება სრულწლოვანი პირის შთაგონებისა და აზროვნებისაგან.

სსსკ 306-ე მუხლის თანახმად, 16 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა უნდა ჩატარდეს პედაგოგის ან სრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის დასწრებით. რაც შეეხება 7 წლის ასაკის მოწმის დაკითხვას, იგი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მშობლის ან მისი არარსებობისას მეურვის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად 14 წლამდე ასაკის მოწმეს რეკომენდირებულია განემარტოს, რომ ილაპარაკოს მხოლოდ სიმართლე, მაგრამ იგი არ შეიძლება გაფრთხილებულ იქნეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

18 წლამდე ასაკის ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ან პედაგოგმა.

დაკითხვის შედეგების ფიქსაცია (ოქმი) – მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენების ფიქსაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს დაკითხვის ოქმი. დაკითხვის ოქმში უნდა აისახოს დაკითხვის ადგილი და დრო, გამოძიებლის გვარი და თანამდებობა, ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი, დაბადების ადგილი, მოქალაქეობა, განათლება ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა ან თანამდებობა, ინფორმაცია იმის თაობაზე იყო თუ არა ნასამართლევი.

ჩვენება და მათ მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები ოქმში გადმოცემული უნდა იყოს პირველ პირში და შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით. დაკითხვის დამთავრებისთანავე გამომძიებელმა დაკითხვის ოქმი უნდა გააცნოს დაკითხულს, დამცველსა და კანონიერ წარმომადგენელს, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ ოქმში დამატებისა და შესწორების შეტანა და მათი ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს დაკითხულმა პირმა, გამომძიებელმა და დაკითხვაში მონაწილე პირებმა (პროკურორმა, დამცველმა, პედაგოგმა, თარჯიმანმა).

§3. ამოღება და ჩხრეკა

ჩხრეკისა და ამოღების ცნება, საფუძველი, მიზნები და ამოცანები — ჩხრეკა და ამოღება ორი ერთმანეთის მსგავსი, თუმცა დამოუკიდებელი სახის საგამომძიებო მოქმედებებია, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიზნით, საფუძველითა და ჩატარების წესით. ამიტომ არ შეიძლება განვიხილოთ ამოღება როგორც ჩხრეკის ჩატარების პირველდაწყებითი სტადია.

ჩხრეკა და ამოღება შეიძლება ჩატარდეს იმ მიზნით, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ დანაშაულის იარაღი, საგანი, რომელსაც დანაშაულის კვალი ატყვია, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი და ფასეულობა, სხვა საგანი და დოკუმენტი, რომლებიც საჭიროა საქმის გარემოებათა დასადგენად და ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილი პირისა და გვამის აღმოსაჩენად. ამოღებას ექვემდებარება ასევე ბრუნვიდან ამოღებული საგნებიც: იარაღი და აკრძალული ან ბრუნვიდან ამოღებული ნივთიერებები (ნარკოტიკული და რადიოაქტიური ნივთიერებები).

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებისათვის აუცილებელია არსებობდეს იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი. იურიდიული

საფუძვლის ცნებაში იგულისხმება ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების აუცილებლობის შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის შუამდგომლობა მოსამართლისაგან შესაბამისი ბრძანების ან დადგენილების მიღების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება (დადგენილება).

ჩხრეკისა და ამოღების იურიდიულ საფუძველად უნდა ჩაითვალოს გამომძიებლისა და პროკურორისათვის სსსკ-ის 323-ე მუხლით მინიჭებული უფლება შევიდნენ ბინაში (ან სხვა მფლობელობაში) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის ან დოკუმენტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში შევიდნენ ბინაში ან სხვა მფლობელობაში იძულების წესით. იმავე მუხლის თანახმად, მათ უფლება აქვთ გააღონ დაკეტილი სათავსი და საცავი, თუკი „გასაჩხრეკი უარს ამბობს გააღოს ისინი“ და ა.შ.

ფაქტობრივი საფუძველის ცნებაში იგულისხმება ის უტყუარი კონკრეტული მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ ადგილზე გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე მატერიალური ფასეულობის, დანაშაულის კვალის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის ან სხვა საგნისა და დოკუმენტის არსებობაზე. ამოღების ფაქტიური საფუძველია მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლის საფუძველზედაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი მონაცემები ინახება გარკვეულ ადგილას ან გარკვეულ პირთან და მათი ძებნა საჭირო არ არის. ჩხრეკის საფუძველია ის, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები ინახება გარკვეულ საცხოვრებელ ბინაში, მის დამხმარე სათავსოში ან ამა თუ იმ პირთან და არსებობს მონაცემები, რომ ეს პირები მათ ნებაყოფლობით არ დათმობენ.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება შესაძლებელია გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველ-

ზეც (გადაუდებელ შემთხვევად კანონი მიიჩნევს ისეთ გარემოებას, როდესაც არსებობს კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის რეალური საშიშროება, ან როდესაც პირს წაასწრეს დანაშაულის ფაქტზე, როცა სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას აღმოჩენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საჭირო საგნები და დოკუმენტები, ან როცა შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო), რის შესახებაც პროკურორი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში აცნობოს მოსამართლეს და მასვე გადასცეს სისხლის სამართლის საქმის ის მასალები, რომლებითაც დასაბუთებულია მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა. მოსამართლემ მიღებული მასალები, შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა შეამოწმოს და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ამ საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მიღებული მასალების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნეს ამ მოქმედებათა ჩამტარებელი პირებიც.

ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გამოტანილი ბრძანება ან დადგენილება საბოლოოა და იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩხრეკის შემდეგ სახეებს: საცხოვრებელი ბინის; პირად ჩხრეკას; დაცული ადგილმდებარეობის; სამსახურებრივ ადგილზე სამუშაო ოთახის ჩხრეკა და სხვა დაცული ობიექტისა და ადგილმდებარეობის ჩხრეკა, სადაც შეიძლება ინახებოდეს გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი.

ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება — ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების დროს დაცული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული მოქმედებით მოპოვებულ საგანს, დოკუ-

მენტსა და სხვა ნივთებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება. გამომძიებელი, პროკურორი მოსამართლის ბრძანების, ან მათივე დადგენილების საფუძველზე უფლებამოსილნი არიან შევიდნენ მოქალაქეთა საცხოვრებელ ბინაში ან მათ სხვა მფლობელობაში გამოსადიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნისა თუ დოკუმენტის აღმოჩენისა და ამოღების მიზნით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

ჩხრეკისა და ამოღების დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია ხელმოწერით გააცნოს სასამართლოს ბრძანება, განჩინება ან დადგენილება პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა. შემდეგ კი მისცეს წინადადება ნებაყოფლობით გადასცენ მას ამოსაღები საგანი ან დოკუმენტი. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული პირები უარს იტყვიან ამოსაღები საგნების ნებაყოფლობით გადაცემაზე, მისი ამოღება უნდა მოხდეს იძულების წესით – ჩხრეკის ჩატარებით. ჩხრეკის ჩამტარებელი პირი (სუბიექტი: გამომძიებელი, პროკურორი) უფლებამოსილია ამოღების ან ჩხრეკის დამთავრებამდე იქ მყოფ და იქ მისულ პირებს აუკრძალოს ერთმანეთთან ურთიერთობა და საუბარი. ჩხრეკის ჩამტარებელი პირი არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ იმ საგნების, დოკუმენტებისა და ნივთების ძებნით, რაც ჩხრეკის ჩატარების შესახებ გაცემულ მოსამართლის ბრძანებაში, განჩინებაში ან დადგენილებაშია მითითებული. თუმცა აუცილებლობიდან გამომდინარე საძიებო საგნების წრე შეიძლება გაფართოვდეს, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს ჩხრეკის ოქმში შესაბამისი დასაბუთებით. უკანონოდ და უსაფუძველოდ ამოღებული და საგამომძიებო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი პირს უნდა აუნაზღაურდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პირადი ჩხრეკა და ამოღება – პირადი ჩხრეკა და ამოღება არის ჩხრეკისა და ამოღების ერთ-ერთი სახე, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ: თუ არსებობს

ჩხრეკისა და ამოღების საფუძველი, გამოძიებული, პროკურორი უფლებამოსილია ამოიღოს „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი ან დოკუმენტი, რომელიც აღმოჩენილია ტანსაცმელზე, მის ხელთ არსებულ ნივთებში ან სხეულზე. პირადი ჩხრეკის ჩასატარებლადაც აუცილებელია მოსამართლის ბრძანება, ასევე იმ შემთხვევაში როდესაც, პირი ეჭვმიტანილის სახით არის დაკავებული და არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისათვის, რომ მას თან აქვს იარაღი ან ცდილობს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებანი.“

თუ პირადი ჩხრეკა და ამოღება დაკავშირებულია გასაჩხრეკი პირის გაშიშვლებასთან, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის თანამდებობის პირმა. აუცილებლობიდან გამომდინარე კი შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტიც (ექიმი-გინეკოლოგი, ექიმი-უროლოგი, ქირურგი და ა.შ.). პირადი ჩხრეკა გულისხმობს არა მარტო დაკავებული პირის ტანისამოსის, მისი სხეულისა და ჯიბეების გაჩხრეკას, არამედ ყოველგვარი სახის ხელბარგის შემოწმება-გამოკვლევასაც.

პირადი ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი საგნები მთელი სიზუსტით უნდა აისახოს ჩხრეკის ოქმში, რომელსაც სასურველია თან დაერთოს პირადი ჩხრეკის დროს აღმოჩენილი და ამოღებული საგნების ფოტოილუსტრაციები.

ამოღება – ამოღება და ჩხრეკა როგორც უკვე ავლნიშნეთ, ორი სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებაა, მაგრამ მათ ბევრი საერთო აქვთ. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე მიიჩნია კანონმდებელმა მიზანშეწონილად მათი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთი და იმავე მუხლით განსაზღვრა. მათ შორის ძირითადი სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ ამოღების დროს წინასწარ ცნობილია საქმეზე მნიშვნელობის მქონე ესა თუ ის საგანი ან დოკუმენტი (მტკიცებულება) და, რომ იგი ინახება ამა თუ იმ პირთან ან ორგანიზაციაში და მათი დამატებითი ძებნა საჭირო არ არის. ჩხრეკის დროს კი, მართალია, წინასწარი

გამოძიებით ცნობილია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე საგნებისა და დოკუმენტების არსებობა ამა თუ იმ პირთან, მაგრამ იმავე დროს არსებობს მონაცემები, რომ ამ საგნებსა და დოკუმენტებს ეს პირი ნებაყოფლობით არ გადასცემს და, რომ ეს საგნები და დოკუმენტები მას შეიძლება გადამალული ჰქონდეს სხვადასხვა ადგილას და მათი დაბრუნებისა და ამოღებისათვის საჭირო იქნება იძულებითი წესის გამოყენება ჩხრეკის სახით. ამოღების დროს გამოძიებელი, პროკურორი გამოცხადდება რა პირთან, რომელთანაც ინახება გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგნები და დოკუმენტები, წინადადებას აძლევს მას გადასცეს დასახელებული საგნები.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების ამოღება და დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარება – საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების ამოღების ან მასზე ყადაღის დადების საფუძველია საფუძველიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ გზავნილი შეიძლება შეიცავდეს ცნობებს ჩადენილი დანაშაულის ან მიმალვაში მყოფი პირის ან ბრალდებულის ადგილსამყოფელის შესახებ, ან სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილზე ყადაღის დადებისა და ამოღების შესახებ მოსამართლის მიერ გამოტანილი ბრძანება, დადგენილება ან სასამართლოს განჩინება გამოძიებელმა, პროკურორმა უნდა წარუდგინოს შესაბამის საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულების უფროსს, რომელიც ვალდებულია ამის საფუძველზე შეაჩეროს აღნიშნული კორესპონდენცია და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის თანამდებობის პირს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი გამოძიებელი, პროკურორი ხსნის და ათვალიერებს დაყადაღებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის ამოღებას ან მის ფოტოგრაფირებასა და ასლის გადაღებას. რომლის შესახებაც დგება ოქმი, რომელსაც

ხელს აწერენ საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი და მასში მონაწილე პირები.

დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღება და ჩხრეკა, აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებული შენობისა და მათი სატრანსპორტო საშუალებების ჩხრეკა და ამოღება შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თხოვნით ან თანხმობით რომელიც გამოითხოვება საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით. საგამოძიებო მოქმედებას უნდა ესწრებოდეს პროკურორი და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

ჩხრეკისა და ამოღების შედეგების ფიქსაცია (ოქმი) – ჩხრეკისა და ამოღების ოქმი შედგება შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი ნაწილისაგან.

ოქმის შესავალ ნაწილში აღინიშნება: ჩხრეკისა და ამოღების ოქმის შედგენის დრო და ადგილი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; პირობები; ოქმის შემდგენი თანამდებობის პირის თანამდებობა და გვარი; ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების საფუძველი-მოსამართლის ბრძანება, ან დადგენილება; მონაცემები საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირების შესახებ (ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში მონაწილე პირებისათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტების შესახებ მითითებული უნდა იქნეს ისიც, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარებაში მონაწილე პირები გაფრთხილებული იქნენ გამოვლენილი და ამოღებული მონაცემების გახმაურების დაუშვებლობისა და მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ). მონაცემები ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ობიექტების შესახებ.

ოქმის აღწერილობით ნაწილში – მითითებული უნდა იქნეს, რომ ჩხრეკისა და ამოღების დაწყების წინ გასაჩხრეკ პირს წი-

ნადადება მიეცა ნებაყოფლობით წარედგინა საძიებო საგანი და მოხდა თუ არა მისი ნებაყოფლობით გადაცემა; მითითებულ უნდა იქნეს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული ფოტო და კინო გადაღება, აუდიო და ვიდეოჩაწერა. აგრეთვე ის ობიექტები და პროცესი, რომელთა ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება იქნა გამოყენებული.

ოქმის დასკვნით ნაწილში — უნდა მიეთითოს, იმ გარემოების შესახებ, თუ როგორ მოხდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული საგნების შეფუთვა, რა სახის საერთო და ინდივიდუალური ნიშნებით ხასიათდება ამოღებული საგნები, მათი რაოდენობა, წონა და ღირებულება, დაილუქა თუ არა ისინი ან მოხდა თუ არა ამოღებული საგნებისა და ობიექტების ჩაბარება ხელწერილით და ვისზე. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს ოქმის შემდგენმა თანამდებობის პირმა და ყველა იმ პირმა რომლებიც აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდნენ.

§4. დათვალიერება

დათვალიერების ცნება და არსი. დათვალიერება დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებთან შედარებით გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და სახეებით.

ს.ს.ს.კ.333-ე მუხლით დათვალიერების სახეებად მიჩნეულია: შემთხვევის ადგილის დათვალიერება; გვამის დათვალიერება; ადგილმდებარეობის; სადგომის; საგნის; დოკუმენტის ან სხვა ობიექტის დათვალიერება.

დათვალიერების ცალკე დამოუკიდებელ სახედ მიჩნეულია ასევე საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერება და ამოღება.

დათვალიერების მიზანია—დანაშაულის კვალისა და ნივთიერი

მტკიცებულებების აღმოჩენა, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებათა გამოკვლევა.

დათვალიერების სუბიექტია: გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო.

დათვალიერება – არის დამოუკიდებელი სახის საგამომძიებო მოქმედება, რომლის მიზანია უშუალოდ გამომძიებლის მიერ (სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების აღმოჩენა და გამოკვლევა, მათთან ურთიერთდამოკიდებულებაში, სათანადო ინფორმაციის შეკრება დანაშაულის ჩადენის მთლიანი მექანიზმისა და მისი ჩამდენი პირის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და ხელშემწყობი გარემოების შესახებ.

დათვალიერება უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ, იმისათვის, რომ არ მოხდეს კვალის დაზიანება ან განადგურება. იგი წარმოადგენს დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნის მაღალეფექტურ საშუალებას.

დათვალიერების მტკიცებულებითი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ დათვალიერების ოქმი არის მტკიცებულების ერთ-ერთი სახე, გარდა ამისა – დათვალიერებისას აღმოჩენილი ნივთები შეიძლება იქნენ აღიარებული ნივთიერ მტკიცებულებებად. მტკიცებულებების ეს ორი სახე საკმაოდ მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთ-ერთის არ არსებობა იწვევს მეორის მტკიცებულებითი მნიშვნელობის დაკარგვას. მაგრამ როგორც ოქმი, ისე ნივთიერი მტკიცებულებები შეიძლება გახდნენ დასაშვები მტკიცებულებები, მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება მათი შედეგების ფიქსაცია კანონმდებლობის საფუძველზე.

დათვალიერების პროცესუალური წესი და სახეები – კანონი განსაზღვრავს დათვალიერების საფუძველს, გამოყოფს რა ამით ძირითად სახეებს. შემთხვევის ადგილის დათვალიერება – შემთხვევის ადგილი არ შეიძლება გავაიგივოთ დანაშაულის ადგილთან,

ვინაიდან დანაშაულის კვალი შეიძლება იმყოფებოდეს მის ფარგლებს გარეთაც. შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის გადაუდებელი და პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედება (მაგ: ისეთი კატეგორიის საქმეებზე როგორცაა: ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა და ა.შ.). შემთხვევის ადგილის დათვალიერების სწრაფი და სრულყოფილი დათვალიერების შემთხვევაში შეიძლება აღმოჩენილი იქნეს დანაშაულის ჩადენის იარაღი, ადამიანის ხელის და ფეხის კვალი და სხვა. რომელსაც შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს გამომძიებელს დამნაშავეთა დადგენაში, დანაშაულის სწრაფ და სრულ გახსნაში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანია: 1. დანაშაულის კვალის და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენა; 2. შემთხვევის საერთო გარემოების ახსნა; 3. საქმეში მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გამორკვევა; 4. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალის აღწერა (ფიქსაცია ოქმში); 5. აღმოჩენილი საგნებისა და დოკუმენტების დაცვა და შენახვა;

შემთხვევის ადგილის დათვალიერება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის მე-2 ნაწ. თანახმად გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშეც, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ორგანიზებულად და სრულფასოვნად ჩატარების მიზნით საჭიროა მისი ჩატარების მომზადება, კერძოდ: შემთხვევის ადგილზე მისვლამდე ჩასატარებელ მოსამზადებელ ღონისძიებებს მიეკუთვნება, შემთხვევის ადგილის დაცვა; თუ შემთხვევის ადგილი საცხოვრებელი ბინა ან საცხოვრებელი სამუშაო ოთახია და იგი ტარდება მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, გამომძიებელმა ან პროკურორმა უნდა მიმართოს მოსამართლეს. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შემთხვევაში პროკურორი 24 სთ განმავლობაში არის ვალდებული აცნობოს მოსამართლეს, რომელიც ასევე 24 სთ-ის განმავლობაში არის

ვალდებული მიიღოს გადაწყვეტილება ჩატარებული საგამომძიებო მოქმედების კანონიერების შესახებ.

საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში დათვალიერების ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებლად მოწვეულ უნდა იქნეს ამ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეული იქნენ სპეციალისტი, ექსპერტი (სპეციალისტისა და ექსპერტის მონაწილეობა და როლი არ არის იდენტური. ექსპერტი ეხმარება გამომძიებელს არა მტკიცებულებათა მიღებაში, არამედ იმ გარემოებათა გამოვლენაში — რომელიც არსებითაა შემდგომი დასკვნისათვის), ექვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, კინოლოგი, კრიმინალისტი, ავტოტექნიკოსი და ა.შ. მიღებული იქნეს სათანადო ზომები დაზარალებულისათვის საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ან სხვა რაიმე მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შეირჩეს დათვალიერების ჩასატარებლად საჭირო სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მომზადების მეორე ეტაპზე გამომძიებელმა უნდა გაარკვიოს თუ რას წარმოადგენს შემთხვევის ადგილი, რა ცვლილებები განიცადა და მოისმინოს ინფორმაცია შემთხვევის ადგილის დამცველი პირებისაგან. (კერძოდ: როდის აღმოაჩინეს მოცემული შემთხვევა, იყო თუ არა დაზარალებული პირი, აღმოუჩინეს თუ არა მათ დახმარება და ა.შ.). გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს დათვალიერების საზღვრები. მოწვეულ პირებს განუმარტოს უფლება-მოვალეობანი. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევის ადგილზე არსებულ ნეგატიურ კვლებსა და გარემოებებს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგების ფიქსაცია — რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონ-

ნმდებლობით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ფიქსაციის ძირითადი საშუალებაა ოქმი. ხოლო ფაკულტატურ (არასავალდებულო) საშუალებას წარმოადგენს სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების გამოყენება (ფოტო, კინოგადაღება, ვიდეოგადაღება) და ასევე შემთხვევის ადგილის მდებარეობისა და იქ არსებული მტკიცებულებების ურთიერთგანლაგების გათვალისწინებით სქემებისა და გეგმების შედგენა.

ოქმს ადგენს გამომძიებელი ან პროკურორი. ოქმი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და დასკვნითი (სარეზოლუციო) ნაწილებისაგან.

შესავალ ნაწილში აღინიშნება: თუ სად, როდის, რა გარემოებაში, რა პირობებში, რასთან დაკავშირებით იქნა ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ვინ ჩაატარა იგი. დათვალიერებაში მონაწილე პირები: სპეციალისტი, ექსპერტი, ოპერატიული მუშაკი და სხვა. მიეთითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლებზე, რომელთა საფუძველზეც ჩატარდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. აღნიშნული უნდა იქნეს დადასტურებული მონაწილე პირთა ხელმოწერებით, (აღინიშნება: დათვალიერების დაწყებისა და დამთავრების დრო, ასევე ის თუ როგორ ვითარებაში და მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა დათვალიერება).

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის აღწერილობით (სამოტივაციო) ნაწილში ფიქსირდება შემთხვევის ადგილის საერთო გარემოება, გამოსაძიებელ საქმესთან კავშირში მყოფი შემთხვევის ადგილზე არსებული ყველა ფაქტობრივი მონაცემები მათი აღმოჩენისა და გამოვლენის თანმიმდევრობით.

ოქმის ამავე ნაწილში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ყველა ის საგანი და კვალი, რომელიც ამოღებული და შეფუთილი იქნა. ასევე უნდა აღინიშნოს ამოღებული საგნისა და დოკუმენტის სახეობა, კვალის ტვიფარი და ანაბეჭდი, მათი შეფუთვისა და ლუქის ნიშანი და სხვა.

უნდა აისახოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და ის ხერხები, რომელიც იქნა გამოყენებული უხილავი ან ნაკლებად ხილვადი კვალის გამოვლენისა და ფიქსაციისათვის. მოხდა თუ არა ფოტოგადაღება, როგორ და რა სახის ფოტოაპარატით და ა.შ.

დასკვნით (სარეზოლუციო) ნაწილში მითითებული უნდა იყოს საგანი და კვალი, რომელიც ამოღებული იქნას და აღნიშნული უნდა დაერთოს ოქმს. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს ხელს აწერენ გამომძიებელი და მასში მონაწილე სხვა პირები.

გვამის, საგნების, სადგომის, ადგილმდებარეობის, დოკუმენტებისა და საფოსტო-სატელეგრაფო გზანილების დათვალიერება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 336-ე მუხლით გათვალისწინებულია გვამის დათვალიერება. გვამის გარეგნულ დათვალიერებას ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი სასამართლო ექსპერტის მონაწილეობით, ხოლო თუ სასამართლო ექსპერტის მონაწილეობა შეუძლებელია სხვა ექიმის მონაწილეობით, საჭიროების შემთხვევაში, გვამის დასათვალიერებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს სხვა სპეციალისტიც. ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება საკვალდებულოა. გვამის დათვალიერებისას შეიძლება საექსპერტო კვლევის ნიმუშის აღება. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

გვამის დათვალიერების დროს უნდა დადგინდეს და სრული თანმიმდევრობით აღიწეროს: გვამის დათვალიერების დრო, ადგილი, გვამის პოზა, მის ირგვლივ არსებული საგნები, კვალი, გვამის პარამეტრები, მდგომარეობა. გვამის ჩაცმულობა გვამზე არსებული ნებისმიერი სახის კვალი.

გვამის დათვალიერების დროს დაწვრილებით უნდა აღიწეროს გვამის ჩაცმულობის თითოეული დეტალი: ქუდი, ქურთუკი, ფეხსაცმელი, წინდები, ხელთათმანები, ხელჩანთა და მასში არსებული ნივთები (სადაც აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ზოგად

ისე კერძო ნიშნებზეც — კერძოდ: გახევის ადგილი, ზომა, ფეხსაცმლის გაცვეთის ფორმა და ა.შ.) აღმოჩენილი და აღწერილი უნდა იყოს ბიოლოგიური წარმოშობის ნიშნები (სისხლის ლაქები, ნერწყვი და ა.შ.). აღწერას ექვემდებარება ასევე გვამის ანატომიური მონაცემები (გვამის აგებულება, ასაკი, სქესი და ა.შ.).

გვამის დათვალიერების ფიქსირება ხდება ოქმში ასევე ხდება მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. გვამის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს როგორც შემთხვევის ადგილზე, ისე მორგში გვამის ტუალეტის ჩატარებამდე და ასევე გვამის ტუალეტის შემდეგ.

ადგილმდებარებისა და შენობის დათვალიერება — აღნიშნული რეგლამენტირებულია ს.ს.ს.კ.337-ე მუხლით. შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება ხდება როგორც უშუალოდ დანაშაულის ჩადენის ადგილზე ასევე იმ შემთხვევაშიც იგი მჭიდრო კავშირში არ არიან დანაშაულის ჩადენასთან თუმცა შეიძლება აღმოჩნდეს ან დადგინდეს დანაშაულის ჩადენის კვალი და სხვა საგნები რაც კავშირშია დანაშაულის ჩადენასთან და იმ მიზნით, რომ შემოწმდეს ჩვენების სისწორე.

შენობისა და ადგილმდებარეობის დათვალიერება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც რომ დადგინდეს, ეჭვიმითანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის ან მოწმის მიერ ადრე მიცემული ჩვენების სისწორე.

შენობისა და ადგილმდებარეობის დასათვალიერებლად საჭიროა მიღებული იქნეს მოსამართლის ბრძანება დათვალიერების ჩატარების შესახებ. ბრძანება ხელმოწერით უნდა გააცნონ პირს, რომლის ბინაშიც ტარდება დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს.

გადაუღებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნივთიერ მტკიცებულებათა განადგურების, დამალვის, ან გაფუჭების საშიშროება დასაშვებია

აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მოსამართლის ბრძანების გარეშე.

საგნისა და დოკუმენტის დათვალიერება – საგნის დათვალიერება დათვალიერების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეა. საგნის დათვალიერება ხდება უშუალოდ შემთხვევის ადგილის და ასევე ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ეტაპზე – როგორცაა ჩხრეკა და ამოღება. დათვალიერებას ახდენს გამომძიებელი ან პროკურორი მისი აღმოჩენის ადგილას. იმ შემთხვევაში კი თუ დასათვალიერებლად ხანგრძლივი დრო ან დამატებითი ტექნიკური საშუალებაა საჭირო დათვალიერება გრძელდება წინასწარი გამოძიების ჩატარების ადგილას.

იმ შემთხვევაში, როდესაც საგნებსა და დოკუმენტებს, გამომძიებელს ან პროკურორს წარუდგენს თანამდებობის პირი ან მოქალაქე 129-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ: დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქი მოსარჩელისა და მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები და ა.შ. დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებითაც, თუ აღნიშნული არ გამოიწვევს საგნის ან დოკუმენტის განადგურებას ან დაზიანებას (ტექნიკური საშუალებები: გამაღიდებელი მინა, მიკროსკოპი, განათება, უხილავი სხივები, ფოტოგრაფირება და ა.შ.).

დათვალიერების შედეგები დაწვრილებით უნდა აისახოს ოქმში კერძოდ: ფერი, ზომა, წონა, რაოდენობა, დოკუმენტის შინაარსი, ასევე დოკუმენტისა და საგნისათვის დამახასიათებელი ყველა ინდივიდუალური ნიშანი.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერება და ამოღება. საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დათვალიერება დოკუმენტის დათვალიერებისაგან არ განსხვავდება მას მხოლოდ ერთი სპეციფიკური თავისებურება ახასიათებს: მისი დათვალიერება უნდა მოხდეს საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებაში.

რომელსაც გამოძიებელი ან პროკურორი აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლის მონაწილეობით ახდენს. გარკვეულ შემთხვევაში კი სპეციალისტის მონაწილეობით ხსნის და ათვალიერებს დაყადაბებულ საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილს.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილია: ყველა სახის წერილი, დეპეშა, ფაქსით ან კავშირგაბმულობის სხვა ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინება, ამანათი და ა.შ.

თუ გამოძიებელმა ან პროკურორმა აღმოაჩინა სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობა, დოკუმენტი ან საგანი. მან უნდა ამოიღოს შესაბამისი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი ან გადაიღოს მისი ასლი. სისხლის სამართლის საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე ცნობის, დოკუმენტის ან საგნის არასებობის შემთხვევაში გამოძიებელი ან პროკურორი იძლევა მითითებას – დათვალიერებული საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილი გადასცენ ადრესატს ან შეაჩერონ ის მოსამართლის ბრძანებაში ან სასამართლოს განჩინებაში (დადგენილებაში) მითითებული ვადით.

საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დათვალიერებისა და ამოღების შესახებ ინფორმაციის ფიქსირება ხდება ოქმში. რომელსაც უნდა დაერთოს მასალები და გადაეგზავნოს ბრძანების გამცემ სასამართლოს.

საფოსტო-სატელეგრაფო კორესპონდენციების დათვალიერება ტარდება იმ წესებისა და გარანტიების დაცვით რაც გათვალისწინებულია ამოღებისას.

§5. საგამოძიებო ექსპერიმენტი

საგამოძიებო ექსპერიმენტი, როგორც დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინა 1960 წელს.

პროცესუალისტთა ნაწილი 1960 წლამდე მას განიხილავდა

როგორც საგამოძიებო დათვალიერების ნაირასახეობას. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი თავისი არსით მკვეთრად განსხვავდება დათვალიერებისაგან. კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ჩვენ აღვიქვამთ მარტოოდენ გამოსაკვლევი შემთხვევის ადგილმდებარეობას იქ აღმოჩენილი საგნების კვალისა და სხვა მტკიცებულებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს კი არა მარტო მისი ჩატარების პროცესს, არამედ მის შედეგებსაც; შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოსაკვლევი ობიექტები უშუალოდ აღიქმება იმავე სახით, რა სახითაც იქნა აღმოჩენილი შემთხვევის ადგილზე, ექსპერიმენტის დროს კი გამოსაკვლევია მთლიანი შემთხვევა ან მისი ცალკეული გარემოება; შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს გამოსაკვლევი ობიექტები არ შეიძლება შეიცვალოს. ექსპერიმენტის დროს კი გამოკვლევის ობიექტები შეიძლება შეიცვალოს ისეთივე ან მისი მსგავსი ობიექტებით; შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ობიექტების გამოკვლევა ხდება არა ცდების სახით, არამედ იმავე მდგომარეობაში, როგორც აღმოჩენილი იქნა დათვალიერების დროს მათზე არსებული კვალის გამოვლენა-დამუშავებისა და გამოკვლევის მიზნით. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება კი ძირითადად წარმოებს ცდების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე კი უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებაა და მისი გაიგივება რომელიმე სახის საგამოძიებო მოქმედებასთან დაუშვებელია.

საგამოძიებო ექსპერიმენტი არის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება სათანადო პირობების დაცვით გამოსაძიებელი შემთხვევის ან მისი რომელიმე გარემოების ან ფაქტის არსებობის შესაძლებლობის ახსნის, დადგენის, შემოწმების, დაზუსტებისა და ახალ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. დაუშვებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება თუ იგი არღვევს საზოგადოე-

ბრივ წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დათვალიერებისაგან განსხვავებით საგამოძიებო ექსპერიმენტს რთული სტრუქტურა აქვს. სსსკ 340-ე მუხ. მოიცავს დანაშაულებრივი ფაქტის აღდგენისა და გამოკვლევის 2 მოდელს: გარემოების მოდელი რომელშიც განვითარდა მოვლენა და მოქმედების მოდელი რომელიც სავარაუდოდ შეიძლება მომხდარიყო. ორივე მოდელი ხორციელდება საქმეში არსებული მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნული საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ასევე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების იურიდიული და ფაქტობრივი საფუძველი. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ფაქტობრივი საფუძვლის ცნებაში გაგებულ უნდა იქნეს გამოძიებლის ან პროკურორის ვარაუდით გამოსაძიებელ საქმეზე ცალკეული სახის მტკიცებულების, საგამოძიებო ვერსიების გარკვეული მოქმედების ჩადენის და მათი კვალის წარმოქმნის ან მოვლენის არსებობის შესაძლებლობის შემოწმების აუცილებლობა. იურიდიული საფუძვლის ცნებაში კი გამოძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანა ან მოსამართლის ბრძანება.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება და ჩატარება – აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების რთული კონსტრუქცია განაპირობებს მისი ჩატარების რთულ პროცედურას. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მომზადება შეიძლება პირობითად გავყოთ 2 ნაწილად: ექსპერიმენტის მომზადება მისი ჩატარების ადგილზე მისვლამდე და მისი ჩატარების ადგილზე მისვლის შემდეგ.

საგამოძიებო ექსპერიმენტის სწორად და სრულყოფილად ჩატარების მიზნით პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებები (განისაზღვროს, საგამოძიებო ექსპერიმენტით შესამოწმებელი ფაქტი, გარემოება. ჩასატარებელი ცდების სახეები და მათი ჩატარების თანმიმდევრობა, ჩატარებისათვის საჭირო საგნები, განხორციელდეს საგამოძიებო

ექსპერიმენტის ჩატარების ადგილის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში ექსპერიმენტის ჩატარების ადგილმდებარეობის გაცნობა, მიღებული იქნეს მოსამართლის ბრძანება იმ შემთხვევაში თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს საცხოვრებელ სადგომში ან სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, ან გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება). დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ინფორმაციის მოცულობისა და ხასიათის გაცნობა ექსპერიმენტში მონაწილე პირებისათვის – ვინაიდან საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეები შეიძლება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყოს. კერძოდ: სსსკ 342-ე მუხ. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი და ექსპერტი, აუცილებლობის შემთხვევაში საცდელ მოქმედებათა ჩატარებაში შეიძლება სხვა პირებმაც მიიღონ მონაწილეობა.

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ პირი, რომლის ჩვენებაც უნდა შემოწმდეს. ამასთან, მოწმე და დაზარალებული უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ეჭვიმითანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღონ საგამოძიებო ექსპერიმენტში. დამცველს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს, ეჭვიმითანილის, ბრალდებულის, განსასჯელის მონაწილეობით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო ექსპერიმენტში. სპეციალისტი მონაწილეობს გამომძიებლის შეხედულებისამებრ და მისი როლი მდგომარეობს გარემოების აღდგენაში და თვით ცდის ჩატარებაში.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობას იღებს ეჭვიმითანილი ან ბრალდებული, მაშინ საჭიროა შეარჩიოს ოპერატიული ჯგუფი, მასში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ აგრეთვე პროკურორი და საზოგადოებრიობის წარმომადგენელი.

გამომძიებელმა საჭიროა შეარჩიოს საგამოძიებო ექსპერიმენ-

ტის ჩატარების პირობები, კერძოდ: დრო, ადგილი, განათება, მეტეოროლოგიური პირობები, ხმაური ან სიწყნარე და სხვა საჭირო მსგავსი პირობები.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია ასევე ექსპერიმენტით გადასაწყვეტი საკითხების წრის განსაზღვრა ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე მისვლამდე.

საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად: 1. შეიძლებოდა თუ არა მოცემულ პირს დაენახა ან განესხვაებია მისგან გარკვეული მანძილით დაშორებული პირი და შეეცნო იგი, ან დაენახა და შეეცნო გამოსაკვლევი საგანი, მისი ფერი, ფორმა, მოცულობა, საერთო და კერძო დამახასიათებელი ნიშნები. 2. კონკრეტულ პირობებში შეეძლო თუ არა გაეგონა გარკვეული ხმაური, გაერჩია სიტყვები, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმა და ა.შ. 3. რა პირობებში შეიძლება წარმოშობილიყო გამოსაკვლევი სახის პროცესები, მოვლენა, მოქმედება და შეიძლებოდა თუ არა მათი აღმოცენება გარკვეულ პირობებში. 4. შეიძლებოდა თუ არა ამა თუ იმ მოქმედების შესრულება დროის გარკვეულ მონაკვეთში საერთოდ ან რაიმე კონკრეტულ პირობებში.

აღნიშნული გარემოებების სრულფასოვნად დადგენის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო ექსპერიმენტის კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაცვით ჩატარებას.

საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს რეკომენდირებულია მისი ჩატარება დღე-ღამის იმავე დროს, რა დროსაც ჰქონდა ადგილი შესამოწმებელ ფაქტს და სხვა.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საჭიროა გამოძიებელმა შეარჩიოს და მოამზადოს სათანადო საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებანი.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მომზადება ადგილზე მისვლის შემდეგ

და ჩატარება — საჭიროა გამოძიებულმა ჩაატაროს შემდეგი სახის მოსამზადებელი ღონისძიებები: შეამოწმოს შეესაბამება თუ არა საგამომოებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილმდებარეობა და პირობები — შესამოწმებელი ფაქტის ადგილმდებარეობასა და პირობებს, ხომ არაა საჭირო დამატებითი რეკონსტრუქცია და ა.შ. დაიცვას ექსპერიმენტის ჩატარების ადგილი გარეშე პირთაგან. ექსპერიმენტში მონაწილე პირებს განუსაზღვროს მათი ფუნქციები. ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი. გააფრთხილოს ისინი არ გააზრდონ ექსპერიმენტით მიღებული შედეგები. განსაზღვროს ექსპერიმენტში მონაწილე პირთა ურთიერთგანლაგება და მათ შორის კავშირი და ა.შ.

კანონის დარღვევით მიღებული ექსპერიმენტის შედეგებს გამოსაძიებელ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება, ამიტომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი ზედმიწევნით უნდა იქნეს დაცული.

საგამომოებო ექსპერიმენტის შედეგების ფიქსაცია — საგამომოებო ექსპერიმენტის ჩატარების შედეგების ფიქსაციის ძირითადი საშუალებაა ოქმი — საგამომოებო ექსპერიმენტის ჩატარებისას გამოძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს. ოქმი შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი (სარეზოლუციო) ნაწილისაგან.

შესავალ ნაწილში: უნდა აღინიშნოს სად, როდის იქნა ჩატარებული საგამომოებო ექსპერიმენტი, მისი დაწყებისა და დამთავრების დრო, ოქმის შემდგენი თანამდებობის პირის ვინაობა, მისი თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი, ექსპერიმენტში მონაწილე თითოეული პირის გვარი, სახელი და მამის სახელი, მათი საცხოვრებლის ან სამუშაო ადგილის მისამართი. ექსპერიმენტში მონაწილე მოწმეები და დაზარალებულები, რომლებიც გაფრთხილებულნი უნდა იყვნენ წინასწარი შეცნობით ცრუ

ჩვენების მიცემისათვის და ჩვენების მიცემისაგან თავის არიდებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

აღწერილობით ნაწილში: — უნდა აღინიშნოს ექსპერიმენტის ჩატარების მთლიანი პროცესი, კერძოდ: ექსპერიმენტის ჩატარების პირობები, ექსპერიმენტში მონაწილე პირთა განლაგება მისი დაწყების წინ. ჩატარებული ცდების მრავალჯერადობის აღწერა. მონაწილე პირთა მითითებით. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები. ოქმს უნდა დაერთოს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას შედგენილი გეგმა, სქემა, ნახაზი, ფოტოსურათი, ხმის ჩანაწერი, ვიდეო ჩანაწერი, ექსპერიმენტული გზით დამზადებული ტვიფარი და ანაბეჭდი.

დასკვნითი ნაწილში — უნდა მიეთითოს მასში მონაწილე პირების იმ განცხადებაზე, რომელიც მათ გააკეთეს ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში ან მისი დამთავრების შემდეგ ან უშუალოდ ოქმის გაცნობის შემდეგ. ოქმს ხელი უნდა მოაწეროს მისმა შემდგენმა თანამდებობის პირმა და მასში მონაწილე ყველა პირმა.

§6. ჩვენების ადგილზე შემოწმება

წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის აღდგენა, საქმის სრული, ყოველმხრივი გახსნა და მასზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა რთული პროცესია, რომლის სრულყოფილად განხორციელებაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენების ადგილზე შემოწმებას.

ჩვენების ადგილზე შემოწმება, როგორც დანაშაულის გახსნისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, პროცესუალურ ლიტერატურაში პირველად 50-იანი წლების შემდგომ პერიოდში აღმოცენდა.

პროცესუალისტთა ნაწილი მას განიხილავდა, როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკურ ხერხს ან მის

ნაირსახეობას. ნაწილი კი მას დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებად აღიარებდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ კი აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების, როგორც დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმაცია მოახდინა.

ჩვენების ადგილზე შემოწმება მოიცავს გამოსაძიებელ საქმეზე მიღებული მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენებათა შემოწმებას არსებულ ფაქტობრივ გარემოებებთან შეპირისპირებაში. იგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ზემოაღნიშნულ პირთა ჩვენების სისწორის შემოწმება, ახალ მტკიცებულებათა მიღება და გამოსაძიებელ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

ჩვენების ადგილზე შემოწმება თავისი იურიდიული ბუნებით დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც არსებითად განსხვავდება დაკითხვის, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებებისაგან. ჩვენების ადგილზე შემოწმებას, აქვს რთული სტრუქტურა. იგი თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ ვერბალური ინფორმაციის მიღებას ასევე იმ ინფორმაციის მიღებასაც, რომელიც ფიზიკურ-ნიშნობრივი ფორმითაა გამოხატული.

ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზანია (სსსკ 344-ე მუხ):

1. აღმოაჩინონ საგანი, დოკუმენტი, კვალი, რომლის ადგილსამყოფელიც ცნობილია პირისათვის რომლის ჩვენებაც მოწმდება.
2. დააზუსტონ ადგილი, სადაც გამოძიებისას აღმოჩენილი იყო საგანი, დოკუმენტი, გვამი, კვალი.
3. გამოავლინონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ადგილი ან მარშრუტი, ერთი და იმავე გარემოების შესახებ რამდენიმე პირის ჩვენების დამთხვევა ან განსხვავება.
4. შეამოწმონ ჩვენების უტყუარობა მისი აღდგენისა და შემთხ-

ვევის ვითარებასთან შეჯერების გზით.

პირი, რომლის ჩვენებაც მოწმდება, შემთხვევის ადგილზე იძლევა განმარტებას, რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ჩვენების დაზუსტება. მაგ: ბრალდებული ჩვენების ადგილზე შემოწმების დროს განმარტავს თუ სად, როდის და როგორ ჩაიდინა დანაშაული და უჩვენებს ადგილზე დარჩენილი დანაშაულის ჩადენის კვალს, იარაღს და ა.შ.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების მომზადება და ჩატარება. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებამდე საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის მოსამზადებელი ღონისძიებები: 1. დეტალურად იქნეს დაკითხული პირი იმ გარემოებების, პირობებისა და წყაროების შესახებ, რომელზედაც გვაწვდის ინფორმაციას. 2. შესწავლილი იქნეს მიღებული ჩვენება. 3. განისაზღვროს ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარებაში მონაწილე პირთა წრე. 5. შეირჩეს სათანადო სატრანსპორტო საშუალებები და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

ჩვენების ადგილზე შემოწმებას ატარებს გამომძიებელი ან პროკურორი. შემოწმებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი და ექსპერტი. აგრეთვე ეჭვმიტანილი, ბრალდებული და დამცველი, თუ ეს მოქმედება ტარდება მათი შუამდგომლობით.

მოსამზადებელ ღონისძიებათა შემდეგ საჭიროა ჩვენების ადგილზე შემოწმებაში მონაწილე პირებს ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქტაჟი. გამომძიებელმა ან პროკურორმა ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების დაწყების წინ უნდა წაიკითხოს შესამოწმებელი ჩვენება და ჩვენების მიმცემ პირს წინადადება მისცეს დაადასტუროს ან დააზუსტოს მის მიერ ადრე მიცემული ჩვენება. იმ შემთხვევაში თუ მოწმდება მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება, იგი უნდა გააფრთხილონ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე

განუმარტონ, რომ უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

ჩვენების ადგილზე შემოწმება რეკომენდირებულია ჩატარდეს შემთხვევის ადგილზე გაყვანილ პირთა ჩვენების უბრალო თხრობით, ყოველგვარი ცდისა და შემთხვევის გარემოებათა ვითარების აღდგენის გარეშე.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიქსაციის ისეთი დამატებითი საშუალებები, როგორიცაა ფოტო, ვიდეოგადაღება, ხმის ჩამწერი საშუალება და სხვა.

რამდენიმე პირის ჩვენების ადგილზე ერთდროული შემოწმება დაუშვებელია. დაუშვებელია ასევე მისახვედრი კითხვების დასმა – იმ პირის მიმართ რომლის ჩვენებაც მოწმდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია ასევე ამ მოქმედებაში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობები. კერძოდ მათ უფლება აქვთ დასვან კითხვები, მოითხოვონ მოქმედების განმეორება. მონაწილეობა მიიღონ აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტისა თუ კვალის დათვალიერებაში და გამომძიებლის ან პროკურორის ყურადღება მიაპყრონ, მათი აზრით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

ამასთან თუ შემოწმებით აღმოჩენილი იქნება საქმეზე მნიშვნელობის მქონე რაიმე საგანი, კვალი ან დოკუმენტი, იგი დათვალიერებული და ამოღებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესის დაცვით.

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების წესი და საზეები:

1. დაძებნა (მოძიება) – პირის დახმარებით, რომლის ჩვენებაც მოწმდება ჯერ კიდევ აღმოუჩენელი კვალის აღმოსაჩენად, საგნის აღმოსაჩენად, რომელიც უნდა იყოს ადგილზე, თუ ჩვენება შეესაბამება სინამდვილეს. საგნების აღმოჩენა ამტკიცებს ჩვენების ნამდვილობას, განსხვავებით დათვალიერებისაგან – მიზანმიმართულ სამძებრო მოღვაწეობას ახორციელებს არა გამომძიებელი

არამედ პირი, რომელის ჩვენებაც მოწმდება. 2. პირის მიერ მითითებული ობიექტების აღმოჩენა ადგილზე, რომელიც ადრე აღწერა აღნიშნულმა პირმა ჩვენებაში, რომლის არსებობაც აქცევს ამ მოვლენას შესაძლოდ, საგამოძიებო ექსპერიმენტისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისია საგანზე დაკვირვება. პირის უუნარობა მიუთითოს ასეთ ობიექტზე, ან ობიექტის არ არსებობა ემყარება ეჭვს ჩვენების უტყუარობის შესახებ. 3. გარემოების რეალურად არსებული დეტალების შესახებ, ასევე იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც განიცადა გარემოებამ იმასთან შედარებით რაც არსებობდა მოვლენის მომენტში, ეს მონაცემები მიუთითებს პირის ცოდნაზე ფაქტების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ჩვენების ნამდვილობის ნიშანს. 4. პირის მიერ მისთვის ცნობილ გარემოებებზე მითითება, რომელსაც შემოწმების მომენტში ადგილი არ ჰქონია, თუმცა მათმა არსებობამ ასახვა ჰპოვა საქმის მასალებში, რაც ასევე მიუთითებს პირის ცოდნაზე. 5. ცალკე მითითება მოქმედების მარშრუტზე ყოველი მონაწილის მიერ (იმისათვის, რომ მოხდეს დადგენა, ემთხვევა თუ არა მათი ჩვენებები ერთმანეთს ამ ნაწილში).

ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების ოქმი. ჩვენების ადგილზე შემოწმების ჩატარების შედეგების ფიქსაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა ოქმი. რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან. შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და დასკვნითი ნაწილისაგან. შესავალ ნაწილში უნდა ღინიშნოს: თუ სად, როდის, რა პირობებში, რომელ პირთა დასწრებით, რა მიზნით და ვისი მონაწილეობით იქნა იგი ჩატარებული. ვისი ჩვენების შემოწმება ჩატარდა. მონაწილე პირებს განემარტათ თუ არა თავიანთი უფლება-მოვალეობანი. ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პროცესში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ.

აღწერილობით ნაწილში უნდა მოხდეს საგამოძიებო მოქმედების მთელი პროცესის ფიქსაცია, მისი დაწყება და დამ-

თავრება. ოქმის დასკვნით ნაწილში უნდა მიეთითოს იმაზე, თუ დამატებითი ფიქსაციის რა ხერხები და საშუალებები იქნა გამოყენებული (კერძოდ: სქემები, გეგმები, ფოტო, კინოგადაღება). ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმს ხელს აწერს მასში მონაწილე ყველა პირი.

§7. წარდგენა ამოსაცნობად

ამოსაცნობად წარდგენა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებაა. იგი გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-349-ე მუხლებით.

ამოსაცნობად წარდგენის ჩატარების მიზანია გამოსაძიებელ საქმეზე მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ობიექტის ამოცნობა, ანუ დადგენა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე (მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და სხვა.) პირის მეხსიერებაში შემორჩენილი საძიებო ობიექტებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით. რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი რიგი ფაქტორები – სულიერი, ფიქიკური, ემოციური ფაქტორები, ასევე ასაკობრივი მდგომარეობაც.

პრაქტიკაში აღრე იგი განიხილებოდა როგორც დაკითხვის სახესხვაობა და ეწოდებოდა დაკითხვა ამოცნობისას. ანალოგიური მიდგომა დღესაც არსებობს როგორც ჩვენთან ისე სხვა მთელ რიგ ქვეყნებში. მაგრამ ამოსაცნობად წარდგენა დამოუკიდებელი სახის საგამოძიებო მოქმედებაა რა დროსაც ამომცნობი პირი (მოწმე, დაზარალებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული), კანონით დადგენილი წესით, ამოსაცნობი ობიექტის ამოცნობას ახდენს თავის მეხსიერებაში აღბეჭდილი და შემონახული ამოსაცნობი ობიექტისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით. ამოსაცნობად წარდგენა განსხვავდება სხვა მომიჯნავე საგამოძიებო მოქმედებებისაგან. იგი ნებაყოფლობითი საგამოძიე-

ბო მოქმედებაა (კერძოდ: ამომცნობს ამოსაცნობი პირი წარედგინება იმ შემთხვევაში თუ ამომცნობი განაცხადებს რომ მას შეუძლია ამოიცნოს მისთვის დამახასიათებელი გარეგანი ნიშნებით, ხმითა და სხვა ფუნქციონალური ნიშნებით (მაგ: ეესტიკულაციით, მოძრაობის მანერით და სხვა.)

კანონმდებლობის თანახმად ამოცნობის ობიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ პიროვნება არამედ საგანიც. ამოსაცნობად ძირითადად შეიძლება იყოს წარდგენილი: მოპარული ნივთები, დანაშაულის იარაღი, ადამიანის ან ცხოველის გვამი, ხელნაწერი ტექსტი, შენობა და ა.შ.

ამოცნობის ჩატარებამდე ამომცნობი უნდა დაიკითხოს იმ გარემოებებზე, რომლის დროსაც მას მოუწია დაკვირვებოდა შესაბამის პირს ან საგანს, ასევე იმ საგნის თავისებურების შესახებ რომლის ამოცნობაც შეუძლია.

ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული არ ჩაითვლება დასაბუთებულად, თუ ამომცნობმა მიუთითა ისეთ ნიშანზე, რომელიც არ არის საკმარისი ამოსაცნობი პიროვნების იდენტიფიკაციისათვის. დაუშვებელია ერთი და იმავე ამომცნობის მიერ პირის ამოცნობის ხელმეორედ ჩატარება. გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინა ამოცნობა ჩატარდა ფოტოსურათით.

ცოცხალი პირების ამოცნობისას ამოსაცნობი უნდა წარედგინოს ამომცნობს იმავე სქესის არანაკლებ 3 პირთან ერთად. ფოტოსურათით ამოცნობის შემთხვევაში ასევე ამომცნობს უნდა წარედგინოს ამოსაცნობის პირის ფოტოსურათი 3 ან მეტი პირის ფოტოსურათებს შორის.საგანი უნდა იქნეს წარდგენილი სხვა ერთგვაროვან საგნებთან ერთად რომელთა რაოდენობაც არ შეიძლება იყოს 3 ნაკლები. გვამის ამოცნობის შემთხვევაში, პირს გვამი ამოსაცნობად წარედგინება ინდივიდუალურად. გვამის ამოცნობის შემდეგ ამომცნობის დაკითხვა მოხდება ამოსაცნობის იმ ნიშან-თვისებების შესახებ, რითაც მან ამოიცნო გვამი და მოახდინა მისი ვინაობის დადგენა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლის თანახმად გამოძიებლის გადაწყვეტილებით, პირის ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ამოსაცნობის ვიზუალური დაკვირვების გარეშე. რაც საშუალებას იძლევა ამომცნობზე ზეგავლენის გარეშე მოხდეს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ამოსაცნობად წარდგენა არა უშუალოდ პირდაპირი დაკვირვებით, არამედ ამოსაცნობი პირისაგან შეუმჩნევლად. ამოცნობის ჩატარებამდე ამოსაცნობს ეძლევა წინადადება დაიკავოს მისთვის სასურველი ადგილი, რის შესახებ აღინიშნება ოქმში.

თუ ამომცნობი არის მოწმე ან დაზარალებული ისინი ამოცნობის ჩატარებამდე უნდა გაფრთხილდნენ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ამომცნობს ეძლევა წინადადება მოუთითოს პირზე ან საგანზე, რომლის შესახებაც მან მისცა ჩვენება. მისახვედრი კითხვების დასმად დაუშვებელია. თუ ამომცნობი მიუთითებს ერთ-ერთ პირზე ან საგანზე. მან აღნიშნულის შესახებ აუცილებლად უნდა ახსნას, მიუთითოს იმ ნიშნებზე ან თავისებურებებზე რომლითაც შეეძლო მისი ამოცნობა. ამომცნობის ხარისხსა და შედეგებზე გავლენას ახდენს ამომცნობი პირის ჩვენების ფორმირების პროცესი და მისი ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები (მაგ: წვიმა, ქარი, სიბნელე და ა.შ.)

პიროვნების ამოცნობა უნდა ჩატარდეს გამოძიებლის სა-მუშაო ოთახში ან ამომცნობი პირის ადგილსამყოფელ ტერიტორიაზე.

ამოცნობის ჩატარების შესახებ შედგენილი უნდა იქნეს ამოსაცნობად წარდგენის ოქმი. რომელშიც უნდა მიუთითოს მონაცემები: ამომცნობი პირის ვინაობა, ასევე ცნობები ამოსაცნობად წარდგენილი პირისა და საგნის აღწერის ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც იქნა ამოცნობილი პირი ან საგანი. ამომცნობის ჩატარების ადგილი, დრო, ამომცნობის ჩამტარებელი პირის თანამდებობა და გვარი. უნდა მიეთითოს ვისი მონაწილეობით ჩატარდა

ამოცნობა რა სახის ერთგვაროვან საგანთა შორის იყო მოთავსებული ამოსაცნობი საგანი და როგორ იყო თუ არა დანომრილი საგნები, მიეცა თუ არა წინადადება ამოსაცნობ პირს აერჩია და დაეკავებინა ადგილი.

ოქმს ხელს აწერენ: საგამომძიებო ექსპერიმენტის ჩამტარებული პირი და მასში მონაწილე ყველა პირი, ოქმს დაერთვება ფოტო, ვიდეო მასალა, ფოტოსურათები და ფირი.

იმ შემთხვევაში თუ ამომცნობი განაცხადებს, რომ არ არის დარწმუნებული ან ეჭვობს ამოცნობის სისწორეში, ან თუ ამოცნობა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესის დარღვევით. ამოსაცნობად წარდგენის ოქმი მტკიცებულებად არ გამოიყენება.

§8. შემოწმება

შემოწმება საგამომძიებო მოქმედების ერთ-ერთი სახეა, რომლის ჩატარებაც განსაზღვრულია ს.ს.ს კოდექსის 350-355-ე მუხლებით.

შემოწმება პროცესუალურ ლიტერატურაში განიხილებოდა როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ნაირსახეობა. თუმცა შემოწმება დათვალიერებისაგან არსებითად განსხვავდება: 1. დათვალიერების სუბიექტები არიან: გამომძიებელი ან პროკურორი, შემოწმების სუბიექტი კი შეიძლება იყოს ექიმიც, რომელიც უფლებამოსილია გამომძიებლის გარეშეც ჩაატაროს შემოწმება, როდესაც დაკავშირებულია სხვა სქესის შესამოწმებელი პირის გაშიშვლებასთან. 2. დათვალიერების ობიექტი, შეიძლება იყოს შემთხვევის ადგილი, ადგილმდებარეობა, ადამიანის გვამი, სადგომი, საგანი, დოკუმენტი და შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი გამოიებისათვის მნიშვნელობის მქონე ნებისმიერი

ობიექტი. 3. დათვალიერების უმთავრესი მიზანია დასათვალიერებელ საგნებსა და ობიექტებზე არსებული სხვადასხვა სახის კვალის აღმოჩენა. შემოწმების მიზანი კი შეიძლება იყოს ალკოპოლური და სხვა ნიშნების აღმოჩენაც და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ორი სახის საგამოძიებო მოქმედების ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით შემოწმება ტარდება იმ შემთხვევაში თუ საჭიროა: ა) აღმოაჩინონ ადამიანის სხეულზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნიშანი ან თავისებურება, რისთვისაც ექსპერტიზა საჭირო არ არის; ბ) ინსტრუმენტული კვლევის მეთოდებით გამოავლინონ ალკოპოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობა, თუ ამისათვის ექსპერტიზა საჭირო არ არის.

შეიძლება შემოწმდეს ბრალდებული, ეჭვმიტანილი და დაზარალებული. მოწმის შემოწმება კი დასაშვებია მხოლოდ მისი ჩვენების სისწორის გასარკვევად.

გამომძიებელს ან პროკურორს შემოწმების ჩასატარებლად გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელიც უნდა ემყარებოდეს საკმარის მონაცემებს, რომლის თანახმადაც ადამიანს სხეულზე ამჩნევია დანაშაულის კვალი ან თუ არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გარემოებები.

დადგენილებაში აღნიშნული უნდა იყოს ვინ და რა მიზნით ატარებს შემოწმებას. ვინ უნდა შემოწმდეს, ვისთან და როდის უნდა გამოცხადდეს პირი შესამოწმებლად.

შემოწმების შესახებ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება სავალდებულოა იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება.

ეჭვმიტანილი და ბრალდებული, რომლებიც თავს არიდებენ შემოწმებას, შეიძლება იძულებით მოიყვანონ და შეამოწმონ.

დაზარალებული და მოწმე იძულებით შეიძლება შეამოწმონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ექვემიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს შემოწმებას დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ჩვენების გაბათილების მიზნით. მოწმისა და დაზარალებულის იძულებითი შემოწმება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით.

შემოწმებას, რომელიც დაკავშირებული არ არის სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ატარებს გამოძიებელი ან პროკურორი, საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის მონაწილეობით.

იმ შემთხვევაში თუ შემოწმება დაკავშირებულია სხეულის გაშიშვლებასთან ან ადამიანის სხეულზე ძალადობის კვალის გამოვლენასთან, ან როდესაც შემოწმების ჩატარება საჭიროებს ინსტრუმენტული კვლევის მეთოდების გამოყენებას ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური სიმთვრალის ან სხვა ფიზიოლოგიური მდგომარეობის დასადგენად, ასეთი შემოწმება გამოძიებლის ან პროკურორის დავალებით უნდა ჩაატაროს ექიმმა სამედიცინო მუშაკთან ერთად. ექიმი უფლებამოსილია დაათვალიეროს შესამოწმებელი პირის სხეული, ჩაატაროს გაზომვები და გამოიყენოს გასინჯვის ინსტრუმენტული მეთოდი.

თუ შემოწმების დროს აუცილებელია შესამოწმებელი პირის გაშიშვლება, მაშინ მისი შემოწმება უნდა ჩაატაროს იმავე სქესის წარმომადგენლებმა იმავე სქესის დამსწრეთა და სპეციალისტების მონაწილეობით. შემოწმებას გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება თან სდევდეს შესამოწმებელი პირის ტანსაცმლის დათვალიერებაც. თუმცა ამ დროს რეკომენდირებულია ჯერ შემოწმდეს სხეულის ის ნაწილები, რომლებიც ტანსაცმლით არ არის დაფარული და შემდეგ მისი ტანსაცმელი და სხეულის სხვა ნაწილები. ყურადღება უნდა გამახვილდეს ტანსაცმელისა და ჯიბეების ნაკერებზე, სადაც შეიძლება აღმოჩენილი იქნეს სხვადასხვა სახის ლაქები, რამაც შეიძლება საშუალება მოგვცეს დავადგინოთ მისი

შეხების ფაქტი გამოძიებისათვის მნიშვნელობის მქონე საგანზე და სხვა.

დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგნები და მიკრო-ნაწილაკები ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეფუთული და დალუქული. დადასტურებული შემოწმებელი პირისა და მასში მონაწილე პირების მიერ. აღნიშნული დაწვრილებით უნდა აისახოს დათვალიერების ოქმში.

შემოწმების ჩატარების შესახებ საჭიროა ს.ს.ს.კ. 355-ე მუხლის შესაბამისად შედგეს ოქმი: რომელშიც უნდა მიეთითოს შემდეგ გარემოებებზე: თუ სად, როდის და ვის მიერ იქნა გამოტანილი დადგენილება შემოწმების შესახებ. მისი თანამდებობა, გვარი და სახელი, რა საქმესთან დაკავშირებით და რა მიზნით; ვინ ჩაატარა იგი, როგორ, რა თანმიმდევრობით და ვისი მონაწილეობით; რა გარემოებები იქნა გამორკვეული და ა.შ.

ოქმს ხელს აწერს: გამომძიებელი ან პროკურორი, შემოწმებული პირი, ექიმი და სხვა სპეციალისტები. შემოწმების დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს ფოტოგადაღება, როგორც ფიქსაციის დამატებითი საშუალება სხეულზე აღმოჩენილი განსაკუთრებული ნიშნების დასაფიქსირებლად.

იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევით იქნება ჩატარებული შემოწმება—მიღებულ შედეგებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ ექნება.

§9. ექსპერტიზა

ექსპერტიზის დანიშვნა საგამომიებო მოქმედების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეა (გათვალისწინებულია ს.ს.ს.კ. 356-ე-374-ე მუხლებით).

ექსპერტიზა ტარდება გამოძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად საჭიროა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ამა თუ იმ ხელობის სპეციალისტთა დასკვნა. თუ გამოძიებელს, პროკურორს ან სპეციალისტს აქვთ სპეციალური ცოდნა, ეს არ გამორიცხავს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობას.

ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს მხოლოდ კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით.

ექსპერტიზის ჩატარების წინაპირობა არ შეიძლება იყოს რევიზია.

დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა გააცნონ ბრალდებულს, რომელსაც ასევე უნდა განუმარტონ თავისი უფლებები (აღნიშნული ვრცელდება ეჭვმიტანილსა და დაზარალებულზეც):

1. მისცეს აცილება ექსპერტს;
2. მოითხოვოს ექსპერტის დანიშვნა მის მიერ მითითებულ პირთაგან;
3. ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა თავისი ინიციატივითა და საკუთარი ხარჯებით. მოთხოვოს ექსპერტიზის დასკვნის სისხლის სამართლის საქმეზე დართვა;
4. დამატებითი კითხვები დაუსვას გამოძიებლის ან პროკურორის მიერ დანიშნულ ექსპერტს;
5. გამოძიებლის ან პროკურორის ნებართვით დაესწროს ექსპერტიზას, მისცეს ექსპერტს ახსნა-განმარტება, ექსპერტის

დასკვნის მიღების შემდეგ მოსთხოვოს მას განმარტება გამოყენებული კვლევის მეთოდების არსისა და მიღებული შედეგების თაობაზე;

6. გაეცნოს ექსპერტის დასკვნას. მისი მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღის შემდეგ აღძრას შუამდგომლობა დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

7. მონაწილეობა მიიღოს ექსპერტის დაკითხვაში, როცა ექსპერტიზა მისი შუამდგომლობით იყო დანიშნული. ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი მოტივირებული დადგენილება – უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში კი თუ იგი უნდა დაკმაყოფილდეს დგება ახალი დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

საჭიროა ასევე დადგენილების გამოტანა, როდესაც ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭიროა ნიმუშების აღება, შედარებითი გამოკვლევის ჩასატარებლად. ეს შეიძლება იყოს ხელნაწერი, თითების ანაბეჭდი, სისხლის ნიმუში და ა.შ. ხშირად მათი მიღება დაკავშირებულია არასასიამოვნო და მტკივნეულ შეგრძნებებთან, აღნიშნული კი ქმნის საკმაოდ დიდ პრაქტიკულ პრობლემას. ს.ს.ს.კ. 368-ე მუხლში მითითებულია – ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს, ხოლო თუ მას 16 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია ან ფსიქიკურად არის დაავადებული, მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით.

როგორც უკვე აღინიშნა—საქართველოს კონსტიტუციისა და მთელი რიგი საერთაშორისო აქტების შესაბამისად, არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, სხვაგვარ ძალადობას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას. ასევე თანხმობის გარეშე დაუშვებელია სამედიცინო ან სხვა სახის ცდის განხორციელება.

აღნიშნული საშუალებები არ შეიძლება იყოს გამოყენებული მოწმის ან დაზარალებულის მიმართ.

კანონი ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას როგორც საექსპერტო დაწესებულებაში, ისე მის გარეთ – ინდივიდუალურად შერჩეული ექსპერტებით. აღნიშნული გარემოება არ მოქმედებს მიღებული დასკვნების მტკიცებულებით მნიშვნელობაზე, ვინაიდან კანონის თანახმად ყველა ექსპერტი ვალდებულია იხელმძღვანელოს თავისი ცოდნით და აკისრია პერსონალური პასუხისმგებლობა დასვნის როგორც სამეცნიერო ისე პროფესიონალურ დასაბუთებულობაზე.

ექსპერტიზის ჩატარების დამნიშნავ პირს უფლება აქვს დაესწროს შესაბამისი გამოკვლევის ჩატარებას. ექსპერტიზის ჩატარებისას მისი თანხმობით შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ბრალდებულმა და მისმა დამცველმაც. ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს საჭირო განმარტებები ექსპერტს.

გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებას იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიშობა სტაციონარული დაკვირვების შესაძლებლობა. ვინაიდან ასეთი დაკვირვება მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებაში მკაცრი იზოლაციის რეჟიმში ყოფნას. თუ პირი, რომელიც ექვემდებარება სტაციონარულ მეთვალყურეობას, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე არ იმყოფება პატიმრობაში, მაშინ დადგენილება უნდა იყოს გამოტანილი პროკურორის მიერ.

ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების დასადგენად, თუ საამისოდ აუცილებელია სპეციალური ცოდნის გამოყენება.

ექსპერტიზას ატარებს საექსპერტო ან სხვა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სპეციალისტი ან სხვა მცოდნე პირი, რომელსაც ნიშნავს გამოძიებელი ან პროკურორი, ანდა ანაზღაურებით იწვევენ მხარეები.

სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკურ ექსპერტი-

ზას ატარებს საექსპერტო დაწესებულების, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი დაწესებულების სპეციალისტი ან კერძო პირი.

სასამართლოს, გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნა ექსპერტად დანიშნული პირის გამოძახებისა და მის მიერ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად სპეციალური ცოდნის მქონე პირისათვის, ასევე იმ დაწესებულების, საწარმოსა თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, სადაც ეს პირი მუშაობს.

ექსპერტის გამოკვლევის ობიექტია: ნივთიერი მტკიცებულება, ცოცხალი ადამიანის სხეული, ფსიქიკური მდგომარეობა, გვამი, ღოკუმენტი.

საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი, თუ მისი მოცულობა და თვისება ამის საშუალებას იძლევა, ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით.

ექსპერტიზის ობიექტი შეიძლება დაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენადაც საჭიროა საექსპერტო გამოკვლევისათვის. ექსპერტიზის დამთავრებისთანავე გამოკვლევის დაუხარჯავი ობიექტი უნდა დაუბრუნდეს ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს ან ორგანოს შეფუთული ან დალუქული სახით.

ექსპერტიზის ობიექტი ინახება საექსპერტო დაწესებულებაში, საგამომძიებო ორგანოში ან პროკურატურაში ნივთიერი მტკიცებულების შენახვის წესის დაცვით.

საექსპერტო გამოკვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ასევე ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებული მონაცემები, რომელიც ასახულია სისხლის სამართლის საქმის მასალებში. საქმის მასალების მიხედვით ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტიზის დამნიშვნელმა უნდა მიუთითოს, რომელი მონაცემი მიაჩნია სარწმუნოდ ან დაავალოს ექსპერტს გასცეს რამდენიმე ვარიანტით პასუხი დასმულ შეკითხვაზე იმისდა მიხედვით, საქმის მასალებიდან რომელი დაედო საფუძვლად საექსპერტო დასკვნას.

ექსპერტიზის სახეები – ექსპერტიზის სახეებია: პირველადი,

დამატებითი და განმეორებითი, საკომისიო, კომპლექსური და ალტერნატიული ექსპერტიზა.

პირველადი: ისეთი ექსპერტიზაა რომელიც ინიშნება პირველად გამოძიების პროცესში აღმოცენებული სპეციალური საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

დამატებითი ექსპერტიზა ინიშნება იმ დამატებითი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც წამოიჭრება პირველადი ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ მისი შევსების მიზნით.

განმეორებითი ექსპერტიზა ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტის დასკვნა დაუსაბუთებელია, მისი სისწორე საეჭვოა, ან არასარწმუნოა მტკიცებულება, რომელსაც იგი ემყარება, ანდა მოხდა ექსპერტიზის ჩატარების საპროცესო წესის არსებითი დარღვევა. განმეორებითი ექსპერტიზა ევალუბა სხვა ექსპერტს. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში უნდა აღინიშნოს მოტივი, რატომ არის საეჭვო წინა ექსპერტიზის დასკვნა.

თუ გამოკვლევა დაიწყო ერთმა ექსპერტმა და დაასრულა მეორემ, მისი განმეორება არ არის საჭირო, თუ გამოყენებული მეთოდები მეორე ექსპერტის ეჭვს არ იწვევს.

საკომისიო ექსპერტიზა – რთული სახის ექსპერტიზაა. იგი შეიძლება ჩაატარონ ერთი სპეციალობის მქონე ექსპერტთა კომისიებმა. მხარეთა მოთხოვნით საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მათ მიერ მოწვეული ექსპერტები. ისინი თათბირობენ და თუ საერთო აზრს გამოიტანენ ხელს აწერენ დასკვნას. ექსპერტთა შორის უთანხმოების შემთხვევაში თითოეული იძლევა ცალკე დასკვნას, ექსპერტთა შორის უთანხმოების გამომწვევს ყველა ან ზოგიერთ საკითხზე.

გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნა საკომისიო ექსპერტიზის ჩასატარებლად სავალდებულოა შეასრულოს საექსპერტო დაწესებულებამ.

დაუშვებელია საექსპერტო გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღონ იმ პირებმა, რომლებიც არ არიან საექსპერტო კომისიის წევრები.

კომპლექსური ექსპერტიზა – თუ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე გარემოების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერების ერთი ან სხვადასხვა დარგისა თუ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში რამდენიმე გამოკვლევის ჩატარებით, უნდა დაინიშნოს კომპლექსური ექსპერტიზა.

კომპლექსური ექსპერტიზის მონაწილე ექსპერტები თავიანთ მეცნიერული კომპეტენციის ფარგლებში აყალიბებენ დასკვნებს იმ გარემოებათა შესახებ, რომელთა დასადგენადაც დაინიშნა ექსპერტიზა.

კომპლექსურ ექსპერტიზაში მონაწილე ყველა სპეციალისტს აქვს ექსპერტის სტატუსი. თუ ექსპერტიზის ჩატარება დავალებული აქვს საექსპერტო დაწესებულებას, კომპლექსური გამოკვლევის ორგანიზაცია ეკისრება მის ხელმძღვანელს.

ალტერნატიული ექსპერტიზა – მხარეს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე ჩაატაროს ექსპერტიზა იმ გარემოების დასადგენად, რომელსაც მისი აზრით შუძლია ხელი შეუწყოს მისივე ინტერესების დაცვას. ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლი საქმე. საექსპერტო დაწესებულება ვალდებულია ჩაატაროს მხარის მიერ დანიშნული და ანაზღაურებული ექსპერტიზა. მხარის მოთხოვნით, ექსპერტის დასკვნა სავალდებულო წესით დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს და შეფასდება სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ექსპერტის დასკვნა – გამოკვლევის შედეგად ექსპერტი ადგენს დასკვნას. ექსპერტის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ დამოუკიდებელ წყაროს და შესაბამისად უნდა

შედგეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ზუსტი დაცვით.

ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა), ექსპერტის გაფრთხილება განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, სისხლის სამართლის საქმის რა მასალები გამოიყენა გამოკვლევისას, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებანი.

ექსპერტის დასკვნას უნდა დაერთოს გამოკვლევის შემდეგ დარჩენილი ნივთიერი მტკიცებულებები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და გრაფიკები, სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებენ ექსპერტის დასკვნებს. ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს ყველა ან ზოგიერთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობის მიზეზის დასაბუთებას, თუ გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ მისთვის წარდგენილი მასალები არ არის საკმარისი, ან ექსპერტი არაკომპეტენტურია. გამოსაკვლევ გარემოებათა შესახებ ექსპერტის სააღბათო დასკვნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ისინი მაინც უნდა აისახოს ექსპერტის დასკვნაში.

თუ გამოკვლევის დაწყებამდე ექსპერტი აღმოაჩენს, რომ მის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად მისი ცოდნა არ არის საკმარისი, ან მისთვის წარდგენილი ობიექტები არ კმარა ექსპერტიზის ჩასატარებლად, იგი ადგენს მოტივირებულ აქტს დასკვნის შედგენის შუბლებლობის შესახებ და უგზავნის ექსპერტიზის დამნიშვნელ პირს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად თუ ექსპერტის დასკვნა გაუგებარია, ან აქვს ხარვეზი, მაგრამ მის შესავსებად საჭირო არ არის დამატებითი გამოკვლევის

ჩატარება, ანდა აუცილებელია ექსპერტის მიერ გამოყენებული მეთოდისა და ტერმინების დაზუსტება, გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს დაკითხოს ექსპერტი.

დასკვნის წარდგენამდე ექსპერტის დაკითხვა დაუშვებელია. ექსპერტის ჩვენება რომელიც ავებს მის დასკვნას, მტკიცებულებაა. ექსპერტის დასკვნა სავალდებულო არ არის ექსპერტიზის დამნიშნელი პირისათვის, მაგრამ თუ იგი არ ეთანხმება დასკვნას, ეს მოტივირებულ უნდა იქნეს.

§10. ნიმუშების აღება საექსპერტო კვლევისათვის

ნიმუშების აღება საექსპერტო კვლევისათვის სავალდებულო მოქმედებაა და ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე. კერძოდ ნიმუშების მიღება ხდება ობიექტებისა და სუბიექტებისაგან (მაგ: ადამიანი, ცხოველი, გვამი, საგანი, ნივთიერება ან მისი ნაწილი, რომელიც მიიღება გამოკვლევის ჩატარების მიზნით იდენტიფიკაციის ან სხვა გარემოების დასადგენად). ნიმუშების მიღებას საექსპერტო გამოკვლევის ჩასატარებლად ეთმობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XLV თავი (375-384-ე მუხ.).

გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის თვისებების ამსახველი ნიმუში, თუ მისი გამოკვლევა საჭიროა ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადასაწყვეტად. კანონის ძალით ნიმუშები შეიძლება აიღოს არა მარტო გამომძიებელმა არამედ მისი აღება შეიძლება დაევალოს ექსპერტს, რომელიც ატარებს გამოკვლევას.

ცოცხალი ადამიანისაგან შეიძლება აიღონ ნიმუში, რომელიც ასახავს შემდეგ თავისებურებებს, ბიოლოგიურს: სისხლი, თმა,

ნერწყვი, გამონაყოფი; ფსიქოფიზიკურს: ხელწერა; ანატომიურს: კანის ნახჭის ანაბეჭდები, კბილის ტვიფარი. ხმის თავისებურება და პროფესიული ჩვევა. ნიშუში შეიძლება აიღონ გვამის დათვალიერებისას, ხოლო ნიშუშები ბიოლოგიური ობიექტების სახით ცხოველისაგან.

ნიშუშად შეიძლება აიღონ ასევე ნედლეული, პროდუქციისა და მასალების სინჯები, რომლებიც გამოხატავს ნივთიერებათა გვარეობით ან ინდივიდუალურ, ფიზიკურ ან ქიმიურ თავისებურებებს. გამოკვლევის პროცესში ექსპერტს უფლება აქვს აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტების საცდელი ნიშუშები მათი იდენტიფიკაციის ან სხვაობის დასადგენად.

გამომძიებელს ან პროკურორს უფლება აქვს სპეციალისტისა და ექსპერტის მონაწილეობით პირისაგან აიღოს ნიშუში საექსპერტო გამოკვლევისათვის, თუ ეს არ არის დაკავშირებული მის გაშიშვლებასთან და არ მოითხოვს განსაკუთრებულ პროფესიულ ჩვევებს. თუ ნიშუშების აღება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის გაშიშვლებასთან, გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიშუშს იღებს ექიმი.

საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიშუში შეიძლება აიღონ ეჭვიმთავანისა და ბრალდებულისაგან.

თუ არსებობს მონაცემები, რომ შემთხვევის ადგილის კვალი ან ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება სხვა პირის დატოვებული იყოს, საექსპერტო გამოკვლევისათვის ნიშუში შეიძლება აიღონ მას შემდეგ რაც დაკითხვენ როგორც დაზარალებულს ან მოწმეს ამ ნიშუშთან დაკავშირებულ გარემოებათა გამო.

ნიშუშის აღების შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ნიშუშის ამღები პირი და ის პირი, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიშუში, როგორი ნიშუშებია ასაღები და რა რაოდენობით, როდის და ვისთან უნდა მივიდეს პირი ნიშუშების ასაღებად, როდის და ვის უნდა გადაეცეს ნიშუშები მათი აღების

შემდეგ, ნიმუშების აღების შესახებ დადგენილების შესრულება სავალდებულოა იმ პირისათვის, ვისაც იგი ეხება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებული და ეჭვმიტანილი, რომლებიც თავს არიდებენ ნიმუშების აღებას, შეიძლება იძულებით მოიყვანონ და ნიმუშიც იძულებით აიღონ, თუ საამისოდ გამოყენებული მეთოდები საფრთხეს არ უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას. დაზარალებულისა და მოწმისაგან ნიმუშების იძულებით აღება დაუშვებელია, გარდა 368-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა (კენერიული ან სხვა ინფექციური დაავადებების დადგენა და როდესაც ეჭვმიტანილი ან ბრალდებული მოითხოვს დაზარალებულის ან მოწმის ჩვენების შემოწმებას).

გამომძიებელი ან პროკურორი საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე მოქმედებს და იღებს ნიმუშს საექსპერტო გამოკვლევისათვის, ამასთან, შეიძლება გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდებიც, რომლებიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ნიმუშად მიღებული ბიოლოგიური ობიექტები იფუთება და ილუქება.

ნედლეულის, პროდუქციის, ნივთიერებისა და სხვა მასალების სინჯების ნიმუშების აღება ხდება ამოღების ან ჩხრეკის გზით.

გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება, რომ სისხლის სამართლის საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთოს ნიმუში და დადგენილებას ნიმუშის აღების ოქმთან ერთად უგზავნის შესაბამის ექსპერტს.

სსსკ 381-ე მუხლის შესაბამისად ნიმუშების მიღების დროს შეიძლება მოწვეული იქნეს ექიმი ან სხვა შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

გამომძიებელი ან პროკურორი ექიმს ან სხვა სპეციალისტს წარუდგენს შესაბამის პირს, აგრეთვე დადგენილებას მისგან ნი-

ბუშების ალების შესახებ. დადგენილებაში მითითებული უნდა იქნეს ამ საგამომიებო მოქმედების ყველა მონაწილის უფლება-მოვალეობები. ექიმის, სხვა სპეციალისტის, დამსწრეების აცილების საკითხს წყვეტს დადგენილების გამოტანით გამომძიებელი ან პროკურორი.

ექიმი ან სხვა სპეციალისტი ატარებს საჭირო მოქმედებას და იღებს ნიმუშს საექსპერტო გამოკვლევისათვის, რისთვისაც შეიძლება გამოიყენოს მეცნიერულ-ტექნიკური მეთოდები და საშუალებები, თუ ეს არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძლიერი ტკივილის შეგრძნების გამომწვევი სამედიცინო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც უნდა აიღონ ნიმუში, ხოლო თუ იგი 16 წლამდე ასაკისაა ან ფსიქიკურად ავადმყოფი ან ჭკუასუსტია მისი კანონიერი წარმომადგენლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით.

ნიმუშს ათვალთვლებენ, ფუთავენ, ლუქავენ, ხელს აწერენ და ნიმუშის ალების ოქმთან ერთად გადასცემენ გამომძიებელს ან პროკურორს.

ცხოველებისაგან ნიმუშების ალებას გამომძიებლის ან პროკურორის დავალებით ახდენს ექიმი-ვეტერინარი.

ნიმუშის ალებისას დაუშვებელია ადამიანის პიროვნების პატივისა და ღირსების შეურაცხმყოფელი მოქმედებები.

გამოკვლევის შემდეგ ექსპერტი დალუქულ ნიმუშს ურთავს თავის დასკვნას.

გამომძიებელი ან პროკურორი ექსპერტისაგან მიღებულ ნიმუშსა და დასკვნას ურთავს სისხლის სამართლის საქმეს.

§11. გვამის მსჯულება

დამარხული გვამის საფლავიდან ამოღება (გვამის ექსკუმაცია) ასევე წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებას, რომელსაც აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა (385-389-ე მუხ.).

იმისათვის, რომ მოხდეს გვამის ექსკუმაცია უნდა არსებობდეს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზანი და საფუძველი. ექსკუმაციის პროცედურა უთანხმდება დაკრძალვის ადგილის ადმინისტრაციას.

გვამის ექსკუმაცია ტარდება სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობით ხოლო თუ ეს საჭიროა სხვა სპეციალისტების მონაწილეობითაც.

გვამის ექსკუმაცია, როგორც წესი ხორციელდება: გვამის დათვალიერების, ამოსაცნობად წარდგენის, ნიმუშების აღების, ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების მიზნით.

ექსკუმაციის ჩატარებისას უნდა იყოს დაფიქსირებული რიგი გარემოებებისა: დაკრძალვის ადგილი (სასაფლაო, რიგი, საფლავის ნომერი და მისი მდგომარეობა, კუბოს მდებარეობის სიღრმე და მისი მდგომარეობა, გვამის პოზა და მდგომარეობა, ტანისამოსის მდგომარეობა, კუბოში არსებული საგნები, ძვირფასეულობა, მათ შორის რიტუალური ხასიათის).

ექსკუმაციის ჩატარებისას აუცილებელია განხორციელებული იქნეს ფოტოგადაღება, ვიდეოჩაწერა. დაკრძალვის ადგილის ფოტოგადაღება ხდება მის გახსნამდე. კუბოს მდგომარეობა ან გვამის უშუალოდ დაკრძალვის ადგილი კუბოს საერთო ხედი, ან გვამი-საფლავის ამოთხრის შემდეგ ასევე ყველა გამოვლენილი გარემოების ფიქსაცია.

როდესაც დაუდგენელია გარდაცვლილი პიროვნება — სახურავის ახდის შემდგომ უნდა მოხდეს გვამის ამოსაცნობი ფოტოგადაღება.

გვამის ამოცნობა და ნიმუშების აღება შედარებითი გამოკვლევისათვის შეიძლება განხორციელდეს მისი დაკრძალვის ადგილას. ამ შემთხვევაში დათვალიერების მიმდინარეობა და შედეგები უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი საგამომიებო მოქმედების ოქმში. თუ გვამი იქნა წარდგენილი ამოსაცნობად ან იყო წარდგენილი სხვა ადგილას ამოსაცნობად, მაშინ დგება შესაბამისი ოქმი ამოცნობის ჩატარების ან გვამის დათვალიერების შესახებ.

თუ ექსპერტის მიზანი იყო გვამის დათვალიერება ან მისი ამოცნობა, მაშინ ასეთი მოქმედების ჩატარებისას კუბო-გვამთან ერთად ექვემდებარება დაკრძალვას – საყოველთაოდ მიღებული მოთხოვნების დაცვით. თუ აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ან სხვა სახის ექსპერტიზა, მაშინ კუბო მასში არსებულ გვამთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი გამოკვლევის ადგილას (მაგ: სასამართლო-სამედიცინო მორგში). ამ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი დადგენილება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

ჯგუფური კუთვნილების დადგენის მიზნით ექსპერტიზებული გვამის გამოკვლევისას კეთდება ფრჩხილების, კბილების, თმების ანალიზი.

ექსპერტის შემდეგ გვამის დამარხვა ხდება იმ პირის თანდასწრებით, რომლის შუამდგომლობითაც მოხდა გვამი ექსპერტიზა, ხოლო მისი ნებართვით – ნათესავების თანდასწრებითაც.

გვამის ექსპერტიზის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც შეიძლება დაერთოს სამარხის, კუბოსა და გვამის ფოტოსურათები, კინო და ვიდეოგადაღების ფირები.

თაზი XII

წინასწარი გამოძიების დამთავრება. სისხლის-სამართლებრივი დევნის შეჩერება და შეწყვეტა

§1. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება

წინასწარი გამოძიების პროცესში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც აბრკოლებენ გამოძიების დამთავრებას და იწვევენ საქმის წარმოების შეჩერებას. სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერება საქმის წარმოების დროებით შეწყვეტას წარმოადგენს. სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერების უფლებამოსილება გააჩნიათ პროკურორს და მოსამართლეს (სასამართლოს). კერძოდ, პროკურორს და მოსამართლეს სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერების თაობაზე გამოაქვთ დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება.

სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლები ჩამოყალიბებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში. ამასთან, ამ მუხლით გათვალისწინებული „ა“ (თუ ბრალდებული მიიმალა) და „ბ“ (თუ უცნობია ბრალდებულის ადგილსამყოფელი) საფუძველი ამოღებულია 2006 წლის 29 დეკემბერს საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებით. ამიტომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა ჩერდება:

გ) თუ ბრალდებული მძიმე ავადმყოფობით დაავადდა, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ხოლო თუ ბრალდებული ფსიქიკურად დაავადდა, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, და მის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით გამოყენებულია იძულებითი მკურნალობა.

კანონი არ განმარტავს თუ რომელი დაავადება მიეკუთვნება მძიმე ავადმყოფობას, მხოლოდ მიუთითებს, რომ როგორც მძიმე ავადმყოფობის ფაქტები, ასევე ბრალდებულის ფსიქიკური დაავადების ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფო სამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ამასთან ფსიქიკური დაავადების შემთხვევაში პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით უნდა იყოს გამოყენებული იძულებითი მკურნალობა. ცხადია, ორივე შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა ჩერდება ბრალდებულის ან შეურაცხადი პირის გამოჯანმრთელებამდე.

ამასთან, სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერება დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამო უნდა განვასხვაოთ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ საქმის წარმოებისაგან იმ პირის მიმართ, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, რაც შეუძლებელს ხდის მის მიმართ სასჯელის დანიშვნას. ასეთ შემთხვევაში წინასწარი გამოძიება კი არ შეჩერდება, არამედ გაგრძელდება სსსკ 660-679-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

დ) თუ სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე.

ამ საფუძვლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საერთო სამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას თუ სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ესა თუ ის კანონი ან სხვა ნორმატიულ აქტი, რომელიც სასამართლომ უნდა გამოიყენოს ამ საქმის გადაწყვეტისას მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი უფლებამოსილია შეაჩეროს საქმის განხილვა და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით.

აღნიშნული საფუძველით სისხლისსამართლებრივი დევნა ჩერდება საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის დღიდან

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებაამდე.

ე) თუ დაისვა საკითხი პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

ცნობილია, რომ გარკვეული თანამდებობის პირები, კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი და სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლე, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო დამცველი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელი იმუნიტეტით სარგებლობენ და მათ მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია და საპროცესო კანონმდებლობა. თუ აუცილებელი გახდება აღნიშნული პირების მიმართ იმუნიტეტის ჩამორთმევა ან უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა, სისხლისსამართლებრივი დევნა მათ მიმართ შეჩერდება საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე.

ვ) საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს შესაბამისად საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის, მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

სისხლისსამართლებრივი დევნა შეჩერდება, თუ საქართველოს პარლამენტმა არ მისცა თანხმობა საქართველოს სახალხო დამცველის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მისცა თანხმობა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სისხლის

სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ არ მისცა თანხმობა საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე იმ ვადით, რა ვადითაც მას იცავს იმუნიტეტი.

ზ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143¹ ანდა 143² მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნა შეჩერდება სსკ 143¹, (აღამიანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი) და 143²-ზე (არასრულწლოვანით ვაჭრობა – ტრეფიკინგი) გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

კანონის თანახმად, ბრალდებულის მძიმე ავადმყოფობით დაავადების ან ფსიქიკურად დაავადების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის ნაადრევი შეჩერება დაუშვებელია. ნაადრევ შეჩერებაში იგულისხმება ის გარემოება, რომ ყველა საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება, რომელთა ჩატარებაც შესაძლებელია ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე უნდა იყოს განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებამდე.

კანონში აღნიშნული საფუძვლებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში პროკურორი ან მოსამართლე (სასამართლო) გამოიტანს დადგენილებას (განჩინებას) სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ. საპროცესო კანონი არ ადგენს მოთხოვნებს აღნიშნული საპროცესო დოკუმენტის შინაარსის მიმართ. მაგრამ კანონის ტექსტიდან გამომდინარე დადგენილება (განჩინება) უნდა იყოს დასაბუთებული, მოტივირებული. მასში უნდა იყოს ასახული ჩადენილი დანაშაულის გარემოებები, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი და პირობები.

ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში პროკურორი ან გამომძიებელი აცხადებენ ძებნას და ამის განხორციელებას ავალებენ საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან

საქმეთა სამინისტროებს ან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამის ორგანოს, რომელსაც ევალება თვეში ერთხელ მაინც წარუდგინოს ძეხნის გამომცხადებელს ანგარიში ძეხნასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ. ძეხნილის მიმართ შეიძლება შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება.

სსსკ 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმეში ჩაბმულია ორი ან რამდენიმე ბრალდებული, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი ყველა ბრალდებულს არ შეეხება, პროკურორს შეუძლია გამოყოს და შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა ცალკეული ბრალდებულის მიმართ.

სსსკ 29-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველების აღმოფხვრის შემთხვევაში პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განახლდება. შეჩერებული სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ მოსამართლეს ან პროკურორს გამოაქვთ დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება.

§2. სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტა

კანონის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის წარმოება მთავრდება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ინსტანციებში, ანუ საქმის წარმოება შეიძლება გაგრძელდეს და დასრულდეს საბოლოოდ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმემ დასრულებული სახე შეიძლება მიიღოს წინასწარ გამოძიებაშიც. აქედან გამომდინარე, წინასწარი გამოძიების ანდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა წარმოადგენს წინასწარი გამოძიების დამთავრების ერთ-ერთ ფორმას.

სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები იყოფა ორ ჯგუფად მატერიალურ-სამართლებრივ და საპროცესო-სამართლებრივ საფუძვლებად.

მატერიალურ-სამართლებრივს მიეკუთვნება ის საფუძვლები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაულის არსებობის ფაქტს ან სასჯელის გამოყენებას. ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება: სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობა; ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო; ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას: კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი, გასულია საქართველოს სსკ-ით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო; ქმედითი მონაწილის გამო; მსჯავრდებული შეწყალებულია; პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე სსკ 36-ე-38-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საპროცესო-სამართლებრივს მიეკუთვნება ის საფუძვლები, რომლებიც ხელს უშლიან საპროცესო კანონის ძალით საქმის შემდგომ გამოძიებას. კანონის თანახმად ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება: იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სასამართლოს (მოსამართლის) განჩინების (დადგენილების) არსებობა იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე; პროკურორის დადგენილების არსებობა სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ; პროკურორს ან დაზარალებულის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა; თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეთა გამო სისხლისსამართ-

ლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი; თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა სსსკ 679¹ და 679⁸ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გასულია სსსკ 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადა.

სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები ჩამოყალიბებულია სსსკ 28-ე მუხლში. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებიდან (ქმედება, ბრალი და მართლწინააღმდეგობა) თუ რომელიმე მათგანი არ არის სახეზე, მაშასადამე, არც დანაშაულს ჰქონია ადგილი. დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, მართალია, იწყება წინასწარი გამოძიება, მაგრამ აღნიშნული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას. შემოწმების შედეგების მიხედვით თუ არ დადასტურდა შეტყობინებაში მოცემული ცნობების სისწორე წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს. მაგალითად, შემოსული განცხადების საფუძველზე დაზარალებულს მიაყენეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, მაგრამ შემოწმებით დადასტურდა, რომ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. რადგანაც შემოწმებისას არ დადასტურდა განცხადებაში მოყვანილი ინფორმაციის სისწორე, ამიტომ აღნიშნულ ფაქტზე წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს.

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

როგორც უკვე აღინიშნა, მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. თუ შემოსული შეტყობინების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ განცხადებაში მოყვანილ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი

ჩადენილია აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დანაშაულის შეპყრობის, მართლზომიერი რისკის ან ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა სისხლის სამართლის კოდექსში სახელდებით არ არის მითითებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს, წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს.

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას; კანონიერების პრინციპის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენება დანაშაულის ჩადენის დროისათვის მოქმედი კანონი. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონის უკუძალა, კერძოდ, საქართველოს სსკ მე-3 მუხლის თანახმად, კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა, ანუ ახალი კანონის მოქმედება ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა მის მიღებამდე.

თუ ახალი კანონით მოხდა ქმედების დეკრიმინალიზაცია, ცხადია, ამ დანაშაულის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა ანდა წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს.

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება არაკონსტიტუციურად არის ცნობილი.

კონსტიტუციური კონტროლის უზენაესი ორგანო საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია სათანადო კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების საფუძველზე არაკონსტიტუციურად ცნოს კანონი. თუ კონკრეტული ბრალდება ემყარება არაკონსტიტუციურად ცნობილ კანონს, ცხადია, წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს.

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

ხანდაზმულობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შემდეგ გარკვეული ვადების გასვლას, რაც დადგენილია სისხლის სამართლის კანონით. სწორედ აღნიშნული ვადების გასვლის გამო პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მიზანშეუწონელია სასჯელის გამოყენება სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე. ამასთან, დანაშაულის გამოძიებაც ძნელდება, ცალკეულ შემთხვევებში კი შეუძლებელიც ხდება, რადგან ქრება დანაშაულის კვალი, რთულდება მტკიცებულებათა მოპოვება და ა.შ.

ხანდაზმულობის ვადები გათვალისწინებულია სსკ 71-ე მუხლით. თუ გასულია აღნიშნული ვადები წინასწარი გამოძიება შეწყდება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

კანონი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს, მაგრამ მისი დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან კვლავ განახლდება ხანდაზმულობის ვადის დინება.

ვ) თუ გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

ამნისტია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს პატიებას. ამნისტიის აქტი მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტია არის როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ასევე სასჯელისაგან პირის განთავისუფლების საფუძველი და იგი

გამოიყენება როგორც ბრალდებულის, ასევე მსჯავრდებულის მიმართაც. სსკ 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. ამნისტიის აქტით შესაძლებელია ასევე პირს მოეხსნას ნასამართლობა.

თუ ამნისტიის აქტი ეხება ცალკეული დანაშაულის ჩამდენ პირებს, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, ხოლო თუ მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, იგი უნდა შეწყდეს. ამასთან აუცილებელია თვით ბრალდებულის თანხმობა. თუ ბრალდებული წინააღმდეგია ამნისტიის აქტის საფუძველზე გათავისუფლდეს, რადგან თვლის, რომ უდანაშაულოა და ითხოვს სრულ რეაბილიტაციის გამართლების სახით, ასეთ შემთხვევაში საქმეზე წარმოება არ წყდება, გრძელდება პროცესი და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამნისტიის აქტის საფუძველზე მხოლოდ ის ბრალდებული თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე და მხოლოდ ის მსჯავრდებული, რომლის მიმართაც განაჩენი გამოტანილ იქნა ამნისტიის აქტის კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ზ) თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი კერძო-საჯარო და კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეთა გამო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი (სსკ 27-ე მ. მე-4 ნაწ.);

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება სსკ 137-ე მუხლის I ნაწილით, 138-ე მუხლის I ნაწილით, 139-ე, 153-ე, 157-ე, 167-ე, 175-ე, 189-ე და 189¹-ე მუხლებით

გათვალისწინებული დანაშაულთა შემადგენლობები, ზოლო კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება სსკ 120-ე და 125-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულთა შემადგენლობები. როგორც კერძო-საჯარო, ასევე კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაზარალებულის საჩივრით ან განცხადებით, რომელთა განხილვა სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის. თუმცა ასეთი სახის საჩივარი ან განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს პროკურატურაშიც, მაგრამ პროკურორი ან გამომძიებელი ვალდებული არიან გადააგზავნონ ისინი სასამართლოში განსჯადობის მიხედვით. სსსკ 26-ე მუხლის თანახმად, კერძო-საჯარო ბრალდების საქმეთა წარმოება ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგების გამო არ წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. ამასთან, შესაძლებელია, სისხლისსამართლებრივი დევნა აღნიშნულ საქმეთა გამო დაიწყოს პროკურორმა დაზარალებულის საჩივრის გარეშეც თუ დაზარალებულს უმწეო მდგომარეობის ან ბრალდებულზე დამოკიდებულების გამო არ შეუძლია დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ან თუ საქმეს აქვს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ოღონდ იმ პირობით, რომ ქმედუნარიან დაზარალებულს ამაზე წერილობითი თანხმობა უნდა ჰქონდეს მიცემული.

რაც შეეხება კერძო სისხლის სამართლებრივ დევნას, სსსკ 27-ე მუხლის თანახმად, იგი უნდა შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო. ამასთან, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლო გამოძიების დაწყებამდე ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში, თუ ამას წერილობით მოითხოვენ მხარეები, ანდა მოითხოვს მხოლოდ დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი. პროკურორი უფლებამოსილია ჩაებას აღნიშნული კატეგორიის საქმეში, თუ მას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამარ-

თლებრივი ღვენა არ შეიძლება შეწყდეს მხარეთა შერიგებით.

თ) თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა სსსკ-96-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 27-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა, აგრეთვე საქართველოს სსკ 69-ე და 89 1-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როგორც უკვე აღინიშნა, კერძო ბრალდების საქმეზე თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს სისხლის სამართლებრივი ღვენა უნდა შეწყდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმეში მონაწილეობს პროკურორი. აგრეთვე სსკ 69-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა პირველად ჩაიღინა დანაშაული, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, იგი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ შეურიგდება დაზარალებულს. სსკ 89 1-ე მუხლის თანახმად კი, არასრულწლოვანიც გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მან პირველად ჩაიღინა ნაკლებად მძიმე დანაშაული და თუ იგი შეურიგდა დაზარალებულს.

ი) თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით სისხლის სამართლებრივი ღვენის შეწყვეტის თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე თუ ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინება (დადგენილება) იმავე ბრალდებით სისხლის სამართლებრივი ღვენის შეწყვეტის თაობაზე წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი ღვენა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს.

კ) თუ არსებობს სასამართლოს ან პროკურორის დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნული საფუძველიც გამომდინარეობს კონსტიტუციით განმტკიცებული ზემოთაღნიშნული დებულებიდან. თუ სასამართლომ ან პროკურორმა გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ და იმავე ბრალდების საქმეზე განმეორებით შემოვა შეტყობინება დანაშაულის ფაქტთან ან მის ჩამდენ პირთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, რადგან უკვე არსებობს სასამართლოს ან პროკურორის დადგენილება, რომელიც არ არის გაუქმებული.

ლ) თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში.

კანონის თანახმად, დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდება, რომ ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო.

ვითარების შეცვლა დანაშაულის ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ობიექტური ცვლილება უნდა იყოს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს თუნდაც ლოკალური ხასიათი, ანუ საკმარისია ვითარების შეცვლა კონკრეტულ, დასახლებული პუნქტის, დაწესებულების ან ოჯახის მასშტაბით. მაგალითად, სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმება უკარგავს საშიშროებას ისეთ მოქმედებას, რომელიც ითვლება დანაშაულად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამო. ვითარების შეცვლა შეეხება მხოლოდ ქმედებას და არა დამნაშავის პიროვნებას.

მ) თუ პროკურორი და დაზარალებული უარს იტყვიან ბრალ-

დებაზე სსსკ-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

პროკურორი საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნისას სახელმწიფო ბრალდებას უჭერს მხარს, დაზარალებული კი კერძო სისხლის სამართლებრივი დევნისას კერძო ბრალმძებელია. თუ ისინი უარს იტყვიან ბრალდების მხარდაჭერაზე, რაც ფაქტობრივად გამოძიების გაგრძელებაზე უარის თქმის ტოლფასია, წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს, რადგან არ არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის საგანი – ბრალდება.

6) სსსკ 679 1-ე მუხლის მე-5 ნაწილით და 679 8-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

აღნიშნული მუხლები საპროცესო შეთანხმებას უკავშირდება. კერძოდ, სსსკ 679 1-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილის მოხსნის თაობაზე, ხოლო 679 8-ე მუხლი ითვალისწინებს პროკურორის ვალდებულებას შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ.

წინასწარ გამოძიებაში საპროცესო შეთანხმების დადება სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ო) დანაშაულზე ნებაყოფილობით ხელის აღების გამო (სსკ 21-ე მ.).

დანაშაულზე ნებაყოფილობით ხელის აღება დანაშაულის დამთავრებამდე გამოყენებული წამახალისებელი ნორმაა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან პირის გათავისუფლების საფუძველია, მაგრამ ამისათვის ორი პირობა უნდა იყოს სახეზე: პირმა დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფილობით და საბოლოოდ

უნდა აიღოს ხელი დანაშაულის ჩადენაზე. ამასთან ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი უნდა ჰქონდეს დანაშაულებრივი შედეგის დადგომამდე. საქართველოს სსკ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

თუ დანაშაულზე ხელი აიღო პირმა და ხელის აღება იყო ნებაყოფლობითი და საბოლოო, წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ანდა შეწყდეს.

3) ქმედითი მონაწილის გამო (სსკ 68-ე, 322 მ. და 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებულ შემთხვევებში).

ქმედითი მონაწილება გულისხმობს ბრალდებულის აქტიურ მოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულის შედეგების თავიდან აცილებას. ქმედითი მონაწილება სისხლის სამართალში განიხილება როგორც ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოება. სსკ 68-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს პირი, რომელმაც პირველად ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას, დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი.

ბრალის აღიარებით გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ პირი ნებაყოფლობით ცხადდება პროცესის მწარმოებელ ორგანოში და აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. დანაშაულის გახსნისათვის ხელის შეწყობა გულისხმობს იმას, რომ პირი აქტიურად

თანამშრომლობს გამოძიების ორგანოსთან, აწვდის მას ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, მოტივის შესახებ თანამონაწილეთა შესახებ, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მატერიალური ფასეულობის ადგილსამყოფელის შესახებ და ა.შ.

ზიანის ანაზღაურებაში კი იგულისხმება დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება როგორც ფულადი, ასევე ნატურალური კომპენსაციის ფორმით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ზემოთ დასახელებულ მუხლებში მითითებული შემთხვევები შეიცავენ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების სპეციალურ საფუძვლებს.

ე) მსჯავრდებული შეწყალებულია.

შეწყალების აქტს გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ. ამ აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სსკ 78-ე მუხლის თანახმად სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

სსსკ 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა აგრეთვე არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევს იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე საქართველოს სსკ 36-ე-38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება დანაშაულის სუბიექტს, რომელსაც ორი ნიშანი ახასიათებს – ასაკი და შერაცხადობა.

მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართლებრივი პასუხ-

ისმგებლობის ასაკად განსაზღვრელი იყო 14 წელი. მაგრამ სსსკ-ში 2007 წლის 23 მაისს შესული ცვლილებით აღნიშნულმა ასაკობრივმა ზღვარმა დაიწია 12 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

დანაშაულის სუბიექტის ასაკის დადგენა აუცილებელია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, რადგან თუ დანაშაულის სუბიექტი საქმეში არსებული ფაქტობრივი მონაცემებით არ არის მიღწეული კანონით დადგენილი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული უნდა შეწყდეს.

ასევე წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ანდა შეწყდეს, თუ ადგილი აქვს შეცდომას (ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელიც ჩადის აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვევებელია – სსსკ 36-ე მ.), ბრძანების ან განკარგულების შესრულებას (ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე სსსკ 37-ე მ.) ან თუ პირმა ქმედება ჩაიდინა სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა სსკ-ში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს (სსკ 38-ე მ.).

ბ) გარდაიცვალა ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისა და ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების წარმართვისათვის.

ამ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს დანაშაულის სუბიექტის არარსებობის გამო. ამ საერთო წესიდან არსებობს ორი გამონაკლისი: 1) როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვლილის რეაბილიტაციისათვის და

2) ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჭიროა გამოძიების წარმართვა.

თუ საქმეში არის ისეთი ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ გარდაცვლილის არაბრალეულობაზე ან თუ საქმის წარმოებისას დაშვებულია ისეთი არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებმაც გავლენა მოახდინა გარდაცვალებულის ბრალეულად ცნობაზე გარდაცვლილის დამცველს, მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებს, მეგობრებს შეუძლიათ მოითხოვონ საქმის წარმოების გაგრძელება გარდაცვლილის რეაბილიტაციისათვის მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად. ასევე, თუ ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჭირო გახდება სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა სხვა პირთა მიმართ, საქმის წარმოება გაგრძელდება გარდაცვლილის მიმართ.

გ) გასულია სსსკ 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადა.

სსსკ 75-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადა შეადგენს 12 თვეს, ანუ დანაშაულის ერთი და იგივე შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეიძლება მიცემული იყოს არაუმეტეს 12 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალდება. აღნიშნული ვადის გასლისთანავე წყდება სისხლის სამართლებრივი დევნა პირის მიმართ ან საქმე წარიმართება სასამართლოში არსებითად განსახილველად. ასეთი ბრალდების წაყენებისას აღნიშნული ვადის დინება წყდება და იგი გამოითვლება ახალი ბრალდების წაყენების დღიდან.

აღნიშნულ 12 თვიან ვადაში არ ითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებულის მიმართ შეუძლებელი იყო საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარება მისი ავადმყოფობის გამო, ანდა იმის გამო, რომ იგი ემალება გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა, ან თავს არიდებდა გამოძიებას, ანდა მას იცავდა იმუნიტეტი.

დ) საქართველოს სსკ 344-ე მუხლით ან 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სსკ 143 1-ე ანდა 143 2-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

თუ პირს ბრალად ედება საქართველოს სახელმწიფო საზღვრების უკანონოდ გადაკვეთა (სსკ 344-ე მ). ან ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (სსკ 362-ე მ), რომელიც მან ჩაიდინა იმის გამო, რომ იგი დაზარალებულის სტატუსით გადიოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის – 143 1-ემ.) და არასრულწლოვანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის – სსკ 143 2-ე მ.) საქმეებზე სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს მის მიმართ, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, რადგან აღნიშნული დანაშაულის ჩადენა მიზნად ისახავდა ტრეფიკინგისაგან თავის დაღწევას. მართალია, პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება, მაგრამ იმის გამო, რომ ის იყო სხვა დანაშაულის მსხვერპლი, კერძოდ, გადაბირებული, გადაყვანილი, გადამალული, დაქირავებული, გადაცემული, შეფარებული, მოტყუებული, უძწეო მდგომარეობაში მყოფი და უნდოდა განთავისუფლებულიყო ექსპლუატაციისაგან და მის მიერ ზემოთაღნიშნული დანაშაულების ჩადენა იყო ერთადერთი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს.

აღნიშნული საფუძვლების გარდა სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს აგრეთვე საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ ბრალდების იმ ნაწილში, რომლისთვისაც იგი არ ყოფილა გადმოცემული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

ჩვენ განვიხილეთ წინასწარი გამოძიების ანდა სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები.

სსსკ 28-ე მუხლის I ნაწილს „ა“ (თუ არ არსებობს სისხლის

სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება) და „ბ“ (თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო) აღნიშნული საფუძვლები თუ გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. გამამართლებელი განაჩენი გამოდის საქართველოს სსკ 36 (შეცდომა), 37-ე (ბრძანების ან განკარგულების შესრულება), 38-ე (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს) მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც.

სსსკ 28-ე მუხლის „ვ“ (თუ გამოცემულია ამინისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან) და „კ“ (ქმედითი მონანიების გამო) ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებები თუ გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის მოხდისაგან პირის განთავისუფლებით.

აღსანიშნავია, რომ თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან გასულია სსკ-ით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, ან გამოცემულია ამინისტიის აქტი, აგრეთვე ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში, ასევე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო და ქმედითი მონანიების გამო სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი დევნა ანდა წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით.

თუ ბრალდებული თვლის, რომ იგი უდანაშაულოა, მას არ ჩაუდენია ინკრიმინირებული ქმედება, კანონი მას აძლევს უფლებას მოითხოვოს საქმის წარმოების გაგრძელება სასამართლოში,

სადაც საჯაროობის, ზეპირობის და მხარეთა თანასწორობის პირობებში აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს მისი დისკრიმინირებული სახელის, შებლალული პატივისა და ღირსების აღდგენას და სრულ რეაბილიტაციას.

საქმის წარმოებისას თუ გამოვლინდება სსსკ 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების სახით. იგივე გადაწყვეტილება გამოაქვს მოსამართლეს დადგენილების სახით, ხოლო სასამართლოს განჩინების სახით.

დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ შედგება შესავალის, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები-საგან.

შესავალ ნაწილში უნდა იყოს მოცემული დადგენილების (განჩინების) შედგენის დრო და ადგილი, მოსამართლის ან პროკურორის გვარი, თანამდებობა, ცნობები განსახილველი საქმის შესახებ.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა იყოს მოცემული წინასწარი გამოძიების დაწყების ანდა სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი, გამორკვეული გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტას. აუცილებელია საქმის შეწყვეტის მოტივების ღრმა ანალიზი, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს საქმეზე შეკრებილ მასალებს.

სარეზოლუციო ნაწილში კი უნდა იყოს მოცემული მოსამართლის ან პროკურორის გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის, აგრეთვე აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, ქონების ყადაღის გაუქმების, ნივთიერი მტკიცებულებებისა და შეტანილი სამოქალაქო სარჩელის ბედის შესახებ.

კანონის თანახმად, მარეაბილიტირებელ საფუძველზე სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისას დაუშვებელია დადგენილებაში (განჩინებაში) ისეთი ფორმულირების შეტანა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პირის უდანაშაულობას.

სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) ასლები ეგზავნებათ ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველს, დაზარალებულს და მის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენელს, აგრეთვე იმ პირს, რომლის განცხადებითაც დაიწყო წინასწარი გამოძიება. აღნიშნულ პირებს განემარტებათ საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრების უფლება და წესი.

დასახელებულმა პირებმა საჩივარი სასამართლოში უნდა შეიტანონ დადგენილების (განჩინების) ასლის მიღებიდან 15 დღელამის განმავლობაში. საჩივარი განიხილება ზოგადი წესის შესაბამისად, სსსკ 238-ე, 242-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. მოსამართლის განჩინება გასაჩივრდება კერძო საჩივრის წესით.

კანონი ითვალისწინებს შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების განახლების შესაძლებლობას. კერძოდ, სსსკ მე-400 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა ანდა გამოძიება უნდა განახლდეს, თუ სასამართლომ (მოსამართლემ) ან პროკურორმა გაუქმა დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ოღონდ იმ პირობით, თუ არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ზანდაზმულობის ვადა. სისხლის სამართლებრივი დევნის განახლების შესახებ უნდა ეცნობოს ზემოთ დასახელებულ პირებს.

§3. წინასწარი გამოძიების დამთავრება და საქმის გაგზავნა სასამართლოში

წინასწარი გამოძიების დამთავრების ფორმები.

წინასწარი გამოძიების დამთავრება სისხლის სამართლის საქმის წარმოების მნიშვნელოვანი ეტაპია. როცა გამოძიებელი მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმის გარემოებები გამოკვლეულია ყოველმხრივ, სრულყოფილად, ობიექტურად, შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები, გადაჭრილია წინასწარი გამოძიების სტადიის ამოცანები, იგი უფლებამოსილია წესრიგში მოიყვანოს საქმის მასალები, დაალაგოს ისინი გარკვეული თანმიმდევრობით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდების ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირთა მიხედვით, დანომროს საქმის ფურცლები, აღწეროს ყველა დოკუმენტი, მასალა, აკინძოს ისინი და მიიღოს გადაწყვეტილება საქმის შემდგომი წარმართვისათვის.

წინასწარი გამოძიება მთავრდება:

- 1) საბრალდებო დასკვნის შედგენით და საქმის არსებითად განსახილველად სასამართლოში წარმართვით;
- 2) დადგენილების გამოტანით სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ;
- 3) დადგენილების გამოტანით სამედიცინო ხასიათის იძულებითი, ღონისძიების გამოსაყენებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

წინასწარი გამოძიების დამთავრებისას ყველა შემაჯამებელ საპროცესო დოკუმენტს ადგენს პროკურორი.

დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ გამოაქვს პროკურორს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდება დანაშაულის ჩამდენი პირის შეურაცხადობა ან დადგინდება წინასწარი გამოძიების

პროცესში ფსიქიკური დაავადება, რაც გამორიცხავს სასჯელის დანიშვნას და განაჩენის აღსრულების შესაძლებლობას.

დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ გამოაქვს პროკურორს სსსკ 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

წინასწარი გამოძიება ძირითადად მთავრდება საბრალდებო დასკვნის შედგენით და საქმის არსებითად განხილვისათვის სასამართლოში გაგზავნით. ამიტომ წინასწარი გამოძიების დასრულების და საქმის მასალების წესრიგში მოყვანის შემდეგ გამოძიებელი სისხლის სამართლის საქმეს საბრალდებო დასკვნის შედგენის მიზნით დაუყოვნებლივ უგზავნის პროკურორს.

ამასთან საბრალდებო დასკვნის შედგენამდე კანონი ითვალისწინებდა გამოძიების დამთავრების შესახებ შეტყობინებას დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის და მათი წარმომადგენლების მიმართ, საქმის მასალების გაცნობას როგორც აღნიშნული პირებისათვის, ასევე ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის, საპროცესო დოკუმენტების ასლის გადაცემას, საქმის მასალების გაცნობის წესს, დროს, წინასწარი გამოძიების შევსების მიზნით შუამდგომლობის აღძვრასა და განხილვას, მაგრამ აღნიშნული ნორმები 2005 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსსკ-ში შეტანილი ცვლილებებით ამოღებულ იქნა, რაც არ მიგვაჩნია მართებულად. მართალია, მოქმედი კანონის თანახმად, გამოძიების დამთავრების და საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამოძიებელი წერილობით ატყობინებს ბრალდებულს, დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს და ამასთან ერთად გამოძიებელი ბრალდებულსა და მის დამცველს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ხარჯით გადაიღონ

სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლი, ხოლო თუ ბრალდებული არასმქონეა აღნიშნული ასლები მას გადაეცემა სახელმწიფოს ხარჯზე, მაგრამ ბრალდებული და დამცველი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას აღძრან შუამდგომლობა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოთხოვნით წინასწარი გამოძიების შევსების მიზნით, რაც ბრალდებულის დაცვის უფლების სერიოზულ შეზღუდვას წარმოადგენს.

საბრალდებო დასკვნის შედგენა და საქმის სასამართლოში გაგზავნა.

საბრალდებო დასკვნა წინასწარი გამოძიების შემაჯამებელი უმნიშვნელოვანესი საპროცესო დოკუმენტია. საბრალდებო დასკვნაში უნდა იყოს მოცემული წინასწარი გამოძიების შედეგები, გამოძიებით დადგენილი ბრალდების ფორმულირება, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზი. საბრალდებო დასკვნა განსაზღვრავს ბრალდების ფარგლებს და სასამართლო განხილვის მოცულობას. იგი ბრალდებულს ხელს უწყობს თავისდროულად მოემზადოს სასამართლო განხილვაში მონაწილეობისათვის. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ იგი სისტემატიზირებას ახდენს წინასწარი გამოძიების მთელი მასალის და განსაზღვრავს სასამართლო განხილვის ფარგლებს.

კანონის თანახმად, საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა და სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის საფუძველი.

საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს პროკურორი.

საბრალდებო დასკვნა ფორმითა და შინაარსით უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

საბრალდებო დასკვნა შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. შესავალ ნაწილში უნდა იყოს დასახელებული სისხლის სამართლის საქმის

ნომერი, ბრალდებულის სახელი, გვარი, მამის სახელი, სქესი, დაბადების ადგილი და დრო; საცხოვრებელი ადგილი, ნასამართლობა; სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (მუხლები), მუხლის ნაწილი (ნაწილები), რომლის (რომელთა) მიხედვითაც კვალიფიცირდება ბრალდებულის (ბრალდებულთა) ქმედება.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა იყოს ასახული საქმის არსი: დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი, საშუალება, მოტივები, შედეგი და სხვა გარემოებები; მტკიცებულებათა ნუსხა, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის ბრალეულობას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი; ბრალდებულის თავის დასაცავად მოყვანილი მტკიცებულებები და მათი შემოწმების შედეგები საქმის ფურცლების მითითებით.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი შეიძლება გადმოცემული იყოს ქრონოლოგიური, სისტემატური და შერეული ხერხების გამოყენებით. ქრონოლოგიური ხერხის გამოყენებისას საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა იყოს აღწერილი წინასწარ გამოძიებაში დადგენილი წესითა და სახით; სისტემატური მეთოდის გამოყენებისას კი საქმის ფაქტობრივი გარემოებები უნდა იყოს აღწერილი იმ თანმიმდევრობით, როგორც განხორციელდა დანაშაული; რაც შეეხება შერეულ მეთოდს, იგი შეიცავს როგორც ქრონოლოგიური, ისე სისტემატური მეთოდის ელემენტებს და ძირითადად გამოიყენება მრავალეპიზოდთან საქმეებზე.

სარეზოლუციო ნაწილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული მონაცემები ბრალდებულის პიროვნების შესახებ, წაყენებული ბრალდების ფორმულირება სსკ იმ მუხლის (მუხლების) აღნიშვნით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის. აღსანიშნავია, რომ ბრალდების ფორმულირება უნდა შეესაბამებოდეს ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებებაში მიცემის დადგენილებას. თუ დადგება ბრალდების შეცვლის ან შეკლების აუცილებლობა, პროკურორმა ახალი ბრალდება უნდა ჩამოაყალიბოს საბრალდებო დასკვნაში. ამ შემთხვევაში პირის ბრალ-

დებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ახალი დადგენილების გამოტანა საჭირო არ არის.

თუ რამდენიმე ბრალდებულია მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, საბრალდებო დასკვნაში თითოეულ ბრალდებაზე ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული ჩადენილი დანაშაულის გარემოებები, მათი იურიდიული კვალიფიკაცია და სხვა გარემოებები.

საბრალდებო დასკვნას დაერთვის სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია, რომელიც უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისაგან – ბრალდების დამადასტურებელ პირთა და ბრალდებულისა და დამცველის მიერ დასახელებულ პირთა სიისაგან. სასამართლო სხდომაზე გამოსაძახებელ პირთა სიაში უნდა იყოს მითითებული მათი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, აგრეთვე საქმის ფურცლები, სადაც ჩამოყალიბებულია მათი ჩვენებები ან დასკვნები.

საბრალდებო დასკვნას დაერთვის აგრეთვე ცნობები გამოძიების ვადების შესახებ, აღკვეთის ღონისძიების შესახებ პატიმრობაში ყოფნის დროის მითითებით; ნივთიერი მტკიცებულებების შესახებ; სამოქალაქო სარჩელის ან სისხლის სამართლებრივი იძულებითი ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომებისა თუ საპროცესო ხარჯების შესახებ.

პროკურორი წინასწარ გამოძიებაზე ახორციელებს რა საპროცესო ხელმძღვანელობას ვალდებულია წინასწარი გამოძიების დამთავრებისას კიდევ ერთხელ შეამოწმოს საქმის ყველა მასალა და მიიღოს გადაწყვეტილება – არის თუ არა საფუძველი საქმის სასამართლოში გასაგზავნად. საქმის მასალების გაცნობისას პროკურორი აფასებს შეკრებილ მტკიცებულებებს, ამოწმებს საქმეზე გამოძიებლის მიერ ჩატარებული მოქმედებებისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებლობას.

იმისათვის, რათა არ დაუშვას ისეთი საქმის გაგზავნა სასამართლოში, რომელსაც აქვს ხარვეზები მტკიცებით მასალაში

ან დაშვებულია კანონის დარღვევა, რაც ხელს უშლის სასამართლო განხილვას, პროკურორი მოვალეა შეისწავლოს საქმე და შეამოწმოს: იყო თუ არა ქმედება, რომელიც ბრალდებულს ერაცხება და არის თუ არა ამ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა; ხომ არ არსებობს სისხლის სამართლებრივი ღვეზის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები; ყოველმხრივ, სრული და ობიექტურია თუ არა წინასწარი გამოძიება; დასაბუთებულია თუ არა წაყენებული ბრალდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით; წაყენებული აქვს თუ არა პირს ბრალდება ყველა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა; მიცემულია თუ არა პასუხისგებაში ბრალდებული, ასევე დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყველა პირი; სწორია თუ არა დანაშაულის კვალიფიკაცია; სწორად არის თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება; მიღებულია თუ არა ზომები წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის ანდა ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. გამოვლენილია თუ არა მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას და მიღებულია თუ არა ზომები მათ აღსაკვეთად; დაცულია თუ არა წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ სსსკ-ის ყველა მოთხოვნა.

პროკურორი ვალდებულია 5 დღე-ღამის განმავლობაში განიხილოს შემოსული საქმე და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა, თუ მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძველი საქმის სასამართლოში გადასაგზავნად;

პროკურორი საბრალდებო დასკვნას აღდგენს იმ შემთხვევაში, თუ მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება არის ჩატარებული სრულყოფილად, ყოველმხრივ, ობიექტურად და სსსკ 412-ე მუხლით გათვალისწინებულ, მის მიერ შესამოწმებელ საკითხებზე გასცემს დადებით პასუხს.

ბ) დაუბრუნოს საქმე თავისი წერილობითი მითითებებით გა-

მომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად;

სისხლის სამართლის საქმე უბრუნდება გამომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, თუ საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოვლენილ იქნა: გამოძიების არასისრულე და ცალმხრივობა, სისხლის სამართლის საქმის არასწორი გაერთიანება ან გამოყოფა; თუ არსებობს საფუძველი ბრალდების შესაცვლელად უფრო მძიმე ბრალდებაზე ან ადრე წარდგენილი ბრალდებისაგან არსებითად განსხვავებულ ბრალდებაზე; ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევის გამო და სსსკ სხვა არსებითი დარღვევების გამო.

პროკურორი როცა მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ მოვალეა მიუთითოს: რაში მდგომარეობს გამოძიების დროს კანონის დარღვევა და როგორ უნდა იყოს იგი აღმოფხვრილი; რა დამატებითი გარემოებები უნდა იყოს დადგენილი ხელახალი გამოძიებისას; რომელი საგამომძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს და რა გარემოებების გამოსარკვევად.

განმეორებით საქმის შესწავლის შემდეგ პროკურორი მოვალეა შეამოწმოს — შესრულდა თუ არა მისი მითითებები, ხოლო თუ არ არის შესრულებული, ხელახლა უნდა დააბრუნოს დამატებით გამოძიებაში.

დამატებით გამოძიებაში საქმის დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს საქმის სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის ინტერესით.

გ) შეწყვეტოს სისხლის სამართლებრივი დევნა და შეადგინოს შესაბამისი დადგენილება კანონით დადგენილი წესით.

პროკურორი უფლებამოსილია შეწყვიტოს სისხლის სამართლებრივი დევნა თუ არსებობს სსსკ 28-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველებიდან ერთ-ერთი. ამასთან, სისხლის სამართლებრივი დევნა შეიძლება შეწყდეს მოცემული ბრალდებულის მიმართ, მაგრამ მთელი წარმოება საქმეზე არ შეწყდეს იმის

გათვალისწინებით, რომ არ არის გამორიცხული სხვა პირთა მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში.

საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ პროკურორი საბრალდებო დასკვნის ასლს აბარებს ბრალდებულს, ხოლო თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩაბარდეს მის დამცველს.

კანონი არ მიუთითებს თუ რა ვადაში უნდა ჩაბარდეს ბრალდებულს საბრალდებო დასკვნის ასლი, რაც კანონის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. საბრალდებო დასკვნის ასლის გადაცემა პროცესის სხვა მონაწილეებისათვის სავალდებულო არ არის. მხოლოდ მათი მოთხოვნის შემთხვევაში შეიძლება იგი გადაეცეს დამცველს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს.

საბრალდებო დასკვნა დაერთვის საქმეს. პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს განსჯადობის მიხედვით უგზავნის შესაბამის სასამართლოს საბრალდებო დასკვნის შედგენიდან 48 საათში.

სასამართლოში საქმის გადაგზავნის შესახებ პროკურორი ან გამოძიებელი პროკურორის თანხმობით ატყობინებს ბრალდებულს, დამცველს, ბრალდებულის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს. თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, გამოძიების დამთავრების შესახებ გამოძიებელი დაუყოვნებლივ, წერილობით ატყობინებს ბრალდებულის დამცველს. შეტყობინების ფორმა კანონით არ არის დადგენილი. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შემდეგ ბრალდებულსა და მის დამცველს უფლება აქვთ ნივთიერ მტკიცებულებებს გაეცნონ სასამართლოში, რის შესახებაც მათ უნდა განუმარტოს გამოძიებელმა.

კანონი ითვალისწინებს საქმის სასამართლოში გაგზავნას ექსპერტიზის დასკვნის გარეშე.

საქმე შეიძლება გაიგზავნოს სასამართლოში ექსპერტიზის დასკვნის გარეშე იმ შემთხვევაში, როცა მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიღება ჭიანჭურდება და ამასთან არსებობს საბრალოდებო დასკვნის შესადგენად საკმარისი მტკიცებულებები. ამ შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა შესაძლებელია საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს. სსსკ 416 2-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებული არიან საბრალოდებო დასკვნის შედგენამდე ერთმანეთს აცნობონ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. თუ მხარეს არ ეცნობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ექსპერტიზის დასკვნა საქმის არსებითი განხილვის დროს წარმოადგენს დაუშვებელ მტკიცებულებას.

სასამართლოსათვის საქმის გადაცემის შემდეგ ყოველგვარი შუამდგომლობა და საჩივარი წარედგინება უშუალოდ სასამართლოს.

თავი XIII

ზოგადი ღებულებანი სასამართლო განხილვის შესახებ

§ 1. სასამართლოში საქმის განხილვის არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართლის პროცესში, სასამართლო განხილვა სრულებით მართებულადაა მიჩნეული სისხლის სამართლის პროცესის ძირითად და უმნიშვნელოვანეს სტადიად. ზოგჯერ მას წინასწარი გამოძიებისაგან გასამიჯნავად მოიხსენიებენ როგორც „საბოლოო წარმოება“, „მთავარი წარმოება“.

სასამართლო განხილვა არ დაიყვანება წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების უბრალო შემოწმებაზე, სასამართლო განხილვისას მტკიცებულებები შეისწავლება და მოწმდება უშუალო პირველწყაროებთან მიმართებაში. სასამართლო განხილვისას სისხლის სამართლის საქმე შეისწავლება სასამართლოსა და მხარეების მიერ საჯაროობის, ზეპირობის, უშუალობისა და შეჯიბრებითობის პირობებში.

სასამართლო მოწოდებულია სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას გამოავლინოს განსასჯელის როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი გარემოებები, ასევე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. მხოლოდ სასამართლო განხილვის შედეგების მიხედვითაა უფლებამოსილი სასამართლო ცნოს განსასჯელი ბრალეულად და შეუფარდოს სასჯელის ღონისძიება. სასამართლო განხილვა მთავრდება განაჩენის გამოტანით, რომელიც ცხადდება საქართველოს სახელმწიფოს სახელით.

სასამართლო სხდომას, რომელიც ტარდება ღიად, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არა მარტო გამოვლენილ იქნეს დანაშაულის გა-

მომწვევი მიზეზები და პირობები, არამედ შემუშავებულ იქნეს მათი აღმომფხვრელი ღონისძიებები.

მართლმსაჯულების წინაშე არსებული ამოცანების ზუსტად განხორციელების საქმეში დიდ როლს თამაშობს სასამართლო განხილვის სწორი ორგანიზება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო პროცესების ჩატარების კულტურას, ეთიკური ნორმების გამოყენებას და კანონიერების დაცვას, მოქალაქეებს უნდა განუმტკიცდეს სამართლიანობის რწმენა და კანონებისადმი პატივისცემა.

სასამართლოს მოქმედება, სასამართლოს დამოკიდებულება განსასჯელისადმი, დაზარალებულისადმი, პროკურორისადმი, დამცველისადმი, მოწმისადმი და, საერთოდ, პროცესის ყველა მონაწილისადმი უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ სამართლის ნორმების მოთხოვნებს, არამედ ეთიკის, მორალის პრინციპებსა და ნორმებს.

სასამართლო განხილვის ზოგად დებულებებს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უთმობს ორმოცდამე-თერთმეტე თავს, კერძოდ, 435-ე მუხლიდან – 456-ე მუხლის ჩათვლით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ თავში მოქცეული ნორმები საერთოა მთლიანად სასამართლო განხილვის სტადიისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა მოიცავს შემდეგ ხუთ ნაწილს: 1. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი; 2. სასამართლო გამოძიება; 3. სასამართლო კამათი; 4. განსასჯელის საბოლოო სიტყვა და 5. განაჩენის დადგენა.

სასამართლო განხილვის თითოეულ ნაწილს აქვს თავისი მნიშვნელობა, თითოეულისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული საპროცესო მოქმედებანი, ისინი ერთმანეთს თანმიმდევრობით ენაცვლებიან და, საბოლოო ჯამში, ქმნიან იმის პირობას, რომ სასამართლომ დაადგინოს დასაბუთებული, კანონიერი და სამართლიანი განაჩენი.

§ 2. სასამართლოში საქმეთა განხილვის პირითადი პრინციპები

სასამართლოში საქმეთა განხილვისას სრულად მოქმედებს სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი პრინციპები. მაგრამ არის ისეთი პრინციპები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიისათვის. ეს პრინციპებია: საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა, სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობა, სასამართლო განხილვის უშუალობა და ზეპირობა.

საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა. ამ პრინციპის არსი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლში, კერძოდ, აღნიშნულ მუხლში ნათქვამია, რომ: სასამართლომ საქმე ერთი და იმავე შემადგენლობით უნდა განიხილოს, თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა იწყება ხელახლა. ასევე, თუ მოსამართლე საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ის შეიძლება შეიცვალოს იმავე დონის სხვა სასამართლოს მოსამართლით კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლში მითითებული მოთხოვნის დაცვა იმდენადაა სავალდებულო, რამდენადაც მოსამართლეები უშუალოდ აღიქვამენ, ისმენენ არსებულ მტკიცებულებებს, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ცალკეულ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, აფასებენ მათ, აანალიზებენ და ამით უყალიბდებათ შინაგანი რწმენა, რაც აუცილებელია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

კანონმდებელი ხსენებული პრინციპის მიმართ მართებულად უშვებს ერთ გარკვეულ გამონაკლისს, კერძოდ, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს

სათადარიგო მოსამართლე, რომელიც შეცვლის სასამართლო შემადგენლობიდან გამოსულ მოსამართლეს და საქმის განხილვა გაგრძელდება. სათადარიგო მოსამართლე სასამართლო სხდომის დარბაზში იმყოფება საქმის განხილვის დაწყებიდან, ის მართალია სასამართლო მოქმედებებში არ იღებს მონაწილეობას, მაგრამ ყურადღებით ისმენს მხარეების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევას. თუ, იგი მიიჩნევს, რომ საქმეზე მისთვის შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მოხდეს ცალკეული მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა, ამას კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, რის შემდეგაც საქმის განხილვა ჩვეულებრივ გაგრძელდება.

სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობა. ეს პრინციპი იძლევა შესაძლებლობას გამიჯნულ იქნეს ურთიერთისაგან სასამართლოსა და მხარეთა საპროცესო ფუნქციები. მხარეებად გვევლინებიან: ერთის მხრივ, ბრალდების მხარე, რომელსაც წარმოადგენენ: სახელმწიფო ბრალმდებელი (პროკურორი), დაზარალებული (კერძო ბრალმდებელი), სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები და, მეორეს მხრივ, დაცვის მხარე, რომელსაც წარმოადგენენ: დამცველი, განსასჯელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

სასამართლო განხილვის სტადიაში შეჯიბრებითობა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკას (პაექრობას). ისინი ამ პაექრობაში სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. სასამართლო, მხარეთა ამ პაექრობაში პასიური არ უნდა იყოს; მართალია, მას არა აქვს უფლება შეასრულოს ბრალდების ან დაცვის ფუნქციები, მაგრამ მან უნდა უზრუნველყოს მხარეთა პაექრობის წარმართვა კანონის ფარგლებსა და ჩარჩოებში; უნდა შეუქმნას მხარეებს საჭირო პირობები მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისათვის; უნდა დაიცვას მიუკერძოებლობა

და თავი შეიკავოს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან; სასამართლო თანასწორი უფლებებით აღჭურავს მხარეებს შუამდგომლობებისა და განცხადებების წარდგენაში.

აქვე, ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ მართალია, სასამართლო რჩება „საპროცესო ბატონად“, მაგრამ კანონმდებელი მასაც უკრძალავს გარკვეულ მოქმედებას. კერძოდ, როგორც ეს შენიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის მეხუთე ნაწილში: „მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოთქვას აზრი განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე“. ის აზრი, რაც ჩადებულია ხსენებული მუხლის ნაწილში უდავოდ მისაღებია, მაგრამ თვითონ მუხლის ნაწილი საჭიროებს იურიდიულ დაზუსტებას. სწორი იურიდიული აზროვნებიდან გამომდინარე, სასამართლოში განისჯება განსასჯელის არა დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის საკითხი, არამედ განისჯება განსასჯელის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის საკითხი იურიდიულ ფაქტთან მიმართებაში.

სასამართლო განხილვის უშუალობა და ზეპირობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლო, როდესაც განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმეების დაკითხვის, ექსპერტთა დასკვნების შესწავლისა და ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერების გზით, საჭიროების შემთხვევაში – საჯაროდ წაიკითხოს საგამოძიებო მოქმედების ოქმი და დოკუმენტები. ასევე მხოლოდ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოში შეიძლება გამოქვეყნდეს წინასწარი გამოძიების მასალები.

უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან უნდა მიიღოს. ამ წინადადებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა

უკეთესია პირველწყაროდან მიღებული ცნობები, თუმცა არც ნაწარმოები მტკიცებულებებიდან მიღებული ცნობებია უარყოფილი.

უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლომ ყველა მოქმედება უშუალოდ უნდა ჩაატაროს. თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს (მოსამართლეს) რომლის წარმოებაშიცაა საქმე, უფლება აქვს დაავალოს იმავე დონის ან ქვემდგომ სხვა სასამართლოს (მოსამართლეს) ცალკეული საპროცესო მოქმედების ჩატარება, თუ სასამართლო განხილვის სტადიაზე მისი ჩატარება შეუძლებელია. ასეთი დავალებით ჩატარებული სასამართლო მოქმედებათა ოქმები ერთვის სისხლის სამართლის საქმეს და გასაცნობად გადაეცემა მხარეებს. საბოლოო ჯამში კი, ამ წესით მიღებული მტკიცებულება, მაინც უშუალოდ უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს საქმის განმხილველმა სასამართლომ ან მოსამართლემ.

საქართველოში მოქმედ სასამართლოებს, საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებით სამართლებრივი დახმარების შესახებ, უფლება აქვთ სასამართლო დავალება გაუგზავნონ სხვა სახელმწიფოების სასამართლო და საგამომიებო ორგანოებს. რა თქმა უნდა, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებებიც საბოლოოდ ექვემდებარება ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სასამართლო ორგანოს უშუალო გამოკვლევას, შესწავლას, შეფასებას და მხოლოდ ამის შემდეგ განაჩენის საფუძველად დადებას.

სასამართლო (მოსამართლე) განაჩენის გამოტანის დროს უნდა დაეფუძნოს მხოლოდ და მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომელიც უშუალოდ მის მიერ იყო აღქმული, შესწავლილი, შემოწმებული, შეფასებული და გამოკვლეული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში.

უშუალობის პრინციპთან მჭიდროდაა დაკავშირებული ზეპი-

რობის პრინციპი. ამ პრინციპის ძალით, სასამართლო განხილვა წარმოებს ზეპირად, ე.ი. პროცესის ყველა მონაწილე ვალდებულია, საქმეში არსებული წერილობითი ჩვენების მიუხედავად, სასამართლოს მისცენ ჩვენება ზეპირად. ყველა მტკიცებულების განხილვა და გამოკვლევა ხორციელდება ზეპირობის პრინციპზე დაყრდნობით. მტკიცებულებათა არსებითი შესწავლის გზით სასამართლო შეიქმნის შინაგან რწმენას და გამოიტანს შესაბამის განაჩენს.

§3. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილება

სასამართლო ის რგოლია, რომელიც დაასრულებს სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას, განიხილავს და არსებითად გადაწყვეტს მას.

სასამართლო სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რაიონულ (საქალაქო) სასამართლო სხდომას თავმჯდომარეობს როგორც ეს ნათქვამია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 437-ე მუხლში, ამ სასამართლოს თავმჯდომარე ან მოსამართლე, ხოლო სხვა სასამართლო სხდომას – ამ სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან სასამართლოს წევრი.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარის აღჭურვა სასამართლოს სხდომის ხელმძღვანელის უფლებამოსილებით, სულაც არ აძლევს მას უპირატესობას სხვა მოსამართლესთან მიმართებაში. საქმის კოლეგიური განხილვის დროს ყველა მოსამართლე სარგებლობს თანაბარი უფლებით. საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს წყვეტენ და გადაწყვეტილებას იღებენ ხმების უმრავლესობით.

თითოეული მოსამართლე თანაბრად იღებს მონაწილეობას მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; უს-

ვამენ შეკითხვებს განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეებს, იღებენ მონაწილეობას ექსპერტიზის დანიშვნაში ან სხვა საპროცესო მოქმედებათა ჩატარებაში, განაჩენის გამოტანასა და სხვა საპროცესო გადაწყვეტილებათა მიღებაში.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს რა სასამართლო სხდომას, მოქმედებს სასამართლოს კოლეგიის სახელით და მასთან შეთანხმებით. ნებისმიერი საკითხი, რომელიც წამოიჭრება სასამართლოს სხდომაზე, მათ შორის თვით სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მოქმედების გამო, გადაწყდება ხმების უმრავლესობით.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებაში შედის:

ა) სასამართლო სხდომის ხელმძღვანელობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 437-ე მუხლის მეორე ნაწილში დადგენილია, რომ: „თავმჯდომარე წარმართავს სასამართლო სხდომას. ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საპროცესო მოქმედებას, რაც აუცილებელია მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და ჭეშმარიტების დასადგენად; ამასთან, სასამართლო განხილვას განარიდებს ყველაფერს, რაც არ არის დაკავშირებული განსახილველ საქმესთან, უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით – თავმჯდომარის მოქმედებათა გამო რომელიმე მხარის ან სხვა პირის პრეტენზიები შეაქვთ სასამართლო სხდომის ოქმში და მათ სასამართლოს შემადგენლობა განიხილავს იმავე სხდომაზე.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ხსნის სასამართლო სხდომას, არკვევს განსასჯელის პიროვნებას; სასამართლო განხილვის მონაწილეებს განუმარტავს უფლებებსა და მოვალეობებს; გამოჰკითხავს ზომ არა აქვთ მათ შუამდგომლობები; დაზარალებულს, მოწმეს, ექსპერტს აფრთხილებს სისხლის სამართლის

პასუხისმგებლობის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში და ასევე ასრულებს მთელ რიგ მოქმედებებს, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო პროცესის ნორმალურ ჩატარებას.

ბ) სასამართლო დარბაზში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულებები წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, სავალდებულოა მხარეებისა და სასამართლოს დარბაზში დამსწრე ყველა პირისათვის. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუპორჩილებლობის ან სასამართლოს უპატივცემულობის შემთხვევაში, პროცესის მონაწილეს სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლში, აძეგებენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან და საქმის მოსმენა გრძელდება მის დაუსწრებლად. თუ წესრიგს არღვევს დარბაზში დამსწრე პირი ან პატივს არ სცემს სასამართლოს, იგი თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება გაძევებულ იქნეს დარბაზიდან, ასევე, დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით.

ბრალმდებლის ან დამცველის გაძევების შემთხვევაში, საქმის მოსმენა გადაიდება, მაგრამ თუ ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე ახორციელებდა რამდენიმე ბრალმდებელი ან რამდენიმე დამცველი, მაშინ საქმის წარმოება გაგრძელდება, ხოლო გაძევებული ბრალმდებლის ან დამცველის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი კერძო განჩინება (დადგენილება) ეგზავნება შესაბამისად საქართველოს გენერალურ პროკურორს ან ადვოკატთა გაერთიანებას, საქმის ეთიკის კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

თუ განსასჯელი იქნა გაძევებული სასამართლო სხდომის დარბაზიდან, ასეთ შემთხვევაში, სასამართლო განაჩენი, განჩინება ან დადგენილება აუცილებლად უნდა გამოცხადდეს მისი თან-

დასწრებით. თუ ამ დროსაც განაგრძობს განსასჯელი წესრიგის დარღვევას, მაშინ გამოცხადება ხდება განსასჯელის გარეშე, რის შემდეგაც მას ხელწერილით გადაეცემა განაჩენის, განჩინებისა თუ დადგენილების ასლი.

იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე გამოეთიშა სხდომას, მის მოვალეობას ასრულებს ასაკით უფროსი მოსამართლე.

სასამართლო განხილვის სტადიაზე ეთიკური ნორმების მოთხოვნათა განხორციელებაა სასამართლოს მდივნის განცხადება: „ადექით, სასამართლო მოდის!“ ან „ადექით, სასამართლო გადის!“ და ამის პასუხად სასამართლოსადმი პატივისცემის ნიშნად სასამართლო სხდომის ყველა დამსწრე ფეხზე დგება.

ეთიკური ნორმების შესრულების გამოხმაურებაა სასამართლო განხილვის ყველა მონაწილის მიმართვა მოსამართლისადმი (სასამართლოსადმი) ასეთი სიტყვებით: „ბატონო მოსამართლე!“ „ბატონო მოსამართლენო!“ რის შემდეგაც ფეხზე ამდგარნი აკეთებენ საჭირო განცხადებას. გამონაკლისი სასამართლოში ქცევის წესებიდან დასაშვებია თავმჯდომარის ნებართვით.

§4. პროცესის მონაწილენი სასამართლო განხილვაში

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პროცესის ყველა მონაწილე სარგებლობს თანასწორი უფლებით. მათ ერთნაირად აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ დაკითხვაში, დაუსვან შეკითხვები კანონით განსაზღვრულ პირებს, იშუამდგომლონ, რომ გამოძახებულ იქნენ დამატებითი მოწმეები, დაინიშნოს ექსპერტიზა, გადადებულ იქნეს სასამართლო განხილვა, განახორციელონ აცილება, გაეცნონ სასამართლო სხდომის ოქმებს და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

443-ე მუხლით განსაზღვრულია განსასჯელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში. სადაც ნათქვამია, რომ: განსასჯელი მონაწილეობს სასამართლო განხილვაში. ეს დებულება მისაღება, რამდენადაც სასამართლომ, რომ განახორციელოს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, მიზანშეწონილია სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მიიღოს პროცესის ყველა მონაწილემ, და მით უმეტეს განსასჯელმა, რომლის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის საკითხი განისჯება. განსასჯელის გარეშე სასამართლო კარგავს შესაძლებლობას უშუალოდ განსასჯელისაგან მოისმინოს ის არსებითი გარემოებები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის საქმისათვის და თვითონ, განსასჯელისათვისაც.

მაგრამ, თუ მოხდა ისე, რომ საქმე იხილება ორი ან მეტი განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანი სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვა განაგრძოს სხვათა მიმართ, თუ, რა თქმა უნდა, ამით არ შეილახება გამოუცხადებელი განსასჯელის ინტერესები და გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე. ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განსასჯელისათვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული ოქმის გაცნობა. არის შემთხვევაც, როდესაც სასამართლო სხდომაზე განსასჯელის გამოუცხადებლობის მიზეზია, ბაღრაგირების განუხორციელებლობა. თუ ასეთი ფაქტი გამოვლინდება, მაშინ სასამართლო (მოსამართლე) გადადებს სხდომას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე აცნობებს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს განსასჯელის წარმოდგენა მომდევნო სხდომაზე და სასამართლოს აცნობოს ბაღრაგირების განუხორციელებლობის მიზეზი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 444-ე მუხლი ითვალისწინებს იმ შედეგებს, რაც მოჰყვება განსასჯელის გამოუცხადებლობას სასამართლოში. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ განსასჯელის გამოუცხადებლობისას სასამართლო განხილვა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა: ა) განსასჯელი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და ბ) თუ საქმე იხილება ორი ან მეტი განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანი სხდომაზე არ გამოცხადდა, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა განაგრძოს სხვათა მიმართ, თუ ის არ შელახავს გამოუცხადებელი განსასჯელის ინტერესებს და გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე.

სასამართლო განხილვაში განსასჯელის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების გატარება სასამართლოს უფლებაა.

რაც შეეხება განსასჯელის არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, მის მოყვანას სასამართლო უზრუნველყოფს მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით), ხოლო თუ საფუძველი იქნება, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღკვეთის ღონისძიება ან უკვე შერჩეული აღკვეთის ღონისძიება შეუცვალონ უფრო მკაცრით.

მოყვანილ განსასჯელს უფლება აქვს არ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში.

სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის მაუწყებელია დამცველის მონაწილეობა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას.

სასამართლო განხილვაში დამცველის მონაწილეობით უზრუნველყოფილია განსასჯელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სისხლის სამართლის საქმეთა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, ჭეშმარიტების დადგენა.

დამცველს სასამართლო განხილვაში ისეთივე უფლებები აქვს როგორც ბრალმძებელს. როგორც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 445-ე მუხლის მეორე ნაწილშია შენიშნული, საქმის სასამართლო განხილვა უნდა გადაიდოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა, თუ არ გამოცხადდა დამცველი და სასამართლო განსასჯელს დაუნიშნავს დამცველს სახაზინო წესით. მომდევნო სხდომაზე სასამართლო უფლებამოსილია კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს 5 დღისა, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას დამცველის გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ. შუამდგომლობის წარმოდგენლობის, ან წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან თუნდაც დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დამცველი თუ არ გამოცხადდება სხდომაზე, სხდომა გაგრძელდება სახაზინო დამცველის მონაწილეობით. რა თქმა უნდა სასამართლო, საქმეში სახაზინო წესით ჩაბმულ დამცველს მასალების შესასწავლად გამოუყოფს საკმარის დროს და მისცემს შესაძლებლობას საქმეში მის ჩაბმამდე ჩატარებულ მოქმედებებს გაეცნოს განმეორებით.

თუ საქმე იხილება ორი ან მეტი განსასჯელის მიმართ და სასამართლო გამოძიების სტადიაზე რომელიმე მათგანის დამცველი არ გამოცხადდა სხდომაზე, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა განაგრძოს სხვათა მიმართ, თუ ეს, რა თქმა უნდა, არ შელახავს განსასჯელის ინტერესებს და გავლენას არ მოახდენს სასამართლო გამოძიების სისრულესა და ობიექტურობაზე. სასამართლომ უნდა გააცნოს დამცველს მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული ოქმი.

დამცველი, როგორც პროცესის მხარე, აღჭურვილია ფართო უფლებებით, იგი მოწოდებულია: აქტიური მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში; პროცესის მონაწილეთა დაკითხვაში; გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სასამართლო განხილვის პროცესში წამოჭრილ საკითხებზე; აღძრას შუამდგომლობა; გა-

ნაცხადოს აცილება; მოახსენოს სასამართლოს დაცვის მოსაზრებები პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, გამამართლებელ მტკიცებულებებზე; მიუთითოს სისხლის სამართლის იმ კანონზე, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული; ისაუბროს სასჯელის ზომასა და დანაშაულის სამართლებრივ შედეგებზე.

დამცველი ვალდებულია საქმეთა სასამართლო განხილვისას არ გააუარესოს განსასჯელის მდგომარეობა. იგი არ უნდა ცდილობდეს გამოარკვიოს ის გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ განსასჯელის ბრალეულობას ან ამძიმებენ მის პასუხისმგებლობას. დამცველის პოზიცია ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს განსასჯელის დაცვის ინტერესებიდან.

პროკურორი სასამართლოში სისხლისსამართლებრივ დევნას ანხორციელებს სახელმწიფო ბრალმდებლის სტატუსით. იგი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნებითა და თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება სასამართლო გამოძიებისას განხილულ მტკიცებულებებს.

როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლშია აღნიშნული: სასამართლოში საქმეთა განხილვისას პროკურორი წარმოადგენს მტკიცებულებებს, მონაწილეობს დაცვის მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გამოთქვამს თავის აზრს სასამართლოს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე.

პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, თუ მისი რწმენით, იგი არ დადასტურდა სასამართლო განხილვისას. ბრალდებაზე პროკურორის უარის შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სასამართლო წყვეტს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

პროკურორი, ასევე უფლებამოსილია სასამართლო განხილვის დროს შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ ან მოითხოვოს საქმის დაბრუნება უფრო მკაცრი ბრალდების წარსადგენად.

პროკურორის გამოუცხადებლობისას საქმის განხილვა უნდა

გადაიდოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. ამასთან, სასამართლო პროკურორის გამოუცხადებლობის თაობაზე აცნობებს გენერალურ პროკურატურას და ზემდგომ პროკურორს, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ მომდევნო სხდომაზე პროკურორის მონაწილეობა და აცნობონ სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

პროკურორი, მას შემდეგ რაც დაამტკიცებს საბრალდებო დასკვნას, სასამართლოში გამოდის როგორც ბრალდების მხარე, ამტკიცებს და ასაბუთებს განსასჯელის ბრალეულობას. პროკურორის შინაარსობრივი დატვირთვა ნებისმიერ პერიოდში ასოცირდებოდა კანონიერების დაცვასთან. ამიტომ, პროკურორი სასამართლოში მხარს უჭერს რა ბრალდებას, ამ ბრალდებას ასაბუთებს კანონისა და სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტების საფუძველზე. პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე თუ სასამართლო განხილვისას გაქარწყლებულ იქნება ბრალდება.

პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი, წარმოადგენს რა პროცესის სრულუფლებიან წევრს, აქტიურ მონაწილეობას იღებს მტკიცებულებათა გამოკვლევაში; განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის დაკითხვაში, აგრეთვე სხვა სასამართლო მოქმედებათა ჩატარებაში. პროკურორი ხელს უნდა უწყობდეს საქმის მასალებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

პროკურორი, როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი, გამოდის რა სასამართლოში როგორც ბრალდების მხარე, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია დაიცვას კანონები, მოითხოვოს ყველასაგან კანონების პატივისცემა, მისი უზენაესობის აღიარება. იგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულია რეაგირების გარეშე არ დატოვოს კანონის დარღვევა.

დაზარალებული სასამართლოში გამოდის როგორც მხარე, რომელიც აღჭურვილია მთელი რიგი საპროცესო უფლებამოსილებით, რათა დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, რომელიც

ხელყოფილ იქნა დანაშაულის ჩადენის შედეგად.

დაზარალებული უფლებამოსილია სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვას საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დაზარალებული არ ცხადდება სასამართლოში და რა შედეგები მოჰყვება მის გამოუცხადებლობას. კერძოდ, აღნიშნულია, რომ, როდესაც დაზარალებული საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე არ გამოცხადდება სასამართლოში, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ისმენს მხარეთა აზრს და წყვეტს მის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობის საკითხს.

თუ დაზარალებული სასამართლოში არ ცხადდება არასაპატიო მიზეზით, მაგრამ სასამართლოს ან თუნდაც ერთი მხარის აზრით, მისი საქმის განხილვაში მონაწილეობა აუცილებელია, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია იძულების წესით მოაყვანინოს დაზარალებული.

თუკი დაზარალებული კერძო ბრალდების საქმეზე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 448-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო განხილვაში სამოქალაქო მოსარჩელის მონაწილეობასა და მისი გამოუცხადებლობის შედეგებს.

სამოქალაქო მოსარჩელე სარგებლობს მხარის უფლებებით, მხარს უჭერს მის მიერ განცხადებულ სამოქალაქო სარჩელს. უფლებამოსილია წარადგინოს მტკიცებულებები და რა თქმა უნდა, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება.

სამოქალაქო მოსარჩელემ თავისი უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს სასამართლოში როგორც უშუალოდ, ისე მისი წარმომადგენლის მეშვეობით. თუ სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდა სასამართლოში, სასამართლო არ განიხილავს სამოქალაქო სარჩელს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო მოსარჩელეს უნარჩუნდება უფლება სამოქალაქო სარჩელის საკითხის განხილვისათვის მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სასამართლოს უფლება აქვს, სამოქალაქო მოსარჩელის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით, სამოქალაქო სარჩელი განიხილოს მის დაუსწრებლად, ხოლო, თუ სარჩელს მხარს უჭერს პროკურორი, სასამართლო სამოქალაქო სარჩელს განიხილავს ყველა შემთხვევაში.

სამოქალაქო მოპასუხე სასამართლო განხილვაში სარგებლობს მხარეთა უფლებებით. სამოქალაქო მოპასუხე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს და აანაზღაუროს დანაშაულის შედეგად დამღვარი მატერიალური ზიანი. იგი იცავს თავის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს განცხადებულ სარჩელთან დაკავშირებით. უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები და მიიღოს მონაწილეობა მათ გამოკვლევაში, განაცხადოს აცილება და შუამდგომლობა.

სამოქალაქო მოპასუხე თავის უფლებებს სასამართლოში ახორციელებს უშუალოდ ან მისი წარმომადგენლის მეშვეობით.

სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სასამართლო განხილვაში, როგორც ეს შენიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 449-ე მუხლში, ხელს არ უშლის სამოქალაქო სარჩელის განხილვას.

საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლო განხილვა სამოქალაქო მოპასუხის თხოვნით შეიძლება გადაიდოს, მაგრამ არა უმეტეს 7 დღის ვადით.

§5. სასამართლო განხილვის ფარგლები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 450-ე მუხლით განსაზღვრულია სასამართლო განხილვის ფარგლები. აღნიშნულია, რომ საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც ბრალდებულის მიმართ შედგა საბრალდებო დასკვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმის სასამართლო განხილვა წარმოებს: 1) მხოლოდ მოცემულ საქმეში გამავალი განსასჯელის მიმართ და 2) მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომელზედაც შედგა საბრალდებო დასკვნა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ თუ პირი მიცემულია სამართალში გარკვეული დანაშაულის გამო, მაგალითად, ქურდობისათვის, სასამართლომ უნდა გაასამართლოს დასახელებული პირი მხოლოდ ქურდობის და არა სხვა დანაშაულის ბრალდებით.

შესაძლებელია ბრალდების შეცვლა განსასჯელის სასარგებლოდ მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა პროკურორი ცვლის ბრალდებას განსასჯელის სასარგებლოდ, ე.ი. თუ ბრალდების შეცვლით არ უარესდება განსასჯელის მდგომარეობა, არ იღრვევა მისი დაცვის უფლებები.

სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეცვალოს განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება უფრო მძიმე ბრალდებით ან ისეთი ბრალდებით, რომელიც ფაქტობრივი გარემოებით არსებითად განსხვავდება პირველად წაყენებული ბრალდებისაგან.

უფრო მძიმედ ითვლება ბრალდება, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. ასევე მძიმედ ითვლება განსასჯელის ბრალდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც განსასჯელის ქმედებას ემატება ახალი ეპიზოდი, რაც უცნობი იყო გამოძიებისათვის.

§6. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებანი: ა) სასამართლო განხილვის გადადების შესახებ; ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ; გ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ; დ) აღკვეთის ღონისძიების შესახებ.

სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვის გადადების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, მაშინ, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა პროცესის რომელიმე წევრი, რომლის ჩვენებასაც, საქმის სწორად გადაწყვეტისათვის აქვს არსებითი მნიშვნელობა ან სასამართლო განხილვისას გამოვლინდა ახალი მტკიცებულება და ამ ახალი მტკიცებულების გასაცნობად მოწინააღმდეგე მხარეს სჭირდება დრო. ამავე დროს სასამართლო ადგენს საქმის განხილვის გადადების ვადას.

სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველია განსასჯელის ფსიქიკური ან სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადება, რაც დადასტურებულია სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის (ექსპერტების) დასკვნით. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შეჩერება ხდება მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით), მანამდე ვიდრე განსასჯელი არ გამოჯანმრთელდება.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა შეჩერდეს, მაშინაც, როდესაც სასამართლო მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე – მიმართვის დღიდან, მანამდე, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას. ასევე, შეჩერდება სისხლის სამართლის საქმის განხილვა, თუ დაისვა საკითხი პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან პირის უცხო

სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურ გადაწყვეტამდე.

სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სამართლო) უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით შეწყვიტოს სასამართლო სხდომის მიმდინარეობა 18 საათის შემდეგ.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასამართლო განხილვის ყოველ მომენტში, იმ დროსაც კი, როდესაც სასამართლო შევიდა სათათბირო ოთახში. საკითხი სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ შეიძლება დააყენოს პროცესის მონაწილემ ან სასამართლომ თავის ინიციატივით. მხოლოდ ყოველი აღძრული შუამდგომლობა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, განხილული, არსებითად გადაწყვეტილი და დაფიქსირებული მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებაში (განჩინებაში).

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები გადმოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლში (რომელთა შესახებ უკვე იყო საუბარი და ჩვენ აღარ შევჩერდებით).

სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, ასევე წყვეტს საკითხს აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან შერჩევის შესახებ. სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა უწევს იმ შემთხვევაში, როდესაც განსაჯელი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლოში (444-ე მუხლის მეორე ნაწილი), განაჩენის დადგენისას (498-ე მუხლის პირველი ნაწილის მ) ქვეპუნქტი) და ა.შ.

§7. სასამართლო სხდომაზე განჩინების (დადგენილების) გამოტანის წესი

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვისას ყველა გადასაწყვეტ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, ხოლო მოსამართლეს – დადგენილება.

განჩინება (დადგენილება) არის საპროცესო დოკუმენტი, რომელიც გამოიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის მიზნით. განჩინება გამოიტანება სასამართლოს მთელი შემადგენლობით, ხოლო დადგენილება მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად. ყოველი განჩინება (დადგენილება) უნდა იყოს დასაბუთებული, მოტივირებული და გამოტანილი საპროცესო კანონის დაცვით.

განჩინება (დადგენილება) შეიძლება გამოტანილ იქნეს ან სათათბირო ოთახში, ან სასამართლო სხდომის დარბაზში.

ასე მაგალითად, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 453-ე მუხლის მეორე ნაწილში: განჩინება (დადგენილება) დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად საქმის გაგზავნის, მისი შეწყვეტის ან შეჩერების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის, ან გაუქმების, აცილებისა და ექსპერტიზის დანიშვნის, მტკიცებულებათა დაუშვებლობისა და საქმიდან ამოღების შესახებ სასამართლოს ან მოსამართლეს გამოაქვს სათათბირო ოთახში.

ყველა სხვა სახის განჩინება (დადგენილება) სასამართლოს ან მოსამართლეს გამოაქვს სასამართლო სხდომის დარბაზში, საქმის განხილვის დროს ადგილზე. მაგალითად: განჩინება (დადგენილება) დამატებითი მოწმის გამოძახების შესახებ, დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ და ა.შ. ადგილზე გამოტანილი განჩინების (დადგენილების) შინაარსი შეაქვთ სასამართლოს სხდომის ოქმში.

საქმეთა სასამართლო განხილვის დროს სასამართლოს (მოსამართლის) მიერ გამოტანილი განჩინებები (დადგენილებები) წაკითხულ უნდა იქნეს საჯაროდ.

როდესაც დგება საკითხი პროცესის მონაწილეების სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ წესრიგის დარღვევის გამო (სსსკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი), იგი უნდა გადაწყდეს სათათბირო ოთახში სასამართლო (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით).

§8. სასამართლო სხდომის ოქმი

სასამართლო სხდომის ოქმი მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტია. მასში აისახება სასამართლო სხდომის სურათი დაწყებული სისხლის სამართლის საქმის განხილვით – დამთავრებული განაჩენის გამოტანით. სასამართლო სხდომის ოქმი იმდენად სრულყოფილად, დაწერილებით, ობიექტურად უნდა იყოს შედგენილი, რომ მისი გაცნობით ნათლად წარმოგვიდგეს სასამართლო სხდომის მთელი მსვლელობა. ღიძია, სრულყოფილი ოქმის მნიშვნელობა, როდესაც ზემდგომი სასამართლო საკასაციო ან სააპელაციო წესით იხილავს სისხლის სამართლის საქმეს. სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის საფუძველზე პროცესის შესაბამის მონაწილეს ეძლევა საშუალება გაერკვეს საქმის ვითარებაში, სასამართლო სხდომის დროს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში.

სასამართლო სხდომის ოქმი დგება სასამართლო სხდომის მდივნის მიერ. 454-ე მუხლის თანახმად ოქმში აღინიშნება: სხდომის ადგილი და დრო იმის მითითებით, თუ როდის გაიხსნა და დაიხურა იგი; სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, მდივანი, თარჯიმანი, ბრალმდებელი, დამცველი, განსასჯელი, აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამო-

ქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, სასამართლოს მიერ დაბარებული სხვა პირები; განსახილველი საქმე; განსასჯელის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება; მონაცემები განსასჯელის პიროვნების შესახებ; სასამართლოს ყველა მოქმედება თანამიმდევრობით; პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა განცხადებანი და შუამდგომლობანი, სასამართლოს მიერ სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოტანილი განჩინებანი (დადგენილებანი), მითითება სათათბირო ოთახში განჩინებათა გამოტანის შესახებ, განსასჯელისა და საქმეში მონაწილე სხვა პირებისათვის მათი უფლება-მოვალეობათა განმარტება, ჩვენებათა შინაარსი, სასამართლო სხდომაზე ჩატარებულ დათვალიერებათა და მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოკვლევასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებათა შედეგები; ყოველივე იმის შინაარსი, რისი ოქმში შეტანაც პროცესის მონაწილეებმა ითხოვეს; მითითება სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევის ფაქტებზე, თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, და დამრღვევის პიროვნებაზე; სასამართლო კამათის მოკლე შინაარსი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა; მითითება განაჩენის გამოქვეყნების, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

სასამართლო სხდომის ოქმი უნდა მომზადდეს სასამართლო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, მას ხელი უნდა მოაწეროს სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა. აქედან გამომდინარე, სასამართლო სხდომის ოქმის სისწორესა და ობიექტურობაზე პასუხისმგებელია როგორც მდივანი, ასევე სასამართლო სხდომის თავმჯდომარეც. სასამართლო სხდომის ოქმის მომზადების შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს მხარეებისათვის ოქმის გაცნობის შესაძლებლობა.

მას შემდეგ, როდესაც ხელს მოაწერენ სასამართლო სხდომის ოქმს, მხარეებს უფლება აქვთ 5 დღე-ღამის განმავლობაში გაა-

კეთონ შენიშენები ოქმზე. შენიშენებს განიხილავს იმავე საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო).

შენიშენების განხილვის შემდეგ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) იმის თაობაზე, ადასტურებს შენიშენების სისწორეს თუ უარყოფს მათ. ოქმზე შენიშენები და მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) ყველა შემთხვევაში დაერთვის საქმეს.

თავი XIV

სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში

§ 1. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა – სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი და მნიშვნელოვანი სტადიაა. ამ სტადიაზე მოწმდება სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოება და საბოლოო შეფასება ეძლევა საქმეზე შეკრებილ ყველა მტკიცებულებას. სწორედ, აქ წყდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის ბრალეულობის საკითხი და გამოითანება განაჩენი.

აღნიშნული სტადია მოიცავს რთულ და მრავალმხრივ სასამართლო მოქმედებათა ერთობლიობას. ეს სტადია იყოფა ხუთი შედარებით დამოუკიდებელი ნაწილისაგან (ეტაპისაგან): ა) სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი; ბ) სასამართლო გამოძიება; გ) სასამართლო კამათი; დ) განსასჯელის საბოლოო სიტყვა; ე) განაჩენის დადგენა ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების (განჩინება, დადგენილება) გამოტანა. თითოეული ეს დასახელებული ნაწილი ერთმანეთს მკაცრი თანმიმდევრობის დაცვით ენაცვლება, მას შემდეგ, რაც გადაწყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. მოცემულ სტადიაში ნაწილთა (ეტაპების) ეს ერთობლიობა ქმნის იმის საფუძველს, რომ სასამართლომ სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოება შეისწავლოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად და დაადგინოს კანონიერი, დასაბუთებული, სამართლიანი განაჩენი.

განვიხილოთ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის სტადიის თითოეული ნაწილი (ეტაპი) ცალ-ცალკე.

დავიწყოთ — სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილით (ეტაპით).

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი — თვითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს, იგი მოიცავს სასამართლოს მოსამზადებელ საქმიანობას, მიმართულს იმისაკენ, რომ შეამოწმოს არის თუ არა ის საპროცესო პირობები, რომელიც აუცილებელია მოცემულ სასამართლო სხდომაზე სისხლის სამართლის საქმის განხილვისათვის. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი გულისხმობს შემდეგ ორგანიზაციულ საკითხებსაც, რომ, ვიდრე სასამართლო შემადგენლობა (მოსამართლე) შევა სასამართლო სხდომის დარბაზში, პროცესის ყველა მონაწილე და მხარეები უნდა იმყოფებოდნენ სხდომის დარბაზში, ხოლო განსასჯელი კი — მისთვის განკუთვნილ სკამზე. მხარეები (წარმომადგენლები) — მათთვის გამოყოფილ ადგილებზე, მოწმეები სასამართლო სხდომის დარბაზში. სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი სრულდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 457-ე — 469-ე მუხლებით გათვალისწინებული თანმიმდევრობით და მათი მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი იწყება, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მიერ დანიშნულ დროს სასამართლო სხდომის გახსნით, რა დროსაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომელ სისხლის სამართლის საქმეს განიხილავენ, კერძოდ, ვისი ბრალდებისა გამო და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ბრალდება პირს, ასევე აცხადებს განსახილველი სისხლის სამართლის საქმის სარეგისტრაციო ნომერს.

ამის შემდეგ სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მიმართავს სასამართლო სხდომის მდივანს, მოახსენოს სასამართლოს იმ პირთა გამოცხადების შესახებ ვინც უნდა მიიღოს მონაწილეობა სასამართლო სხდომაში (მხარეები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები, თარჯიმანი) და თუ რომელიმე არ გამოცხადდა, რა

არის მათი გამოუცხადებლობის მიზეზი. (ორგანიზაციული თვალსაზრისით მიზანშეწონილია, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ აქვე მოისმინოს მხარეთა აზრი – დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გაგრძელდეს თუ გადაიდოს სასამართლო სხდომა). პროცესის მონაწილეთა გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეებს და სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს აფრთხილებს წესრიგის დაცვის თაობაზე და იმ შესაძლო ღონისძიებების გამოყენებაზე, რაც შეიძლება მოჰყვეს წესრიგის დარღვევას.

თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს თარჯიმანი, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს ვინ მონაწილეობს თარჯიმნად და განუმარტავს მას სსსკ-ის 101-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. ამავე დროს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებს განზრახ არასწორი თარგმანისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ (აქვე, უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლში ჩადებული კანონმდებლის ნება, რომელიც საუბრობს: „განზრახ არასწორად თარგმანზე“; დამახინჯებული ფორმითაა დაფიქსირებული. უნდა იყოს: „განზრახ არასწორი თარგმანისათვის“, სამართლებრივი თვალსაზრისით მათ შორის დიდი განსხვავებაა და შეიძლება დავის საგანიც გახდეს).

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს, რომ უფლება აქვთ აცილებდნენ მისცენ თარჯიმანს. ამასთან, აღნიშნულ პირებს შეახსენებს იმ გარემოებებსაც, რასაც კანონით მიიჩნევს აცილების საფუძვლად. თუ, ხსენებულ პირთაგან, რომელიმე განაცხადებს თარჯიმნის აცილებას, სასამართლო მოუსმენს ყველა დანარჩენსაც და ისე გადაწყვეტს თარჯიმნისათვის განცხადებული აცილების საკითხს.

მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტს თარჯიმნის საკითხს (რა თქმა უნდა, თუ ის მონაწილეობს სასამართლო სხდომაში) სხდომის თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას მოწმეების მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის შესახებ. პრაქტიკულად ყველა სისხლის სამართლის საქმეზე ხდება მოწმეთა გამოძახება სასამართლო სხდომაზე და შესაბამისად უზრუნველყოფილი, რომ იქნეს მათის მხრიდან სრული სიმართლის მიღება საქმესთან დაკავშირებით, ისინი გაყავთ მათთვის გამოყოფილ ოთახებში, რათა დაკითხვამდე არ ესაუბრონ ერთმანეთს.

თუ გამოიკვეთება, რომ მიმდინარე სასამართლო სხდომაზე შეიძლება ვერ დაიკითხოს რომელიმე მოწმე, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია მოწმეს წასვლის ნება ღართოს და დაუნიშნოს მას სასამართლოში გამოცხადების დღე და საათი.

მოხდება რა მოწმეთა გაყვანა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლო შემადგენლობას, რომელმაც უნდა განიხილოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე. სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეებს უცხადებს, როგორც საქმის განხილვაში მონაწილე თითოეული მოსამართლის, ისე სათადარიგო მოსამართლისა და სასამართლო სხდომის მდივნის გვარსა და სახელს. რის შემდეგაც იგი მხარეებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ აცილება მისცენ როგორც ცალკეულ მოსამართლეებს, ისე სასამართლოს მთელ შემადგენლობას, ასევე სათადარიგო მოსამართლესა და სასამართლო სხდომის მდივანს, თუ იქნება სახეზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებიდან რომელიმე ერთი მანც (იგი იმავდროულად თვითაცილების საფუძველიცაა). როგორია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა აცილებისა და თვითაცილების წესი, ამის თაობაზე უკვე ვეჭონდა საუბარი და ამდენად აღარ მიუბრუნდებით მას (იხ. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი. აცილება).

სასამართლო შემადგენლობის აცილებისა თუ თვითაცილების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ გრძელდება სასამართლოში საქმის განხილვა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარე წინა პლანზე წამოწევს შემდეგ ორ საკითხს: ა) დადგენილ იქნეს განსასჯელის ვინაობა; სხდომის თავმჯდომარე განსასჯელს ეკითხება გვარს, სახელს, დაბადების წელს, თვეს, დღესა და ადგილს, დარწმუნდება რა განსასჯელის პიროვნებაში, სხდომის თავმჯდომარე ამის შემდეგ ადგენს მეორე საკითხს; ბ) გადასცეს თუ არა განსასჯელს საბრალდებო დასკვნის ასლი ან დაზარალებულის საჩივარი და როდის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პროკურორის მხრიდან საბრალდებო დასკვნის ასლის ჩაბარებას ბრალდებულისათვის, რაც პრაქტიკაში გამოვლინდება ბრალდებულისათვის ხელწერილის ჩამორთმევით – საბრალდებო დასკვნის ასლის მიღების შესახებ, თარიღის მითითებით. ეს ხელწერილი დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს. ფაქტობრივად, სხდომის თავმჯდომარე ამოწმებს სისხლის სამართლის საქმეზე თანდართული აღნიშნული ხელწერილისა და მითითებული თარიღის ნამდვილობას, ყოველივე ეს პროცედურა ასახავს ჰპოვებს სასამართლო სხდომის ოქმში.

თუ გამოვლინდება, რომ განსასჯელისათვის არ გადაუციათ საბრალდებო დასკვნის ასლი (დაზარალებულის საჩივარი), სასამართლო სხდომა გადაიდება არანაკლებ სამი დღე-ღამით, იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს არა მხოლოდ საბრალდებო დასკვნის ასლის (დაზარალებულის საჩივრის) გადაცემა განსასჯელისათვის, არამედ რეალური შესაძლებლობაც, საბრალდებო დასკვნის მოცულობისა და განსასჯელის ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით, ეს დრო საკმარისი იყოს განსასჯელისათვის სრულფასოვნად გაეცნოს აღნიშნულ დოკუმენტს და მოემზადოს საკუთარი უფლებების დასაცავად.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაგრძობს რა სა-

სამართლო სხდომას, აცხადებს სასამართლო სხდომაში ჩაბმულ პროცესის მონაწილეებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას, გამოცხადებული იქნება მისი სახელი, გვარი, საკლასო წოდება, დაკავებული თანამდებობა. სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ პროკურორს განუცხადონ აცილება, თუკი სახეზე იქნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი (ეს იქნება თვითაცილების საფუძველიც). სხდომის თავმჯდომარე მხარეებს შეახსენებს ხსენებული მუხლით გათვალისწინებულ აცილების საფუძველებს. ამასთან მხარეებს უნდა ეცნობოს, რომ პროკურორის მიერ თავისი ფუნქციის განხორციელება სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, არ აბრკოლებს ამ საქმეში მის შემდგომ მონაწილეობას, ვერ გახდება მისი აცილების საფუძველი. თუ პროკურორს აცილება განუცხადა ერთ-ერთმა მხარემ, მოსმენილ უნდა იქნეს მეორე მხარის აზრი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება. აცილების (თვითაცილების) საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო სხდომა გადაიდება აცილებული პირის შეცვლისათვის საჭირო დროით.

თუ სასამართლოში განიხილება კერძო ბრალდების საქმე, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს თუ ვინ უჭერს მხარს კერძო ბრალდებას, გამოცხადებული იქნება მისი გვარი, სახელი, მისი საცხოვრებელი ადგილი.

ბ) დამცველი, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს მის სახელს, გვარს, რომელი საადვოკატო ბიუროს წარმომადგენელია. მხარეებს განუმარტავს, რომ თუ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც ემსახურება დამცველის აცილებას, მათ შეუძლიათ განაცხადონ შუამდგომლობა დამცველის აცილების შესახებ. თუ სახეზე იქნება სისხლის სამართლის

საქმეში დამცველის მონაწილეობის გამოპრიცხავი რომელიმე გარემოება, ასეთ შემთხვევაში, თვითონ სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლეც (სასამართლოც) უფლებამოსილია თავისი ინიციატივით აცილება მისცეს დამცველს და განსასჯელს შესთავაზოს სხვა დამცველის მოწვევა ან თვითონ მოსამართლემ (სასამართლომ) დაუნიშნოს დამცველი.

გ) სხდომის თავმჯდომარე, ასევე აცხადებს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში თუ ვინ არის დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები (გვარის, სახელის დასახელებით), და მხარეებს განუმარტავს, რომ თუკი იქნება სახეზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც გამოპრიცხავს საქმეში დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლების მონაწილეობას, უფლება აქვთ აცილება მისცენ მათ.

დ) ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე ექსპერტების, სპეციალისტების ვინაობას (გვარი, სახელი, რომელი საექსპერტო დაწესებულებიდან ან ორგანიზაციიდან არიან მოწვეული), მხარეებს ამცნობს საქართველოს სსსკ-ის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს, რომლებიც გამოპრიცხავენ საქმეში ექსპერტის, სპეციალისტის მონაწილეობას. მხარეებს უფლება აქვთ განაცხადონ ექსპერტის, სპეციალისტის აცილება თუკი გამოვლინდება სსსკ-ის 106-ე მუხლში მოცემული გარემოებებიდან ერთი რომელიმე. თუ ექსპერტის აცილება დაკმაყოფილდება, მაშინ სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა მოსამართლემ (სასამართლომ), მხარეთა აზრის გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სხვა ექსპერტის დანიშვნის თაობაზე, ხოლო თუ აცილებული ექსპერტი მხარის მიერ იყო მოწვეული, მხარეს ახალი ექსპერტის მოსაწვევად მოსამართლე (სასამართლო) აძლევს დროს.

ზემოთ ჩამოთვლილი პროცესის მონაწილეები, რომელთა აც-
ილებაც შესაძლებელია, ამომწურავია, რამეთუ განსასჯელის,
დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპა-
სუხის, მოწმის აცილება საპროცესო გაგებით შეუძლებელია, მათი
შეუცვლელი საპროცესო სტატუსის გამო.

სხდომის თავმჯდომარე მორჩება რა, სისხლის სამართლის
საქმეში მონაწილე პირების ვინაობის გამოცხადებას და კონკრე-
ტული პროცესის მონაწილეების მიმართ აცილების საკითხის
გადაწყვეტას, იწყებს განსასჯელისათვის, დაზარალებულისათვის,
სამოქალაქო მოსარჩელისათვის, სამოქალაქო მოპასუხისათვის და
მათი წარმომადგენლებისათვის, ექსპერტებისა და სპეციალისტე-
ბისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტებას. ხსენებუ-
ლი სუბიექტებიდან ბევრს წინასწარი გამოძიების სტადიაზე
განემარტა და ჩაბარდა კიდევ მათი უფლება-მოვალეობების
წერილობითი ნუსხა, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მოსამართლეს
(სასამართლოს) მათ კიდევ განუმარტოს საკუთარი უფლებები და
მოვალეობები.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე დაასრულებს რა სისხ-
ლის სამართლის პროცესში მონაწილე პირთა ვინაობის გა-
მომცხადებას, პროცესის შესაბამისი პირების მიმართ აცილების
(თვითაცილების) საკითხის გადაწყვეტას, პროცესის მონაწილეე-
ბისათვის უფლებებისა და მოვალეობების განმარტებას, გადადის
იმ საკითხის გარკვევაზე: ბრალდებისა და დაცვის მხარეების
წარმომადგენლებს ზომ არა აქვთ შუამდგომლობა: ა) აცილების
შესახებ; ბ) ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის
ლონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ; გ) ახალი მტკიცე-
ბულებების ან დოკუმენტების გამოთხოვის ან საქმისათვის დართ-
ვის შესახებ; დ) მოწმეების, ექსპერტების მოწვევის შესახებ; ე)
ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

როდესაც საუბარია ისეთი შუამდგომლობის განცხადებაზე,
როგორცაა პროცესის რომელიმე მონაწილის აცილება, ლოგი-

კურად ჩნდება კითხვა, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ, ხომ მისცა შესაძლებლობა მხარეებს ამ უფლების გამოსაყენებლად და თავიდან რატომ უბრუნდება ამ საკითხს? საქმე იმაშია, რომ როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესისა და რიგითობის მიხედვით მიმდინარეობდა პროცესის ამა თუ იმ მონაწილის აცილების საკითხის გადაწყვეტა, მხარე, მაშინ არ ფლობდა ინფორმაციას კონკრეტული პროცესის მონაწილის აცილების შესახებ, აცილების ეს გარემოება, მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი. ასე მაგალითად, განსასჯელმა თავისი დამცველის ნათესაური კავშირის შესახებ საქმეში მონაწილე დაზარალებულთან მოგვიანებით გაიგო (ე.ი. გაიგო მას შემდეგ, როდესაც საქმეში მონაწილე დამცველის აცილების საკითხი სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ნაწილში უკვე დასმული იყო და მის მიმართ აცილება არ განუცხადებია არც განსასჯელს და არც მოსამართლეს (სასამართლოს) და აღძრა შუამდგომლობა დამცველის აცილების შესახებ და ა.შ.

რაც შეეხება შუამდგომლობას ახალი არსებითი გარემოების გამო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ, შეიძლება განცხადებული იქნეს მხარეების მხრიდან. ასე მაგალითად, განსასჯელი, მისი დამცველი მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე აღძრავს შუამდგომლობას დაპატიმრების, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გირაოთი შეცვლის შესახებ. შესაძლებელი იყო შუამდგომლობის წარდგენა გირაოს გამოყენების შესახებ წინასწარი გამოძიების სტადიაზეც, მაგრამ იმ დროისათვის ბრალდებულისა და მისი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. ამჟამად მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია და შესაძლებელია გირაოს სახით ფულადი თანხის შეტანა, რომელიც უზრუნველყოფს განსასჯელის სათანადო ქცევას და სასამართლოში დროულ გამოცხადებას. არ არის გამორიცხული სასამართლო სხდომის თავმჯდომარის წინაშე შუამდგომლობა აღძრას პროკურორმა ან დაზარალებულმა – განსასჯელის

მიმართ გამოყენებულ იქნეს უფრო მკაცრი სახის აღკვეთის ღონისძიება, მაგალითად, ნაცვლად გირაოსი დაპატიმრება, რამდენადაც განსასჯელი ზემოქმედებას ახდენს დაზარალებულზე, მოწმეებზე და ა.შ. ისიც შესაძლებელია მხარემ, მაგალითად განსასჯელის დამცველმა აღძრას შუამდგომლობა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის წინაშე, რომ გაუქმებულ იქნეს საერთოდ აღკვეთის ღონისძიება (ვთქვათ დაპატიმრება) განსასჯელის მიმართ, რამდენადაც იგი მიძიმედ დაავადდა ან გნებავთ, ხანდაზმულია და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობა ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას.

ბრალდებისა და დაცვის მხარეს უფლება აქვს აღძრას შუამდგომლობა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის წინაშე ახალი მტკიცებულებების ან დოკუმენტების გამოთხოვის ან საქმისათვის დართვის შესახებ. აქ, იგულისხმება ის გარემოება, როდესაც მხარემ წინასასამართლო გამოძიების დროს ვერ შეძლო რომელიმე ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან გარკვეული დოკუმენტების (მაგ. საბუღალტრო ანგარიშების, კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემების და ა.შ.) გამოთხოვა და საქმისათვის დართვა და დასაზმარებლად მიმართავს სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს. აღნიშნული შუამდგომლობის წარდგენა ისევე, როგორც ნებისმიერი შუამდგომლობის განცხადება ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მტკიცებულებების შევსებას სასამართლო გამოძიების დაწყებამდე.

როდესაც საუბარია ბრალდებისა თუ დაცვის მხრიდან მოწმეების, ექსპერტების მოწვევის შესახებ, შუამდგომლობის წარდგენის თაობაზე, იგულისხმება შუამდგომლობა იმ მოწმეების შესახებ, რომლებიც არ დაკითხულან წინასწარი გამოძიების სტადიაზე და ფლობენ ინფორმაციას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. რაც შეეხება ექსპერტების მოწვევას, ამ სახის შუამდგომლობის აღძვრა შეიძლება ეხებოდეს, როგორც იმ ექსპერტის მოწვევას, რომელმაც მიწოდებულ ნიმუშებზე, ობიექტებზე გაა-

კეთა დასკვნა, ისე ახალი ექსპერტის მოწვევასაც.

არ არის გამორიცხული მხარეებმა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის წინაშე დასვან შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზეც. ამ სახის შუამდგომლობაში, შეიძლება იყოს თხოვნა, როგორც ახალი ექსპერტიზის (რომელიც არ ყოფილა დანიშნული წინასწარი გამოძიების სტადიაზე), ისე ყველა ჩატარებული ექსპერტიზის მიმართ, დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

კანონმდებელი, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს წარუდგინონ ერთად. ასე მაგალითად, თუ დაცვის მხარეს მიაჩნია (რა თქმა უნდა, ეს უნდა დაასაბუთოს), რომ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მტკიცებულებები შეივსება, სრულყოფილი გახდება, თუკი მას დაერთვება ახალი მტკიცებულებები — ორი მოწმის დაკითხვით და მათი ჩვენებების დართვით, მან აღნიშნული მოთხოვნა მოწმეთა დაკითხვის შესახებ თითოეულ მოწმეზე ინდივიდუალურად კი არ უნდა განაცხადოს, არამედ ორი მოწმის დაკითხვის მოთხოვნა უნდა ჩამოაყალიბოს ერთ შუამდგომლობაში.

ნებისმიერი შუამდგომლობა, რომელსაც აღძრავს მხარე მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე, განხილული უნდა იყოს, მოსმენილ უნდა იქნეს პროცესის მონაწილეთა აზრი. მხარის მიერ განცხადებულ შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი გარემოებების დადგენას ემსახურება იგი. დასაბუთებული უნდა იყოს, რამდენად მნიშვნელოვანია საქმისათვის შუამდგომლობაში დასმული გარემოების დადგენა, რამდენად შეუწყობს ხელს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. იმისდა მიხედვით, რამდენად საფუძვლიანია შუამდგომლობა მოსამართლე (სასამართლო) აკმაყოფილებს ან უარყოფს მას სათანადო დადგენილებით (განჩინებით), რომელიც აუცილებლად დასაბუთებული უნდა იყოს. რაც შეეხება უარს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, პირს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება იგივე

შუამდგომლობა განაცხადოს სასამართლო გამოძიებისას, თუ სისხლის სამართლის საქმისათვის გამოვლინდება ახალი არსებითი გარემოება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 469-ე მუხლი იძლევა პასუხს, როგორ გადაწყვიტოს მოსამართლემ (სასამართლომ) სისხლის სამართლის საქმის განხილვის საკითხი მაშინ, როდესაც სასამართლოში საქმის განხილვისას არ (ვერ) გამოცხადდა დაზარალებული, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი. საკითხი მეტად სერიოზულია, მისი არასწორად გადაწყვეტა შეიძლება გახდეს სასამართლო გამოძიების არასრულობისა და ცალმხრივობის საფუძველი. კანონმდებლის პოზიცია ასეთია: მოსამართლემ (სასამართლომ) მოუსმინოს მხარეებს, გაარკვიოს მათი აზრი – დაზარალებულის, მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის გამოუცხადებლობა ხელს შეუშლის თუ არა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას და ამის მიხედვით ადგილზე (სასამართლო სხდომის დარბაზში) გამოიტანოს დადგენილება (განჩინება): ა) სასამართლო განხილვის გაგრძელებისა და გამოუცხადებელ პირთა მიმართ ზომების მიღების ან ბ) სასამართლო განხილვის გადადების შესახებ. საქმის განხილვის გადადების შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანისას მოსამართლეს (სასამართლოს) უფლება აქვს დაკითხოს გამოცხადებული დაზარალებული და/ან მოწმე. მას შემდეგ, რაც განახლდება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა, დაკითხული დაზარალებულისა და მოწმის გამოძახება სასამართლოში დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

მაშასადამე, სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის არსი მდგომარეობს შემდეგში, მოსამართლემ (სასამართლომ) და მხარეებმა განსაზღვრული საპროცესო მოქმედებების შესრულებით, უზრუნველყონ სასამართლო გამოძიებაზე საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრული, სწორი გამოკვლევა და მტკიცებულებათა შემოწმება და შეფასება.

§2. სასამართლო გამოძიება

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის მნიშვნელოვანი და ძირითადი ნაწილია სასამართლო გამოძიება. ამ ეტაპზე ხორციელდება ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ მტკიცებულებების წარმოდგენა, და მათი უშუალო შესწავლა და გამოკვლევა სასამართლოს მიერ, მხარეების აქტიური მონაწილეობით. მოდით, უფრო დეტალურად გავერკვეთ როდის და როგორ იწყება სასამართლო გამოძიება.

მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე, სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებს გადაწყვეტს, აცხადებს, რომ სასამართლო იწყებს სასამართლო გამოძიებას.

სასამართლო გამოძიება კი იწყება მაშინ, როდესაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მიმართავს სახელმწიფო ბრალმძებელს წაიკითხოს საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილი. ე.ი. სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმძებლის მიერ საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვით. ხოლო კერძო ბრალდების საქმეზე კი, სასამართლო გამოძიება იწყება დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის მიერ ბრალდების შემცველი დოკუმენტის-დაზარალებულის საჩივრის წაკითხვით. გამონაკლისია მათი სხდომაზე არყოფნის შემთხვევა, როცა დაზარალებულის საჩივარს კითხულობს სასამართლო სხდომის მდივანი.

სახელმწიფო ბრალმძებლის მხრიდან საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვა ემსახურება იმას, რომ სისხლის სამართლის პროცესის სხვა სუბიექტებმაც, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფმა მოქალაქეებმაც იცოდნენ განსასჯელის მიმართ წარდგენილი ბრალდების არსი, რათა ირწმუნონ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლის (სასამართლოს) დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და აქედან

გამომდინარე, დადგენილი განაჩენის კანონიერებაც, დასაბუთებულობაც, სამართლიანობაც.

სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტები, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი მოქალაქეები გაეცნობიან რა, სასამართლოში განსახილველი სისხლის სამართლის საქმის არსს, ამის შემდეგ სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მიუბრუნდება განსასჯელს (თუ განსასჯელი რამდენიმეა, თითოეულს) და განუმარტავს მას წარდგენილი ბრალდების არსს, მისი ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელს, წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის საფუძველსა და ოდენობას. აღნიშნული განმარტების მიცემის შემდეგ, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განსასჯელს (თუ განსასჯელი რამდენიმეა, თითოეულს) ეკითხება ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ (წმინდა იურიდიული აზროვნებიდან და მსჯელობიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 472-ე მუხლის მეორე ნაწილში კანონმდებელს უნდა ეწეროს – სხდომის თავმჯდომარე განსასჯელს ეკითხება ცნობს თუ არა იგი თავს ბრალეულად. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას განისჯება განსასჯელის ბრალეულობა, არაბრალეულობის საკითხი), და თუ ცნობს – რაში. განსასჯელს უფლება აქვს დასმულ შეკითხვას არ გასცეს პასუხი და ისარგებლოს დუმილის უფლებით. რაც იმას ნიშნავს, რომ განსასჯელი თავს დამნაშავედ (ბრალეულად) არ ცნობს. განსასჯელს, ასევე უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ, ან საერთოდ არ ცნოს წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი.

განსასჯელის მიმართ დასმულ შეკითხვაზე: „ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ (ბრალეულად), პასუხი, განსაზღვრავს სასამართლოში საქმის განხილვის შემდგომ პროცედურას. კერძოდ, თუ განსასჯელი მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე თავს დამნაშავედ (ბრალეულად) ცნობს და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, მხარეთა შორისაც არ იწვევს დავას და არც მოსამართლის

(სასამართლოს) ეჭვს, სასამართლო გამოძიება მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით) შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს. განსასჯელი კი, ყველა შემთხვევაში უნდა დაიკითხოს. მის დაკითხვას იწყებს დამცველი, დაცვის მხარის წარმომადგენელი: შემდეგ პროცესის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც არ წარმოადგენენ ბრალდების მხარეს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს განსასჯელის დაკითხვას ბრალმდებელი, ბრალდების მხარის წარმომადგენელი და პროცესის სხვა მონაწილენი, ბოლოს განსასჯელს დაკითხავს მოსამართლე. მოსამართლის დაკითხვის შემდეგ, მხოლოდ დამცველს აქვს უფლება დაუსვას დამატებითი კითხვები განსასჯელს. დამთავრდება რა განსასჯელის დაკითხვა, რომელმაც დანაშაული აღიარა, მოსამართლე (სასამართლო) სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს და გადადის მხარეთა კამათის მოსმენაზე.

თუ მოხდა ისე, რომ განსასჯელმა აღიარა დანაშაულის ჩადენა, მაგრამ დაკითხვისას განაცხადა ისეთი ფაქტები, რომლებიც შემოწმებას მოითხოვს, მაშინ სასამართლო გამოძიება უნდა გაგრძელდეს.

კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ გარემოებებსაც, რომელთა არსებობის შემთხვევაში არ დაიშვება სასამართლო გამოძიების შეკვეცა ან გაუქმება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სახეზე იყოს სასამართლო გამოძიების შეკვეცის ან გაუქმების ყველა წინა პირობა. ასეთ გარემოებათა შორის იგულისხმება შემდეგი:

- ა) განსასჯელს არ შესრულებია 16 წელი;
- ბ) განსასჯელს აქვს ფსიქიკური ნაკლი;
- გ) განსასჯელს ბრალდება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- დ) სისხლის სამართლის საქმეში არის ორი ან მეტი განსასჯელი და თუნდაც ერთი მათგანი არ აღიარებს დანაშაულს.

აქვე, უნდა გვახსოვდეს კანონმდებლის შემდეგი განაცხადიც, რომელსაც აკეთებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 473-ე მუხლის მეცხრე ნაწილში, რომ: თუ მოსამართლე (სასამართლო) სასამართლო გამოძიების დასაწყისში მიიღებს გადაწყვეტილებას სრული მოცულობით ჩაატაროს სასამართლო გამოძიება, შემდგომ სასამართლო გამოძიების შეკვეცა დაუშვებელია, და იქვე დასძენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორი და დაზარალებული უარს ამბობენ ბრალდებაზე. კანონმდებლის ბოლო ეს წინადადება ბუნდოვანებას ბადებს, რამდენადაც სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მ) პუნქტი საუბრობს, რომ პროკურორისა და დაზარალებულის უარი ბრალდებაზე, საერთოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველია-ო. ვფიქრობთ, დახვეწას საჭიროებს სსსკ-ის 473-ე მუხლის მეცხრე ნაწილი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, თუ სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე განსასჯელია და თუნდაც ერთ მათგანს განსხვავებული აზრი აქვს სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის თაობაზე, მაშინ მტკიცებულებათა გამოკვლევა უნდა ჩატარდეს: ა) სრული მოცულობით, ან ბ) იმ მოცულობით, რომელსაც ითხოვს ეს განსასჯელი.

გამარტივებული სისხლის სამართალწარმოება გვხვდება უამრავი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და მას უფრო ხშირად მიმართავენ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სახეზე არსებობის შემთხვევაში. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში თუ აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ გონივრული მიდგომა იქნება, იგი მართლმსაჯულების განხორციელებას ეფექტურს მართლაც გახდის.

რაც შეეხება სასამართლო გამოძიების სრული მოცულობით ჩატარებას, იგი შედგება ორი ეტაპისაგან: ა) განსასჯელის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან და ბ) იმ მტკიცებ-

ულებათა წარდგენისა და გამოკვლევისაგან, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას და გავლენას ახდენს სასჯელის სახესა და ზომაზე.

სასამართლო გამოძიების ორივე ეტაპი იწყება ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა წარდგენით, შემდეგ მტკიცებულებებს წარადგენს დაცვის მხარე, სასამართლო მტკიცებულებებს არ წარადგენს, მაგრამ ხელს უწყობს მხარეებს მტკიცებულებათა გამოთხოვაში. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, შემდეგ მოსამართლენი, ასევე, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს ბრალდების მხარე და შემდეგ-მოსამართლენი. სასამართლო გამოძიების დროს, სასამართლო სხდომაზე დასაკითხად გამოძახებული პირის დაკითხვა თუ ჯვარედინი წესით მიმდინარეობს, ბოლოს დასაკითხი პირის მიმართ კითხვების დასმის უფლება აქვს პირს, რომლის ინიციატივითაც არის გამოძახებული დასაკითხი.

კანონმდებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის შინაარსში იმპერატიულად აცხადებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, თუ მხარე არ შუამდგომლობს რომელიმე მოწმის დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს უფლება არა აქვს საკუთარი ინიციატივით მოახდინოს მოწმის გამოძახება და დაკითხვა.

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა თავად უნდა უზრუნველყონ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა წარმოდგენა. ზოლო სასამართლომ კი, მათ უნდა შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ასე მაგალითად, მოსამართლე (სასამართლო) მხარეებს მტკიცებულებათა წარმოსადგენად განუსაზღვრავს ერთიან გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში მხარე ვერ უზრუნვე-

ლყოფს მოწმის (მოწმეების) გამოცხადებას, მხარეს უფლება რჩება მიმართოს მოტივირებული შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს (სასამართლოს) განუსაზღვროს მას დამატებითი ვადა მტკიცებულების წარმოდგენისათვის, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიტანოს კიდევ დადგენილება (განჩინება) მოწმის იძულებითი წარმოდგენის შესახებ. თუ მხარე კვლავ ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულების წარმოდგენას დანიშნულ ვადაში, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით გამოიტანოს გადაწყვეტილება მტკიცებულების გამოქვეყნების თაობაზე.

სასამართლოში მხარეები წარადგენენ და უშუალოდ იკვლევენ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც მითითებულია საბრალდებო დასკვნის დანართში. მაგრამ, თუ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოვლინდა ახალი მტკიცებულება, მხარეებს (როგორც ბრალდების, ისე დაცვის) უფლება აქვთ წარმოადგინონ იგი, სასამართლო კი ამ დროს აცხადებს შესვენებას იმ დროით, რაც საჭირო იქნება მხარეებისათვის, გაეცნონ ურთიერთის მიერ წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებას. კანონმდებელი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის მეოთხე ნაწილში დაცვის მხარეს განუსაზღვრავს, რომ სასამართლოში, მან ახალი მტკიცებულება (მათ შორის, მოწმის სახით დასაბარებელ პირთა სია), უნდა წარადგინონ სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო ბრალდების მხარეს არ მიუთითებს დროის რა მონაკვეთში მოახდინოს ახალი მტკიცებულების წარდგენა სასამართლო სხდომის დაწყებამდე. ნორმის ასეთი რედაქცია, ჩვენი აზრით მხარეებს პაექრობისათვის არათანაბარ პირობებს უქმნის. საეჭვო მოსაზრებებს წარმოშობს, კერძოდ კი, ჩნდება ვარაუდი, რომ დაცვის მხარე, რომელიც მტკიცებულებებს (მათ შორის,

მოწმის სახით დასაბარებელ პირთა სიას) სასამართლოში წარადგენს სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა, ბრალდების მხარე ყოველივე ამას ხომ არ გამოიყენებს თავის სასარგებლოდ? მაგალითად, მოახდენს სხვადასხვა ფორმით ზემოქმედებას მტკიცებულებათა წყაროებზე (ურჩევს მოწმეს შეცვალოს ჩვენება). სსსკ-ის 475-ე მუხლის მეოთხე ნაწილის არსებული შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ვარაუდის მასაზრდოებელია, ამ კუთხით დაინახავს მას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, ისე რიგითი მოქალაქეც. შენარჩუნებული, რომ იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთი თვისება-მხარეთა პაექრობისათვის თანაბარი პირობების შექმნა, მიზანშეწონილია კანონმდებელმა, როგორც დაცვის მხარისათვის, ასევე ბრალდების მხარისათვის ახალი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის ერთნაირი ვადა დააწესოს, ვთქვათ იგივე არა უგვიანეს ხუთი დღისა (რომ არ დაირღვეს საყოველთაოდ აღიარებული მხარეთა თანასწორობის პრინციპი და წინააღმდეგობაშიდაც არ მოვიდეთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეექვსე ნაწილთან).

სასამართლო გამოძიების დროს, მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის დროს, მხარე თვითონ ირჩევს მეთოდს, როგორ მოახდინოს მტკიცებულებათა წყაროდან ცნობების მიღება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სასამართლო სხდომაზე გამოძახებულ პირთა დაკითხვის მეთოდი, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით და ცალკეულ პირებზე ცნობები მათგან მიღებული იქნეს თავისუფალი თხრობით და შემდეგ კითხვა-პასუხით, თუ მხოლოდ კითხვა-პასუხით. ვფიქრობთ, გამართლებულია სასამართლო სხდომაზე გამოძახებული პირებისაგან თავისუფალი თხრობის საფუძველზე მოხდეს ცნობების მიღება, თუ რა იცის მან საქმის გარემოებათა შესახებ და შემდეგ მის მიერ მიცემული ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით მიეცეს შეკითხვები, შესაბამისად ან ბრალ-

დების ან დაცვის მხრიდან. თუ დამკითხავი განსასჯელს, დაზარალებულს ან მოწმეს უსვამს შეურაცხყოფელ, მისახვედრ ან ისეთ კითხვებს, რომლებიც საქმეს არ ეხება, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი, რასაც სასამართლო აკმაყოფილებს ან უარყოფს. თვითონ სასამართლოცაა უფლებამოსილი აღნიშნული სახის კითხვები თავისი ინიციატივითაც განარიდოს. სასამართლო, პროცესის მონაწილეებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას კითხვის დასასმელად და დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

რაც შეეხება დასაკითხი პირისაგან (განსასჯელი, დაზარალებული, მოწმე), მხოლოდ კითხვა-პასუხით მოხდეს საქმის გარემოებათა შესახებ ცნობების მიღება, ამ მეთოდს გამართლება არა აქვს. შემდეგ გარემოებათა გამო, ასეთ დროს დასაკითხი პირის თავისუფალი, თამამი აზროვნება შეზღუდულია მოსალოდნელი შეკითხვით. ის იმის მოლოდინშია, რა შეკითხვას დაუსვამენ მას და ცდილობს დასმული კითხვის შესატყვისი პასუხი გასცეს (საუკეთესო შემთხვევაში). ფიქრობს, დამკითხავმა პირმა უკეთესად იცის, თუ რა ცნობების მიღება უნდა მას საქმის გარემოებათა შესახებ. ნაკლებად მრავალსიტყვიანია (სიტყვაძუნწია), და აქედან გამომდინარე, მის მიერ მოწოდებული ცნობებიც მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მწირი, არასრულყოფილი გამოდის.

მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს მხარეთა შუამდგომლობით და თვით სასამართლოს ინიციატივითაც შეიძლება დაისვას საკითხი ამა თუ იმ მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე. მაგრამ ყველა შუამდგომლობა წარდგენილ უნდა იქნეს ერთად სასამართლო გამოძიების სტადიაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ. ასე მაგალითად, თუ ბრალდების მხარეს სურს, მოითხოვოს ექსპერტის დასკვნისა და მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობა და განხილვიდან ამოღება, მან ეს მოთხოვნა უნდა წარადგინოს ერთად, შეიძლება ითქვას, ერთი შუამდგომლობით მოითხოვოს როგორც ექსპერტის დასკვნის, ისე

მოწმის ჩვენების დაუშვებლად ცნობა და განხილვიდან ამოღება.

როგორც კი ამოიწურება, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევა, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო) აცხადებს, რომ დამთავრდა სასამართლო გამოძიების პირველი ეტაპი – განსასჯელის ბრალეულობისა და არაბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევისა და იწყება მეორე ეტაპი, იმ მტკიცებულებათა წარდგენა და განხილვა, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის პიროვნებას, შეეხება მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მტკიცებულებებს განხილვისათვის წარადგენს ჯერ ბრალდების მხარე, შემდეგ დაცვის. ამ ეტაპზე განსჯის საგანია: ა) განსასჯელის ადრინდელი ნასამართლობა, კერძოდ იყო თუ არა იგი წარსულში მსჯავრდებული, თუ იყო რისთვის და როდის; სასჯელის რა სახე და ზომა შეეფარდა, მთლიანად მოიხადა თუ არა სასჯელი; ხომ არ შეეხო ამნისტია, ხომ არ გამოუყენებიათ მის მიმართ შეწყალება; ნასამართლობა მოხსნილი აქვს თუ არა და ა.შ; ბ) განსასჯელის სამსახურებრივი დახასიათება, თუ განსასჯელი მუშაობდა ან მუშაობს საინტერესო ხდება სასამართლოსათვის (მოსამართლისათვის), როგორ ახასიათებს მას ის საზოგადოებრივი წრე, ვისთანაც უწევდა ყოფნა და საქმიანობა; გ) მონაცემები განსასჯელის ოჯახის შესახებ, რამდენი შვილი ჰყავს, მისი ეკონომიური მდგომარეობა, ოჯახის წევრის ჯანმრთელობის შესახებ, ყოველივე ის, რაც პიროვნების დადებით თუ უარყოფით მხარეებზე (თვისებებზე) მეტყველებს; დ) მონაცემები, თუ როგორ იქცეოდა განსასჯელი სამსახურში, კერძოდ კეთილსინდისიერად ასრულებდა თუ არა დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას, ხომ არ ცხადდებოდა სამსახურში ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ და ა.შ.) ე) მონაცემები განსასჯელის დამსახურების შესახებ ქვეყნის წინაშე; მონაცემები იმ ჯილდოების, წახალისების შესახებ, რომელიც მას მიღებული

აქვს კარგი შრომისათვის, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის და ა.შ. წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული ყველა ის მონაცემი, რომელიც მაქსიმალური სრულყოფილებით წარმოაჩენს განსასჯელის პიროვნებას (ეს შეიძლება იყოს მისი კანონმორჩილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ზნეობრივი მხარე, ფსიქიკური გაწონასწორებულობა, კეთილშობილება ან პირიქით აგრესიულობა და ა.შ.).

სასამართლოში გამოძახებულ პირთა დაკითხვას მოსამართლე (სასამართლო) იწყებს განსასჯელის დაკითხვით. რაც სრულიად ლოგიკურია, რამდენადაც განსასჯელია მოქცეული სასამართლო განხილვის ყურადღების ცენტრში, მის მიმართაა მიქცეული მოსამართლის (სასამართლოს) და მხარეთა ძალისხმევა. მისი თანდასწრებითა და აქტიური მონაწილეობით ხდება თითოეული მტკიცებულების გამოკვლევა და შემოწმება. განსასჯელს უფლება აქვს, სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით დაუსვას შეკითხვა, როგორც მოწმეს და ექსპერტს, ისე სხვა განსასჯელებსაც, მონაწილეობა მიიღოს ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებაში და მისცეს ჩვენება ყოველი მტკიცებულების გამოკვლევისას. ყოველივე აღნიშნული ამყარებს განსასჯელის, როგორც მხარის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში.

განსასჯელის დაკითხვა მეტად თავისებურია, ამ თავისებურებას განაპირობებს განსასჯელის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი უფლება ღუმილისა და ჩვენების მიცემისა, ე.ი. მის სურვილზეა დამოკიდებული სასამართლო სხდომის თავმჯდომარის წინადადებაზე, მისცეს ჩვენება მისთვის წაყენებული ბრალდების გამო და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ განაცხადებს თუ არა თანხმობას, უარი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის საზიანოდ. ხოლო განსასჯელი, თუ განაცხადებს თანხმობას ჩვენების მიცემაზე, თვითონ ირჩევს ჩვენების მიცემის მეთოდს, მომხდარ ფაქტთან და საქმის სხვა გარემოებათა შესახებ გადმოსცეს თავისუფალი თხრობით ან პროცესის მონაწილეებმა დაუსვან მას

შეკითხვები. პროცესის მონაწილენი განსასჯელს დაკითხავენ შემდეგი თანმიმდევრობით: სახელმწიფო ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები, შემდეგ განსასჯელს დაკითხავენ მისი დამცველი, სხვა განსასჯლები და მათი დამცველები, ბოლოს კი სასამართლო. განსასჯელის დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ სისხლის სამართლის საქმეზე დართული ან მათ ხელთ არსებული საგანი ან დოკუმენტი და ამასთან დაკავშირებით დაუსვან მას კითხვები.

თავის მხრივ, განსასჯელს უფლება აქვს დაკითხვისას ისარგებლოს წერილობითი შენიშვნებითა და დოკუმენტებით. მას შემდეგ, რაც განსასჯელი ისარგებლებს მის ხელთ არსებული დოკუმენტებით, მათ გადასცემს სასამართლოსა და მხარეებს გასაცნობად და საქმეზე დასართავად.

სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როდესაც სასამართლო გამოძიებისას განსასჯელის მიერ მიცემული ჩვენება, წინააღმდეგობაში მოდის წინასწარი გამოძიების სტადიაზე მის მიერ მიცემულ ჩვენებასთან. როგორ მოიქცეს ამ დროს მოსამართლე (სასამართლო), უფლება აქვს მას სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაიკითხოს და მოახდინოს განსასჯელის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მოცემული ჩვენების ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა? აღნიშნულთან დაკავშირებით, კანონმდებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 477-ე მუხლში სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ: თუ განსასჯელი წინააღმდეგია, დაუშვებელია არა მარტო წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა, არამედ მისი მტკიცებულებად გამოყენებაც.

სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, სასამართლო გამოძიების დროს ხდება მოწმეთა გამოძახება და მათი დაკითხვა. სასამართლო სხდომის დარბაზში

გამოძახებული მოწმის დაკითხვამდე, სხდომის თავმჯდომარე რწმუნდება მის ვინაობაში. გამოკითხავს მოწმეს გვარს, სახელს, დაბადების წელს, თვეს, რიცხვს, ადგილს, საცხოვრებელ და სამუშაო ადგილს, თანამდებობას, გაარკვევს ხომ არ სარგებლობს იმუნიტეტით, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მოწმეს შეიძლება დაუსვას გარკვეული დამაზუსტებელი კითხვებიც.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოწმის ვინაობის გარკვევის შემდეგ მას განუმარტავს: ა) უფლებას უარი თქვას გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის ან თავისი ახლო ნათესაების წინააღმდეგ; ბ) მოვალეობას თქვას სრული სიმართლე, რაც იცის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით; გ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, თავის არიდებისა¹ და ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ასევე არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საეჭვო კითხვებს ბაღებს, რამდენადაც განაჩენის დასაბუთებულობა ითხოვს, განაჩენში მოცემული დასკვნები ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე უშუალოდ განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლებიც გამოკვლევისა და შემოწმების შედეგად მიჩნეული იქნენ უტყუარად (სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილი). განაჩენს არ აინტერესებს წინასწარი გამოძიების სტადიაზე მოწმის მიერ მიცემული ჩვენება. მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შემოწმების ტვირთი გადატანილია სასამართლოზე, ესაა, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესს ამშვენებს. ასევე, ვერ ჯდება უშუალობის პრინციპთან

¹ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოწმის მხრიდან ჩვენების მიცემისათვის თავის არიდების გამო; სსსკ-ის 478-ე მუხლის პირველი ნაწილის გ) ქვეპუნქტი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში სსსკ-ის 94-ე მუხლის მესამე ნაწილთან, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდეს.

მიმართებაშიც), რაზედაც ჩამოერთმევა ხელწერილი, რომელიც დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს. სასამართლო სხდომის ოქმში კი უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მოახდინა მოწმის ვინაობის დადგენა და მისთვის შესაბამისი უფლება-მოვალეობების განმარტება.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, სასამართლო გამოძიების სტადიაზე, ვიდრე დაიწყებოდეს სრულწლოვანი მოწმის დაკითხვა, იგი დებს ფიცს: „ეფიცავ ვილაპარაკო სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!“. თუ, რამდენიმე მოწმეა გამოძახებული სასამართლო სხდომაზე, ისინი დაიკითხებიან ცალ-ცალკე, ამასთან ერთი რომელიმე მოწმის დაკითხვისას, სასამართლო სხდომის დარბაზში არ უნდა იმყოფებოდეს დასაკითხი მოწმე. დაკითხვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე არკვევს, თუ რა ურთიერთობა აქვს მოწმეს განსასჯელთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან, სამოქალაქო მოპასუხესთან და საქმეში მონაწილე სხვა პირებთან, სთავაზობს მოწმეს თქვას ყველაფერი, რაც იცის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

მხარის შუამდგომლობით გამოძახებულ მოწმეს დაკითხავს, შუამდგომლობის აღმძვრელი პირი, შემდეგ ამავე მხარის წარმომადგენელი სხვა პირები, მორჩებიან რა ისინი მოწმის დაკითხვას, ამის მერე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები იწყებენ მოწმის დაკითხვას, ბოლოს კი მას დაკითხავს სასამართლო. სასამართლოს შემდეგ, მოწმის გამომძახებელი პირი უფლებამოსილია ისევ დაუსვას მას კითხვები. მხარე თავად ირჩევს მისი ინიციატივით გამოძახებული მოწმის დაკითხვის მეთოდს: ჯერ თავისუფალი თხრობა და შემდეგ კითხვა-პასუხი ან თავიდანვე მხოლოდ კითხვა-პასუხი. შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, მოწმის დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯვარედინი დაკითხვის წესი, როდესაც მხარეები მონაცვლეობით აძლევენ შეკითხვებს მოწმეს და ბოლოს მას კითხვებს უსვამს

გამომძახებელი მხარე¹. თუ დამკითხავი მოწმეს უსვამს შეურაცხყოფელ, მისახვედრ ან ისეთ კითხვებს, რომლებიც საქმეს არ ეხება, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს განაცხადოს პროტესტი, სასამართლო კი აკმაყოფილებს არ უარყოფს პროტესტს. სასამართლოცაა უფლებამოსილი აღნიშნული კითხვები საკუთარი ინიციატივითაც განარიდოს.

რაც შეეხება არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვას, იგი გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. კერძოდ კი, 14 წელზე ნაკლები ასაკის მოწმეს არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. იგი პირობას დებს, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავს, რის შესახებაც კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში. დადებული პირობის დარღვევას, რაიმე სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

16 წლამდე ასაკის მოწმე, მას შემდეგ რაც მას დაკითხავენ, გაყავთ სასამართლო სხდომის დარბაზიდან. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლო, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, რაიმე პატივსადები მიზეზის გამო, საჭიროდ მიიჩნევს დარბაზში მის დარჩენას.

კანონმდებელი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 481-ე მუხლში ითვალისწინებს ისეთ გარემოებებსაც, როდესაც შესაძლებლადაა მიჩნეული სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას საჯაროდ წაკითხულ და მოსმენილ იქნეს წინასწარი გამოძიებისას მოწმის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერი. ასეთ გარემოებათა რიცხვს მიეკუთვნება: ა) მოწმე გარდაიცვალა, რაც დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებით – გარდაცვალების მოწმობით;

¹ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მხარის შუამდგომლობით და სასამართლოს (მოსამართლის) გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ბ) მოწმე იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ, დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებით, მაგ. შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობიდან გამოთხოვილია დამადასტურებელი ცნობა და ა.შ. გ) მოწმის ადგილსამყოფელი უცნობია; მაგალითად, კურიერმა მიიტანა უწყება მოწმის სასამართლოში გამოძახების თაობაზე და აღმოჩნდა, რომ მოწმე აღარ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და მისი ადგილსამყოფელი არავინ იცის, უცნობია; დ) ამოწურულია მოწმის სასამართლოში წარმოდგენის ყველა შესაძლებლობა; მაგალითად, როდესაც უცნობია მოწმის ადგილსამყოფელი ან თუნდაც იძულებითი მოყვანის წესითაც ვერ მოხერხდა მოწმის სასამართლოში წარმოდგენა; ე) მოწმის შუამდგომლობით ან მისი თანხმობით; მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ აღნიშნული ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს განსასჯელის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. ასევე, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ მოწმის ან დაზარალებულის მიმართ იყო იძულება, მუქარა, დაშინება ან მოსყიდვა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლეს (სასამართლოს) წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოწმის (დაზარალებულის) ჩვენების საჯაროდ წაკითხვის, მისი აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის შესახებ. ამ შემთხვევაში მოცემული ჩვენება მიიჩნევა დასაშვებ მტკიცებულებად. მოწმის ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ მისი დაკითხვის ოქმის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოძახებული დაზარალებულის დაკითხვა, წარმოებს მოწმის დაკითხვის წესით. თუმცა, თავისი სამართლებრივი მდგომარეობით განსხვავდება მოწმისაგან. დაზარალებული, მოწმეებისაგან განსხვავებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან არ გაიყვანება დაკითხვამდე. იგი თვალყურს ადევნებს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის მთელ პროცესს (მიმდინარეობას). მოწმისაგან განსხვავებით, დაზარალებული, როგორც მხარე და

დაინტერესებული საქმის შედეგით, საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ ეცნობა სისხლის სამართლის საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს. იგი, როგორც მხარე და დაინტერესებული საქმის შედეგით, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვას მომზადებული ხვდება, იცნობს საქმის მასალებს და აქედან გამომდინარე, აქტიურ მონაწილეობას იღებს, არა მხოლოდ პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, არამედ თვითონაცაა უფლებამოსილი წარმოადგინოს მტკიცებულებანი. მართალია, დაზარალებული იცნობს სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მასალებს და მიღებული ცნობები გარკვეულ კვალს ტოვებს მის ჩვენებაზე, მაგრამ სასამართლოს აინტერესებს დაზარალებულმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენება მისცეს არა საქმეში არსებული მტკიცებულებების ფონზე (რომელიც სასამართლოში შეიძლება გამოკვლეულიც არ ყოფილა), არამედ მან, როგორც დანაშაულის შედეგად უშუალოდ ზიანმიყენებულმა პირმა, რა იცის საქმის ფაქტობრივი გარემოებების და იმ პირის შესახებ, რომელსაც ბრალდება სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების ჩადენა. მაგრამ, დაზარალებული ჩვენების მიცემის დროს, შემოიფარგლება არა მხოლოდ იმ ცნობების მიწოდებით, რაც იცის მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, არამედ, საკუთარი ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან დაკავშირებით იძლევა ახსნა-განმარტებას და იცავს თავის მოსაზრებებს.

კანონმდებელი, დაზარალებულს უფლებას აძლევს საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათშიც, გამოთქვას აზრი ბრალდების დასაბუთებულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის სახისა და ზომის, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 482-ე მუხლის მეორე ნაწილი, დაზარალებულის დაკითხვის რიგითობის განსხ-

ვაკებულ წესს გვთავაზობს, დაკითხვის ეს წესი დამოკიდებულია დაზარალებულის პოზიციაზე, კერძოდ, თუ იგი მხარს უჭერს ბრალდებას, ჯერ დაკითხავს ბრალდების (მისივე) მხარე; დაცვის მხარე და შემდეგ მოსამართლე (სასამართლო): ხოლო, თუ დაზარალებულმა უარი თქვა ბრალდების მხარდაჭერაზე, მას პირველი დაკითხავს დაცვის მხარე; შემდეგ ბრალდების მხარე და ბოლოს მოსამართლე (სასამართლო).

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას გამოკვლევასა და შემოწმებას ექვემდებარება საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება. მათ შორის რა თქმა უნდა ექსპერტის დასკვნა. თუ მხარეებს შეკითხვები გაუჩნდებათ ექსპერტის დასკვნაში მოყვანილი საკითხების, დებულებების მიმართ, უფლება აქვთ წარადგინონ შუამდგომლობა მოსამართლის (სასამართლოს) წინაშე, ექსპერტის სასამართლოში გამოძახებისა და მისი მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე. იმ მიზნით, რომ მაქსიმალური სრულყოფილებით იქნეს აღქმული და გაცნობიერებული ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა, სასამართლოში შეიძლება გამოიძახონ არა მარტო ის ექსპერტი (ექსპერტები), რომლებმაც ჩაატარეს ექსპერტიზა წინასწარი გამოძიებისას, არამედ ახალი ექსპერტებიც, ან ერთნიც და მეორენიც.

არ არის გამორიცხული, მხარის შუამდგომლობით ან უშუალოდ სასამართლოს (მოსამართლის) ინიციატივით, თუკი საჭიროდ იქნება მიჩნეული დაინიშნოს ექსპერტიზა (როგორც დამატებითი, ისე განმეორებითი). მხარეთა შეთანხმება თუ იქნება, სასამართლოს შეუძლია ექსპერტიზის ჩატარება დაავალოს ექსპერტთა კომისიას, რომელიც შედგენილი იქნება თანასწორობის საწყისზე, კერძოდ კი, ნაწილი მოწვეული იქნება ბრალდების, ხოლო ნაწილი – დაცვის მხრიდან. სასამართლო (მოსამართლე) განჩინებაში (დადგენილებაში) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიუთითებს იმ ფიზიკურ პირს ან საექსპერტო დაწესებულებას, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება. ასევე, განჩინებაში (დადგენილე-

ბაში) ჩამოყალიბებულია სასამართლოსა (მოსამართლის) და მხარეების მიერ ექსპერტის (ექსპერტების) წინაშე დასმული საკითხების ნუსხა, რომელსაც უნდა გაეცეს პასუხი. ექსპერტს (ექსპერტებს) უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასამართლო გამოძიებაში და ექსპერტიზის საგანთან დაკავშირებით კითხვები დაუსვან (რა თქმა უნდა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით) განსასჯელს, დაზარალებულს, მოწმეს სხვა ექსპერტებს, მონაწილეობა მიიღონ დათვალიერებაში, ექსპერი-მენტსა და სხვა საპროცესო მოქმედებაში დასკვნის შესადგენად საჭირო მონაცემების მისაღებად. კანონმდებელი ნებას რთავს ექსპერტს (ექსპერტებს), თუ სასამართლო გამოძიების მონაცემები ეჭვქვეშ ვერ დააყენებს წინასწარი გამოძიებისას ექსპერტის მიერ შედგენილ დასკვნას, დაიმოწმოს ადრე ჩატარებული გამოკვლევა და აღარ გაიმეოროს იგი (მხედველობაშია გამოკვლევა). ამასთან, იგი ვალდებულია თავის დასკვნაში პასუხი გასცეს მის წინაშე დასმულ ყველა კითხვას.

ექსპერტი მის მიერ შედგენილ დასკვნას საჯაროდ კითხულობს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს და სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვთ დაკითხონ ექსპერტი დასკვნაში გადმოცემული შემაჯამებელი დებულებების, საკითხების დაზუსტების მიზნით, მიიღონ განმარტება იმ მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების შესახებ, რომელიც გამოყენებული იყო ობიექტების, ნიმუშების გამოკვლევის პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში დაშვებულია რა მტკიცებულებად საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, ისინი, როგორც თანდართული სისხლის სამართლის საქმეზე, შეიძლება წაკითხულ იქნეს საჯაროდ სასამართლო სხდომის მდივნის მიერ, მხარეთა შუამდგომლობით ან უშუალოდ სასამართლოს ინიციატივით. აღნიშნულ წერილობით მტკიცებულებათა შესწავლა, გამოკვლევა

ემსახურება იმ მიზანს, გაირკვეს რამდენად აქვთ შემხებლობა მათში დაფიქსირებულ ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებთან, და თუ აქვთ რამდენად სანდოა ეს ინფორმაცია. ხოლო მათი სანდოობა კი მხარეებმა და სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა შეაფასონ სხვა მტკიცებულებებთან შეჯერების საფუძველზე. იკვეთება რა, წერილობით მტკიცებულებებში, საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებში მოცემული ინფორმაციის (მონაცემების) კავშირი მომხდარ ფაქტთან და მასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებთან — მხარეებს, სასამართლოს (მოსამართლეს) ყოველთვის უნდებოდათ კითხვა რა ხერხების (მეთოდების, საშუალებების, გზების) გამოყენებით გახდა შესაძლებელი წერილობით დოკუმენტებში მოყვანილი მონაცემების მიღება: ა) თუ საპროცესო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, მაშინ შეიძლება მას დავემყაროთ სხვა მტკიცებულებებთან ერთად და მიღებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილება; ბ) თუ საპროცესო კანონის დარღვევით — მაშინ მხარეებს უნდებოდათ საფუძველი, მოითხოვონ წერილობითი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო გამოძიების დროს წერილობითი მტკიცებულებების (საგამოძიებო მოქმედებათა ოქმები, სხვა დოკუმენტები) საჯაროდ წაკითხვა მიზნად ისახავს იმას, რომ გაირკვეს მათი მიღების ხერხის, სანდოობის, შესახებობის და დასაშვებობის საკითხი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

სასამართლო გამოძიების დროს სისხლის სამართლის საქმეზე გამოთხოვილ დოკუმენტებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე საჯაროდ კითხულობს და აცნობს მათ მხარეებს. მხარეები კი გამოთქვამენ თავიანთ აზრს საქმეზე დოკუმენტების მნიშვნელობის შესახებ. დოკუმენტები დაერთვის საქმეს.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, საქმეზე თანდართული ნივთიერი მტკიცებულებები, ფიზიკურად უნდა იმყოფებოდეს სასამართლო სხდომის დარბაზში, რომ საქმის

სასამართლო განხილვისას მხარეები და სასამართლო ნებისმიერ დროს მიუბრუნდეს ნივთიერ მტკიცებულებებს და მოახდინონ მათი დათვალიერება. იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია დასათვალიერებელი ობიექტის მოტანა სასამართლო სხდომის დარბაზში, მისი სიდიდის გამო ან უნდა მოხდეს ადგილმდებარეობის, შენობის, სათავსოს, ტრანსპორტის თუ სხვა ამგვარი ობიექტის დათვალიერება, დათვალიერებას სასამართლო (მოსამართლე), მხარეთა მონაწილეობით, აგრეთვე მოწვეული ექსპერტით, სპეციალისტით და მოწმით ახდენს ობიექტის მდებარეობის ადგილზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმეზე შეიძლება დასათვალიერებელი გახდეს მალფუჭებადი ან ისეთი ობიექტი, რომელსაც რადიაციული გამოსხივება აქვს, როგორც მოხდეს მათი (და მათივე მსგავსი თვისებების მატარებელი) ობიექტების დათვალიერება სასამართლო სხდომის დარბაზში? ასეთ დროს სასამართლო სხდომის დარბაზში საჯაროდ უნდა იქნეს წაკითხული აღნიშნული თვისებების მატარებელი ობიექტების დათვალიერების ოქმი და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები. ასევე მხარეები, სასამართლო უნდა გაეცნოს დასახელებული ობიექტების ამსახველ ფოტოსურათებს, ვიდეომასალას (ტექნიკური საშუალებებით მათი დაფიქსირება სავალდებულოდ მიგვაჩნია).

სასამართლო გამოძიებისას ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება სავალდებულოა, რამდენადაც ნივთიერ მტკიცებულებას, რომელიც არ დათვალიერებულა და, აქედან გამომდინარე არ გამხდარა შესწავლის, გამოკვლევის საგანი – მას, სასამართლო (მოსამართლე) ვერ დაემყარება განაჩენის დადგენისას. ამიტომ, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მოუწოდებს მხარეებს, რომ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერებაში და მათი მისამართით გააკეთონ: ა) გარკვეული შენიშვნები ან ბ) მისცენ თავისი განმარტებები.

კანონმდებელი ადგენს, რომ სასამართლო გამოძიებისას ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერება უნდა მოხდეს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი დათვალიერების ჩატარების საერთო წესებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 485-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

რაც შეეხება, სასამართლო გამოძიებისას ცოცხალი პირის შემოწმებას, ისიც უნდა ჩატარდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი შემოწმების ჩატარების საერთო წესებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 486-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. აქვე, უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ თუ შემოწმება ითვალისწინებს პირის გაშიშვლებას, იგი უნდა ჩატარდეს ცალკე ოთახში, ექიმის ან სხვა სპეციალისტის მიერ. შემოწმების დამთავრების შემდეგ პროცესის მონაწილენი ადგენენ ოქმს, ხელს აწერენ მას, ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და ექიმი ან სხვა სპეციალისტი საჯაროდ კითხულობს ოქმს, მხარეების შესამოწმებელი პირისა და სასამართლო სხდომის დამსწრეთა წინაშე. მხარეების შესამოწმებელი პირისა და სასამართლო სხდომის დამსწრეთა წინაშე. მხარეებს, სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები შემოწმების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, როგორც შემოწმებელს (ექიმს ან სხვა სპეციალისტს), ისე შემოწმებულს და დამსწრეებს (თუ ასეთები იყვნენ).

სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისას, მხარეებს უფლება აქვთ აღძრან შუამდგომლობა სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე, ისეთი სასამართლო მოქმედებების ჩატარების შესახებ, როგორცაა: ამოსაცნობად წარდგენა, ექსპერტიზის ჩატარება და ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის და გამოთქვან თავიანთი შენიშვნები, როგორც მათი ჩატარების მიმდინარეობის, ისე შედეგების შესახებაც. აღნიშნული მოქმედებების დროს დაცული უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი თითოეული მოქმედების ჩატარების საერთო წესები.

სასამართლოს (მოსამართლის) წინაშე, მხარეების მიერ აღძრული შუამდგომლობა ზემოთ დასახელებული მოქმედებების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ამოსაცნობად წარდგენის, ექსპერიმენტის ჩატარებისა და ნიმუშის აღების მიმდინარეობა და შედეგები, ისევე, როგორც მოქმედებათა ჩატარების მიმდინარეობის შესახებ გამოთქმული შენიშვნები და განმარტებები უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში.

მას შემდეგ, რაც სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგად გამოკვლეული იქნება საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, გადაწყდება მტკიცებულებათა დასაშვებობისა და შესახებობის საკითხი, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ დამთავრდა სასამართლო გამოძიება.

§3. სასამართლო კამათი და განსასჯელის საბოლოო სიტყვა

სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ იწყება სასამართლო კამათი. თუ მხარეები მზად არიან კამათისათვის, იგი იწყება დაუყოვნებლივ, იმავე სასამართლო სხდომაზე. მაგრამ, თუ სასამართლო კამათში მონაწილეობის მქონე რომელიმე პირი შუამდგომლობს, რომ მას მისცენ დრო გამოსვლისათვის მოსამზადებლად, სხდომის თავმჯდომარე აცხადებს შესვენებას და აღნიშნავს მის ხანგრძლივობას.

სასამართლო კამათის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეები: ერთის მხრივ, ბრალდების მხარე: სახელმწიფო ან კერძო ბრალმძებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი), სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი და მეორეს მხრივ, დაცვის მხარე: დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი, სასამართლო გამოძიებისას გამოკვ-

ლეული და შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს წარუდგენენ თავიანთ დასკვნებს, დასაბუთებულ მოთხოვნებს, წინადადებებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების, განსასჯელის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის შესახებ. ე.ი. სასამართლო კამათი მოიცავს პროკურორის საბრალდებო სიტყვას და დამცველის დაცვით სიტყვას. მხარეები რიგითობის მიხედვით წარმოსთქვამენ საკამათო სიტყვას. პირველად სიტყვას წარმოსთქვამს სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი), სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი. თუ ორივე მხარეს (როგორც ბრალდების, ისე დაცვის) რამდენიმე წარმომადგენელია და ყველას უნდა მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში, ისინი სხდომის თავმჯდომარის წინადადებით ერთმანეთში ათანხმებენ გამოსვლათა რიგითობას და დროს. თუ მხარეთა წარმომადგენლები ვერ შეთანხმდებიან გამოსვლათა რიგითობაზე, ჩატარდება კენჭისყრა. სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო (მოსამართლე) კამათში მონაწილე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

მხარეები სასამართლო კამათის დროს ამოდიან რა სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის უშუალოების პრინციპიდან, თავიანთ გამოსვლებში ემყარებიან მხოლოდ და მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც გამოკვლეული იქნა სასამართლო გამოძიების დროს.

რა საკითხებს ეხებიან მხარეები სასამართლო კამათში გამოსვლის დროს? დაეიწყეთ პროკურორით, რომელიც სასამართლო კამათში წარსდგება საბრალდებო სიტყვით. პროკურორი თავის საბრალდებო სიტყვას აგებს იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც გამოკვლეული იყო სასამართლო გამოძიების დროს და მათზე დაყრდნობით ფორმულირებას უკეთებს დანაშაუ-

ლის შემადგენლობას, რომლის არსებობის ფაქტიც, მისი აზრით დადასტურებულ იქნა სასამართლო სხდომაზე. აქედან გამომდინარე, შემდგომში, პროკურორი სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული და შესწავლილი მტკიცებულებების ანალიზის ფონზე მსჯელობს და აკეთებს დასკვნებს განსასჯელის ბრალეულობის (თუ არაბრალეულობის) შესახებ სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. ასაბუთებს თავის პოზიციას ქმედების კვალიფიკაციის კუთხით, გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე აფასებს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სიმძიმეს, განსასჯელის პიროვნებას, ითვალისწინებს საჯარო ინტერესს და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს (მოსამართლეს) წინადადებას აძლევს სასჯელის ამა თუ იმ სახის გამოყენების შესახებ. (სასურველია პროკურორმა სასჯელის სახესთან ერთად არ მოითხოვოს სასჯელის ზომაც, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით, რამდენადაც ეს აღიქმება ისე, თითქოს პროკურორი კარნახობს სასამართლოს (მოსამართლეს) განაჩენს. მართლაც, სასამართლო (მოსამართლე) ობიექტურად, რომ მივიდეს ხსენებული სასჯელის სახემდე და ზომამდე, იგი დანახული იქნება, როგორც პროკურორის ზემოქმედების შედეგად მიღებული განაჩენი. ხოლო, თუ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის სახე და ზომა არ დაემთხვევა, სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილ განაჩენს, ამას უკვე შეაფასებენ, როგორც ბრალდების მხარის არაობიექტური, მიკერძოებული საქმიანობა (შეილახება ბრალდების მხარის რეპუტაცია). გამოსავალი რჩება ერთი, საზოგადოებაში სხვადასხვა მთავარი ხმები, რომ არ გავრცელდეს განაჩენთან დაკავშირებით, სასჯელის ზომის გადაწყვეტის საკითხი მთლიანად სასამართლოს უნდა მიენდოს). პროკურორი, საბრალდებო სიტყვაში უწყურადღებოდ არ ტოვებს სამოქალაქო სარჩელსაც (თუკი ასეთი იქნება) და მოითხოვს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორებას. ე.ი. შეი-

ძლება ითქვას, რომ პროკურორმა სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე სასამართლოს (სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ მოქალაქეებს) უნდა აჩვენოს, რომ საქმეზე დამტკიცებულია ყველა გარემოებანი. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ თუ სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული და შესწავლილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ განსასჯელის ბრალეულობას (ასეთი რწმენა შეექმნა პროკურორს), პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, მისთვის ბრალდებაზე მხარდაჭერა თვითმიზანი არ უნდა იყოს, თბიექტურ რეალობას უნდა ეფუძნებოდეს (ამით ამაღლდება საზოგადოების თვალში, არა მხოლოდ პროკურორის ინსტიტუტის ავტორიტეტი, არამედ მთლიანად სახელმწიფო აპარატის).

ვებებით რა, პროკურორის საბრალდებო სიტყვას უნდა ითქვას, რომ პროკურორი საბრალდებო სიტყვის მომზადებას დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს, მის სიტყვაში უნდა ჩანდეს ზრუნვა ადამიანების უფლებებზე, თავისუფლებებზე, კანონიერ ინტერესებზე. მისი სიტყვა არ უნდა ჰგავდეს ექსპრომტად ნათქვამს, მოუმზადებელი არ უნდა იყოს. არც ის ვარგა, პროკურორმა საბრალდებო სიტყვა მოამზადოს საქმის სასამართლოში განხილვამდე, წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ასეთ შემთხვევაში იგი მოწყვეტილი იქნება სისხლის სამართლის საქმეში არსებულ რეალობას, პროკურორის საბრალდებო სიტყვა არ იქნება ადეკვატური სასამართლო გამოძიების დროს მიღებული მტკიცებულებების შინაარსისა. ეს კი პროკურორის საბრალდებო სიტყვას არასარწმუნოს, დაუსაბუთებელს გახდის. პროკურორის საბრალდებო სიტყვა კი სარწმუნო, დასაბუთებული უნდა იყოს არ მხოლოდ სასამართლოსათვის, არამედ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი მოქალაქეებისათვის. პროკურორის საბრალდებო სიტყვა შედეგიანი, რომ იყოს, იგი უნდა აიგოს სასამართ-

ლო გამოძიების დროს გამოკვლეულ და შესწავლილ მტკიცებულებებზე.

სასამართლო კამათში დამცველის დაცვითი სიტყვა მიმართული უნდა იყოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის (განსასჯელის) ინტერესების დაცვისაკენ. მან უნდა გამოიყენოს დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებენ განსასჯელს ანდა ამსუბუქებენ მის პასუხისმგებლობას. სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული და შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე გამოთქვას დასაბუთებული, არგუმენტირებული მოსაზრება ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის სახის, აგრეთვე დანაშაულით გამოწვეული სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეული მტკიცებულებები შეიძლება ნათლად მეტყველებდნენ განსასჯელის ბრალეულობაზე, დამცველს უფლება არა აქვს უარი თქვას პირის დაცვაზე, ის ნებისმიერ ვითარებაში ვალდებულია თქვას დაცვითი სიტყვა. პროფესიონალი, კეთილსინდისიერი დამცველი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმეში აღმოაჩენს განსასჯელის სასარგებლოდ მოლაპარაკე გარემოებებს.

მას შემდეგ, რაც სასამართლო კამათის ყველა მონაწილე გამოვა სიტყვით, თითოეულ მათგანს უფლება აქვს კიდევ ერთხელ, სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, მოკლედ გამოთქვას საწინააღმდეგო აზრი ან შენიშვნა გამოსვლაში ნათქვამის თაობაზე. პირველად რეპლიკას ამბობს სახელმწიფო ბრალმძებელი ან კერძო ბრალმძებელი (დაზარალებული ან დაზარალებულის წარმომადგენელი, რომელიც თავის გამოსვლაში ცდილობს გააბათილოს, დამცველის მიერ დაცვით სიტყვაში მოყვანილი დამახინჯებული ფაქტები ან საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის არასწორი დასაბუთება (თუ რა თქმა უნდა, ასეთი რამ გამოვლინდება დაცვით სიტყვაში). შემდეგ გამოდის სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი

წარმომადგენელი და გამოთქამენ თავიანთ მოსაზრებას სამოქალაქო სარჩელს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ბრალმდებელს, კერძო ბრალმდებელს რეპლიკითვე პასუხობს დამცველი ან განსასჯელი (განსასჯელი სასამართლო კამათში გამოდის მაშინ, როდესაც საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობას არ იღებს დამცველი). დამცველის რეპლიკის შემდგომ, პროკურორს აღარ აქვს უფლება უპასუხოს რეპლიკითვე. რეპლიკა უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს. სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელიც უფლებამოსილია უპასუხოს რეპლიკით სამოქალაქო მოსარჩელეს, მის წარმომადგენელს.

სასამართლო კამათის დასრულების შემდეგ განსასჯელს ეძლევა საბოლოო სიტყვა. განსასჯელის საბოლოო სიტყვა – საქმის სასამართლო განხილვის შემადგენელი ნაწილია. იგი წინ უძღვის სასამართლოს (მოსამართლის) გასვლას სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად. განსასჯელისათვის საბოლოო სიტყვის თქმის მინიჭება, ერთ-ერთი საშუალებაა მისი დაცვის უფლების რეალიზაციისა. როდესაც განსასჯელი საბოლოო სიტყვას წარმოთქვამს, ამ დროს არ შეიძლება მას დაუსვან კითხვები. არც ის შეიძლება, რომ სასამართლომ (მოსამართლემ) განსასჯელს განუსაზღვროს საბოლოო სიტყვის თქმის ხანგრძლივობა, ე.ი. შეზღუდოს დროში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ განსასჯელი საუბრობს ისეთ გარემოებებზე, რომელთაც კავშირი არა აქვთ განსახილველ საქმესთან მოსმენილ იქნეს, რა თქმა უნდა არა, სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ასეთ დროს შეუძლია გააჩეროს განსასჯელი და მიანიშნოს ისაუბროს საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ აკეთებს დათქმას იმის შესახებ, განსასჯელმა საბოლოო სიტყვა რა ფორმით, როგორი შინაარსით, საკითხთა რა თანმიმდევრობით გადმოსცეს. განსასჯელი თვითონ განსაზღვრავს თავისი

ინტელექტუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, დამცველის-
აგან მიღებული სამართლებრივი დახმარების საფუძველზე რა და
როგორ ილაპარაკოს. მას უფლება აქვს ილაპარაკოს ყველაფერ-
ზე, რასაც კავშირი აქვს სისხლის სამართლის საქმესთან და
შეესატყვისება მის ინტერესებს. განსასჯელი უფლებამოსილია,
თავისი ხედვიდან გამომდინარე, უარყოს წარდგენილი ბრალდება,
ამტკიცოს არაბრალეულობა ან ნაკლები ბრალდება, მოიყვანოს
ფაქტები პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად, ახსნას სისხლის
სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ქმედების
ჩადენის მოტივები და გამოთქვას აზრი განაჩენში გადასაწყვეტ
ყველა საკითხზე.

სასამართლო (მოსამართლე) მოისმენს რა განსასჯელის საბ-
ოლოო სიტყვას, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე სისხლის
სამართლის პროცესის მონაწილეებსა და სასამართლო სხდომის
დარბაზში მყოფ პირებს განუცხადებს, რომ სასამართლო (მოსამარ-
თლე) გადის სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად. სა-
სამართლოს (მოსამართლის) სათათბირო ოთახში გასვლამდე,
სასამართლო სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეებს
ამცნობს, როდის გამოცხადდება განაჩენი.

§4. განაჩენის დადგენა

განაჩენის არსი და მნიშვნელობა. განაჩენის დადგენა წარ-
მოადგენს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპს. საქართველოს
სსსკ 44-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, განაჩენი არის
პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების გადაწყ-
ვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაუ-
ლის ჩადენაში ან ამართლებს მას.

განაჩენი განსაკუთრებული მნიშვნელობის საპროცესო აქტია.
სწორედ მასში აისახება და სრული ფორმით რეალიზდება სასა-

მართლოს საპროცესო ფუნქცია – საქმის გადაწყვეტის ფუნქცია.

განაჩენის იურიდიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მხოლოდ სასამართლოს განაჩენით შეიძლება პირი ცნობილი იყოს დამნაშავედ და დაეკისროს მას სასჯელი.

სასამართლო განაჩენს ადგენს და აცხადებს სახელმწიფოს სახელით. საქართველოში ყველა სასამართლოს განაჩენი გამოაქვს საქართველოს სახელით, რითაც იგი ახდენს ჩადენილი ქმედების შეფასებას სახელმწიფოს მხრიდან და გამოხატავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას მსჯავრდებულის მიმართ, ახორციელებს სახელმწიფო იძულებას. ამასთან, განაჩენი არ წარმოადგენს საკანონმდებლო აქტს, არ შეიცავს სამართლის ნორმას. მას აქვს ინდივიდუალური, სამართალგამოყენებითი ხასიათი. მისი სპეციფიკური ბუნება, რითაც იგი განსხვავდება სხვა სამართალგამოყენებითი აქტებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ის გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი საპროცესო წესით და არსებითად წყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს.

განაჩენი არის მართლმსაჯულების უმთავრესი აქტი. სწორედ განაჩენში ჯამდება წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში დადგენილი საქმის ყველა გარემოების, ყველა მტკიცებულების გამოკვლევის შედეგი მხარეთა შეჯიბრებითობის, უშუალოების, ზეპირობის და საჯაროობის პირობებში.

განაჩენის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ დაუშვებელია განაჩენის გამოტანა პირის მიმართ, თუ უკვე არსებობს მის მიმართ იმავე ბრალდების გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. „non bis in idem“ – წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ პრინციპს.

განაჩენს აქვს როგორც საპროცესო, ასევე პრეიუდიციული და სოციალური მნიშვნელობა.

განაჩენის საპროცესო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების ძირითად აქტს. ერთის მხრივ, განაჩენში შეჯამებულია წინასწარი

გამოძიების ორგანოების და პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის შედეგები, ხოლო მეორეს მხრივ, განაჩენი წარმოადგენს ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლების რეალიზაციის საფუძველს, რომლის გარეშეც შეუძლებელია სასამართლო სისტემის ფუნქციონირება.

განაჩენის პრეიუდიციული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი შეფასება წარმოადგენს სავალდებულოს სხვა სასამართლოსათვის, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ განაჩენის კანონიერებას, რადგან არსებობს მისი ჭეშმარიტების პრეზუმფიცია. განაჩენს აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა ყველა სხვა ნორმაგამომყენებლისათვის, სანამ იგი არ იქნება გაუქმებული კანონით დადგენილი წესით.

განაჩენის სოციალური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ განაჩენში, როგორც სასამართლო ხელისუფლების აქტში მოცემულია განსასჯელის ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხის შეფასება სახელმწიფოს მხრიდან. განაჩენი ასახავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას დანაშაულებრივი ქმედებისადმი, ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ეფექტურობის სოციალურ დასაბუთებულობას. საჯაროდ გამოცხადებული განაჩენი ხელს უწყობს საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების ფორმირებას, მართლშეგნების, სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ეს დებულება განსაზღვრავს სასამართლო განაჩენის, როგორც მართლმსაჯულების ძირითადი აქტის მნიშვნელობას და ავალდებულებს სასამართლოს განუხრელად დაიცვას განაჩენის მიმართ კანონით წაყენებული მოთხოვნები. კერძოდ, საქართველოს სსსკ 496-ე მუხლის თანახმად, გა-

ნაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, საპროცესო კოდექსის და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს.

განაჩენის კანონიერება — ეს არის მისი შესაბამისობა კანონის მოთხოვნებისადმი. განაჩენი ითვლება კანონიერად, თუ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში საქმის წარმოებისას არ იყო დაშვებული საპროცესო კანონის დარღვევები, თუ დაცული იყო განაჩენის დადგენის საპროცესო წესი, სწორად იყო გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორმები (სწორად იყო გადაწყვეტილი სსკ ზოგადი ნაწილის ნორმების გამოყენების საკითხი, ქმედების კვალიფიკაცია, სასჯელის ზომა, სახე და ა.შ.).

განაჩენის დასაბუთებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი დასკვნების დასამტკიცებლად მოიყვანოს ის მტკიცებულებები, რომლებიც არ იყო გამოკვლეული და გამოცხადებული სასამართლო სხდომაზე. ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებების არსებობისას სასამართლო ვალდებულია განაჩენში მიუთითოს თუ რატომ ცნო მტკიცებულებების ნაწილი სარწმუნოდ, ხოლო ნაწილი — უარყო. როცა საქმეში რამდენიმე განსასჯელია ან რამდენიმე დანაშაულია ჩადენილი ერთი განსასჯელის მიერ, განაჩენი უნდა შეიცავდეს მტკიცებულებათა ანალიზს ყოველი განსასჯელის და ყოველი ბრალდების მიმართ.

კანონის თანახმად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, განაჩენი ითვლება დაუსაბუთებლად მასში მოცემული ნებისმიერი დასკვნის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში. დაუსაბ-

უთებელი იქნება განაჩენი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დადგენილ ფაქტებს, ქმედების კვალიფიკაციას და ა.შ.

განაჩენის კანონიერება და დასაბუთებლობა ორგანულად არის ურთიერთდაკავშირებული. დაუსაბუთებელი განაჩენი იმავდროულად წარმოადგენს უკანონოსაც, რადგან კანონი მოითხოვს მხოლოდ დასაბუთებული განაჩენის გამოტანას.

განაჩენის სამართლიანობა გულისხმობს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შესაბამისობას დამნაშავეს პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისადმი.

კანონის თანახმად, განსასჯელის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც თუმცა არ სცილდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტის-მეტი სიკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა.

პროცესის თეორიაში განაჩენის სამართლიანობა განიხილება ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, განაჩენის სამართლიანობა ემთხვევა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სამართლიანობას, ანუ სასჯელის შესაბამისობას ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და მისი ჩამდენი პირის პიროვნებასთან. ფართო გაგებით, განაჩენის სამართლიანობა ეფუძნება მის კანონიერებასა და დასაბუთებულობას და გულისხმობს საქმის სწორად გადაწყვეტას, რაც უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ სოციალურ-ზნეობრივ პრინციპებსაც. სამართლიანობა არ არის კანონიერებისა და დასაბუთებულობის იდენტური. სამართლიანობა წარმოადგენს კანონიერებისა და დასაბუთებულობის ზნეობრივ შეფასებას. კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი შეიძლება არ იყოს სამართლიანი. თავის მხრივ, არასამართლიანი განაჩენი არ შეიძლება იყოს კანონიერი.

მართალია, საპროცესო კანონი განაჩენს უყენებს მხოლოდ კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის

მოთხოვნებს, მაგრამ განაჩენი ამასთან ერთად უნდა იყოს მოტივირებულიც.

განაჩენის მოტივირება გულისხმობს მასში მოცემული დასკვნებისა და გადაწყვეტილებების ფაქტობრივ და იურიდიულ არგუმენტირებას.

მოტივირება ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ განაჩენში არა მხოლოდ უნდა ჩამოთვალოს მოწმეთა, დაზარალებულთა და პროცესის სხვა მონაწილეთა გვარები, არამედ უნდა ასახოს მათი ჩვენებების არსი, ხოლო თუ სასამართლო მიიჩნევს მტკიცებულებას დაუშვებლად. მან უნდა მოახდინოს თავისი გადაწყვეტილების მოტივირება აღნიშნული მტკიცებულების საქმიდან ამოღების თაობაზე და მიუთითოს კონკრეტულად რატომ არის ეს მტკიცებულება დაუშვებელი.

განაჩენი იქნება არა მხოლოდ დაუსაბუთებელი, არამედ არამოტივირებულიც, თუ მასში მოყვანილი დასკვნები შეიცავენ არსებით წინააღმდეგობას.

მოტივირება წარმოადგენს განაჩენის დასაბუთებლობისა და კანონიერების წინაპირობას.

განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობის, სამართლიანობის და მოტივირების მოთხოვნა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. არ შეიძლება კანონიერად ითვლებოდეს განაჩენი, რომელიც არ შეესაბამება დასაბუთებულობის ნორმატიულ მოთხოვნას და პირიქით, არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს განაჩენი, თუ იგი დაფუძნებულია დაუშვებელ მტკიცებულებაზე, რაც მიღებულია კანონის დარღვევით.

განაჩენის სპეციფიკა ვლინდება იმპერატიულ მოთხოვნაში — მის სავალდებულობაში. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის, საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, თანამდებობის პირებისათვის, მოქალაქეებისათვის.

განაჩენის დადგენისას გადასაწყვეტი საკითხები. განაჩენის დადგენისას სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს სსსკ 498-ე მუხლში. განაჩენის დადგენისას გადასაწყვეტი საკითხები კანონში მოცემულია გარკვეული თანმიმდევრობით, რაც უნდა იყოს დაცული სასამართლოს მიერ მისი განხილვისას. ყოველ წინა შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი, როგორც წესი, გამორიცხავს მომდევნო საკითხთა გადაწყვეტის აუცილებლობას.

განაჩენის დადგენისას სასამართლო სათათბირო ოთახში განიხილავს და გადაწყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი მოწმობს იმას, რომ ქმედება წარმოადგენს განსასჯელის ქცევის შედეგს. ამასთან ქმედება, რომელიც ჩაიდინა განსასჯელმა უნდა იყოს დანაშაულად მიჩნეული სისხლის სამართლის კოდექსით, რადგან სისხლის სამართალში დაუშვებელია ანალოგიის გამოყენება. თუ დადგინდა, რომ ქმედება ჩაიდინა სხვა პირმა, ან არ არის დამტკიცებული მისი ჩადენა განსასჯელის მიერ, სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოიტანოს.

ბ) არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო.

მართლწინააღმდეგობა გულისხმობს იმას, რომ პირის ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სამართლის ნორმებს, არამედ საზოგადოებაში აღიარებულ კულტურისა და ზნეობის ნორმებს.

მართლწინააღმდეგობა ბრალეულობასთან ერთად დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია. თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, ე.ი. არც დანაშაულს არა აქვს ადგილი. ამ საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა განსაჯოს ზომ არ არის აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, დამნაშავის შეპყრობის და მართლწინააღმდეგობის გამოძრიცხველი სხვა გარემოება სახეზე.

გ) შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება.

ამ საკითხის განხილვა მოითხოვს სასამართლოს მიერ იმის დადგენას, განსასჯელი მოქმედებდა თუ არა ბრალეულად. თუ დამტკიცდა, რომ განსასჯელი მოქმედებდა არაბრალეულად ან არ არის დამტკიცებული მისი ბრალი (ანუ მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის), მაშინ მის მიმართ უნდა იყოს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო.

დ) უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

სათათბირო ოთახში სასამართლომ უნდა განიხილოს ის გარემოებები, რომელთა არსებობისას პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან (შესაბამისად, ქმედითი მონანიების გამო – სსკ 68-ე მუხლი, ზანდაზმულობის ვადის გასვლის გამო – სსკ 71-ე მუხლი, ამნისტიის და შეწყალების გამო – სსკ 77-78-ე მუხლები და ა.შ.).

თუ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განსასჯელი უნდა დაისაჯოს ჩადენილი დანაშაულისათვის, მას გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი მოსახდელი სასჯელის დანიშვნით.

ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით; აღნიშნული საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავს სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს და სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლის სანქციის ფარგლებში, რომლის ჩადენაშიც განსასჯელი ცნობილ იქნა დამნაშავედ.

დანაშაულის ჩადენაში ბრალეულ პირს უნდა დაენიშნოს სამართლიანი სასჯელი. სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების

ხასიათი და ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

ვ) უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;

როდესაც სასამართლო დანიშნავს სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის, იგი მოვალეა იმავდროულად გადაწყვიტოს საკითხი — მოიხადოს თუ არა დანიშნული სასჯელი განსასჯელმა. დანიშნული სასჯელი არ ექვემდებარება მოხდას პირობითი მსჯავრის შემთხვევაში, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის განთავისუფლების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულების გადავადების შემთხვევაში.

თ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა ოდენობით;

აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს იმ საპროცესო ნორმების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო სარჩელის განხილვის წესს სისხლის სამართლის პროცესში. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ უნდა განიხილოს სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ნამდვილად მიაღგა თუ არა ზიანი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობილ პირს; ეს ზიანი მას მიაღგა თუ არა სწორედ მოცემული დანაშაულის შედეგად; რა სახისაა მიყენებული ზიანი — ქონებრივი, ფიზიკური თუ მორალური; როგორია მიყენებული ზიანის ოდენობა; რა ფარგლებში და რა საშუალებებით უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება; ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი.

სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის განაჩენს გამოიტანს სასამართლო.

გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო უარს ამბობს სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რადგან განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება ან მისი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სასამართლო სრულად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს სამოქალაქო სარჩელს ან უარს ამბობს მის დაკმაყოფილებაზე. თუ ქონებრივი ზიანი მიყენებულია რამდენიმე განსასჯელის მიერ, სასამართლო განიხილავს საკითხს – ექვემდებარება თუ არა ზიანი ანაზღაურებას სოლიდარული ან წილობრივი ფორმით.

ი) გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ანდა ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

სამოქალაქო სარჩელის ან ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლომ შეიძლება ყადაღა დაადოს ბრალდებულის, განსასჯელის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ანდა დაკავშირებული პირის ქონებას. განაჩენის დადგენისას კი უნდა გადაწყდეს საკითხი – გაუქმდეს თუ არა ეს საპროცესო იძულებითი ღონისძიება და მოეხსნას თუ არა ყადაღა აღნიშნულ ქონებას. პირველ რიგში სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ყადაღა დადებული ქონება ეკუთვნის სწორედ განსასჯელს ან პირს, რომელიც მატერიალურად არის პასუხისმგებელი მის ქმედებაზე. ამასთან, სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს მსჯავრდებულის ქონებას საკუთარი ინიციატივით.

კ) სამოქალაქო სარჩელის ანდა ქონების ჩამორთმევის საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელს ამ საკითხის ფორმულირებისას გარკვეული სიზუსტე აკლია, რადგან სასამართლო, ცხადია, ვერ განიხილავს სამოქალაქო სარჩელის ჩამორთმევის საკითხს. მან შეიძლება განიხილოს სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი და შესაბამისად, ქონების ჩამორთმევის საკითხი.

სსკ 52-ე მუხლის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგანის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გა-

მიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. სასამართლო სასჯელის ამ სახეს იყენებს ყველა განზრახი დანაშაულის ჩადენისას, თუ სახეზეა დანაშაულის საგანი ანდა იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ყველა განზრახი დანაშაულისათვის იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

ლ) როგორი იქნება ნივთიერი მტკიცებულებების ბედი;

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ 124-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, განაჩენში უნდა გადაწყდეს დანაშაულის საგნის ანდა იარაღის სახელმწიფოსათვის გადაცემის ან მისი განადგურების საკითხი; ბრუნიდან ამოღებული ნივთის შესაბამისი დაწესებულებისათვის გადაცემის თუ მისი განადგურების საკითხი; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულისა და ფასეულობის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადაცემის საკითხი თუ ცნობილი არ არის პირი, ვისაც ზიანი მიადგა; დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთის ან დოკუმენტის (განსასჯელისა და იმ პირის გარდა, რომლებსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ) შესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის დაბრუნების საკითხი. თუ ნივთი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას, მასზე გავრცელდება სსსკ 123-ე მუხლის 1¹ ნაწილით დადგენილი წესი.

მ) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება;

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი, როგორც წესი, წყდება წინასწარ გამოძიებაში, მაგრამ არ არის გამორიცხული ეს საკითხი დადგეს განაჩენის დადგენისას, თუკი წინასწარ გამოძიებაში ან სასამართლო განხილვისას არ იყო გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება და სასამართლო მიიჩნევს, რომ განაჩენის აღსრულებამდე აუცილებელია განსასჯელს შეეფარდოს იგი. ანალოგიურად შეიძლება დაისვას საკითხი შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი სახის ღონისძიებით შეცვლის თაობაზე. რაც შეეხება შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას, სასამართლო აუქმებს აღკვეთის ღონისძიებას იმ შემთხვევაში, როდესაც მას გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი ან გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის მოზღვისაგან მისი განთავისუფლებით ანდა სასჯელის დანიშვნის გარეშე. ამ შემთხვევაში განსასჯელი უნდა განთავისუფლდეს დაუყოვნებლივ სასამართლოს სხდომის დარბაზიდან. ცხადია, განთავისუფლებას ექვემდებარება ასევე ის პირიც, რომელიც მსჯავრდებულ იქნა ისეთი სასჯელით, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

თუ განსასჯელს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ან განიხილება საქმე რამდენიმე განსასჯელის მიმართ, სასამართლო ცალ-ცალკე წყვეტს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხს ყველა დანაშაულის და ყველა განსასჯელის მიმართ.

ბ) ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები და რა ოდენობით;

აღნიშნული საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ 218-ე მუხლით დადგენილი წესით. კანონის თანახმად, სასამართლოში საქმის გაგზავნისას გამოძიებელი ადგენს ცნობას წინასწარი გამოძიების ხარჯების შესახებ, რომლის უტყუარობაც მოწმდება სასამართლო სხდომაზე. საქმეზე შემავარდნილი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო ვალდებულია

ბულია დაადგინოს სასამართლო ხარჯების ოდენობა. სასამართლომ მსჯავრდებულს შეიძლება დააკისროს სსკ 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული სასამართლო ხარჯების გადახდა. სასამართლო ხარჯები არ დაეკისრება განსასჯელს გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში.

ო) დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა;

იძულებითი მკურნალობის გამოყენების საკითხი წყდება იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დადგინდება ფსიქიკური დაავადების არსებობა, რის გამოც მსჯავრდება და დასჯა ვერ მოახდენს პირზე გამასწორებელ ზემოქმედებას. ამასთან ერთად, სსკ 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელსაც ესაჭიროება ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის ან ისეთი ფსიქიკური დაავადების მკურნალობა, რომელიც არ გამოორიცხავს შერაცხადობას, სასჯელთან ერთად შეიძლება დაენიშნოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

თუ პირს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ან რამდენიმე განსასჯელია მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენაში ზემოთ აღნიშნული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ცალ-ცალკე თითოეული დანაშაულის მიხედვით და ყოველი განსასჯელის მიმართ.

ამასთან, თუ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა ვალდებულია იმავდროულად მიიღოს გადაწყვეტილება გამართლებულისათვის გამოძიების ორგანოების, პროკრატურისა თუ სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

აღნიშნული საკითხების გარდა, განაჩენის დადგენისას სასამართლო ვალდებულია განიხილოს განსასჯელის შერაცხადობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ გამოძიებაში ან სა-

სამართლო განხილვისას შესაძლებელია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ვერ დადგინდა პირის შეურაცხადობა. ამ საკითხის განმეორებით განხილვისას თუ დადგინდა, რომ განსასჯელი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას შეურაცხად მდგომარეობაში იყო ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა ფსიქიკურად, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახით იძულებითი მკურნალობის გამოყენების შესახებ.

განაჩენის დადგენისას სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ. კანონის თანახმად, სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. მოსამართლე არც საკუთარი ინიციატივით და არც პროცესის სხვა სუბიექტების შუამდგომლობის საფუძველზე არ არის უფლებამოსილი გააგზავნოს საქმე დამატებით გამოძიებაში. ასე, რომ სსსკ 501-ე მუხლის თანახმად, თუ პროკურორი შუამდგომლობს განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენის თაობაზე მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის თაობაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

განაჩენის სახეები. განაჩენი შეიძლება იყოს ორი სახის: გამამტყუნებელი და გამამართლებელი.

ყოველი სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამოაქვს მხოლოდ ერთი განაჩენი, მაშინაც კი, როცა ერთ პირს წარდგენილი აქვს რამდენიმე ბრალდება, ან როცა ერთ საქმეში რამდენიმე განსასჯელი მონაწილეობს. თუ განსასჯელს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში და ერთ-ერთ დანაშაულში იგი ცნობილია დამნაშავედ, ხოლო სხვა დანაშაულში უდანაშაულოდ, სასამართლოს განაჩენი უნდა შეიცავდეს მითითებას ამის შესახებ

და ასეთი განაჩენი საბოლოოდ წარმოადგენს გამამტყუნებელს. როცა საქმე იხილება რამდენიმე განსასჯელის მიმართ, განაჩენი ზოგიერთი განსასჯელის მიმართ შეიძლება იყოს გამამტყუნებელი, ხოლო ზოგიერთი განსასჯელის მიმართ გამამართლებელი.

განაჩენის კლასიფიკაცია ხდება შინაარსის მიხედვით. ამიტომ გამამტყუნებელია განაჩენი, რომელიც შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტ საკითხებზე, რომლებიც ჩამოთვლილია სსსკ 498-ე მუხლში, დადებითი პასუხის არსებობისას შეუძლია სასამართლოს გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი.

კანონის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ეფუძნებოდეს ვარაუდს. უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. სწორედ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დამტკიცდეს განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა. არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა, თუ არ არის აღმოფხვრილი მისი ბრალეულობის შესახებ ყველა ეჭვი. ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ და შესაბამისად, სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

თავის მხრივ, გამამტყუნებელი განაჩენი იყოფა სამ სახედ:

ა) გამამტყუნებელი განაჩენი მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;

ასეთი განაჩენი ზუსტად განსაზღვრავს სასჯელის სახესა და ზომას, რომელიც ექვემდებარება მსჯავრდებულის მიერ მოხდას. აღნიშნული განაჩენი ასევე განსაზღვრავს სასჯელის მოხდის ვადის დაწყებას. კანონის თანახმად, პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.

ბ) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოზღვისაგან განთავისუფლებით;

სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოზღვისაგან განთავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტი სათვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს მსჯავრდებულს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოზღვისაგან. აღნიშნული საფუძველით სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება წინასწარ გამოძიებაში. მაგრამ თუ ეს გარემოება გამოვლინდა სასამართლო განხილვისას ან ბრალდებულმა თანხმობა არ განაცხადა წინასწარ გამოძიებაში სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე, ხოლო სასამართლო სხდომაზე ბრალდება დადასტურებულად იქნა მიჩნეული, ცხადია, სასამართლო ვალდებულია დაადგინოს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნით და მისი მოზღვისაგან განთავისუფლებით.

გ) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.

სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტი სათვის ამოიწურა ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ან განსასჯელი გარდაიცვალა. ცხადია, სასჯელის დანიშვნა ამ საფუძველების არსებობისას აზრს კარგავს.

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენს, იგი გულისხმობს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. სსსკ 504-ე მუხლის თანახმად, გამამართლებელი განაჩენის საფუძველია:

1) განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არ ჰქონდა ადგილი დანაშაულის ფაქტს, ქმედებას, ან ქმედებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ის განსასჯელს არ ჩაუდენია;

2) განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედება არ ეწინააღმდეგება სამართლის, კულტურისა და ზნეობის ნორმებს.

გამამართლებელი განაჩენი ნებისმიერი საფუძვლით გულისხმობს განსასჯელის სრულ რეაბილიტაციას. ამიტომ კანონი მოითხოვს, რომ გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის სახელის გამტეხ ფორმულირებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამამართლებელი განაჩენის შინაარსში არ შეიძლება ისეთი ფორმულირების შეტანა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს განსასჯელის უდანაშაულობას.

განაჩენის დადგენის საპროცესო წესი. სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სათათბირო ოთახში, როცა საქმეს იხილავს კოლეგიური შემადგენლობა. სათათბირო ოთახში შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლეები და ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც აკეთებს ჩანაწერს, ანუ ტექნიკურად აფორმებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუ საქმეს ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე, მას განაჩენი გამოაქვს ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ და დაცულ ოთახში.

სათათბირო ოთახში განაჩენის დადგენა უზრუნველყოფს განაჩენის კანონიერებასა და დასაბუთებულობას. სათათბირო ოთახის საიდუმლოების დაცვა წარმოადგენს განაჩენით გადასაწყვეტი საკითხების მშვიდ და საქმიან ვითარებაში განხილვის აუცილებელ პირობას.

კანონის თანახმად, განაჩენის დადგენისას დაუშვებელია საქმესთან დაკავშირებით სხვა პირებთან რაიმე ურთიერთობა, აგრეთვე ტელეფონით ან სხვა საშუალებით თათბირი განაჩენში გადასაწყვეტ საკითხებზე. მოსამართლეს და ტექნიკურ თანამშრომელს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებანი.

მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება წარმოადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის და მათი მხოლოდ კანონისადმი დაქვემდებარების კონსტიტუციური პრინციპის რეალიზაციის გარანტიას, რადგან გარეშე პირთა ზემოქმედება განაჩენის დადგენისას უნდა იყოს მაქსიმალურად აღმოფხვრილი, რათა

სასამართლოს მიეცეს შესაძლებლობა შინაგანი რწმენით, საქმის მასალებზე დაყრდნობით და კანონის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება.

როგორც წესი, სათათბირო ოთახი მოსამართლემ არ უნდა დატოვოს განაჩენის გამოცხადებამდე. ამ საერთო წესიდან კანონი უშვებს გამონაკლისს, როცა განაჩენის დადგენა შეუძლებელია ერთ დღეში საქმის დიდი მოცულობის გამო. ამიტომ სსსკ 497-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენის დადგენისას სასამართლოს ან მოსამართლეს შეუძლია შესვენება, აგრეთვე დასვენება უქმე დღეებში.

კანონის თანახმად, მოსამართლეს და ტექნიკურ თანამშრომელს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებანი. მიგვაჩნია, რომ ტექნიკური თანამშრომელი არ უნდა იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში, რადგან კანონი მოსამართლეს უკრძალავს სასამართლო თათბირის საიდუმლოების გამჟღავნებას, ოქმიც არ უნდა დგებოდეს და შესაბამისად, რომელ მოსამართლეს რა პოზიცია ეკავა განაჩენით გადასაწყვეტ საკითხებთან დაკავშირებით არ უნდა იყოს დაფიქსირებული ოქმში. ასეთ შემთხვევაში ტექნიკური თანამშრომლის დასწრებაც არ იქნება საჭირო და მოსამართლეთა თათბირი, რეალურად იქნება სწორედ მხოლოდ სასამართლოს კოლეგიალური შემადგენლობის თათბირი.

მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების დარღვევა წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

კოლეგიალურად საქმის განხილვის დროს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს მოსამართლეთა თათბირს. იგი ვალდებულია კენჭისყრაზე დასვას სსსკ 498-ე მუხლში ჩამოთვლილი საკითხები დადგენილი თანმიმდევრობით. იმავე თანმიმდევრობით წყვეტს ამ საკითხებს მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს. ყველა მოსამართლე ვალდებულია გამოთქვას საკუთარი მოსაზ-

რება თითოეულ განსახილველ საკითხზე და ყოველ მათგანს გასცეს დადებითი და უარყოფითი პასუხი. კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავის შეკავების უფლება მოსამართლეს არა აქვს. სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს. საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა ერთი გამონაკლისისა, კერძოდ, გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად.

საპროცესო კანონი დაწერილებით არეგულირებს ხმის მიცემის პროცედურას. კერძოდ, სსსკ მე-500 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ დანაშაულის ჩადენაში განსასჯელის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, მოსამართლის ხმა განსასჯელის გასამართლებლად დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის სამართალწარმოებაში მოქმედებს მოსამართლეთა მიერ ხმის მიცემის განსხვავებული წესი. მაგალითად, ინგლისში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი მიღებულად ითვლება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის არსებობისას (12-დან 10 ხმა), ხოლო მაგისტრატების სასამართლოში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით; აშშ-ს ფედერალურ სასამართლოში და შტატების სასამართლოთა უმრავლესობაში ნაფიც მსაჯულებს, როგორც წესი, გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოაქვთ ერთხმად; საფრანგეთში ასიზების სასამართლოში ბრალდებულისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილება მიიღება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით – 2/3-ით (საფრანგეთის სსსკ 359-ე მ.), ხოლო სასჯელის დანიშვნისას საჭიროა ხმათა უმრავლესობა, ე.ი. 12-დან

7 ხმა; გერმანიაშიც ბრალდებულისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა 2/3 არსებობა (გერმანიის სსსკ §263)¹.

საქართველოს სსსკ მე-500 მუხლის მე-6-7 ნაწილის თანახმად, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეს უფლება აქვს იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან 7 დღე-ღამის განმავლობაში. განსხვავებულ აზრს წარუდგენენ თავმჯდომარეს და ურთავენ საქმეს. მხარეებს უნდა მიეცეთ საშუალება გაეცნონ განსხვავებულ აზრს.

განსხვავებული აზრის უფლება მოსამართლეთა თანასწორობის პრინციპის შინაარსიდან გამომდინარეობს. იგი გულისხმობს ერთ-ერთი მოსამართლის უთანხმოებას უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეს უფლება აქვს მოიყვანოს თავისი მოტივები თუ რატომ არ ეთანხმება იგი უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

მოსამართლის განსაკუთრებული აზრის მნიშვნელობა და დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ განსაკუთრებულ აზრს, რომელიც საქმეს თან ერთვის, ეცნობა ზემდგომი ინსტანციის სასამართლო განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში. ზემდგომმა ინსტანციამ შესაძლებელია გაიზიაროს აღნიშნული მოსამართლის შეხედულება და გამოტანილი განაჩენი მიიჩნიოს დაუსაბუთებლად და უკანონოდ.

მოსამართლეთა თათბირის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი მოსამართლე ადგენს განაჩენს. განაჩენი იწერება სამართალწარმოების ენაზე. იგი შეიძლება ხელით დაიწეროს ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. განაჩენს ხელს აწერს ყველა მოსამართლე, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეთა გარდა.

განაჩენი უნდა იყოს შედგენილი გასაგები და ცხადი ფრაზე-

¹ იხ. Гищенко К. Ф., Головки Л. Ц., Филимонов Б. А., Уголовный процесс западных государств, М, 2001, с. 360.

ბით. დაუშვებელია მასში უზუსტო ფორმულირებების გამოყენება, დაუშვებელია ასევე შემოკლებებისა და ოფიციალური დოკუმენტებისათვის შეუფერებელი სიტყვების გამოყენება. განაჩენში გამოყენებული ტექნიკური და სხვა სპეციალური ტერმინები, აგრეთვე ადგილობრივი დიალექტის გამომხატველი სიტყვები უნდა იყოს ახსნილი, განმარტებული. განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული და ხელმოწერით დადასტურებული ყველა მოსამართლის მიერ. შეუთანხმებელი შესწორებები (რომლებიც ეხება ისეთ არსებით გარემოებას, როგორცაა დანაშაულის კვალიფიკაცია, სასჯელის სახე და ზომა, დაკმაყოფილებული სარჩელის ოდენობა) წარმოადგენს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გაუქმების საფუძველს. განაჩენის გამოცხადების შემდეგ არ შეიძლება მასში რაიმე ცვლილების შეტანა.

განაჩენი როგორც ფორმით, ისე შინაარსით უნდა აკმაყოფილებდეს სსსკ 495-511-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სასამართლოს მიერ განხილული ყველა საკითხი განაჩენში უნდა იყოს ასახული ისეთი თანმიმდევრობით, რომ ყოველი ახალი დებულება გამომდინარეობდეს წინა დებულებიდან ან ლოგიკურად იყოს დაკავშირებული მასთან. განაჩენი არ შეიძლება შეიცავდეს წინააღმდეგობრივ დებულებებს და დასკვნები უნდა შეესაბამებოდეს მის შინაარსს.

განაჩენის სტრუქტურა და შინაარსი. განაჩენი სტრუქტურულად საში ნაწილისაგან შედგება: შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო. ამასთან გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის შესავალი ნაწილი შეიცავს მსგავს კომპონენტებს.

განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება: ა) რომ განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით; ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი (აქ უნდა იყოს მითითებული სასამართლოს შემადგენლობის მიერ განაჩენის ხელმოწერის წელი, თვე და რიცხვი,

ასევე ქალაქი ან დასახლებული პუნქტი, სადაც ფაქტიურად იქნა გამოტანილი განაჩენი); ბ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმდებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენელი (აქ უნდა იყოს მითითებული მოსამართლეთა გვარები, თავმჯდომარის თანამდებობა, პროკურორის თანამდებობა, საკლასო ხარისხი, დამცველის გვარი და სხე); დ) განსასჯელის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები (სხვა ცნობებში შეიძლება ვიგულისხმოთ სახელმწიფო ჯილდოები, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ნასამართლობა, მოქალაქეობა, ეროვნება და ა.შ.); ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განსასჯელი მისცეს სამართალში (აქ უნდა იყოს მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, მუხლის ნაწილი და პუნქტი).

აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები გამამტყუნებელ და გამამართლებელ განაჩენში განსხვავებული შინაარსის მატარებელია.

გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი შეიცავს ბრალდების მოკლე ფორმულირებას, რომლის ჩადენაშიც განსასჯელი სასამართლომ ცნო დამნაშავედ; დანაშაულებრივი ქმედების აღწერას დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროის, საშუალების, მოტივის, მიზნის მითითებით; ბრალდებულის დამოკიდებულებას მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში, რაც გამოიხატება ბრალის სრულ ან ნაწილობრივ აღიარებაში ან უარყოფაში. ბრალის ნაწილობრივი აღიარების დროს სასამართლომ უნდა მიუთითოს კონკრეტულად რაში ცნობს იგი თავს დამნაშავედ და რაში არა.

აღწერილობით ნაწილში უნდა იყოს მითითებული სასამართ-

ლო განხილვის დროს გამოკვლეული ყველა მტკიცებულება. ამასთან, მიგვაჩნია, რომ განაჩენში უნდა იყოს მითითებული არა მხოლოდ მოწმეთა, დაზარალებულთა და სხვა პირთა გვარები, რომელთა ჩვენებები სასამართლოს აზრით ადასტურებენ ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ უნდა იყოს ასახული ამ ჩვენებების არსი.

გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ვარაუდზე იყოს დაფუძნებული. ის უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ და მხოლოდ უტყუარ და სარწმუნო მტკიცებულებებს.

გამამტყუნებელი განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აუცილებელია მოყვანილი იყოს იმ მტკიცებულებათა ყოველმხრივი ანალიზი, რომელზეც სასამართლომ თავისი დასკვნები დააფუძნა. ამასთან, ყველა მტკიცებულებას უნდა მიეცეს შეფასება, მითითებული უნდა იყოს მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ზოგჯერ თეორიაში მიიჩნევენ, რომ ბრალის აღიარება გამორიცხავს განაჩენის მოტივირებას. ცხადია, რომ ეს არ არის სწორი თვალსაზრისი. სასამართლო ვალდებულია მოიყვანოს განსასჯელის ბრალის დამადასტურებელი მოტივები. განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება შეიძლება დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს საფუძველად მხოლოდ მაშინ, როცა საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებები ერთობლიობაში ადასტურებენ განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენას.

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული, ან დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული – უნდა იყოს აღნიშნული ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები. ბრალდების ყოველგვარი შეცვლა სასამართლოში უნდა იყოს მოტივირებული.

განაჩენში უნდა იყოს მოტივირებული განსასჯელის მიმართ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის დანიშვნის საკითხი.

სასამართლო ასევე ვალდებულია დაასაბუთოს პირობითი მსჯავრის გამოყენება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და უფრო მსუბუქ სასჯელზე გადაყვანა, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება ან უარყოფა, აგრეთვე სისხლის სამართლის იძულებითი ღონისძიების გამოყენება.

რაც შეეხება გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს, ამ ნაწილში უნდა იყოს ფორმულირებული სასამართლოს დასკვნები განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ, სასჯელის დანიშვნის შესახებ და დანაშაულის შედეგთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. ამასთან საკითხები უნდა იყოს ასახული იმ თანმიმდევრობით, როგორი თანმიმდევრობითაც არის ისინი ჩამოთვლილი სსსკ 509-ე მუხლში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენის ყველა ნაწილი ლოგიკურად დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთან. სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამომდინარეობდეს განაჩენის შესავალი და აღწერილობითი ნაწილებისაგან. სარეზოლუციო ნაწილის შეუსაბამობა განაჩენის დანარჩენ ნაწილებთან გულისხმობს განაჩენის დაუსაბუთებლობას.

გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა იყოს აღნიშნული განსასჯელის სახელი და გვარი (რაც უნდა ემთხვეოდეს განაჩენის შესავალ ნაწილში მითითებულ სახელსა და გვარს); გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ (რაც უნდა გამომდინარეობდეს განაჩენის აღწერილობით ნაწილში მოცემული ფორმულირებიდან და მოტივირებიდან); სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ (რაც უნდა ემთხვეოდეს განაჩენის შესავალ ნაწილში მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს); განსასჯელის სახე და ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა (სარეზოლუციო ნაწილში უნდა იყოს მითითებული არა მხოლოდ ძირითადი სასჯელის, არამედ დამატე-

ბითი სასჯელის სახე და ზომა, რაც დაენიშნა განსასჯელს მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის ცალ-ცალკე და მთლიანობაში მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა); გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი (ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიუთითოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის შესაბამისი მუხლიც, თავისუფლების აღკვეთის ვადა და გამოსაცდელი ვადა, რომლის განმავლობაშიც არ იქნება განაჩენი აღსრულებული, თუ პირობით მსჯავრდებული არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს); გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, დაპატიმრების, აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის დროის ჩათვლის შესახებ (ამ შემთხვევაში უნდა იყოს მოყვანილი დაკავების, დაპატიმრების და სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონალურ ექსპერტიზაზე პირის ყოფნის დრო – საწყისი და საბოლოო დრო, რაც სასჯელის ვადაში ეთვლება განსასჯელს); გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ (განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, უცვლელად დატოვების, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე); მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები (უნდა იყოს მითითებული განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველი და გადავადების ხანგრძლივობა, აგრეთვე მოვალეობები, კერძოდ, განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს შრომითი საქმიანობა ან სწავლა, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი და ა.შ.); სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა (რაც გულისხმობს სამოქალაქო სარჩელის მთლიანად და ნაწილობრივ დაკმაყოფილებას, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ან სარჩელის განუხილველად დატოვებას); ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა (რაც გულისხმობს ნივთიერი მტკიცებულებების განადგურების, დაინტერესებული პირისათვის მისი გადაცემის და სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას); გადაწყვეტილება

მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ (თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფო ჯილდოს, ორდენის, მედლის, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევას განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში მან უნდა მიუთითოს თავისი გადაწყვეტილება შესაბამის ორგანოში აღნიშნულის თაობაზე წარდგინების შეტანის შესახებ); განაჩენის გასაჩივრების უფლება (უნდა იყოს აღნიშნული, რომ განსასჯელს აქვს უფლება გაასაჩივროს განაჩენი ორ ინსტანციაში, აგრეთვე უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების ვადები და წესი); სისხლის სამართლებრივი იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა (მაგალითად, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება აღდგენილი იყოს იგი თანამდებობაზე თუ არა, სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსდეს განსასჯელი თუ არა და სხვ.); ქონების ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტა (სარეზოლუციო ნაწილში უნდა იყოს მითითებული დანაშაულის საგნის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე).

თუ განსასჯელს წაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, სასამართლომ რომელ ბრალდებაში გაამართლა განსასჯელი და რომელში დასდო მსჯავრი. სასჯელის მოხდისაგან განსასჯელის განთავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

გამამტყურებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას არ წარმოიშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანაშაული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში უნდა იყოს მითითებული წარდგენილი ბრალდების არსი, საქმის გარემოებები იმ სახით, როგორც ისინი არის დადგენილი სასამართლოს მიერ; ანალიზი უნდა გაუკეთდეს იმ მტკიცებულებებს, რომლებზეც არის დაფუძნებული სასამართლოს დასკვნა განსასჯელის არაბრალეულობის შესახებ; უნდა იყოს მოყვანილი განსასჯელის გამართლების მოტივები, მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფენ ბრალდებას, კონკრეტული ფაქტები, რაც საფუძვლად დაედო მის გამართლებას, აგრეთვე სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების მოტივები. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს ისეთ ფორმულირებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს გამართლებულის არაბრალეულობას.

სსსკ 510-ე მუხლის შესაბამისად, გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში კონკრეტულად უნდა აღინიშნოს ბრალდების არსი, რომლითაც პირს ბრალი დაედო საბრალდებო დასკვნით; სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც განსაზღვრავს თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება ან რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ან განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული. ასევე უნდა იყოს მოყვანილი სამოქალაქო სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მოტივები.

რაც შეეხება გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს, ძირითად საკითხს წარმოადგენს განსასჯელის ცნობა არაბრალეულად და სასამართლოს მიერ გამართლებულად. კონკრეტულად, სსსკ 511-ე მუხლის თანახმად, გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება განსასჯელის სახელი და გვარი; გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულოდ ცნო-

ბისა და გამართლების შესახებ; გადაწყვეტილება განსასჯელისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია – გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ; გადაწყვეტილება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილებულა; გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის შესახებ, თუ არის ამის აუცილებლობა კანონის შესაბამისად; გადაწყვეტილება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიებები განხორციელდა; გამართლებულის უფლება აუნაზღაურდეს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანი კანონით დადგენილი წესით; განაჩენის გასაჩივრების უფლება, გასაჩივრების ვადები და ადგილი.

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა იყოს მითითებული, სსსკ 504-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი საფუძვლით არის პირი გამართლებული – განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, თუ განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

განაჩენის გამოცხადება. განაჩენის დადგენისთანავე გადასაწყვეტი საკითხები. განაჩენის გამოცხადება სასამართლო განხილვის დამამთავრებელი ნაწილია. მსჯავრდებულს და პროცესის სხვა სუბიექტებს საჯაროდ, საქვეყნოობის პრინციპის დაცვით ეცნობებათ და განემარტებათ განაჩენის შინაარსი.

განაჩენი ცხადდება ყოველთვის საჯაროდ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე დახურულ სხდომაზე იყო განხილული. განაჩენის გამოცხადების დრო და ადგილი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი მხარეებისათვის. თუმცა მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს განაჩენის გამოცხადებას.

განაჩენის დადგენის შემდეგ სასამართლო ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან რომელიმე

მოსამართლე აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს.

სასამართლო სხდომის დარბაზში ყველა დამსწრე, მათ შორის სასამართლოს შემადგენლობა განაჩენს ფეხზე ამდგარი ისმენს. ავადმყოფები და ხანდაზმული ადამიანები სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით შეიძლება დასხდნენ თუ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი მოცულობით დიდია და მის წაკითხვას ხანგრძლივი დრო სჭირდება.

თუ განაჩენი დაწერილია იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის, განაჩენის გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად ის უნდა წაიკითხოს თარჯიმანმა განსასჯელის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია განუმარტოს განსასჯელსა და პროცესის სხვა მონაწილეებს განაჩენის გასაჩივრების წესი და ვადები, ასევე განსასჯელს განემარტება შეწყალების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის უფლება.

განაჩენის გამოცხადება წარმოადგენს მოსამართლის (სასამართლოს) უმნიშვნელოვანეს საპროცესო მოქმედებას, რაც იწვევს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. განაჩენის გამოცხადების მომენტიდან იწყება კანონით დადგენილი განაჩენის გასაჩივრების ვადის დინება; კანონიერ ძალაში შესული განაჩენი აღსასრულებლად მიიქცევა სრული მოცულობით; გამოცხადების შემდეგ განაჩენი იქცევა საპროცესო აქტად, რომელშიც ცვლილებები შეიძლება შევიდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესის დაცვით; განაჩენის გამოცხადების დამთავრების შემდეგ სასამართლოს წარმოეშობა ვალდებულება გაათავისუფლოს პატიმრობიდან გამართლებული.

განაჩენის გამოცხადებისთანავე პატიმრობაში მყოფი განსასჯელი უნდა განთავისუფლდეს დაუყოვნებლივ სასამართლო სხდომის დარბაზიდან შემდეგ შემთხვევებში: თუ მის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი; თუ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, თუ განსასჯელი გაათავისუფლეს სასჯელისაგან; თუ მას პირობითად დაედო მსჯავრი;

თუ მას გადაუვადეს განაჩენის აღსრულება; თუ მას დაუნიშნეს ისეთი სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან; სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა ისეთი ვადით, რაც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ფაქტობრივ ყოფნას.

კანონი ითვალისწინებს მსჯავრდებულისა და გამართლებულისათვის განაჩენის ასლის გადაცემას. ამასთან, სასამართლო საკუთარი ინიციატივით განაჩენის ასლს გადასცემს მხოლოდ მსჯავრდებულს (გამართლებულს), ხოლო პროცესის სხვა მონაწილეებს განაჩენის ასლი შეიძლება გადაეცეს მათი მოთხოვნის შემთხვევაში. მსჯავრდებულს (გამართლებულს) განაჩენის ასლი გადაეცემა განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამეში, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე არაუგვიანეს 14 დღე-ღამეში.

განაჩენის ასლის გადაცემა მსჯავრდებულისათვის (გამართლებულისათვის) ეს არის კანონის სავალდებულო მოთხოვნა, რასაც გამონაკლისი არ გააჩნია და იგი უნდა შესრულდეს მიუხედავად იმისა, ესწრებოდა თუ არა განაჩენის გამოცხადებას მსჯავრდებულის (გამართლებულის).

განაჩენი გამოცხადების შემდეგ თან დაერთვის საქმეს.

განსასჯელს, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა, განაჩენის ასლი გადაეცემა მის მშობლიურ ენაზე ან იმ ენაზე თარგმნილი, რაც მან უკეთესად იცის. თუ განსასჯელს ფიზიკური ნაკლი აქვს, მუნჯი ან ყრუა, მას არა მხოლოდ უნდა გადაეცეს განაჩენის ასლი, არამედ იგი უნდა იყოს უზრუნველყოფილი გაეცნოს მის შინაარსს თარჯიმნის მეშვეობით.

სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთანავე ხშირად უწევს სხვადასხვა სახის განჩინებების გამოტანა. კერძოდ, როცა მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, ხანდაზმული მშობლები, კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი, რომელიც მეთვალყ-

ურეობისა და დახმარების გარეშე რჩება სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება იმის შესახებ, რომ მათზე მზრუნველობა ან მეურვეობა დაეკისროს ნათესავს, სხვა პირს მათი თანხმობით, ან სათანადო დაწესებულებას. თუ მსჯავრდებულს აქვს უმეტეს-ვალყურეოდ დარჩენილი ქონება ან ბინა, მოსამართლე ვალდებულია გამოიტანოს განჩინება და აღნიშნული ქონების დაცვა ამ განჩინებით დაავალოს სათანადო ორგანოს. გარდა ამისა, სასამართლოს განჩინება შეიძლება შეეხებოდეს ადვოკატის შრომის ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ საქმეში იგი მონაწილეობდა დამცველად დანიშნით ან დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან მოპასუხის წარმომადგენლად. საამისო საფუძვლების არსებობისას სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს კერძო განჩინება, რითაც მიიქციოს სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, პოლიტიკური გაერთიანების ან თანამდებობის პირის ყურადღება სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი კანონის დარღვევის ფაქტზე, რაც საჭიროებს სათანადო ზომების მიღებას წინასწარ გამოძიებაში დაშვებულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონის სხვა დარღვევების გამო და სსსკ 50-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ საჯაროდ უნდა გამოცხადდეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება, განჩინება, კერძო განჩინება და ა.შ.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ პატიმრობაში მყოფ მსჯავრდებულს უფლება აქვს შეხვდეს ნათესავებს და ახლობლებს. ამისათვის მან წერილობით უნდა მიმართოს თხოვნით სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ვალდებულია მისცეს მას ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრის ნება.

თავი XV

ბანაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ფორმები სისხლის სამართლის პროცესში

§1. ბანაჩენის გასაჩივრების ფორმები

ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება ხდება მხოლოდ განაჩენით და სასამართლო, პროკურატურისა თუ გამოძიების ორგანოების არცერთი სხვა საპროცესო აქტით. აღნიშნული თვისება განაჩენს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ავტორიტეტს ანიჭებს. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით სახელმწიფო განსაზღვრავს და ავლენს თავის დამოკიდებულებას დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ: სახელმწიფო ცნობს ბრალდებულს დამნაშავედ და შეუფარდებს სასჯელს, რომელიც მან დაიმსახურა; სახელმწიფო უარყოფს ბრალდებას, ახდენს ბრალდებულის რეაბილიტირებასა და მისი სახელის აღდგენას. განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი (სსსკ-სი, მუხლი 278-ე, ნაწილი პირველი) რისთვისაც კანონი რიგ გარანტიებსა და საჭირო ზომებს ადგენს. წინასაგანაჩენო საპროცესო საქმიანობა (წინასწარი გამოძიება, სასამართლო განხილვა და თვით განაჩენის დადგენის პროცედურა) მთლიანად მიმართულია კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანისაკენ. აღნიშნულს ემსახურება, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო პრინციპები (ლეგალურობა, მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა, სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება, კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა, მტკიცებულებათა უშუალოდ

და ზეპირად გამოკვლევა, დაცვის უფლება და სხვა).¹

უდავოა, რომ უკეთესი იქმებოდა თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვით დასრულდებოდა საქმეზე სამართალწარმოება და გარანტირებული იქნებოდა კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენა. აღნიშნული უზრუნველყოფდა პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების სრულად დაკმაყოფილებას, პროცესის სისწრაფეს, უშუალო და იაფ სასამართლო განხილვას, სასამართლო გადაწყვეტილებათა სტაბილურობასა და შეუვალობას.² მაგრამ, ვიდრე არსებობს შეცდომის დაშვების ალბათობა ჭეშმარიტად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება ერთინსტანციური სასამართლო სისტემის ფარგლებში შეუძლებელი ხდება და წარმოიშობა პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაზე ზედამხედველობის მოთხოვნა, ამ სასამართლოს განაჩენების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების თვალსაზრისით. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება გათვალისწინებულია მრავალი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და, ასევე, საერთაშორისო აქტებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლში აღნიშნულია: „ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადასინჯვისთვის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს“.

პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაზე ზედამხედველობის სწორად განსაზღვრა ხელს უწყობს სასამართლოში საქმეთა ხარისხიან განხილვა-გადაწყვეტას, ზოლო, განაჩენის

1 იხ.: Строгович М.С. «Проверка законности и обоснованности судебных приговоров». Изд-во Академии наук СССР, М., 1956, გვ.21-28.

2 იხ.: Фойницкий И.Я. «Курс уголовного судопроизводства». СПб., 1996. Т. II, გვ.509.

კანონიერებისა და დასაბუთებულობის დეტალური და ყოველმხრივი შემოწმება უზრუნველყოფს დაშვებული შეცდომების გამოვლენასა და აღმოფხვრას.

სისხლის საპროცესო სამართალში აღიარებულია განაჩენის გადასინჯვის არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე ინსტიტუტის (აპელაცია, კასაცია, ოპოზიცია, რევიზია და სხვ.) მოქმედება. მართალია, როგორც ვ.სავიციკი აღნიშნავს: „არაფერი იქნებოდა სწრაფ და უშეცდომო დიაგნოზზე უკეთესი“, მაგრამ განაჩენის გადასინჯვის თითოეული ინსტიტუტი გათვლილია განსაზღვრულ პირობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ განაჩენის შემოწმების ფორმების სპეციფიკას და დაუშვებელია მართლმსაჯულების დაჩქარების მიღწევა მათი შემცირების ხარჯზე.¹

საქართველოს სსსკ-სი იცნობს რიგ ინსტიტუტებს, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა უკვე გამოტანილ განაჩენთა კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება და საქმის არასწორად გადაწყვეტის შემთხვევაში მათი შეცვლა ან გაუქმება კანონით დადგენილი წესით. ესენია: აპელაცია; კასაცია; ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენთა გადასინჯვა.

აპელაცია და კასაცია წარმოადგენენ მეორე და, შესაბამისად, მესამე სასამართლო ინსტანციებს, ხოლო, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენთა გადასინჯვა განსაკუთრებული წარმოებაა (როგორც მას მეცნიერებაში, მაგრამ არა კანონმდებლობაში უწოდებენ) და საგამონაკლისო ხასიათს ატარებს.² განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების თითოეული დასახელებული ხერხი, თავის მხრივ,

¹ იხ.: В.М. Савицкий «Что такое уголовный процесс», Знание, М., 1987, с.227.

² თუმცა, მოსაზრება აღნიშნული წარმოების განსაკუთრებულობასა და საგამონაკლისობის შესახებ ზოგი პროცესუალისტების მხრიდან კრიტიკას იმსახურებს და იგი სისხლის სამართლის პროცესის ჩვეულებრივ, რიგით სტადიად განიხილება (იხ. მაგალითად: И.Л.Петрухин «Уголовно-процессуальное право РФ». Проспект, М., 2007, стр.655).

დამოუკიდებელ საპროცესო ინსტიტუტებს წარმოადგენენ, რომლებსაც ერთმანეთთან გარკვეული კავშირი აქვთ და მსგავსი ნიშან-თვისებები ახასიათებთ, ამავე დროს, განსხვავდებიან თავიანთი წესითა და პროცედურით.

აპელაციასა და კასაციას გასაჩივრების ორდინალურ, ჩვეულებრივ ფორმებად განიხილავენ სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში და განსაკუთრებით აღნიშნავენ მათ მსგავსებას იმ გაგებით, რომ ისინი გამოიყენება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც არსებითად განასხვავებთ მათ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენთა გადასინჯვისაგან, რომელიც დაიშვება მხოლოდ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. თუმცა, ღღეს მოქმედი სსსკ-ის თანახმად: „განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე“ (602-ე მუხლი, ნაწილი პირველი) და, შესაბამისად, გასაჩივრების ზემოხსენებული ყველა ფორმა გამოიყენება უკვე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა მიმართ. აპელაციასა და კასაციას შორის ძირითადი განსხვავება გასაჩივრების საგანს უკავშირდება. კერძოდ, აპელაციის დროს გასაჩივრების საგანს წარმოადგენს განაჩენის კანონიერება ან/და დასაბუთებულობა. დასაბუთებულობის შემოწმება მოითხოვს საქმის არსებითად ხელახლა განხილვას, მტკიცებულებათა გამოკვლევას, ხოლო, კასაციის დროს მოწმდება განაჩენის მხოლოდ კანონიერება, ესე იგი, არ ტარდება სასამართლო გამოძიება. თუმცა, სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე აღნიშნულმა სხვაობამ თავისი სიმკვეთრე დაკარგა.

აპელაცია ლათუნური სიტყვა „appellatio“–დან წარმოდგება და ფართო გაგებით მიმართვას ნიშნავს.¹ თუმცა, იურიდიულ

¹ აპელაციისა და გასაჩივრების სხვა ფორმების სხვადასხვა ქვეყანაში დამკვიდრებული ტერმინების შესახებ იხილეთ, მაგალითად: „შედარებითი სისხლის სამართალი“. თან-პრადელი. თარგმან ა.სუმბათაშვილმა, გამ-ბა „სანი“, თბ., 1999, გვ.399.

მეცნიერებაში აპელაციას განიხილავენ როგორც გასაჩივრების ერთ-ერთ ფორმას და მასში საქმის ხელახლა, არსებითად განხილვას მოიაზრებენ.¹

აპელაციის წარმოშობა საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას უკავშირდება, როდესაც პროცესში სასამართლო გასაჩივრების ორი ფორმა – აპელაცია და კასაცია იმკვიდრებს ადგილს. სისხლის სამართლის პროცესში აპელაცია პირველად გათვალისწინებული იყო საფრანგეთის 1808 წლის სსსკ. მოგვიანებით აღნიშნული გასაჩივრების ფორმები, მათში გარკვეული ცვლილებების შეტანით, გაიზიარა სხვადასხვა სახელმწიფოების კანონმდებლობამ.²

90-იანი წლების შემდგომ პერიოდში საქართველოში გატარებული სამართლებრივი რეფორმები სასამართლო სისტემასაც შეეხო და სასამართლო რეფორმის ერთ-ერთ უმთავრეს სიახლედ სწორედ აპელაციის შემოღებას მიიჩნევდნენ.³

1 იხ.: «Большой Юридический Словарь». Под ред.: А.Я. Сухарева, В.Е. Крутых. М., «ИНФРА-М», 2002, стр.33.

2 იხ.: Строгович М.С. «Проверка законности и обоснованности судебных приговоров». Изд-во Академии наук СССР, М., 1956, стр.35.

3 რუსეთში აპელაცია, როგორც სამართალწარმოების სტადია, შემოიღეს 1864 წელს განხორციელებული სასამართლო რეფორმის შედეგად. რუსეთის 1864 წლის სასამართლო რეფორმის მსგავსად 1868 წელს საქართველოშიც გატარდა სასამართლო რეფორმა, მაგრამ რევოლუციის შემდგომ გამოცემული პირველსავე აქტებით საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში უარი ითქვა აპელაციაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში ისტორიულად ცნობილი იყო განაჩენის გასაჩივრების თავისებური წესი, ე.წ. „სამართალში მეორედ შესვლა“, რომელიც, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, აერთიანებდა უმეტესწილად კლასიკური აპელაციისა და აგრეთვე კასაციის ნიშნებს. იხ. მაგალითად: მ.კეკელია „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ“. თბ. 1970, წიგნი პირველი, გვ.273-285; ა.კიკვიძე „საქართველოს ისტორია XIX-XX სს“. თბ. 1959, წიგნი II, გვ.34-35 და სხვა. აპელაციის ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით იხ., აგრეთვე: ე.“მართლმსაჯულების მაცნე“. 1997, №3, გვ.4.; ა.ფალიაშვილი. სასამართლო რეფორმის და საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები. ე.“სამართალი“, 1993, №5-6, გვ.42-43; ა.კობახიძე. ზოგიერთი მოსაზრება სასამართლო რეფორმისათვის. ე.“სამართალი“, 1992, №6-7, გვ.3-4.; ა.შუმანაშვილი. სასამართლო რეფორმის პრობლემები. ე.“სამართალი“, 1998, №9-10, გვ.27-30.

საქმის სააპელაციო წესით განხილვის პროცედურა მოწესრიგებულია სსსკ-ის LVI თავით (517-ე-545-ე მუხლები). სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი მთლიანად ან განაჩენის ნაწილი. სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, თუ მათი აზრით განაჩენი უკანონო ან/და დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივარს განიხილავს 3 მოსამართლის შემადგენლობით, არსებითად. სააპელაციო სასამართლო გამოიკვლევს მხოლოდ ახალ მტკიცებულებებს, ხოლო, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევას ახდენს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი განაჩენით გააუქმოს, შეიტანოს ცვლილება ან უცვლელად დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. სააპელაციო წესით საქმის განხილვისას მოქმედებს საუარესოდ შებრუნებისა და სარევიზიო საწყისის პრინციპები.

კასაცია – „quasso“ – ლათინური სიტყვაა და ნგრევას, მტვრევას ნიშნავს.¹ სისხლის სამართლის საპროცესო მნიშვნელობით კასაცია (ნგრევა, მტვრევა, განადგურება) განაჩენისკენ არის მიმართული და ძირითადად მის (განაჩენის) გაუქმებას გულისხმობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კასაციის წარმოშობა, ასევე, უკავშირდება საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას. იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ბურჟუაზიულ

1 იხ. «Большой Юридический Словарь». Под ред.: А.Я. Сухарева, В.Е. Крутых. М., «ИНФРА-М», 2002, стр.247. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურაში ამ ტერმინის წარმოშობაზე სხვადასხვა მოსაზრებები გვხვდება. მაგალითად, რიგ შემთხვევებში კასაციას უკავშირებენ ლათინურ სიტყვა „cassatio“-ს (Савицкий В.М., А.М. Ларин. «Уголовный процесс». Словарь-справочник, М., 1999, стр.63), ზოგან – ფრანგულ სიტყვა „casser“-ს (Лупинская П.А. «Уголовно-процессуальное право РФ». Юристъ, М., 2003, стр.589) ან „cassor“-ს (Р.Х.Якупов «Уголовный процесс». Зерцало, М., 1987, стр.353).

კასაციას (ფრანგულ სისხლის სამართლის პროცესში მას „წმინდა კასაციას“ უწოდებენ), რომელიც მკვეთრად ფორმალურ ხასიათს ატარებს (ხდება საქმის მხოლოდ იურიდიული მხარის განხილვა, არ მიმდინარეობს საქმის გარემოებათა არსებითი გამოკვლევა განაჩენის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით) და „საბჭოთა კასაციას“, სადაც საკასაციო წარმოება აპელაციის ელემენტებს შეიცავს (მოწმდება განაჩენის როგორც კანონიერება, ასევე, დასაბუთებულობა).¹

საკასაციო წარმოებას ეთმობა სსსკ-ის LVII თავი (546-ე-573-ე მუხლები). საკასაციო გასაჩივრებას ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. საკასაციო საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ, მათი აზრით, განაჩენი უკანონოა. საკასაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევის შემდეგ საკასაციო პალატა (3 მოსამართლის შემადგენლობით) განიხილავს საკასაციო საჩივარს საჩივრისა და შესაგებლის ფარგლებში. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმე შესაძლოა განსახილველად გადაეცეს დიდ პალატას. საკასაციო პალატა უფლებამოსილია განჩინებით გააუქმოს, შეცვალოს ან უცვლელი დატოვოს გასაჩივრებული განაჩენი. საკასაციო წესით საქმის განხილვისას მოქმედებს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობისა და სარევიზიო საწყისის პრინციპები.

განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა და ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებზე ზედამხედველობის განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. ამასთან, აღნიშნული სტადიის

¹ იხ.: М.С.Строгович «Проверка законности и обоснованности судебных приговоров». Изд-во Академии наук СССР, М., 1956, стр.33-54.

არსებობა პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის არსებით გარანტიას წარმოადგენს სისხლის სამართალწარმოებაში.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის ზემოხსენებული წესის მსგავსი ინსტიტუტი თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს. თუმცა, განაჩენის გადასინჯვის ამგვარი მექანიზმები განსხვავდება ერთმანეთისაგან და თუ ერთ შემთხვევაში იგი ერთი ფორმით ამოიწურება (ანუ უნიტარულია), სხვაგან შეიძლება სხვადასხვა ელემენტებისაგან, ფორმებისაგან შედგებოდეს (ესე იგი კომპლექსური სახე ჰქონდეს).¹

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის წესს ითვალისწინებს სსსკ-ის LX თავი (593-ე-601-ე მუხლები). განაჩენის გადასინჯვის საფუძველი შეიძლება გახდეს ახლად აღმოჩენილი ფაქტობრივი (მაგალითად: განაჩენის გამომტანი სასამართლოს უკანონო შემადგენლობა; ყალბი მტკიცებულება) ან ახლად გამოვლენილი სამართლებრივი (მაგალითად: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება; ახალი კანონის გამოცემა და სხვა) გარემოებები. განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს. ხლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესით საქმეს განიხილავს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა, რომელიც უფლებამოსილია განჩინებით გააუქმოს, შეცვალოს განსასჯელის სასიკეთოთ ან უცვლელად დატოვოს განაჩენი.

ასეთია გასაჩივრების ფორმების მოკლე მონახაზი, ხოლო, თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი პროცედურის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე, შემდგომ პარაგრაფებში.

¹ იხ. ი.გაბისონია „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში“. მერიდიანი, თბ., 2002, გვ.411.

§2. აპელაცია

სააპელაციო გასაჩივრების საგანს წარმოადგენს: 1) პირველი ინსტანციის სასამართლოს¹ კანონიერ ძალაში შესული² განაჩენი (ან განაჩენის ნაწილი) და სხვა გადაწყვეტილება.³ აქ იგულისხმება როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენი. შესაძლებელია გასაჩივრდეს განაჩენი მთლიანად ან მხოლოდ ნაწილობრივ. 2) მთლიანად განაჩენის (ან მისი ნაწილის) კანონიერება ან/და დასაბუთებულობა.⁴ აქ მოიაზრება, რომ სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს განაჩენის (მისი ნაწილის) მხოლოდ დასაბუთებულობას, დასაბუთებულობას და კანონიერებას ერთად ან მხოლოდ კანონიერებას. მართალია, კანონიერების შემოწმება, ძირითადად, საკასაციო ინსტანციის უფლებამოსილებაა, მაგრამ, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება გათვალისწინებულია მხოლოდ

1 ბოლო პერიოდში სასამართლო სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პირველი ინსტანციით საქმეების განხილვა მხოლოდ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში წარმოებს და, შესაბამისად, სააპელაციო წესით გადასინჯვას სწორედ მათ მიერ გამოტანილი განაჩენები ექვემდებარება. ამ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ, მაგალითად: ი.ბოხაშვილი „რამდენიმე მოსაზრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ“, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №2, გვ.87-93.

2 აპელაციისა და კასაციის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ თვისებად ყოველთვის განიხილებოდა სწორედ ის ფაქტორი, რომ გასაჩივრების აღნიშნული ფორმები გამოიყენებოდა კანონიერ ძალაში შეუსვლელ განაჩენებზე, როდესაც წინასწარი გამოძიებისას ან საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას დაშვებული შეცდომებისა თუ ხარვეზების გამოსწორების ოპერატიული შესაძლებლობა არსებობს, რაც აპელაციასა და კასაციას მეტად ეფექტურ ინსტიტუტებად წარმოაჩენდა კანონიერ ძალაში შესულ განაჩენთა გადასინჯვის სხვა ფორმებთან შედარებით (ი.ბ.).

3 სააპელაციო გასაჩივრების საგანთან დაკავშირებით იხილეთ, აგრეთვე, სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლების საკითხი.

4 აღნიშნულის არსს თუ ჩაუღრმავებით მივალთ დასკვნამდე, რომ, სინამდვილეში, განაჩენის კანონიერება ან/და დასაბუთებულობა შეიძლება წარმოადგენდეს შემოწმების საგანს, მაგრამ გასაჩივრების საგანი სწორედ მათ ნეგატიურ მხარეს, ესე იგი, უკანონობას ან/და დაუსაბუთებლობას გულისხმობს. იხ. ი.ვაბისონია „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში“, მერიდიანი, თბ., 2002, გვ.343.

ოლოდ სააპელაციო ინსტანციის გავლით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ვალდებული ხდება განიხილოს შემოსული საჩივარი, თუნდაც იგი განაჩენის მხოლოდ კანონიერებას შეეხებოდეს.¹

სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლება.² როგორც წესი, სააპელაციო გასაჩივრების უფლების აღიარების შემთხვევაში კანონმდებლობა მისი განხორციელების შეუზღუდავ და თავისუფალ პირობებს უნდა. ითვალისწინებდეს, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში გასაჩივრების თავისუფლებას უწოდებენ. სსსკ-ის 518-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს. ის გარემოება, რომ კანონი არ უშვებს მხარის გარდა სხვა პირის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენას არ ხელყოფს გასაჩივრების თავისუფლებას, ვინაიდან თუ პირს არ გააჩნია მხარის სტატუსი, ესე იგი, მას არ გააჩნია საპროცესო ინტერესი საქმის შედეგისადმი. აქ მთავარია, რომ გასაჩივრების უფლება ენიჭება როგორც ბრალდების, ასევე, დაცვის მხარეს, რაც აპელაციის სტადიაზე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების (მსჯავრდებულისათვის, აგრეთვე, დაცვის უფლების) გამოვლინების თავისებურ ფორმას წარმოადგენს. სააპელაციო გასაჩივრების უფლება პირის დამოუკიდებელი უფლებაა, ესე იგი, იგი ამ უფლებით სარგებლობს იმის მიუხედავად, წარადგინა თუ არა საჩივარი პროცესის სხვა მონაწილემ. სააპელაციო გასაჩივრების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა და, ასევე, ის გარემოება, რომ აპელანტი სახელმწიფო ბაჟს არ იხდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 48-ე

1 იხ. ი.ტაბუცაძე, ი.ტყეშელაშვილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეულ დებულებათა კომენტარი“. თბ., 2002, გვ.167-168.

2 აპელაციასთან დაკავშირებულ ამ და სხვა საკითხებზე უფრო ვრცლად იხილეთ, მაგალითად: ი.გაბისონია „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში“. მერიდიანი, თბ., 2002; ი.ბოხაშვილი „აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში“. მერიდიანი, თბ., 2004.

მუხლში 2007 წლის 4 ივლისს შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუმართლებლად შეიზღუდა სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლების ფარგლები. სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-5² ნაწილის თანახმად: „სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ან მუხლის ნაწილი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას, ან პროკურორი – გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას“. აღნიშნულით უხეშად ირღვევა გასაჩივრების თავისუფლების პრინციპი, გარდა ამისა, სააპელაციო გასაჩივრების საგნის უშუალოდ განმსაზღვრელი ნორმა (სსსკ-ის 519-ე მუხლი) არაფერს საუბრობს ამ შეზღუდვის თაობაზე, რაც, ვფიქრობთ, კანონმდებლის მხრიდან ამ საკითხისადმი მეტი ყურადღების დათმობის საჭიროებას წარმოშობს.

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტები. სსსკ-ის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო გასაჩივრების უფლება აქვთ: სახელმწიფო ბრალმძებელს, ზემდგომ პროკურორს, დაზარალებულს, მსჯავრდებულს, დამცველს დაზარალებულისა და მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენლებს, ზოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე: სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლებიც.¹

გამომდინარე იქედან, რომ სააპელაციო გასაჩივრების უფლება თავისი მოცულობით განსხვავდება იმისდამიხედვით, თუ პრო-

¹ კანონმდებელი არ მიუთითებს სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტთა შორის გამართლებულს. მიგვაჩნია, რომ ეს ზარეზია, ვინაიდან სსსკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამართლებული განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში სარგებლობს დაცვის უფლებით, თუმცა, გამამართლებელი განაჩენის გამართლებულის მიერ გასაჩივრების შემთხვევაში გაითვალისწინება სსსკ-ის 48-ე მუხლის 52-ე ნაწილისა და 540-ე მუხლის მოთხოვნები და, შესაბამისად, მას უფლება ეძლევა გაასაჩივროს განაჩენი გამართლების მხოლოდ საფუძველების ნაწილში, მაგრამ არა თვითონ გამართლების საკითხი.

ცესის რომელ მონაწილეს ეხება იგი, შესაძლებელია გასაჩივრების სუბიექტთა სამ ჯგუფად დაყოფა.

პირველ მათგანს მივაკუთვნებთ სუბიექტთა იმ წრეს, რომლებიც სრული მოცულობით სარგებლობენ სააპელაციო გასაჩივრების უფლებით. ესენია: მსჯავრდებული, დამცველი, დაზარალებული, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენლები.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან პირები, რომლებსაც უფლება აქვთ გაასაჩივრონ განაჩენი მხოლოდ გარკვეული მოცულობით. ესენია: გამართლებული და მისი დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები. გამართლებულსა და მის დამცველს უფლება აქვთ გაასაჩივრონ გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ გამართლების საფუძვლებთან მიმართებაში. შამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები კი სარგებლობენ სააპელაციო გასაჩივრების უფლებით მხოლოდ სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში.

მესამე ჯგუფში გავაერთიანებთ სახელმწიფო ბრალმდებელსა და ზემდგომ პროკურორს, რომლებსაც განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების არა მარტო უფლება, არამედ, ვალდებულებაც აწევთ. აღნიშნული პირები უფლებამოსილნი არიან გაასაჩივრონ განაჩენი სრული მოცულობით.¹

მოკლედ შევეხოთ სააპელაციო გასაჩივრების უფლების მქონე თითოეულ მონაწილეს.

სახელმწიფო ბრალმდებელი (პროკურორი, მისი მოადგილე, თანაშემწე), რომელიც მხარს უჭერდა ბრალდებას საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას და მისი ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილნი არიან წარადგინონ სააპელაციო

¹ იხ. И.Л. Петрухин «Уголовно-процессуальное право РФ». Проспект, М., 2007, стр.528.

საჩივარი.¹ სახელმწიფო ბრალმდებელსა და მის ზემდგომ პროკურორს საქმეში პირადი ინტერესი არ გააჩნიათ, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა მათთვის, როგორც პროკურატურის ორგანოს წარმომადგენლებისათვის, პროფესიული მოვალეობაა, ხოლო, სააპელაციო გასაჩივრება სახელმწიფო ბრალდების ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი ხერხი, საშუალება. ისინი სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ, თუმცა, თავიანთ პოზიციას საკუთარ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით გამოიმუშავენ. სახელმწიფო ბრალმდებელი (ზემდგომი პროკურორი) უფლებამოსილია განაჩენი (მისი ნაწილი) სრული მოცულობით გაასაჩივროს, თუმცა, შეზღუდულია იმ პოზიციით, რას მას პირველი ინსტანციის სასამართლოში ეკავა (სსსკ-ის 540-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მხარეს წარმოადგენს და სააპელაციო გასაჩივრების უფლებით სარგებლობს. თუ საქმეში რამდენიმე დაზარალებული მონაწილეობს, მათ უფლება აქვთ საჩივარი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარადგინონ. დაზარალებული საკუთარ ინტერესებს შეიძლება წარმოადგენდეს და იცავდეს პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, ხოლო, თუ დაზარალებული იურიდიული პირია – წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით. სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-ნაწილის თანახმად, დაზარალებულის წარმომადგენელი სარგებლობს დაზარალებულის ყველა უფლებით და, შესაბამისად, აქ მოიაზრება, რომ მას სააპელაციო გასაჩივრების უფლებაც გააჩნია და შეუძლია წარადგი-

¹ რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკურორის მიერ განაჩენის გასაჩივრება (გაპროტესტება) მაშინ, როდესაც მას მონაწილეობა არ მიუღია საქმის განხილვაში, განიხილება, როგორც პროკურორის მხრიდან ბრალდების დამადასტურებელი მასალების სასამართლოსათვის წარდგენის გადავადების საშუალება და საქმის განხილვის გაჭიანურება. იხ. С.Поляков, Ю.Худяков. Прокурор в судебном процессе – фигура безответственная. Ж. "Российская юстиция". М., 2002, №1, с.54.

ნოს საჩივარი დაზარალებულის ნაცვლად ან მასთან ერთად, ამასთან, გასათვალისწინებელია სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-9 ნაწილი და 518-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმად: წარმომადგენელს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი მხოლოდ დაზარალებულის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანია ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი. თუ საქმეში რამდენიმე წარმომადგენელია, მათ უფლება აქვთ სააპელაციო გასაჩივრების უფლებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისარგებლონ.

მსჯავრდებულის უფლება გაასაჩივროს პირველი ინსტანციის განაჩენი აღიარებულია სსსკ-ითა და რიგი საერთაშორისო აქტებით (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის ნაწილი პირველი; სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 ნაწილი) და მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიად განიხილება. ამავე დროს, გასაჩივრების უფლების რეალურად უზრუნველყოფის პირობად საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი წარმოდგება. მსჯავრდებულს (მის კანონიერ წარმომადგენელს) უფლება აქვს გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი (მისი ნაწილი) სრული მოცულობით, სხვა მსჯავრდებულთაგან (სხვა მონაწილეთაგან) დამოუკიდებლად.¹ დამცველს სისხლის სამართლის პროცესში დამოუკიდებელი საპროცესო სტატუსი გააჩნია, მაგრამ, ამავე დროს, შეზღუდულია დაცვის ქვეშ მყოფი პირის მითითებებით, ინტერესებით და ვერ იმოქმედებს

¹ ინგლისში საბრალდებო აქტით საქმის წარმოებისას არ დაიშვება განსასჯელის მიერ სასჯელის ზომის გასაჩივრება, თუ კანონი ზუსტად განსაზღვრავს სასჯელის ზომას აღნიშნული დანაშაულისათვის(გვ.524), ხოლო ჯამური (გამარტივებული) წესით საქმის წარმოებისას, თუ განსასჯელმა აღიარა დანაშაული და ამ აღიარებას სავსებით გასაგები და არაორაზროვანი ხასიათი აქვს, მას ეკრძალება გაასაჩივროს მსჯავრდების საკითხი (გვ.547). P.Уолкер. Английская судебная система. Перевод с английского Т.В.Апаровой, М., «Юридическая Литература», 1980.

მისი ინტერესების საზიანოდ (სსსკ-ის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და ნების საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფი პირი არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური. აღნიშნული წესი ვრცელდება დამცველის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის შემთხვევაშიც (სსსკ-ის 518-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო გასაჩივრების უფლებით სარგებლობს, ასევე, მსჯავრდებულები, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი დადგა მის დაუსწრებლად.¹

იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს საქმის წარმოებისას სსსკ-ის 679¹⁴-ე მუხლის თანახმად, მის ინტერესებს წარმოადგენს წარმომადგენელი (დამცველი). სსსკ-ის 679¹⁹-ე მუხლის მე-2 ნაწილი

¹ კანონმდებელი ამ შემთხვევაში პირდაპირ არ მიუთითებს ამ მსჯავრდებულის დამცველზე, წარმომადგენელზე როგორც გასაჩივრების უფლების მქონე პირებზე, თუმცა, კანონის განმარტების საფუძველზე უნდა ვივარაუდოდ, რომ დამცველის, წარმომადგენლის გასაჩივრების უფლება მოიაზრება იმდენად, რამდენადაც მსჯავრდებულები, რომლის მიმართ განაჩენი მის დაუსწრებლად დადგა, ჩვეულებრივ, სარგებლობს დაცვის უფლებით და მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს შესაძლებელია წარმოადგენდეს მისი წარმომადგენელი, ე.ი. დამცველის ან წარმომადგენლის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენა კანონით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით არ უნდა ქმნიდეს რაიმე დაბრკოლებას ამ განაჩენის გადასინჯვასთან მიმართებაში. თუმცა, უკეთესი იქნება, თუ კანონმდებელი აღნიშნულ პუნქტში სიტყვა მსჯავრდებულს დაუმატებს: „მისი დამცველი და წარმომადგენელი“, რითაც აღარ იარსებებს ის ბუნდოვანება, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ, ასევე: ი.გაბისონია „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ჩარჩენილი და ზოგიერთი სხვა შეუსაბამობისა თუ წინააღმდეგობის შესახებ“. ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №1, გვ.196-205. თუმცა, განსასჯელის დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლებით ვერ ისარგებლებს დამცველი, რომელიც საქმეში მონაწილეობს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ვინაიდან, სსსკ-ის 518-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მას არ აქვს თანხმობა დასაცავი პირისაგან და სსსკ-ის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი ვერ იმოქმედებს დასაცავი პირის ინტერესების საზიანოდ. დღეს პრაქტიკაში მრავლადაა ე.წ. „ძებნილთა საქმეები“ და ამ შემთხვევებში, დამცველის ფუნქციები მთავრდება სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებისა და განაჩენის დადგენასთან ერთად.

ითვალისწინებს იურიდიული პირისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გამოტანილი განაჩენის საერთო წესით გასაჩივრების უფლებას. ესე იგი, ეს განაჩენი სააპელაციო გასაჩივრებას ექვემდებარება და ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარს ამ იურიდიული პირის სახელით წარადგენს მისი წარმომადგენელი (დამცველი).

გამართლებული, მისი დამცველი სააპელაციო გასაჩივრების უფლებით სარგებლობენ, თუმცა განსაზღვრულ ფარგლებში. მათ უფლება აქვთ გაასაჩივრონ გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ გამართლების საფუძვლებთან მიმართებაში (დანაშაულის შემთხვევის არარსებობა, ან მის მიერ ჩადენილ ქმედებაში დანაშაულის არარსებობა). ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის თანახმად, გამართლებულის (მისი დამცველის) მიერ გამამართლებელი განაჩენის გამართლების ნაწილში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო ვერ მიიღებს გამართლებულისათვის საზიანო გადაწყვეტილებას, ე.ი. ვერ დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს (სსსკ-ის 540-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სააპელაციო გასაჩივრების ვადები. სსსკ-ის 523-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სააპელაციო გასაჩივრების ვადას და იგი განაჩენის გამოცხადებიდან ერთ თვეს შეადგენს (ე.წ. „ორდინალური“ ვადა).¹ იმ შემთხვევაში, თუ გამამტყუნებელი განაჩენი მსჯავრდებულის დაუსწრებლად იყო გამოტანილი, მისთვის განაჩენის გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დინება დაიწყება დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადები-

¹ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სააპელაციო გასაჩივრების ვადა გამოითვლებოდეს დღეებით და არა თვეებით. აღნიშნულით თანაბარ პირობებში აღმოჩნებიან გასაჩივრების სუბიექტები მიუხედავად იმისა, თუ წელიწადის რომელ თვეში წარმოეშობათ მათ გასაჩივრების უფლება. მაგალითად, თუ განაჩენი გამოცხადდა თებერვალში, მაშინ აპელანტს მხოლოდ 28 (ან 29) დღე რჩება საჩივრის წარსადგენად, ხოლო, თუ იანვარში – 31. აღნიშნული ხარვეზი გასწორდება, თუ გასაჩივრების ვადად განისაზღვრება 30 დღე და არა ერთი თვე.

დან (სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-4 ნაწილი) (გასაჩივრების „არაორდინალური ვადა“). ვადის ათვლა, ფაქტობრივად, იწყება არა განაჩენის გამოცხადების (მსჯავრდებულის დაპატიმრების ან გამოცხადების), არამედ მომდევნო დღეს, ვინაიდან სსსკ-ის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე, რომლიდანაც იწყება ვადის დინება. გასაჩივრების ვადის დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ვადის გაცდენა (გარდა ფორსმაჟორული გარემოების გამო) საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია. საპროცესო ვადების შესახებ ზოგადი წესისა (სსსკ-ის 215-ე მუხლი) და სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაიშვება საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენა. საპატიო მიზეზად, როგორც წესი, მიიჩნევა: ავადმყოფობა, ახლო ნათესავის დაღუპვა ან სხვა უბედური შემთხვევა, სტიქიური უბედურება, განაჩენის ასლის დაგვიანებით გადაცემა და სხვა.¹

სააპელაციო საჩივარი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის სააპელაციო წესით გადასინჯვის საფუძველია.² საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში, რაც განპირობებულია გასაჩივრების პროცედურის მოხერხებულობისა და მისი გაადვილების მიზნით (როგორც წესი, განაჩენის გამომტანი სასამართლო ტერიტორიულად უფრო ახლოს მდებარეობს საქმეში მონაწილე პირების საცხოვრებელ ადგილთან და გაცილებით მარტივად და სწრაფად გაუმკლავდება იმ ორგანიზაციულ საკითხებს, რაც საჩივრების, შესაგებლების პროცესის მონაწილეებისაგან მიღებასა და მათთვის გაცნობას უკავშირდება).

¹ იხ. «Комментарий к уголовно-процессуальному кодексу РФ». Под общ. ред.: В.И.Радченко, Юстициформ, М., 2003, стр.755.

² როგორც წესი, სააპელაციო საჩივრის წარდგენა სააპელაციო სასამართლოს აკისრებს საქმის განხილვის ვალდებულებას (საჩივრის დეკლუციური მოქმედება) და აჩერებს განაჩენის აღსრულებას (საჩივრის სუსპენსიური მოქმედება). მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საჩივრის მხოლოდ დეკლუციურ (სსსკ-ის 520-ე მუხლი) და უარყოფს მის სუსპენსიურ მოქმედებას.

სააპელაციო საჩივარი წარედგინება წერილობითი ფორმით და უნდა პასუხობდეს კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ მოთხოვნებს.¹ ამ მოთხოვნათა ერთი ნაწილი მარტივი შესასრულებელია და სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს. ასეთებია: სასამართლოს სახელწოდება, სადაც იგზავნება საჩივარი; აპელანტის სახელი და გვარი, მისამართი, საპროცესო მდგომარეობა; გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო, განაჩენის გამომტანის თარიღი (სსსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები). რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნებს, ისინი აპელანტის მხრიდან უკვე გარკვეულ განათლებას, ლოგიკურ აზროვნებას და სხვ. მოითხოვს. ძნელად თუ შეძლებს არაიურიდიული განათლების მქონე, ჩვეულებრივი მოქალაქე გამართულად, სწორად ჩამოაყალიბოს იმავე მუხლის დანარჩენი პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც გასაჩივრებულ დებულებებს, მათი უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის არსის გადმოცემას, საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი არგუმენტების მოყვანას შეეხება და იგი ხშირად დამცველის დახმარებას მიმართავს.²

სსსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც სააპელაციო გასაჩივრების ყველა სუბიექტს თანაბრად შეეხება, კიდევ ერთ ურთიერთწინააღმდეგობას წარმოშობს სისხ-

¹ განსხვავებული დამოკიდებულება სააპელაციო საჩივრის ფორმის მიმართ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. აქ სააპელაციო საჩივარი წარედგინება როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით, მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმში შეტანით. საჩივრის დასაბუთება სავალდებულო არ არის. საჩივარი შეიძლება შეეხებოდეს როგორც განაჩენის ცალკეულ პუნქტებს, ისე განაჩენს მთლიანად. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ შეიცავს რაიმე პუნქტებს, ითვლება, რომ განაჩენი გასაჩივრებულია მთლიანად. იხ.: Б.А.Филимонов. Основы уголовного процесса Германии. М., Изд-во Московского университета, 1994, с.85.

² აღსანიშნავია, რომ დღეს ტელევიზიით, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, საგანმანათლებლო პროექტებით აქტიურად მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის საშუალებათა შესახებ, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში სამართლებრივი კულტურის ამაღლებას და ამას მივესალმებით (ი.ბ.).

ლის სამართლის პროცესში. კერძოდ, მსჯავრდებული (აგრეთვე მისი დამცველი) ვალდებულია, სააპელაციო საჩივრის შეტანისას საჩივარში მიუთითოს გასაჩივრებული დებულებანი, თუ რაში გამოიხატება მათი მცდარობა, მცდარობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი განსახილველად არ მიიღება. ამავე დროს, სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავენ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის ფორმისა და შინაარსის მიმართ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების წაყენება მიუღებელია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში მას ეკისრება თავისი უდანაშაულობის მტკიცების ტვირთი.¹

დამატებითი სააპელაციო საჩივარი ძირითად საჩივარში არსებული ხარვეზის შევსების ხერხია. სიტყვა „დამატებითი“-ის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ იგი ძირითადს ეკუთვნის, ავსებს მას ან მისი ლოგიკური გაგრძელებაა, ესე იგი, აპელანტს უფლება აქვს წარადგინოს დამატებითი სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მის მიერ წარდგენილ ძირითად საჩივარზე. დამატებითი სააპელაციო საჩივარი ზოგადად სააპელაციო გასაჩივრებისათვის დადგენილ ერთთვიან ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი.²

შესაგებელი წერილობითი ფორმით წარედგინება საჩივრის ასლის ბილებიდან 5 დღის ვადაში. შესაგებლის წარდგენის უფლება მხარეს წარმოეშობა მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარე შეიტანს სააპელაციო საჩივარს. შესაგებლის შინაარსი, გარკვეულწილად, წინასწარ განსაზღვრულია საჩივრის შინაარსით, ვინაიდან შესაგებელი სწორედ საჩივარში მოყვანილი დებულებებისა და პოზიციისადმი დაპირისპირებას, საჩივარზე შეპა-

1 იხ.: А.В.Победкин „Апелляционное производство в уголовном процессе России: проблемы становления“. жур.“Государство и право“. 2001 №3 ст.49

2 ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხილეთ, მაგალითად: Ю.В. Корневский „Как обжаловать приговор суда“. М., «ЮрИнфоР», 1998, с.34; С.Ворожцов „Принципы кассации по новому УПК“. Ж.“Российская юстиция“, 2002, №12, с.14.

სუხეხას წარმოადგენს. შესაგებლის წარდგენის უფლებით პირი სარგებლობს სააპელაციო გასაჩივრების უფლებისაგან დამოუკიდებლად. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები შესაგებელში დამოუკიდებელ სააპელაციო მოთხოვნებს აყენებენ და მათ სასამართლო დამოუკიდებელ სააპელაციო საჩივრებად განიხილავს.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ, თუ შესაგებელი მოიცავს ფაქტებისა და გარემოებების იმ წრეს, რომელიც გათვალისწინებულია სააპელაციო საჩივრის (პროტესტის) წარდგენისა და დასაბუთებისათვის, მაშინ შესაგებელი გამოკვლეული და გადაწყვეტილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ, როგორც დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივარი.¹

ამ ავტორთა მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან შესაგებელი და სააპელაციო საჩივარი სხვადასხვა სასამართლო დოკუმენტებს წარმოადგენენ, რომელთაც სისხლის სამართლის პროცესში განსხვავებული დატვირთვა და დანიშნულება გააჩნიათ.

სააპელაციო საჩივრის გათხოვის შემთხვევაში ამ საჩივარზე შეტანილი შესაგებელი ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აღარ არსებობს საფუძველი, რასაც იგი ემყარებოდა.

ამასთან, სსსკ-ის 527-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს მიიღოს სააპელაციო საჩივრის ასლი არა უგვიანეს 5 დღისა მისი შეტანიდან და მომდევნო 5 დღის ვადაში წარადგინოს მასზე შესაგებელი. ეს მაშინ, როდესაც სსსკ-ის 523-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია მხოლოდ საპატიო მიზეზით გაცდენილი გასაჩივრების ვადის აღდგენა და ამავე კოდექსის 526-ე მუხლი ითვალისწინებს დამატებითი სააპელაციო საჩივრის მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ სააპელაციო გასაჩივრების ვადაში წარდგენას. სააპელაციო საჩივრის

¹ იხ.: Н.Н.Ковтун, А.С.Александров. Апелляционное производство в уголовном процессе России: проблемы и решения. Ж. "Государство и право". 2001, №3, с.44-45.

გასაჩივრების ბოლო დღეებში (უკანასკნელ დღეს) წარდგენის შემთხვევაში, მასზე შეტანილი შესაგებლის, როგორც დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრის განხილვის საშუალება, გამოიწვევს სააპელაციო გასაჩივრების ვადის ხელოვნურად გაზრდას.¹

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს წყვეტს სააპელაციო პალატა და საჩივარში ხარვეზის, ე.ი. მისი სსსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში აპელანტს აძლევს 5 დღიან ვადას მის შესავსებად, ან ამავე მიზნით ნიშნავს დამცველს (სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ აპელანტი არ შეავსებს ხარვეზს, მაშინ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული შემთხვევა უნდა განვასხვავოთ სააპელაციო საჩივრის უკან გატანის (გათხოვის) შემთხვევისაგან. სასამართლო საჩივარს განუხილველად ტოვებს, თუ აპელანტი უკან გაიტანს (გაითხოვს) წარდგენილ საჩივარს. სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლებიდან გამომდინარე მას აქვს უფლება სააპელაციო პალატის სათათბირო ოთახში გასვლამდე უკან გაითხოვოს საჩივარი (სსსკ-ის 529-ე მუხლი, მე-4 ნაწილი).

სსსკ-ის 529-ე მუხლის მე-ნაწილით გათვალისწინებულია სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ანდა მხოლოდ სასჯელის შემცირების მოთხოვნით წარდგენილი საჩივრების ზეპირი მოსმენის გარეშე, საჩივრის მიღებიდან 2 კვირის ვადაში განხილვის შესახებ. ამასთან, მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

¹ ამავე პრობლემას შეეხება გ.წაქაძე სამოქალაქო სამართალწარმოებაში და თვლის, რომ: „შეგებებული სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებით გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლა, რომელიც არ იყო გასაჩივრებული აპელანტის ან კასატორის მიერ, სასამართლო შეცდომაა“. იხ. გ.წაქაძე, შეგებებული სააპელაციო და საკასაციო საჩივარი- კანონის წინააღმდეგ? ჟ. „სამართალი“, 2002, №11-12, გვ.64-65.

საქმის განხილვა სააპელაციო წესით. საქმე სააპელაციო წესით განიხილება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის მიერ.

სსსკ-ის 528-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა. აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ვადაში უნდა მოესწროს განაჩენის (განჩინების) მიღება, ე.ი. სააპელაციო წარმოება უნდა დასრულდეს.¹ აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ვადაში არ უნდა შევიდეს დრო, რომლის განმავლობაში საქმის განხილვა შეჩერებული იყო.

სააპელაციო სხდომის მონაწილენი. პროკურორის მონაწილეობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და მისი გამოუცხადებლობის შედეგები. სსსკ-ის 531-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა, ხოლო ამავე კოდექსის 57-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს პროკურორის სავალდებულო მონაწილეობას სააპელაციო წარმოების სტადიაზე საჯარო ბრალდების ყველა საქმის განხილვაში.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პროკურორი მხარეს წარმოადგენს.² შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულ სამართალწარმოებისას სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება და განსასჯელის დანაშაულის ჩადენაში მხილება, მისი და მისი

¹ კანონმდებლის აღნიშნული იმპერატიული მოთხოვნა თავიდან აგვარილებს სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურებას, ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებას და, ამ თვალსაზრისით, უზრუნველყოფს პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. მაგალითად, საფრანგეთში საქმის სააპელაციო წესით განხილვა საშუალოდ 18 თვიდან – 3 წლამდე გრძელდება. იხ.: С.В.Боботов. «Правосудие во Франции». ЕАБ, М., 1994, стр.179.

² პროკურორის საპროცესო მდგომარეობის შესახებ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში იხ. პ.კობალაძე. პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოების სტადიაზე. ე. "სამართალი", 2002, №2, გვ.40-43.

დამცველის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა კრიტიკული ანალიზი და უარყოფა სახელმწიფო ბრალმდებელის მხრიდან შესაძლებელია მხოლოდ სასამართლო განხილვაში მისი მონაწილეობითა და იმ უფლებათა გამოყენებით, რომელიც მას მინიჭებული აქვს როგორც მხარეს.¹

სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებს ბრალდებას. ამასთან, სსსკ-ის 446-ე მუხლის მე-3 ნაწილი ავალდებულებს პროკურორს უარი თქვას ბრალდებაზე, თუ, მისი რწმენით, იგი არ დადასტურდა, ამავე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს პროკურორის უფლებას – შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ ან მოითხოვოს საქმის დაბრუნება უფრო მკაცრი ბრალდების წარსადგენად.

პროკურორის უარი ბრალდებაზე, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სავალდებულოა სასამართლოსათვის და იწვევს სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას ან გამამართლებელი განაჩენის გამოტანას (სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილი).²

პროკურორის მიერ ბრალდების განსასჯელის სასარგებლოდ შეცვლა შეიძლება გამოიხატოს სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის შედარებით მსუბუქი მუხლით (იმავე მუხლის შედარებით მსუბუქი ნაწილით) შეცვლაში, მუხლის (მუხლის ნაწილის) ამორიცხვაში, მიყენებული ზიანის თანხის შემცირებაში და სხვა.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პროკურორის უფლებამოსილება – იმოქმედოს განსასჯელის საზიანოდ – შეზღუდულია პოზიციით, რომელიც მას პირველი ინსტანციის სასამართ-

¹ იხ. С.Н.Алексеев. Функции прокурора по новому УПК РФ. Ж. "Государство и право", 2002, №5, с.99-102.

² აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ.: „აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში“. ი.ბოხაშვილი, მერიდიანი, თბილისი, 2004, გვ.72-81;

ლოში ეკავა, რაც საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესიდან გამომდინარეობს (სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

პროკურორის მიერ სამოქალაქო სარჩელის წარდგენისა და მხარდაჭერის საკითხი გათვალისწინებულია სსსკ-ის 37-ე მუხლით.

პროკურორის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სავალდებულო მონაწილეობიდან გამომდინარე, მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე გადაიდება.

დამცველის მონაწილეობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და მისი გამოუცხადებლობის შედეგები. სსსკ-ის 445-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამცველი მონაწილეობს სასამართლო განხილვაში, სადაც იგი დაცვის მხარეს წარმოადგენს და სარგებლობს ბრალდების მხარესთან თანასწორი უფლებებით.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დამცველის მოწვევა (დანიშვნა) შესაძლებელია იმავე წესით და იმავე საფუძველზე, რაც სასამართლო განხილვისას (სსსკ-ის 531-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ხშირ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილე დამცველი განაგრძობს დაცვით საქმიანობას სამართალწარმოების შემდგომ სტადიებზეც. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის ადვოკატმა ხელახლა უნდა წარადგინოს ორდერი და პირადობის მოწმობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროცედურა მან უკვე გაიარა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

დამცველი მონაწილეობს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებული უარს ამბობს დაცვაზე და დაცვას დამოუკიდებლად განახორციელებს. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსსკ-ის 81-ე მუხლში აღნიშნული გარემოებანი, რომლებიც დამცველის სავალდებულო მონაწილეობას იწვევს.

დამცველის საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვის გაგრძელება ეწინააღმდეგება დაცვის უფლების პრინციპს. სასამართლო, საქმეში მონაწილე დამცველის ვინაობის გამოცხადებისთანავე, მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, წყვეტს საკითხს სასამართლო განხილვის გადადების შესახებ.

მსჯავრდებულის მონაწილეობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და მისი გამოუცხადებლობის შედეგები. სსსკ-ის 443-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს განსასჯელის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ ერთადერთ შემთხვევას, როდესაც განსასჯელის დაუსწრებლად განიხილება საქმე, ეს არის შემთხვევა, როდესაც განსასჯელი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას.¹ ამავე დროს, განსასჯელის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა მის უფლებას წარმოადგენს. სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ „ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით“.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში არ იმყოფება, გამოიძახებენ საერთო წესის მიხედვით (უწყების გაგზავნა და სხვა). პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული განხილვაში მონაწილეობს თავისი შუამდგომლობით და სასამართლო გადაწყვეტილებით. სსსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის გამოუცხადე-

¹ აღნიშნული მუხლი ზოგად წესს წარმოადგენს, თუმცა სსსკ-ში ვხვდებით კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც, ფაქტობრივად, განსასჯელის გარეშე წარიმართება სასამართლო განხილვა, ეს არის სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც განსასჯელი გაძევებული იქნება სასამართლო სხდომის დაბაზიდან სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ კანონი არ აწესრიგებს განსასჯელის გაძევებისას მისთვის დამცველის საუკლებლო წესით დანიშნის საკითხს იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელს მანამდე დამცველი არ ჰყოლია, რაც უხეშად არღვევს პირის დაცვის უფლებას.

ბლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას, მაგრამ, თუ მისი სააპელაციო საჩივარი განიხილება, საქმის მოსმენა გადაიდება. ხოლო, მსჯავრდებულის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქმე მის დაუსწრებლად განიხილება.

ვფიქრობთ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებულის მონაწილეობა ისევე სავალდებულო უნდა იყოს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო, მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო სხდომა უნდა გადაიდოს და სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები შემდგომ სხდომაზე მისი გამოცხადების უზრუნველსაყოფად – გარდა სსსკ-ის 443-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოყვანილმა მსჯავრდებულმა შეიძლება არ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში (გამოიყენოს დუბილის უფლება, არ მისცეს ჩვენება, არ განაცხადოს აცილება, შუამდგომლობა და სხვა), მაგრამ მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს დაესწროს სასამართლო განხილვას და მისი მსვლელობის ნებისმიერ დროს შეიცვალოს პოზიცია და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში.

დაზარალებულისა და მისი წარმომადგენლის მონაწილეობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და მათი გამოუცხადებლობის შედეგები. დაზარალებული და მისი წარმომადგენელი სასამართლოში ბრალდების მხარეს წარმოადგენენ და მხარის ყველა უფლებით სარგებლობენ. საჯარო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე დაზარალებული სუბსიდიური ბრალმძებელია, ხოლო კერძო ბრალდების საქმეზე იგი ძირითად ბრალმძებლად გვევლინება.

კერძო და კერძო-საჯარო ბრალდების საქმეზე დაზარალებულის ბრალდებულთან შერიგების შემთხვევაში, როდესაც საქმის შემდგომმა წარმოებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს, საქმის წარმოება უნდა შეწყ-

ყდეს (სსსკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, 27-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აღნიშნული დებულება ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესის შემდგომ სტადიებზეც, მათ შორის სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვის დროსაც.

სსსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაზარალებულის (მისი წარმომადგენელის) გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას, მაგრამ თუ მისი (მისი წარმომადგენელის) სააპელაციო საჩივარი განიხილება, სასამართლო სხდომა გადაიდება. დაზარალებულის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქმე მის დაუსწრებლად განიხილება. ამავე კოდექსის 532-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მოსამზადებელი ნაწილი საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისათვის დადგენილი წესების შესაბამისად ტარდება, სადაც დაზარალებულის გამოუცხადებლობისას სასამართლო, მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ, მიიღებს გადაწყვეტილებას სხდომის გადადების შესახებ, აგრეთვე ზომებს დაზარალებულის შემდგომ სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად. დაზარალებულის გამოუცხადებლობისას სასამართლო განხილვა გაგრძელდება, თუ ეს ხელს არ შეუშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას (სსსკ-ის 469-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სააპელაციო ინსტანციაში დაზარალებულის გამოუცხადებლობა საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ უშლის საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. სასამართლო სხდომა უნდა გადაიდოს, თუ სასამართლო, ან ერთ-ერთი მხარე მაინც, აუცილებლად მიიჩნევს დაზარალებულის მონაწილეობას სასამართლო განხილვაში (სსსკ-ის 447-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილი) და მიღებულ უნდა იქნეს ზომები მის შემდგომ სხდომაზე გამოცხადების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის და მათი წარმომადგენლების მონაწილეობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და მათი გამოუცხადებლობის შედეგები. სსსკ-სი სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხისა და მათი წარმომადგენლების სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობისა და მათი გამოუცხადებლობის საკითხს მსჯავრდებულთან, დაზარალებულთან ერთად, თანაბრად გადაწყვეტს, რაც გამართლებული არ უნდა იყოს, თუნდაც მათი განსხვავებული საპროცესო მდგომარეობის გამო. მართალია, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები სისხლის სამართლის პროცესში მხარეებს წარმოადგენენ, მაგრამ ისინი პროცესის ფაქულტატური, დამატებითი მონაწილეები არიან.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას (სსსკ-ის 531-ე მუხლის მე-4 ნაწილი), ვინაიდან ეს ხელს არ უშლის საქმის არსებითად განხილვას. ამავე ნაწილში მითითებულია, რომ თუ რომელიმე მათგანის სააპელაციო საჩივარი განიხილება, საქმის განხილვა გადაიდება საჩივრის შემტანი პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ხოლო, განმეორებით გამოუცხადებლობისას, საქმე მის დაუსწრებლად განიხილება.

სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხისა და მათი წარმომადგენლების სააპელაციო საჩივრის სისხლის სამართალ-წარმოების გზით წარდგენა მათივე ინტერესებს ემსახურება და, ვფიქრობთ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის (მათი წარმომადგენლების) საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სა-

სამართლო სხდომა უნდა გადაიდოს. განმეორებით არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას ვფიქრობთ საკითხი სსსკ-ის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად უნდა გადაწყდეს და ე.ი., სასამართლომ განუხილველი უნდა დატოვოს სამოქალაქო სარჩელი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სარჩელს მხარს უჭერს პროკურორი (სსსკ-სი, 448-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

მოწმისა და ექსპერტის მონაწილეობა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და მათი გამოუცხადებლობის შედეგები. სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში შესაძლებელია გამოკვლეული იყოს მხოლოდ ახალი მტკიცებულება (გარდა ამავე ნაწილით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა), ე.ი. შესაძლებელია დაიკითხოს მოწმის სახით პირი, რომელიც არ დაკითხულა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ასევე, სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, შეიძლება გამოიძახონ და დამატებით დაკითონ მოწმე, თუ იგი თავად შეამდგომლობს დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაზე, ანდა სასამართლოს ინიციატივით.¹

ექსპერტის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გამოძახებისას ასევე დაცული უნდა იყოს სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

მოწმისა და ექსპერტის სააპელაციო ინსტანციის სასამართ-

¹ აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც საქმის ძირითადი, არსებითი განხილვა წარმოებს სსსკ-ის 475-ე მუხლის მე-2²-ნაწილი კატეგორიულად კრძალავს სასამართლოს ინიციატივით მოწმის გამოძახებასა და დაკითხვას. ამ ფონზე სააპელაციო სასამართლოში სასამართლოსათვის მოწმის გამოძახების ინიციატივის უფლების შენარჩუნება ოდნავ გაუგებარს ხდის კანონმდებლის პოლიტიკას აღნიშნულ საკითხთან მიმართებ აში და შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ აპელაციის ერთ-ერთ მიზანს გამოძიებისას ანდა წინა სასამართლო განხილვისას დაშვებული შეცდომების გამოსწორება წარმოადგენს, თუმცა იგივე არგუმენტის მოყვანა შეიძლება პირველი ინსტანციის სასამართლოსთან მიმართებაში, რომლის ერთ-ერთ მიზანს, ასევე, წარმოადგენს წინასწარი გამოძიებისას დაშვებული შეცდომების გამოსწორება (ი.ბ.).

ლოში გამოძახება წარმოებს სსსკ-ის 475-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადება განსახილველად და განხილვა. სსსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო შემადგენლობის ერთ-ერთი ან ყველა მოსამართლე საჭიროდ მიიჩნევს, ისინი შეისწავლიან მიღებულ სისხლის სამართლის საქმეს, საჩივრებსა და შესაგებლებს. საქმის შესწავლის შემდეგ მოსამართლე ადგენს ცნობას¹, სადაც აღნიშნავს საქმის არსს, საჩივრებისა და მათზე შესაგებლების მოკლე შინაარსს, მომჩივანთა მოსაზრებებს, მათი პოზიციის დამადასტურებელ ან გამაბათილებელ მტკიცებულებებს. ამავე დროს, მოსამართლე არ გამოთქვამს თავის აზრს და არ ახდენს მტკიცებულებათა შეფასებას.

სააპელაციო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი ტარდება სსსკ-ის 457-ე-469-ე მუხლების შესაბამისად (იხ. ნაშრომის შესაბამისი გვერდები).

სასამართლო გამოძიება სააპელაციო სასამართლოში (პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით) იწყება მომხ-

¹ მიუხედავად იმისა, რომ ცნობა ატარებს მოხსენებით და არა შეფასებით ხასიათს, შესაძლებელია ცნობის შემდგენმა მოსამართლემ საჭიროდ არ მიიჩნიოს საქმეში არსებული ისეთი ნიუანსის გადმოცემა, რომელიც, სხვა მოსამართლის მიერ საქმის უშუალოდ გაცნობის შემთხვევაში, მისი პოზიციის ჩამოყალიბებაზე გაელენას მოახდენდა. გარდა ამისა, ცნობას ახასიათებს მისი შემდგენი მოსამართლის ინფორმაციის გადმოცემის ინდივიდუალური სტილი, რაც გარკვეულწილად მაინც ზემოქმედებს სხვა მოსამართლეებზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ი.გაბისონია მართებულად აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეს, შემოსულ საჩივრებსა და შესაგებლებს, როგორც წესი, სწავლობს მხოლოდ მომხსენებელი მოსამართლე. საქმის განხილვის ხარისხის ამაღლების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია საქმეს უშუალოდ ეცნობოდეს შემადგენლობის ყველა მოსამართლე (ი.გაბისონია. სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში. თბ., 2002, გვ.297.). სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის ერთი მოსამართლის მიერ შესწავლისა და საქმის გარემოებათა შესახებ მოხსენების ზეპირად გაკეთების არაუფექტურობის შესახებ იხილეთ, აგრეთვე: А.Александров, Н.Ковтун „Апелляция в русском уголовном судопроизводстве“. Нижний Новгород, 1999, с.20-21.

სენებელი მოსამართლის მოხსენებით საქმის არსის შესახებ (სსსკ-ის 533-ე მუხლი, პირველი ნაწილი). მომხსენებელი მოსამართლე შემოიფარგლება საქმის არსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით დამსწრეთათვის, მისი მოხსენება არ ატარებს შეფასებით ხასიათს, ესე იგი, მომხსენებელი მოსამართლე არ ახდენს საქმის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების (პირდაპირ, თუ მინიშნებით) დემონსტრირებას.¹ მომხსენებელი მოსამართლე, ასევე, ეხება სააპელაციო საჩივრის შინაარსსა და მასში მოყვანილ სააპელაციო მოთხოვნებს.²

სააპელაციო საჩივარში შესაძლებელია მითითებული არ იყოს იმ დარღვევათა შესახებ, რომელიც დაშვებულ იქნა წინასწარი გამოძიებისა თუ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას (აპელანტმა ვერ შენიშნა, გამორჩა, ან უბრალოდ არ მიუთითა, რადგან ეს დარღვევა არ შეეხება მის ინტერესებს და სხვა). ასეთ შემთხვევებში, მომხსენებელ მოსამართლეს უფლება აქვს ყურადღება მიაპყროს საჩივარში მიუთითებელ ფაქტობრივ გარემოებებსა და კანონის დარღვევებს. ამასთან, მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ისინი განსასჯელის საზიანოდ არ იქნეს გაგებული.

მოხსენების დამთავრების შემდეგ, მისი რომელიმე ნაწილის დაზუსტების ან განმარტების მიზნით, მხარეებს (ჯერ ბრალ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაში ცალსახად არ კრძალავს მოსამართლის მიერ საქმისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, არამედ გამოიყენებს ფრაზას: „თავი უნდა შეიკავოს“, რაც, ვფიქრობთ, არ არის გამართლებული და უკეთესი იქნებოდა კანონმდებელს კატეგორიულად გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი და გამოეყენებინა, მაგალითად, სიტყვები: „უფლება არ აქვს“ (ი.ბ.).

² მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სააპელაციო მოთხოვნების მოხსენება თვითონ აპელანტს მიეანდოთ, რაც უფრო მეტად შეესაბამება სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლებასა და შეუღობრებითობის პრინციპზე აგებულ სააპელაციო სამართალწარმოებას. მომხსენებელი მოსამართლის მიერ საკმარისია მხოლოდ ჩამოთვლა, თუ რომელი მონაწილის სააპელაციო საჩივარი იქნა წარმოდგენილი და თუ იქნა შემოსული შესაგებელი საჩივარზე (ი.ბ.).

დების მხარეს) და შემდეგ კი მოსამართლეებს უფლება აქვთ კითხვები დაუსვან მომხსენებელ მოსამართლეს (სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სასამართლო გამოძიების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს აპელანტიის ან მისი დამცველის (წარმომადგენლის) გამოხველა, რა დროსაც იგი გადმოსცემს საჩივრის არსს და მიუთითებს გასაჩივრებულ დებულებათა დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე სააპელაციო საჩივარი ორივე მხარემ წარადგინა, ჯერ ბრალდების მხარე გამოდის, ხოლო შემდეგ დაცვის მხარე. კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ აპელანტიის გამოხველა, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აპელანტიის გამოსვლის შემდეგ საშუალება მიეცეს საჩივარზე შესაგებლის შემტან პირს გამოთქვას საჩივარში მოყვანილ დებულებათა საწინააღმდეგო მოსაზრებები. მხარეებს (ჯერ ბრალდების მხარეს) და მოსამართლეებს უფლება აქვთ კითხვები დაუსვან აპელანტს.

აპელანტიის გამოხველის დამთავრების შემდეგ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში იწყება სასამართლო გამოძიების ძირითადი ნაწილი - მტკიცებულებათა წარდგენა და გამოკვლევა. შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს მტკიცებულებათა წარმოდგენის შემდეგ თანმიმდევრობას: ბრალდების მხარე - პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე ან მათი წარმომადგენელი; შემდეგ დაცვის მხარე - განსასჯელი (იგივე, მსჯავრდებული ან გამართლებული) ან დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

სააპელაციო სხდომის სასამართლო გამოძიება თავისი მოცულობით განსხვავდება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას წარმოებული სასამართლო გამოძიებისაგან. სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის ფარგლები იმთავითვე შეკვეცილ სახეს ატარებს

(გარდა სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი განსასჯელის დაუსწრებლად გამოიტანა).

მოქმედი კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს სააპელაციო სხდომაზე მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში წარმოდგენილი, საქმისათვის ახალი მტკიცებულებების (რომლებიც გამოკვლეული არ ყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლოში) გამოკვლევას, ხოლო, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება გამოკვლეულად მიიჩნევა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მტკიცებულების გამოკვლევისას არსებითად დაირღვა კანონი და მხარე შუამდგომლობს მის ხელმეორედ გამოკვლევას, ან სასამართლო თავისი ინიციატივით საჭიროდ მიიჩნევს მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევას (სსსკ-ის 533-ე მუხლი, მე-4 ნაწილი).¹

ზემომოყვანილი წესი ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის პრინციპს. სსსკ-ის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია დაკითხოს

¹ პირველი ინსტანციით საქმის განხილვის შედეგების გამოყენების შესაძლებლობას უშეებს, მაგალითად, ნიდერლანდების სისხლის სამართლის პროცესი. იხ. „ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“. ინგლისურიდან თარგმნა კაჩიკარიშვილმა. თბ., 2002, გვ.333; მაგალითად, იტალიაში საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, ძირითადად, ხდება საქმეში არსებული ოქმებისა და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნება და არ ტარდება მოწმეთა თუ ექსპერტის დაკითხვა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ შეუძლებელია საქმეზე გადაწყვეტილების მიღება მის ხელთ არსებული საქმის მასალებზე დაყრდნობით, იგი გამოიტანს დადგენილებას სასამართლო განხილვის მთლიანად, ან ნაწილობრივ განახლების შესახებ. იხილეთ: „Апелляционные и кассационные суды капиталистических государств“. составитель А.И.Лубенский, М. 1975 ст.14; ამერიკაში, საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, მოსამართლეები ამჯობინებენ მხარეთა პოზიციებს გაეცნონ არა მათი ზეპირი გამოსვლებიდან (ხშირად, მხოლოდ 15-20 წუთით არის განსაზღვრული), არამედ წარმოდგენილი წერილობითი მასალიდან იხ. იქვე ст.44.

დაზარალებული და მოწმე, შეისწავლოს და მოისმინოს ექსპერტის დასკვნა, შეამოწმოს ნივთიერი მტკიცებულებები. ამ წესიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ განსაკითრებულ შემთხვევებში“. სიტყვები „ამ კოდექსით გათვალისწინებულ განსაკითრებულ შემთხვევებში“ სწორედ ჩვენს მიერ განსახილველ შემთხვევას შეეხება და, შესაბამისად, ზოგადი წესიდან – მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის ვალდებულება – გამონაკლისს წარმოადგენს. მაგრამ, რამდენად მიზანშეწონილია და გამართლებული ამ გამონაკლისის დაწესება? ამ კითხვაზე სწორი პასუხის მოსაძებნად სსსკ-ში გათვალისწინებულ რამდენიმე დებულებას მოვიშველიებთ და მათი ურთიერთკავშირის შუქზე შევეცდებით გარკვეული დასკვნების გაკეთებას.

სსსკ-ის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტი პრეიუდიციულ ძალას ანიჭებს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას და მის სამართლებრივ შეფასებას, ესე იგი, ეს ფაქტობრივი გარემოება მტკიცებულებად გამოიყენება გამოკვლევის გარეშე, თუ მხარეები საეჭვოდ არ ზდიან. მიუხედავად იმისა, რომ ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის მხარის ან სასამართლოს განაჩენის მიერ უარყოფის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ ამ სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები ეწინააღმდეგება წინა განაჩენით დადგენილ ფაქტს ან მოსამართლის შინაგან რწმენას, ვერ გავიზიარებთ კანონმდებლის მიერ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი, გარკვეული ფაქტებისათვის წინასწარდადგენილი ძალის მინიჭება და მათი პრეიუდიციებად აღიარება ემყარება ამ ფაქტებისადმი რაიმე ეჭვის არსებობის შესაძლებლობის გამორიცხვას. ესე იგი, ამ ფაქტების, გარემოებების ისეთი შეფასება, როგორი სახითაც მათ პრეიუდიციული ძალა ენიჭებათ ერთად-

ერთი შესაძლო ვერსია უნდა იყოს და ზოგად ჭეშმარიტებას, აქსიომას წარმოადგენდეს. განაჩენი საპროცესო დოკუმენტებს შორის ყველაზე უმნიშვნელოვანესი სასამართლო დოკუმენტია და მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (თუ იგი არ გასაჩივრებულა) მასში დადგენილი ფაქტები და გარემოებები ჭეშმარიტად მიიჩნევა, არ არსებობს მათი ეჭვის ქვეშ დაყენების საფუძველი. მაგრამ, სააპელაციო სასამართლოში განხილვის საგანი ხდება განაჩენი, რომელიც მთლიანად, თუნდაც ამათუიშ ნაწილში უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიიჩნია ერთ-ერთმა (ან ორივე) მხარემ. ესე იგი, ამ განაჩენით დადგენილი ფაქტების, გარემოებების მიმართ გაჩნდა ეჭვი და ძნელი წარმოსადგენია, რომ იმავე მოსამართლის მიერ, იმავე განაჩენში დანარჩენი ფაქტებისა თუ გარემოებების სამართლებრივი შეფასება სააპელაციო სასამართლოს უტყუარად მიაჩნდეს და ყოველგვარი ეჭვის მიღმა ეთანხმებოდეს მათ.¹

მეორე, სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილში ცალსახად აღნიშნულია, რომ: „სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით“. ესე იგი, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა დაეყრდნოს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც უშუალოდ სააპელაციო სხდომაზე იყო გამოკვლეული. ასეთები სსსკ-ის 533-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეიძლება იყოს ახალი მტკიცებულება, ან (გამონაკლის შემთხვევაში) პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულება, რომლის ხელმეორედ გამოკვლევა დაიშვება მხარის მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით.² მაგრამ, პირველი ინსტანციის სა-

¹ მტკიცებულებათა შეფასების, შემეცნების პროცესისა და სხვა საკითხების შესახებ იხ. მაგალითად: Лайош Надь «Приговор в уголовном процессе». Юридическая литература. М., 1982, стр.71-90.

² რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულების ხელმეორედ გამოკვლევის შესაძლებლობას, აქ გარკვეული წინაპირობაა

სამართლოს მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებას (როგორც წესი და არა როგორც გამონაკლისი) კანონი სააპელაციო სასამართლოს უკვე გამოკვლეულად უთვლის და ამით შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე და მასზე დაყრდნობით გამოიტანოს განაჩენი. აღნიშნულით უხეშად ირღვევა მოსამართლის შინაგანი რწმენის როლი განაჩენის დადგენისას. გამოდის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები გადაწყვეტილებას გამოიტანენ სანახევროდ თავიანთ და სანახევროდ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამომტან მოსამართლის შინაგან რწმენაზე (ამასთან, არ დაგვაიწყდეს, რომ ამ მოსამართლის შინაგანი რწმენა მხარემ ეჭვის ქვეშ დააყენა) დაყრდნობით, რაც ყოველად გაუმართლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონმდებლის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის ფარგლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მისაღებია სისხლის სამართლის პროცესის ეკონომიის თვალსაზრისით და შეესაბამება სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს მაგრამ, ვერ დავეთანხმებით მტკიცებულებათა გამოკვლევის შესახებ დაწესებული შეზღუდვების მიზანშეწონილობას და მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საჩივრისა და შესაგებლის ფარგლებში უშუალოდ უნდა გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება მიუხედავად იმისა, გამოკვლეული იყო თუ არა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება მას უფლება დაეყრდნოს ამ მტკიცებულებებს განაჩენის გამოტანისას.

სასამართლო გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე, რომლის დამთავრების შემდეგ

გათვალისწინებული. კერძოდ, აღნიშნული დაიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეული იყო კანონის არსებითი დარღვევით. „კანონის არსებითი დარღვევა“ შეფასებითი კატეგორიაა და, ცხადია, ამ საკითხის გადაწყვეტა სააპელაციო სასამართლოს აქვს მინდობილი (ი.ბ.).

განსასჯელს ეძლევა საბოლოო სიტყვის უფლება. შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.¹

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სახეები. სააპელაციო სასამართლო შემავჯამებელ გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის ან განჩინების სახით. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი თავისი შინაარსით წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს (ამ შემთხვევაში ზემდგომი სასამართლოს) გადაწყვეტილებას პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ განაჩენის კანონიერებასა თუ უკანონობის, დასაბუთებულობასა თუ დაუსაბუთებლობის შესახებ რომელიც საჩივრდება.

სსსკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო განაჩენით აუქმებს, ცვლილება შეაქვს ან უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით შეიძლება გაუქმდეს როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი განაჩენი, შესაბამისად, მათ ნაცვლად გამოვა გამამართლებელი, ან გამამტყუნებელი განაჩენი.

სსსკ-ის 496-ე მუხლი ითვალისწინებს განაჩენის ძირითად თვისებებს. ესენია: კანონიერება, დასაბუთებულობა, სამართლიანობა. სწორედ ეს თვისებები გადაიქცევა სააპელაციო სასამართლოში განხილვის საგნად პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებისას.² ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები განსაზღვრავენ, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება განაჩენი, შესაბამისად, კანონიერად, დასაბუთებულად და სამარ-

¹ სასამართლო განხილვის ამ ნაწილებთან დაკავშირებით სსსკ-სი არ აწესებს რაიმე გამონაკლისს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, ამიტომ, სასამართლო კამათის, საბოლოო სიტყვისა და სასამართლო თათბირის შესახებ იხილეთ ნაშრომის შესაბამისი გვერდები.

² განაჩენის სამართლიანობა არ არის გათვალისწინებული როგორც სააპელაციო გასაჩივრების დამოუკიდებელი საგანი, თუმცა თავისი შინაარსით იგი კანონის სწორად გამოყენებას უკავშირდება და, ამიტომ, სააპელაციო გასაჩივრებისას კანონიერება მოიცავს აგრეთვე სამართლიანობას (ი.ბ.).

თლიანად (თუმცა ეს განსაზღვრებები მეტად ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს კონკრეტულ გარემოებებს). პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების ან შეცვლის სააპელაციო საფუძვლები განსაზღვრულია სსსკ-ის 537-ე მუხლის პირველი ნაწილით. სააპელაციო სასამართლოში განაჩენის კანონიერების შემოწმებისას გამოიყენება, ასევე, სსსკ-ის 562-ე და 563-ე მუხლებით გათვალისწინებული საკასაციო საფუძვლები (მათ შესახებ ვრცლად მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ).

განვიხილოთ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმების, ცვლილების შეტანისა და უცვლელად დატოვების შემთხვევები ცალ-ცალკე.

სსსკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გაგამტყუნებელი განაჩენი და მის ნაცვლად დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი მთლიანად ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და პირი (გონივრული ეჭვის მიღმა) უდანაშაულოდ ითვლება მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. აღნიშნული სახის გადაწყვეტილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოთა პრაქტიკაში თითქმის საგამონაკლისო ხასიათს ატარებს. მაგალითად, 2007 წელს განხილული 4477 საქმიდან ასეთი შემთხვევა სულ 3 დაფიქსირდა.¹

როდესაც სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს² იგულისხმება განაჩენის როგორც

1 იხ. ინტერნეტ გვერდი www.supremecourt.ge.

2 სააპელაციო სამართალწარმოების პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით განაჩენის გაუქმების შემთხვევებს. მაგალითად, 2006 წლის სტატისტიკური მონაცემებით სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განაჩენის (გამამართლებლის ან გამამტყუნებლის) გაუქმების 59 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც განხილულ საქმეთა 1.4% შეადგენს, ხოლო 2007 წელს – 42 (0.7%).

მთლიანად, ასევე ნაწილობრივ გაუქმება. გამამართლებელი განაჩენის თუნდაც ნაწილობრივი გაუქმებისა და ბრალდების ამ ნაწილში პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში ვითარება არსებითად იცვლება – იცვლება განაჩენის სახე, ვინაიდან განაჩენი, რომელიც ზოგი ბრალდების მიმართ გამამართლებელია და ზოგი ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, საბოლოო ჯამში, გამამტყუნებელ განაჩენს წარმოადგენს. როდესაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ნაწილობრივ აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და ბრალდების ამ ნაწილში პირს დამნაშავედ ცნობს, ამ შემთხვევაში მას ცვლილება კი არ შეაქვს, არამედ აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს ახალ, გამამტყუნებელ განაჩენს. მიგვაჩნია, რომ სსსკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი შემდეგი სახით უნდა ჩამოყალიბდეს: „ბ) მთლიანად ან ნაწილობრივ აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს“.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას, სტატისტიკურად, ახასიათებს ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (2006 წელს იგი შეადგენდა 40.2%-ს, 2007 წელს – 32%-ს¹).

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა არ გულისხმობს მის გაუქმებას და იგი შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ მისთვის რაიმეს დამატებით, მასში რაიმეს შეცვლით ან გაუქმებით, მაგრამ სსსკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის ის მოთხოვნა, რომ, ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განაჩენის სახით, ეწინააღმდეგება როგორც თვითონ ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტს, ასევე 535-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშ-

¹ იხ.: ინტერნეტ გვერდი www.supremecourt.ge

ნულ დებულებას, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. გამოდის, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს ახალი განაჩენი, რაც ავტომატურად იწვევს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და ამავე განაჩენის საფუძველზე ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში, რომელიც იურიდიულად აღარ არსებობს.

ამასთან, განაჩენში ცვლილების შეტანის ყოველი შემთხვევის დროს სასამართლოს მიერ ახალი განაჩენის დადგენა მნიშვნელოვნად ამცირებს მისი, როგორც უმთავრესი სასამართლო დოკუმენტის მნიშვნელობას.

კანონმდებელს ვთავაზობთ ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის ორ შესაძლო ვარიანტს: 1) თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას სააპელაციო ინსტანციის სასამართლო მიიღებს განჩინების სახით, დაძლეული იქნება სხვადასხვა ნორმების დებულებათა შორის წინააღმდეგობა, შენარჩუნებული იქნება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სტაბილურობა¹; 2) იმის გათვალისწინებით, რომ განჩინება სამართლებრივი ძალით ვერ უთანაბრდება განაჩენს, რომელიც უზენაეს სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს და მასში ცვლილების შეტანა გაცილებით გამართლებული იქნებოდა მხოლოდ მასთან თანაბარი ძალის მქონე დოკუმენტით, ე.ი. ისევ განაჩენით, სააპელაციო სასამართ-

¹ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ამ სადავო საკითხის გადაწყვეტის სხვა ხერხიც, მაგალითად, რუსულ სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ახალი განაჩენი ცვლის წინა განაჩენს მთლიანად ან ნაწილობრივ. ესე იგი, იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ, იგი ადგენს განაჩენს, რომელიც ნაწილობრივ ცვლის გასაჩივრებულ განაჩენს. იხ.: П.А.Лупинская. Уголовно-процессуальное право. М., „Юристъ“, 2001, с.354.

ლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას შესაძლოა იღებდეს განაჩენის სახით, მაგრამ, მაშინ სსსკ-ის 535-ე მუხლის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, გარდა ამ კოდექსის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქ/პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვების შემთხვევაში სსსკ-ის 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს, ასევე, განაჩენი გამოაქვს რაც ისევდაისევ წინააღმდეგობაში მოდის 535-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსთან. უცვლელად დატოვება განაჩენისა, რომელიც ამავე დროს გაუქმებულად ითვლება ახალი განაჩენის გამოტანით, თავისთავად ალოგიკურია და კანონმდებელს ვთავაზობთ პრობლემის გადაწყვეტის ზემომოყვანილ ანალოგიურ ხერხებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შე(გად)მოღებულა ახალი ინსტიტუტი – საპროცესო შეთანხმება (plea bargaining), რომელიც საკმაოდ სწრაფი ტემპით იკიდებს ფეხს პრაქტიკაში. მისი ძირითადი არსი განაჩენის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანაა (იხილეთ ნაშრომის შესაბამისი გვერდები). აღნიშნული პროცედურა დაიშვება, ასევე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

მაგალითად, 2008 წლის 22 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საქმე კ.ს-ის მიმართ, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა 10 წლით თ/აღკვეთა, ჯარიმა 500 ლარის ოდენობით (ძირითადი სასჯელის სახით) და ჯარიმა 5 500

ლარის ოდენობით (დამატებითი სასჯელის სახით). სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე მხარეებს შორის მიღწეული იქნა საპროცესო შეთანხმება და სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე დაადგინა განაჩენი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რომლის თანახმად, კ.ს-ნს სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა 8 წლით თ/აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სსსკ-ის 536-ე მუხლი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად განაჩენის არსებითი განხილვის გარეშე დადგენის შემთხვევას და, ამ თვალსაზრისით, სრულყოფას საჭიროებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი შინაარსით: „აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელ ან გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენს არსებითი განხილვის გარეშე“.

სსსკ-ის 536-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განჩინებით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს: ა) აჩერებს სასამართლო განხილვას; ბ) აუქმებს ან ძალაში ტოვებს სასამართლოს კერძო განჩინებას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ; გ) აკმაყოფილებს ან უარყოფს კერძო სააპელაციო საჩივრებს; დ) აკმაყოფილებს ან უარყოფს ყველა სხვა საჩივარს, რომლებიც ამ კოდექსის მიხედვით შეიძლება შეიტანონ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. კერძო სააპელაციო საჩივრის საფუძველზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვა არ გამოირჩევა მაღალი პროცენტული მაჩვენებლით. 2007 წელს განხილული 4627 საქმეთაგან მხოლოდ 41

შემთხვევა იყო ასეთი.¹

შებრუნება საუარესოდ. *reformatio in pejus*-ის დაუშვებლობის წესის მიზანს და ძირითად დანიშნულებას ბრალდებულისათვის გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული წესის მიხედვით, ბრალდებული, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენს, დაზღვეულია, რომ განაჩენის გასაჩივრება არ გამოიწვევს მისი მდგომარეობის გაუარესებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საშიშროების წინაშე დადგებოდა, რომ შესაძლებელია განაჩენის გასაჩივრებას მოჰყვეს დანიშნული სასჯელის გამკაცრება ან მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესება, რის გამოც იგი თავს შეიკავებდა განაჩენის გასაჩივრებისაგან, თუნდაც, მისი აზრით, განაჩენი აშკარად დაუსაბუთებელი, უკანონო და არასამართლიანი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში კი, პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებთან ერთად ირღვევა მართლმსაჯულების ამოცანები.²

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი გათვალისწინებულია სსსკ-ის 540-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილის თანახმად: „სააპელაციო ინსტანციას უფლება არა აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს განსასჯელისათვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მსჯავრდებულის, დამცველის, მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენელის საჩივრის საფუძველზე და საჩივარი არ შეუტანია პროკურორს, დაზარალებულს, ან ბრალდების მხარის წარმომადგენელს

1 იხ.: ინტერნეტ გვერდი www.supremecourt.ge

2 იხ. И.Либус „Охрана прав личности в уголовном процессе“. Ташкент, «Узбекистан», 1975, с.111; Ю.В.Корневский „Как обжаловать приговор суда“. «ЮрИнфоР», М., 1998, с.155.

პროცესის სხვა მონაწილეს“. ამდენად, საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი, როგორც მსჯავრდებულის (გამართლებულის) გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, მის მიმართ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საჩივარი. დაცვის მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენისას, საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი შეეხებათ იმ მსჯავრდებულებსაც, რომელთა საქმესაც სააპელაციო სასამართლო სარევიზიო საწყისის (ამ საკითხთან დაკავშირებით ქვემოთ ვისაუბრებთ) საფუძველზე შეამოწმებს.

სსსკ-ის 540-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვის ზუსტად საპირისპიროს, ესე იგი, ნებრათვას ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი და მსჯავრდებულის მდგომარეობის საუარესოდ შებრუნების საშუალებას აძლევს სააპელაციო ინსტანციას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი ბრალდების მხარემ შეიტანა და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ შემთხვევაში არ ირღვევა რეფორმაციო ინ პეჯუს-ის წესი, ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ განაჩენის გასაჩივრების დროს, ეს წესი საერთოდ არ მოქმედებს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესით არ იზღუდება იმ შემთხვევაშიც, როცა სააპელაციო საჩივარი ორივე მხარემ წარადგინა. მართალია, მსჯავრდებულის (გამართლებულის) მიერ საჩივრის წარდგენისას, მოქმედებს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი, მაგრამ იგი არ მოქმედებს ბრალდების მხარის საჩივრის მიმართ და მსჯავრდებულის (გამართლებულის) მდგომარეობის გაუარესება სწორედ ბრალდების საჩივრის მოთხოვნათა საფუძველზე ხდება. თუმცა, ne pejus-ის წესის გამოძახილი (გარკვეული შეზღუდვის დაწესების სახით) ბრალდების მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროსაც შეიმჩნევა. კერძოდ, ბრალდების მხარეს უფლება ეძლევა საა-

პელაციო საჩივარში მოითხოვოს მსჯავრდებულის (გამართლებულის) მდგომარეობის გაუარესება, თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.¹

რეფორმაციო *ne pejus*-ის წესს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს. იგი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, დანიაში, ბელგიაში, პორტუგალიასა და სხვა ქვეყნებში.²

სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოებისას გამოიხატება შემდეგში: „სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არ იზღუდება საჩივარში მოყვანილი დასკვნებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, მათ შორის იმ მსჯავრდებულთა მიმართაც, რომელთაც არ შეუტანიათ საჩივრები. შეტანილია დანაშაულის ერთი თანამონაწილის მიერ და იგი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია გადასინჯოს განაჩენი სხვა მსჯავრდებულთა³ მიმართაც“ (სსსკ-ის 543-ე მუხლი).

სისხლის სამართლის პროცესში განასხვავებენ საგნობრივი და პერსონალური ხასიათის რევიზიას. საგნობრივი რევიზია გუ-

1 იხ.: А.С.Александров, Н.Н.Ковтун „Основания к отмене (изменению) приговора в суде апелляции и инстанции“. Ж. „Государство и право“, 2001, №10, с. 61.

2 იხ.: С.В.Боботов „Правосудие во Франции“. М., 1994, с.180.; „Апелляционные и кассационные суды капиталистических государств“. А.И.Лубенский, М., 1975, с.4.; Р.Уолкер „Английская судебная система“. Перевод Т.В.Апаровой, М., 1980, с.531-532; Б.А.Филимонов „Уголовный процесс ФРГ“. М., 1974, с.92; „ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“. ინგლისურიდან თარგმანი კ.წიქარიშვილისა, თბ., 2002.

3 ამ შემთხვევაშიც არ არის მოხსენიებული გამართლებული, თუმცა, მის მიერ გამართლებელი განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისას, მიგუანია, რომ, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, ასევე, უნდა წარმოემოხადეს ვალდებულება – გადასინჯოს განაჩენი ამ საქმეზე სხვა მსჯავრდებულთა თუ გამართლებულთა მიმართ (იბ.).

ლისხმობს საქმის სრული მოცულობით შემოწმებას სააპელაციო საჩივრის ფარგლების მიუხედავად, ხოლო, პერსონალური – საქმის შემოწმებას იმ მსჯავრდებულთა მიმართაც, რომლებსაც (რომელთა მიმართაც) სააპელაციო საჩივარი არ შეუტანიათ.

საქმის სარევიზიო საწყისის საფუძველზე შემოწმებისას, ცხადია მსჯავრდებულთა მიმართ მოქმედებს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი. სსსკ-ის 543-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ „სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს მსჯავრდებულთა სასარგებლოდ, მაგრამ უფლება არა აქვს გააუარესოს მათი მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის მონაწილეებს თავიანთ საჩივრებში ამის შესახებ არ უთხოვიათ.“¹

საქმის სარევიზიო საწყისის საფუძველზე შემოწმებისას კანონი არ გამორიცხავს იმ განსასჯელის სააპელაციო საჩივრის განხილვას, რომელმაც გასაჩივრების ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა და ეს ვადა სასამართლომ აღადგინა.²

1 აღნიშნული დებულება, ფიქრობთ, არ შეესაბამება სარევიზიო საწყისის არსს. თუ ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივარში მოითხოვდა ამ განსასჯელთა მდგომარეობის გაუარესებას, მაშინ მათ მიმართ საქმე სააპელაციო სამართალწარმოების ჩვეულებრივი წესის შესაბამისად წარიმართებოდა. ამ განსასჯელთა მიმართ საქმის სარევიზიო საწყისის საფუძველზე შემოწმებას სწორედ ის განაპირობებს, რომ არ არსებობს მათ მიმართ და მათ მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი.

2 სარევიზიო საწყისის მიმართ სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობებში სხვადასხვაგვარი მიდგომაა. მ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ, მაგალითად: Уголовно-процессуальное право Российской Федерации. Под ред.: П.А.Лупинской, М., 2003, с.596-597.; Уголовно-процессуальный кодекс РФ. „ИКФ“ЭКМОС“, М., 2002, с.157; В.Дорошков „Пересмотр решений мирового судьи по уголовным делам в апелляциином порядке“. Ж.„Российская юстиция“. 2002, №7, с.40-41; „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, მერიდიანი, თბ., 2007 გვ.487; „Апелляционные и кассационные суды капиталистических государств“. Составитель А.И.Лубенский, М., 1975, с.3, с.13, с.51.

§3. კასაცია

საკასაციო გასაჩივრების საგანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი (როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი), მეორე მხრივ, ამ განაჩენის კანონიერება (ამ შემთხვევაში კანონიერება აერთიანებს განაჩენის ისეთ თვისებებს, როგორებიცაა კანონიერება და სამართლიანობა) (სსსკ-ის 547-ე მუხლის პირველი ნაწილი).

საკასაციო გასაჩივრების თავისუფლება. აპელაცია და კასაცია გასაჩივრების სახეებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, გასაჩივრების თავისუფლების თვისება ორივე მათგანს ახასიათებს. აღნიშნულ საკითხზე უკვე გვქონდა საუბარი წინა პარაგრაფში, რომელიც აპელაციას შეეხება და, რომ არ გავმეორდეთ, იხილეთ სააპელაციო გასაჩივრების თავისუფლება. ამ ნაწილში ყურადღებას მივაპყრობთ ერთ თავისებურებას.

სსსკ-ის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეწინააღმდეგება და ყოვლად გაუმართლებლად ზღუდავს გასაჩივრების თავისუფლების პრინციპს. სსსკ-ის 307-ე მუხლი, სადაც საუბარია საკასაციო გასაჩივრების ზოგად დებულებებზე მთლიანად აგებულია და შეესაბამება საკასაციო გასაჩივრების თავისუფლებას. ამ მუხლის თანახმად, თითქოს, მხარეებს საკუთარი ინტერესების დასაცავად შეუზღუდავი შესაძლებლობა ეძლევათ მიმართონ ზემდგომ ინსტანციას, თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, კასატორის აზრით, უკანონოა და სსსკ-ით გათვალისწინებული ფორმისა (სსსკ-ის 308-ე მუხლი) და ვადის (სსსკ-ის 309-ე მუხლის პირველი ნაწილი) დაცვით საკასაციო საჩივრის წარდგენისას განაჩენის გადასინჯვა, თითქოს, გარანტირებულია. თუმცა, სსსკ-ის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტები ითვალისწინებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების კრიტერიუმებს (საქმე მნიშვნელოვანი

უნდა იყოს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა განსხვავდებოდეს ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, ან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით), რაც საკასაციო საჩივრისადმი დამატებით წაყენებულ მოთხოვნებად გვევლინება და საკასაციო გასაჩივრების თავისუფლების შეზღუდვის, შეიძლება ითქვას, „შენიღებულ“ ფორმას წარმოადგენს.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრე იგივეა, რაც სააპელაციო გასაჩივრებისას, მაგრამ, გამართლებულის გამოკლებით, ვინაიდან მისი მხრიდან გამამართლებელი განაჩენის გასაჩივრება დაიშვება მხოლოდ გამართლების საფუძველში (რასაც, ძირითადად, საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი განაპირობებს), რაც არ წარმოადგენს საკასაციო გასაჩივრების საგანს.

საკასაციო საჩივრის შეტანისა და განხილვის ვადები. მხარეს უფლება აქვს წარადგინოს საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში. სსსკ-ის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, საკასაციო გასაჩივრების ვადის ათვლა, ფაქტობრივად, განაჩენის გამოცხადების მომდევნო დღიდან დაიწყება (იხ. სააპელაციო გასაჩივრების ვადები). სსსკ-ის 551-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. კანონმდებელი აქ არ აღნიშნავს, თუ რა მომენტიდან აითვლება აღნიშნული ვადა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ 6 თვიანი ვადის საწყის მომენტად მიიჩნევა საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დრო.

საკასაციო საჩივარი. საკასაციო პალატის მიერ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს საკასაციო საჩივარი წარმოადგენს.

საჩივარი წერილობითი ფორმით დგება და სააპელაციო სასამართლოში შეიტანება. კანონი ითვალისწინებს მთელ რიგ მოთხოვნებს, რომელსაც საკასაციო საჩივარი უნდა პასუხობდეს, რათა იგი დაშვებული იქნეს განსახილველად. სსსკ-ის 552-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს საკასაციო საჩივრის ფორმასა და შინაარსს. საკასაციო საჩივრისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან ნაწილი ფორმალურ ხასიათს ატარებს და კასატორისათვის შედარებით მარტივი შესასრულებელია (სასამართლოს დასახელება, კასატორის პირადი მონაცემები, განაჩენის გამოტანის თარიღი და სხვ., რასაც ხშირად „გარეგნულ“, „საიდენტიფიკაციო“ მონაცემებს უწოდებენ), ხოლო ნაწილი უშუალოდ საქმის არსს შეეხება და კასატორისაგან მეტ მობილიზებასა და გარკვეულ ინტელექტუალურ მონაცემებს მოითხოვს, რის გამოც, ხშირად, მხარეები ადვოკატის დახმარებას მიმართავენ (იმ სამართლებრივი საკითხების ჩამოყალიბება, რომელიც მოძიების აზრით არასწორად გადაწყდა და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, საკასაციო მოთხოვნების დასაბუთება და სხვა, რასაც შინაარსობრივი, სამართლებრივი ხასიათის მონაცემებს მიაკუთვნებენ).

დამატებითი საკასაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა გათვალისწინებულია კანონით, ისევე, როგორც სააპელაციო სამართალწარმოებისას (იხ. წინა პარაგრაფის შესაბამისი ნაწილი).¹

შესაგებელი საკასაციო საჩივარზე გათვალისწინებულია

¹ მაგალითად, რუსეთის სსსკ-ის 359-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ წარადგინონ დამატებითი საკასაციო საჩივარი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგაც, მაგრამ სასამართლო განხილვის დაწყებამდე. ამასთან, ბრალდების მხარის მონაწილენი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ დამატებით საჩივარში ვერ მოითხოვენ მსჯავრდებულის მღვდამარეობის გაუარესებას, თუ ასეთი მოთხოვნას არ შეიცავს მათი ძირითადი საკასაციო საჩივარი. იგივე წესი მოქმედებს დამატებითი სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროსაც. იხ. И.Л. Петрухин «Уголовно-процессуальное право РФ». Проспект, М., 2007, с.530, с.554-555.

სსსკ-ის 555-ე მუხლით. ამ საკითხთან დაკავშირებით იზილეთ წინა პარაგრაფის შესაბამისი ნაწილი.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს, სსსკ-ის 555¹-ე მუხლის თანახმად, წყვეტს საკასაციო პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელი ადგენს, რომ „საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პორაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან“. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამ კრიტერიუმებით შემოწმება ალოგიკურია, ვინაიდან კანონმდებელს აღნიშნული გარემოებანი არ გაუთვალისწინებია როგორც საკასაციო გასაჩივრების პირობები. სსსკ-ი ადგენს საკასაციო გასაჩივრების საგანს (307-ე მუხლის პირველი ნაწილი), საკასაციო საჩივრის ფორმას (308-ე მუხლი) და მისი წარდგენის ვადას (309-ე მუხლის პირველი ნაწილი), შესაბამისად, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია, მაშინ საკასაციო პალატა ვალდებულია განიხილოს საქმე და ლოგიკურია, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ მსჯელობისას სწორედ აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვა უნდა შემოწმდეს.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვის შედეგად საკასაციო პალატა იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: 1) საჩივარს დაუშვებლად მიიჩნევს და განუხილველად ტოვებს მას (2007 წელს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში შესული 1782 საკასაციო საჩივართაგან დაუშვებლად იქნა ცნობილი 1252!)¹. ასეთ შემთხვევაში მას გამოაქვს განჩინება (სსსკ-ის 310-ე მუხლის მე-3 ნაწილი); 2) საკასაციო საჩივარს დასაშვებლად მიიჩნევს. ასეთ შემთხვევაში

¹ იხ. ინტერნეტ გვერდი www.supremecourt.ge

იგი ნიშნავს თარიღს საკასაციო სხდომისა, რომელიც უნდა გაიმართოს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ორი კვირის ვადაში (სსსკ-ის 310-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

საქმის განხილვა საკასაციო წესით. საქმეს საკასაციო წესით განიხილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მიერ კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით.¹ საქმის განხილვისას საკასაციო ინსტანციის სასამართლო იცავს სხდომის განაწესს და ახორციელებს ღონისძიებებს მის დამრღვევთა მიმართ 456-ე და 208-ე მუხლების შესაბამისად (იხილეთ ნაშრომის შესაბამისი გვერდები).

საკასაციო სასამართლოში საქმის მოსასმენად მომზადებას აწესრიგებს სსსკ-ის 557-ე მუხლი, რომელიც ბლანკეტური ხასიათისაა და სსსკ-ის 530-ე მუხლის პირველ ნაწილზე უთითებს, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოში საქმის მოსასმენად მომზადების წესებს (იხ. ნაშრომის შესაბამისი გვერდები).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილენი. სსსკ-ის 558-ე მუხლის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილეთა საკითხი წესრიგდება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვის მონაწილეთა შესახებ საკითხის მსგავსად (იხ. ნაშრომის შესაბამისი გვერდები).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საჩივრებისა და საქმის განხილვის წესი. საკასაციო წესით საქმის განხილვისას სასამართლო გამოძიება არ ტარდება, არ ხდება მტკიცებულებათა წარდგენა და გამოკვლევა. საქმის განხილვის დაწყების საწყის ეტაპზე საქმის შემსწავლელი მოსამართლე აკეთებს მოხსენებას, რომლის დასრულების შემდეგ მხარეებს და მოსამართლეებს უფლება აქვთ დაუსვან მას შეკითხვები, ბოლოს, კასატორი ას-

¹ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმე საკასაციო წესით შეიძლება განიხილოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ.

აბუთებს საჩივარში მოყვანილ მოსაზრებებს რომლის დასრულების შემდეგ მხარეებსა და მოსამართლეებს უფლება აქვთ დაუსვან მას კითხვები (აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხილეთ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სასამართლო გამოძიების საწყისი ეტაპი).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემდგომი ეტაპები რეგულირებულია სსსკ-ის 560-ემუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რომელთა თანახმად, მოსამართლის მოხსენებისა და მომჩივნის გამოსვლის შემდეგ საჩივრისა და განაჩენის შესახებ თავის მოსაზრებებს აყალიბებს ჯერ მომჩივანი მხარის სხვა წარმომადგენელი, ხოლო შემდეგ მომჩივნის მოწინააღმდეგე მხარის სხვა წარმომადგენელი. ამ დროს გამოსვლათა თანმიმდევრობას ისინი თავად განსაზღვრავენ, ხოლო უთანხმოების შემთხვევაში – სასამართლო.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეები. სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს განჩინების სახით. მისი ძირითადი დანიშნულებაა საქმის გადაწყვეტისას დაშვებული შეცდომის გამოსწორება, უკანონო განაჩენის გაუქმება ან გამოსწორება. ამასთან, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების საქმიანობისათვის სწორი მიმართულების მიცემისა და მისი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საკასაციო ინსტანციის სასამართლო განჩინებით იღებს ერთერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) განაჩენს ან განჩინებას უცვლელად ტოვებს, ხოლო საჩივრებს – დაუკმაყოფილებლად (განაჩენის (განჩინების) სტაბილურობის მაჩვენებელი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში წარმოუდგენლად მაღალია. 2007 წლის მონაცემებით იგი 87,

3%-ს შეადგენს!)¹ ამ სახის გადაწყვეტილებას იღებს საკასაციო ინსტანციის სასამართლო, როდესაც იგი გასაჩივრებულ განაჩენს მთლიანად კანონიერად მიიჩნევს;

ბ) აუქმებს განაჩენს და საქმეს გზავნის ახალი სასამართლო განხილვისათვის. ამასთან, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებული მიჩნეულია დამნაშავედ რამდენიმე დანაშაულში, შესაძლებელია საკასაციო ინსტანციის სასამართლომ გააუქმოს განაჩენი ერთი ან რამდენიმე ბრალდების ნაწილში (ნაწილობრივი გაუქმება). სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განაჩენის სამოქალაქო სარჩელის ნაწილში გაუქმებისას საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად გადაეცემა უკვე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. განაჩენის გაუქმებისას საკასაციო ინსტანციის სასამართლო განაჩენში მიუთითებს იმ დარღვევებზე, რამაც განაჩენის გაუქმება გამოიწვია და, ასევე, ზომებზე, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქმის ხელახალი განხილვისას. (გაუქმების საფუძვლებზე იხილეთ ქვემოთ).

გ) აუქმებს განაჩენს და წყვეტს საქმეს.² ამ სახის შემთხვევები საკასაციო ინსტანციის სასამართლოს პრაქტიკაში თითქმის არ არსებობს. 2007 წლის სტატისტიკური მონაცემებით ასეთი სულ 1 შემთხვევა დაფიქსირდა.³ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლო განაჩენს აუქმებს და სისხლისსამართლებრივ დევნას წყვეტს დანაშაულის შემთხვევის ან ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის, ან იმის გამო, რომ განსასჯელი არ მონაწილეობდა დანაშაულში, კანონმდებელი იმპერატიულად კრძალავს განჩინებაში ისეთი ფორმულირებების შეტანას, რომელიც საეჭვოს ხდის ამ პირის უდანა-

1 იხ. ინტერნეტ გვერდი www.supremecourt.ge

2 მიკვანია, რომ ტერმინი „წყვეტს საქმეს“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „წყვეტს საქმეზე წარმოებას“ ანდა „წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას“, ვინაიდან, მოქმედი სსსკ-ის აღარ იცნობს საქმის აღძერის სტადიას.

3 იხ.: ინტერნეტ გვერდი www.supremecourt.ge

შაულობას (სსსკ-ის 569-ე მუხლი). ასეთ შემთხვევებში განჩინებაში აღინიშნება, რომ სამოქალაქო სარჩელს უარი ეთქვა (სსსკ-ის 561-ე მუხლი, მე-5 ნაწილი), ხოლო სხვა საფუძვლით საქმის შეწყვეტისას განჩინებაში აღინიშნება, რომ სარჩელი არ განიხილება (სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-6 ნაწილი);

დ) ცვლის განაჩენს განსასჯელის სასიკეთოდ. სსსკ-ის 566-ე მუხლის გათვალისწინებით, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია შეცვალოს განაჩენი მხოლოდ განსასჯელის სასიკეთოდ, მაგრამ ვერ გააუარესებს მის მდგომარეობას. (2006 წელს ამ სახის გადაწყვეტილებები 9, 6%-ს შეადგენდა, ხოლო 2007 წელს – 8, 3%-ს).¹ განაჩენის განსასჯელის სასიკეთოდ შეცვლისას საკასაციო ინსტანციის სასამართლომ შეიძლება გამორიცხოს ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ბრალდების ნაწილები, ეპიზოდები ანდა გარემოებანი (სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-3 ნაწილი);

ე) აუქმებს პირველი ან სააპელაციო ინსტანციების განაჩენს ან განჩინებას.²

საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძვლები. სსსკ-ის 562-ე მუხლის თანახმად, საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველია: ა) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა. საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევის არსებითობა თუ არაარსებითობა შეეხება უშუალოდ დარღვევას და არა თვითონ საპროცესო კანონს (ნორმას), რომლის დარღვევამაც გავლენა მოახდინა (შეეძლო მოეხდინა) საქმის განხილვასა თუ განაჩენის დადგენაზე. ერთი და იგივე საპროცესო ნორმის მოთხოვნის დარღვევა, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გარემოებები-

¹ იქვე.

² საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებათა სახეების შესახებ იხილეთ, მაგალითად: М.С.Строгович „Проверка законности и обоснованности судебных приговоров. М., 1956, с.202-230; И.Д.Перлов „Кассационное производство в советском уголовном процессе“. М., 1968, с.278-299.

დან გამოძინარე, შესაძლებელია სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნეს როგორც არსებითი დარღვევა მაშინ, როდესაც სხვა საქმესთან დაკავშირებით იგი არ ჩაითვლება არსებითად და არ გამოიწვევს განაჩენის შეცვლასა თუ გაუქმებას.¹

როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევის არსებითობა პირობითია და დამოკიდებულია კონკრეტულ საქმის გარემოებებზე, იგი განაჩენის გაუქმების „პირობით საფუძველს“ წარმოადგენს. მაგრამ არსებობს ისეთი სახის დარღვევებიც, რომლებიც „ყველა შემთხვევაში აისახება და არ შეიძლება რომ არ აისახოს საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტაზე“.² ამ სახის დარღვევები (თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არსებობა) შედეგად ყოველთვის განაჩენის გაუქმებას იწვევს და მათ განაჩენის გაუქმების „უპირობო საფუძველებს“ უწოდებენ.³

სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია საპროცესო კანონის იმ დარღვევათა ჩამონათვალი, რომლებიც, ყველა შემთხვევაში, შედეგად განაჩენის გაუქმებას იწვევს. კერძოდ: ა) წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის ჩატარება

1 იხ.: Э.Ф.Кущова. „Советская кассация как гарантия законности в правосудии“. М., 1957, с.128-129.

2 იხ.: М.С.Строгович. „Проверка законности и обоснованности судебных приговоров“. М., 1956, с.81.

3 საპროცესო დარღვევათა გამო განაჩენის გაუქმებასთან დაკავშირებით საინტერესოა ინგლისში არსებული ტრადიციული ფორმა- ბრძანება „venire de novo“, რაც ლათინურად „ხელახლა დაბრუნებას“ ნიშნავს. „venire de novo“-ს ბრძანებას სააპელაციო სასამართლო გასცემს, თუ იგი აღმოაჩენს ისეთი სახის საპროცესო დარღვევას, რაც მთლიანად სასამართლო განხილვის გაუქმებას იწვევს (მაგალითად, თუ საქმე განხილულ იქნა მოსამართლის მიერ, რომელიც სათანადო წესის დარღვევით იქნა თანამდებობაზე დანიშნული, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა განსასჯელის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე, თუ აღიარება არ იყო თავისუფალი და ნებაყოფლობითი და სხვა). ასეთი ბრძანების შემდეგ ბრალდების მხარის მოთხოვნით საქმე შეიძლება დაბრუნებული იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად. იხ. К.Ф.Гуценко, Л.В.Головко, Б.А.Филимонов „Уголовный процесс западных государств“. М., 2001, с.149.

სისხლის სამართალწარმოების გამოძრიცხავი საფუძვლების არსებობისას;¹ ბ) განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. განაჩენის გაუქმების აღნიშნული საფუძველი შინაარსობრივად ემთხვევა განაჩენში მოყვანილ სასამართლო დასკვნების საქმეზე არსებულ მტკიცებულებებთან შეუსაბამობის, როგორც განაჩენის გაუქმებისა თუ შეცვლის საფუძველის ერთ-ერთ სახეს, განაჩენში მოყვანილი დასკვნების დასასაბუთებლად დაუშვებელი მტკიცებულებების გამოყენებას. ამ შემთხვევაში, იგი განიხილება განაჩენის დასაბუთებულობის თავსაზრისით, ხოლო, როგორც საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, იგი განიხილება განაჩენის კანონიერებასთან მიმართებაში; დ) ბრალდებული ან მისი დამცველი საქმის ყველა მასალის გაცნობის უფლებით არ იქნენ უზრუნველყოფილი. აღნიშნული უფლების დარღვევა მნიშვნელოვნად ზღუდავს ბრალდებულის საპროცესო უფლებებს, რაც განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს; ე) საქმე გამოიძიეს ან განიხილეს დამცველის მონაწილეობის გარეშე, როდესაც მისი მონაწილეობა სავალდებულო იყო. თუ, აღნიშნული დარღვევის მიუხედავად, სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, იგი არ შეიძლება გაუქმდეს. გამამართლებელი განაჩენი არ გაუქმდება აგრეთვე ბრალდებულის (განსასჯელის) დაცვის უფლების დარღვევის სხვა შემთხვევებშიც (სსსკ-ის 563-ე მუხლის მე-3 ნაწილი); ზ) დაირღვა ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის უფლება – ისარგებლოს მშობლიური ენით ან სხვა ენით, რომელიც მან იცის; თ) დაირღვა განსჯადობის წესები. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც უწყებრივი, ასევე ტერიტორიული ქვემდებარეობა; ი) საქმე განიხილეს მსჯავრდებულის დაუსწრებლად, როცა

¹ სისხლის სამართალწარმოების გამოძრიცხავ გარემოებებთან დაკავშირებით იხ: შ.ფაფიაშვილი, ა.თევზაძე. მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმისა და დღენის აღძვრა. თბ., «პერიდიანი», 2002, გვ.195-208.

კანონით მისი დასწრება სავალდებულოა. განსასჯელის მონაწილეობა საქმის განხილვაში მისი ერთ-ერთი უფლებათაგანია და, ამავე დროს, მის მოვალეობას წარმოადგენს. საქმის განხილვაში მონაწილეობისას განსასჯელს საშუალება ეძლევა დაიცვას საკუთარი თავი ჩვენების მიცემის გზით, აქტიურად ჩაებას სხვა პირთა დაკითხვის პროცესში და სხვა. კ) მსჯავრდებულს არ მისცეს საბოლოო სიტყვა. გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების საფუძველია აგრეთვე სსსკ-ის 492-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა წესების დარღვევის შემთხვევა; ლ) განაჩენი გამოიტანა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; მ) დაირღვა მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება. მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვის შემთხვევაში, იგი ასევე ვალდებულია, განაჩენის დასადგენად ამისათვის სპეციალურად განკუთვნილ ოთახში გავიდეს, სადაც აკრძალულია სხვა პირთა შესვლა და განაჩენის დადგენამდე მოსამართლეს ეკრძალება საქმესთან დაკავშირებით სხვა პირებთან რაიმე ურთიერთობა; ნ) საქმეში არ არის სასამართლო სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი. აქ უნდა ვიგულისხმოთ შემთხვევები, როდესაც ან საერთოდ არ არსებობს სხდომის ოქმი, ანდა იგი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად; ო) განაჩენზე მოსამართლეს არ მოუწერია ხელი. ასეთ შემთხვევაში, როგორც მ.სტროგოვიჩი აღნიშნავს, განაჩენი იურიდიულად საერთოდ არ არსებობს.¹ სსსკ-ის 506-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენს ხელს არ აწერს მოსამართლე, რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლის ხელის მოწერის არარსებობა არ წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ განაჩენის გაუქმების უპირობო საფუძველებს დაემატოს სისხლის

¹ იხ.: М.С.Строгович „Проверка законности и обоснованности судебных приговоров“. М., 1956, с.97.

სამართალწარმოების პრინციპების დარღვევა, როგორც განაჩენის გაუქმების ასევე უპირობო საფუძველი, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვის დროს მათი დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს და იწვევს სსსკ-ის სხვა თავებისა თუ მუხლებით გათვალისწინებულ სხვადასხვა მოთხოვნათა დარღვევებსაც.¹

ბ) სისხლის სამართლის ან სხვა მატერიალური სამართლის კანონის არასწორი გამოყენება. სასამართლოს მიერ სამართალშეფარდებითი საქმიანობის განხორციელებისას, გარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა მატერიალური სამართლის ნორმებიც. მაგალითად, სსსკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელის განხილვისას გამოიყენება სამოქალაქო, შრომის და სხვა კანონმდებლობა.

სსსკ-ის 564-ე მუხლის თანახმად, კანონი არასწორად გამოიყენება, როცა სასამართლო: ა) არ იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) იყენებს კანონს, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; გ) სწორად არ განმარტავს კანონს.

სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერებაში ითვლება, რომ ზემოჩამოთვლილი სამივე შემთხვევა ერთმანეთს ერწყმის, განაპირობებს და ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვა მხარეს წარმოადგენს. მიჩნეულია, რომ მაშინ, როდესაც სასამართლო არ იყენებს კანონს, რომელიც უნდა გამოეყენებინა, იგი იყენებს კანონს, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რისი მიზეზიც სწორედ კანონის არასწორი განმარტებაა.²

1 იხ.: В.Бородинов. „Нарушение принципов уголовного процесса основание отмены приговора“. Ж. „Российская юстиция“. 2002, №8, с.24.

2 იხილეთ, მაგალითად: В.А.Познанский „Вопросы теории и практики кассационного производства в советском уголовном процессе“. Саратов, 1978, с.63; М.С.Строгович „Проверка законности и обоснованности судебных приговоров“. М., 1956, с.104; И.Д.Перлов „Надзорное производство в уголовном процессе“. М., 1974, с.145.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ კანონის არასწორი გამოყენების ზემოთ მითითებული შემთხვევები სრულყოფილად არ ასახავს მის არსს და მიიჩნევენ, რომ სისხლის სამართლის კანონი არასწორად არის გამოყენებული, როდესაც დარღვეულია: ა) სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგადი ნაწილის მუხლები; ბ) სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები. ამგვარი განმარტების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია იმით, რომ სისხლის სამართლის (სხვა ნორმის) გამოყენებისას ხდება მისი ყველა სტრუქტურული ელემენტის გააქტიურება და ერთ-ერთი მათგანის არასწორი გამოყენება გამოიწვევს მთლიანად ნორმის არასწორ გამოყენებას. ამასთან, ნორმის შემადგენელი ცალკეული ელემენტები შესაძლებელია გათვალისწინებულ იყოს სისხლის სამართლის კანონის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის სხვადასხვა მუხლებით.¹

გ) სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუსაბამობა განსასჯელის ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან. სსსკ-ის 49 ნ-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი უნდა იყოს. სამართლიანობაში სწორედ დანიშნული სასჯელის დამნაშავეს პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობა იგულისხმება (სსსკ-ის 49 ნ-ე მუხლის მე-4 ნაწილი). ამ შემთხვევაში სამართლიანობის ცნება ვიწრო გაგებით (ზნეობრივ, ინდივიდუალურ ასპექტში) გამოიყენება და უსამართლო განაჩენში არ იგულისხმება ყველა არსებითად არასწორი განაჩენი.

განაჩენი აღნიშნულ საფუძველზე გაუქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯე-

¹ იხილეთ, მაგალითად: Е.В.Благов „Неправильное применение уголовного закона как основание к отмене или изменению приговора“. Авторсф. дис. канд. юрид.наук. Казань, 1985, с.2.

ლი, მართალია, არ არის სამართლიანი, მაგრამ იგი არ სცილდება ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებს (შესაბამისი მუხლის სანქციისა და სასჯელის დანიშვნის საერთო წესების გათვალისწინებით). როდესაც დარღვეულია ეს ფარგლები, სახეზე გვაქვს განაჩენის გაუქმების ან შეცვლის სხვა, დამოუკიდებელი საფუძველი, კერძოდ, კანონის არასწორი გამოყენება, რამაც შედეგად გამოიწვია სასჯელის შეუსაბამობა განსასჯელის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და პიროვნებასთან.

დანაშაულის სიმძიმე (აქ არ იგულისხმება სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთა სიმძიმის მიხედვით კლასიფიკაცია, რომელსაც სსკ-ის ითვალისწინებს) და დამნაშავის პიროვნება, როგორც სამართლიანი სასჯელის დანიშვნის კრიტერიუმები, შეფასებითი ცნებებია და სასჯელის ზომისა თუ სახის მათთან შეფარდებაც მძიმე და რთული პროცესია. ამიტომ, როგორც განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი, სასჯელის შეუსაბამობა განსასჯელის ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანიშნული სასჯელი (სახე, ზომა), მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა. კანონის ეს მოთხოვნა გამართლებულია, ერთის მხრივ, იმით, რომ შეუძლებელია სასჯელის სახისა და ზომის საქმის ინდივიდუალურ თავისებურებებთან შესაბამისად ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრა, ხოლო, მეორეს მხრივ, უზრუნველყოფილია განაჩენის სტაბილურობა.¹

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში განაჩენი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია და აშკარად უსამართლოა განსასჯელის ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით; ბ) როდესაც სასჯელი მეტისმეტად მსუბუქია და

1 იხ.: Э.Ф.Куцова. „Советская кассация как гарантия законности в правосудии“. М., 1957, с.14.

განსასჯელი აშკარად იმსახურებს სასჯელის გაცილებით მკაცრ სახესა თუ ზომას.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებანი. სსსკ-ის 570-ე მუხლის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია (მაგრამ არ არის ვალდებული) საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შემთხვევაში, პირველ ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებს სავალდებულო მითითებანი, რაც მიზნად ისახავს გამოძიებისა თუ სასამართლო ეტაპზე დაშვებული შეცდომების გამოსწორებასა და არსებული ხარვეზების შევსებას. მიუხედავად იმისა, რომ მითითებანი შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებს, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები მითითებათა შესრულების შემდეგ გადაწყვეტილებას თავიანთი შინაგანი რწმენითა და სამართალგაგებით იღებენ.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინების მიქცევა აღსასრულებლად ხდება სსსკ-ის 602-606-ე მუხლებით გათვალისწინებული სასამართლო განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის შესახებ საერთო წესების თანახმად. საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალას გამოცხადებისთანავე იძენს, მაგრამ მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი საბოლოოა და არ გასაჩივრდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სსსკ-ის 593-601-ე მუხლების თანახმად, დაიშვება მისი გადასინჯვა ახლად გამოვლენილ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებით განსასჯელი თავისუფლდება პატიმრობიდან და იგი სასამართლო სხდომის დარბაზში იმყოფება, განჩინება უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ და განსასჯელი სხდომის დარბაზიდანვე უნდა გაათავისუფლდეს, ხოლო სხვა შემთხვევებში განჩინების ასლი დაუყოვნებლივ გადაიგზავნება პატიმრობის ადგილას. სსსკ-ის 571-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაიშვება

პირის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ განკარგულების ტელეგრაფით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემა.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი დგება სასამართლო სხდომის ოქმის შესახებ საერთო წესის თანახმად, რაც მოცემულია სსსკ-ის 454-ე მუხლში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ნაშრომის შესაბამისი გვერდები.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა. ne pejus-ის პრინციპი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც მოქმედებს და მისი ძირითადი არსი სისხლის სამართლის პროცესის ამ სტადიაზეც უცვლელია და პირის გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფას წარმოადგენს. ამასთან, აპელაციისაგან განსხვავებით, კასაციის დროს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესს გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს. აღნიშნული თავად მუხლების სახელწოდებიდანვე ჩანს. სსსკ-ის 540-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას *საუარესოდ შებრუნების* წესს აწესრიგებს, ხოლო, სსსკ-ის 566-ე მუხლი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას *საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობას* შეეხება. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს არცერთ შემთხვევაში არ აქვს უფლება მიიღოს მსჯავრდებულის საზიანო გადაწყვეტილება. საკასაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით დააბრუნოს საქმე ხელახალი განხილვისათვის მხოლოდ სსსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილის დაცვით (სსსკ-სი 566-ე მუხლი, მე-2 ნაწილი).

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის სარევიზიო საწყისი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ერთ თავისებურებას ითვალისწინებს, რაც განასხვავებს ამ წესის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოქმედებას აპელაციის სტადიაზე

მისი მოქმედებისაგან. აღნიშნული თავისებურება კასაციის სტადიაზე საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობიდან გამომდინარეობს და გულისხმობს, რომ სარევიზიო საწყისის საფუძველზე საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სხვა მსჯავრდებულთა (ე.ი. რომელთაც საკასაციო საჩივარი არ წარუდგენიათ) მიმართ საქმის გადასინჯვისას ვერცერთ შემთხვევაში ვერ გაუარესდება მათი მდგომარეობა (სსსკ-ის 567-ე მუხლი, პირველი ნაწილი).

თაზვი XVI

განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების სუბიექტები. სსსკ-ის 594-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს“. სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით (მაგალითად, სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტები და სხვა), კანონმდებელი აქ მხოლოდ ზოგადად მიუთითებს და არ ჩამოთვლის კონკრეტულად იმ პირებს, თუ ვის შეუძლია აღნიშნული სახის საჩივრის წარდგენა. როგორც წესი, მხარეებში უნდა მოვიაზროთ ბრალდებისა და დაცვის მხარე და, შესაბამისად, ბრალდების მხარეში: პროკურორი, დაზარალებული, მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, ხოლო, დაცვის მხარეში: მსჯავრდებული, გამართლებული¹, დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე, მისი წარმომადგენელი.² მხარეები, კერძოდ: დაზარალებული,

1 ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა გადაწყვეტილების გადასინჯვის სტადიაზე მოქმედებს საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი და, შესაბამისად, გამართლებულს უფლება ექნება შეიტანოს საჩივრი მხოლოდ გამართლების საფუძვლებთან მიმართებაში ი.ბ.).

2 სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ცნებისა და მათი ჯგუფებად დაყოფის, აგრეთვე, სისხლის სამართლის სუბიექტთა შესახებ იხ. სისხლის სამართლის პროცესი. ავტორთა კოლექტივი, ხელმ.: ა.ფალიაშვილი, თბ., 2002, გვ.45; “Уголовно-процессуальное право РФ”. Под ред.: Н.А.Лупинской, 2001, с.72-73.

სამოქალაქო მოსარჩელე, მსჯავრდებული, გამართლებული, სამოქალაქო მოპასუხე საჩივარს წარადგენენ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, აღსადგენად. დამცველი და წარმომადგენელი საჩივარს წარადგენენ, შესაბამისად, მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირისა ან მარწმუნებლის ინტერესებიდან გამომდინარე. კანონი არ ითვალისწინებს პირდაპირ მოთხოვნას დამცველის ან წარმომადგენლის მიერ საჩივრის შეტანისას დასაცავი პირის ან მარწმუნებლის თანხმობის არსებობის შესახებ, თუმცა, ასეთი უნდა ვიგულისხმოთ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსჯავრდებული გარდაიცვალა) სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების სუბიექტებთან მიმართებაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტიდან და, ასევე, სსსკ-ის 84-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 71-ე მუხლის მე-8 ნაწილიდან გამომდინარე.

პროკურორის როლი აღნიშნული წარმოების სტადიაზე სპეციფიკურობით გამოირჩევა, რაც შემდეგში მდგომარეობს. ვინაიდან პროკურორი სახელმწიფო ბრალდებას წარმოადგენს და საჯარო ინტერესებს იცავს სისხლის სამართლის პროცესში, საჩივარს სწორედ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე წარადგენს. ა მ შემთხვევაში პროკურორი, როგორც მხარე იქნება ამ საქმეზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი პროკურორი (სახელმწიფო ბრალმძებელი) და მისი ზედამხედველი პროკურორი (ისევე, როგორც ეს სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების შემთხვევაში განიხილება). ამასთან, სსსკ-ის 59-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველის გენერალური პროკურორი განსაკუთრებული უფლებამოსილებით სარგებლობს და საკმარისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში მას საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია მიმართოს საქართველოს უზენაეს სამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებისა

და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.¹

მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საჩივრის შეტანის უფლებას კანონმდებელი, დამცველის გარდა, ანიჭებს მის ნათესავს ან სხვა დაინტერესებულ პირსაც. აღნიშნული მეტად განუსაზღვრელ ხასიათს აძლევს საჩივრის წარდგენის უფლების მქონე პირთა წრეს. სსსკ-სი განსაზღვრავს ახლო ნათესავის ცნებას, მაგრამ, არ იცნობს ნათესავის ცნებას. ზოგადად, ნათესავის ცნებაში უნდა მოვიაზროთ ნებისმიერი შტოსა და, საერთოდ, ნებისმიერი ნათესაური კავშირის მქონე პირები (მაგალითად, ნათლია, ნათლული და სხვა). სსსკ-ისათვის, ასევე, უცნობია დაინტერესებული პირის ცნება. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ნათესავის გარდა სხვა პირები — მეზობელი, მეგობარი, ახლობელი და ა.შ. მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში მისი დამცველის გარდა ნათესავისათვის და სხვა დაინტერესებული პირისათვის საჩივრის წარდგენის უფლების მინიჭება მსჯავრდებულის რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარეობას, ისინი სწორედ გარდაცვლილი მსჯავრდებულის სახელის ინტერესებში, მის სასიკეთოდ წარადგენენ საჩივარს და, ამდენად, გამართლებულია.

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გას-

¹ აღნიშნული და მრავალი სხვა მუხლი ტექნიკურ კორექტირებას საჭიროებს. გენერალურ პროკურორთან ერთად თითქოს ასეთი ინიციატივის უფლება უნდა გააჩღეს ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს. სინამდვილეში, ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“ (1997 წლის 26 ნოემბერი) პროკურატურის სისტემაში ამ სახის პროკურატურას აღარ მოიაზრებს და, შესაბამისად, სსსკ-ის მთელი რიგი მუხლები საჭიროებს შესწორებას. სევე, სსსკ-ის LIX თავში ხშირად არის ნახსენები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, რომელიც აღარ მოიაზრება საერთო სასამართლოების სისტემაში (იხ. 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“) (იბ.).

აჩივრების საგანი. ერთის მხრივ, აღნიშნული წესით გასაჩივრების საგანს წარმოადგენს ნებისმიერი (რაიონული, სააპელაციო, საკასაციო) ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ან სხვა გადაწყვეტილება. მეორეს მხრივ, სსსკ-ის 496-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს განაჩენის თვისებებს, რომლის თანახმად, განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ხშირ შემთხვევაში, კანონიერება მოიცავს სამართლიანობასაც და განაჩენის სხვადასხვა წესით გასაჩივრების დროს გასაჩივრების საგანს სწორედ მისი ეს თვისებები წარმოადგენს. მაგალითად, სააპელაციო გასაჩივრების საგანს განაჩენის დასაბუთებულობა ან/და კანონიერება წარმოადგენს, საკასაციო გასაჩივრებისას – კანონიერება. ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საგანს განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ან/და კანონიერება წარმოადგენს.

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი¹ შეიძლება დავყოთ ფაქტობრივ და იუ-

1 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს ლიტერატურაში. არსებობს მოსაზრება, რომ საქმის გადასინჯვის საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ ახალი გარემოებანი (მაგალითად, მ.ს. სტროგოვიჩი), ხოლო, ზოგი ავტორის აზრით, ახალი გარემოებანი საქმის გადასინჯვის კი არა, არამედ გადასინჯვის წესით განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველია. აღნიშნულს ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს არა ახალი გარემოებანი, არამედ, ამ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შედეგად გამოვლენილი გამოძიების ან სასამართლო შეცდომები და დარღვევები. ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომლის თანახმად ცალკე გამოყოფენ საქმის გადასინჯვის შესახებ წარმოების აღძვრის საბაბსა და საფუძველებს, სადაც საბაბში მოიაზრებენ ახალ გარემოებათა შესახებ ინფორმაციის წყაროს, ხოლო, საფუძველში – ახლად გახსნილ გარემოებებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში მოცემულია მოსაზრება, რომელიც მიგვაჩნია, რომ ზუსტად ასახავს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საფუძველებს (იბ.). საკითხთან დაკავშირებით იხილეთ, მაგალითად: М.С.Строгович „Проверка законности и обоснованности судебных приговоров“. Изд-во Академии Наук, М., 1956, с.304-309; И.Д.Перлов „Надзорное производство в уголовном процессе“.

რიდიულ საფუძვლებად¹, სადაც ფაქტობრივში მოვიაზრებთ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებს, ხოლო, იურიდიულში – საჩივარს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება შეესაბამება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შემთხვევას (აქ წარმოების აღძვრა და საქმის გადასინჯვის მომენტები ერთმანეთს ემთხვევა, ვინაიდან საჩივარი პირდაპირ სასამართლოში წარედგინება და ახლად გამოვლენილ გარემოებათა არსებობის დასადაგენად არ ტარდება გამოძიება). რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვას, მას წინ უსწრებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის ეტაპი, რომლის შედეგად განსაზღვრავს საქმის გადასინჯვას, ან ასეთზე უარის თქმას. ამ ეტაპის ძირითად მიზანსა და დანიშნულებას სწორედ ამ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა დანამდვილებით არსებობის დადაგენა წარმოადგენს. შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ახლად აღმოჩენილი გარემოებანი (ამ ეტაპისთვის მათი არსებობა სავარაუდო ხასიათს ატარებს), იურიდიულს – საჩივარი, ხოლო, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის ფაქტობრივი საფუძველია ისევე ახლად აღმოჩენილი გარემოებანი (მაგრამ, ამ შემთხვევაში მათი არსებობის ფაქტი უკვე დადასტურებულია) და იურიდიულს – პროკურორის ან გამოძიებლის მოტივირებული დასკვნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ და

Юридическая литература, М., 1974, с.145; Н.А.Громов „Вновь открывшиеся обстоятельства в уголовном процессе“. Спарк, М., 1999, с.121.

¹ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო წარმოების დაწყების საფუძვლების ფაქტობრივ და იურიდიულ საფუძვლებზე დაყოფის აუცილებლობის შესახებ მოსაზრებას გამოთქვამს აგრეთვე ნაგრობოვი ნაშრომში: Н...А.Громов „Вновь открывшиеся обстоятельства в уголовном процессе“. Спарк, М., 1999, с.135.

გენერალური პროკურორის წარდგინება (დასკვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით).

საჩივარი ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენის გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება საქმეზე წარმოების დაწყების ან საქმის გადასინჯვის საფუძველი, თუ იგი კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნება შესრულებული. სსსკ-ის 595-ე მუხლი განსაზღვრავს აღნიშნული საჩივრისადმი წარდგენილ მოთხოვნებს. ამ მუხლის პირველი ნაწილი ნაწილობრივ ბლანკეტური ხასიათისაა და სსსკ-ის 552-ე მუხლზე მიუთითებს, რომელიც საკასაციო საჩივარს შეეხება¹ (იხილეთ ნაშრომის შესაბამისი გვერდები). უშუალოდ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივრის მიმართ მოთხოვნის სახით, სსსკ-ის 595-ე მუხლის პირველ ნაწილი ითვალისწინებს დასკვნების მოყვანას, რომლებიც ასაბუთებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და (ან) შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას. სსსკ-ის 595-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჩივარზე თანდართული უნდა იყოს საპროცესო ან სხვა დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის აუცილებლობას.²

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები. სისსხ-

¹ ვინაიდან კანონმდებელი არ გამოყოფს სსსკ-ის 552-ე მუხლის რომელიმე კონკრეტულ ნაწილს, შესაბამისად, ეს მუხლი მთლიანად გაითვალისწინება ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივართან მიმართებაში და უნდა ვიგულისხმოდ, რომ საჩივარში ხარვეზის არსებობის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სსსკ-ის 552-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ანალოგიური პროცედურა (ი.ბ.).

² ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივართან დაკავშირებით იხილეთ, მაგალითად: ი.გაბისონია `სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში`, მერიდიანი, თბ., 2002, გვ.429-432.

ლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად აწესრიგებს საკითხს ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების, ერთის მხრივ, მსჯავრდებულის სასარგებლოდ და, მეორეს მხრივ, მსჯავრდებულის ან გამართლებულის საზიანოდ გასაჩივრების შემთხვევაში. სსსკ-ის 601-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის სასარგებლოდ გასაჩივრების ვადა შეუზღუდავია. აღნიშნული აბსოლუტურად შეესაბამება სისხლის სამართლის პროცესის მიზნებს და სოციალური სამართლიანობის პოზიციიდან გამომდინარე, მდგომარეობის გაუარესებისაგან იცავს მსჯავრდებულსა და გამართლებულს.¹ დაუშვებელია მსჯავრდებულის სასარგებლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობის შეზღუდვა რაიმე ვადით ან სხვა დამაბრკოლებელი გარემოებით.²

გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენისა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამართლებულის ან მსჯავრდებულის საზიანოდ გასაჩივრებისას სსსკ-ის 601-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაწესებულია შეზღუდვა ერთწლიანი ვადით. ეფიქრობთ, აღნიშნული ნორმა შემდგომ სრულყოფას საჭიროებს, ვინაიდან მასში საკმაოდ ბუნდოვნად არის მოცემული ამ ვადის ათვლის საწყისი მომენტი. კერძოდ, კანონმდებელი მიუთითებს, რომ: „გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა პირი საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ან საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართავს შესაბამისად საჩივრ-

1 Н...А.Громов „Вновь открывшиеся обстоятельства в уголовном процессе“. Спарк, М., 1999, с.120.

2 მაგალითად, დაუშვებელია ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის მსჯავრდებულის სასარგებლოდ გასაჩივრების შესაძლებლობის მოსპობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის, ამისტიის აქტის გამოცემის, შეწყალების, თვით მსჯავრდებულის გარდაცვალების გამოც. უკანონოდ და დაუსაბუთებლად მსჯავრდებულის სტატუსი, თუნდაც მას შეეხო ამისტია ან იგი შეიწყალონ, ეერცერთ შემთხვევაში ვერ გაუთანაბრდება უდანაშაულო პირის სტატუსს (ი.პ.).

ით ან თხოვნით, დაადგინონ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ¹ გარემოებათა არსებობა“. ბუნებრივია, რომ შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, თუ განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან რა ვადაში აღმოჩდება ახალი გარემოება, შესაბამისად, აქ ვერ იქნება დაწესებული გასაჩივრების ვადა მსგავსად სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრებისა, სადაც განაჩენის (აპელანტის ან კასატორის აზრით) უკანონობა ან/და დაუსაბუთებლობა იმთავითვე ცნობილია და ვადის განსაზღვრა განპირობებულია საჩივრის შესადგენად საჭირო გონივრული დროით. შეუძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დანამდვილებით დადგინდეს ის ფაქტი, თუ როდის გახდა ცნობილი პირისათვის ახალი გარემოების არსებობის შესახებ, შესაბამისად, ვერ იქნება დაწესებული რაიმე ვადა ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან შესაბამის ორგანოში საჩივრის წარდგენამდე. რჩება მხოლოდ ერთი შესაძლო ვარიანტი, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ზემოაღნიშნული ერთწლიანი ვადის საწყის მომენტად. მიგვაჩნია, რომ ერთწლიანი ვადის საწყისად მიჩნეული უნდა იყოს ახლად აღმოჩენილი გარემოების დადგენის შესახებ საჩივრის წარდგენის მომენტი და ამ საჩივრის საფუძველზე განხორციელებული წარმოება უნდა განხორციელდეს და საბოლოო გადაწყვეტილება, რომელმაც შემდგომში შეიძლება გააუარესოს მსჯავრდებულის, გამართლებულის მდგომარეობა მიღებული უნდა იქნეს ამ მომენტიდან ერთი წლის ვადაში.

გარდა სსსკ-ის 601-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ერთწლიანი ვადისა, მსჯავრდებულის, გამართლებულის საზიანოდ

¹ სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილისა და 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალოზის საფუძველზე შეიძლება დაეასკენათ, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მსჯავრდებულის, გამართლებულის მდგომარეობის გაუარესების მიზნით გასაჩივრება პრაქტიკულად გამორიცხულია და სსსკ-ის 595-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამ კუთხითაც საჭიროებს სრულყოფას (ი.ბ.).

გასაჩივრების ვადა შეზღუდულია შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადით. აღნიშნული დასკვნის საფუძველს გვაძლევს სსკ-ის 71-ე მუხლისა და სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის (ამავე მუხლის მე-ნაწილის გათვალისწინებით) ანალიზი.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრა და გამოძიება. თავდაპირველად განვმარტოთ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებებთან ცნებები. ეტიმოლოგიურად სიტყვები „აღმოჩენილი“ და „გამოვლენილი“ შესაძლოა სინონიმებად განვიხილოთ, თუმცა, სსსკ-ში მათ განსხვავებული საპროცესო დატვირთვა აქვთ. ახლად აღმოჩენილ გარემოებებში კანონმდებელი მოიაზრებს ფაქტობრივი, ხოლო, გამოვლენილში – სამართლებრივი ხასიათის გარემოებებს. მათ შორის ძირითად სხვაობას წაერმოადგენს ის, რომ ფაქტობრივი გარემოებანი განაჩენის დადგენის მომენტიდან უკვე არსებობდა, მაგრამ არ ან ვერ იქნა შემჩნეული. სამართლებრივი გარემოებანი განაჩენის დადგენის შემდეგ წარმოიშობა და თავიანთი შინაარსის გამო იწვევენ განაჩენის გადასინჯვას. ლიტერატურაში არაერთგავროვანი დამოკიდებულება არსებობს ამ ცნებების არსებობის თაობაზე. ხშირად, (ძირითადად, რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში) მათ ახლად გახსნილ გარემოებებს უწოდებენ და შიგნით ახდენენ ამ გარემოებათა კლასიფიკაციას ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე. ვინაიდან ცნებები ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი ვერ გამოხატავს მკვეთრად იმ სხვაობას, რაც მათში მიაზრება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გამოყენებული იყოს ერთერთი მათგანი და შიგნით მოხდეს დაყოფა ფაქტობრივ ან სამართლებრივ გარემოებებზე (ასეთი დაყოფა აუცილებელია, ვინაიდან სსსკ-სი სხვადასხვა სახის პროცედურას ითვალისწინებს ფაქტობრივი და სამართლებრივი ხასიათის გარემოების დად-

გენისა და მის საფუძველზე საქმის გადასინჯვისათვის), ანდა ტერმინი ახლად გამოვლენილი შეიცვალოს ტერმინით ახლად წარმოშობილი, რაც ნათელს ხდის, რომ აქ მოიაზება სამართლებრივი ხასიათის გარემოება, რომელიც განაჩენის დადგენის მომენტისათვის არ არსებობდა და შემდეგ წარმოიშვა.¹

სსსკ-ის 593-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ახლად აღმოჩენილი ფაქტობრივი გარემოებანი. ჩამონათვალი არ არის კონკრეტიზირებული და არ ატარებს ამომწურავ ხასიათს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქ/პუნქტებისაგან განსხვავებით, რომლებიც კონკრეტულ გარემოებებს შეეხება (ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებლის დანაშაულებრივი ქმედება საქმის განხილვის დროს ან სასამართლოს არაკანონიერი შემაღვენლობა), „გ“ ქ/პუნქტი ზოგადად მიუთითებს სხვა გარემოებებზე, რომლებიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის მომენტისათვის სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო.²

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოება მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საჩივრის გენერალურ პროკურორთან შეტანის შემთხვევაში, თავდაპირველად, ქვემდგომი პროკურორი გამოითხოვს საქმეს და ამოწმებს საჩივრის საფუძველიანობას, რომლის დადასტურების შემთხვევაში გენერალური პროკურორი აღძრავს წარმოებას და

¹ ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა ცნების შესახებ, ასევე, ცნების – გარემოება, მონაცემი ფაქტის შესახებ და მტკიცებულება პრობლემის თაობაზე იხილეთ: ი.გაბისონია „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში“, მერიდიანი, თბ., 2002, გვ.; Н.А.Громов „Вновь открывшиеся обстоятельства в уголовном процессе“. Спарк, М., 1999, с.80-117.

² თურქულ ლიტერატურაში მიღებულია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ორ ჯგუფად დაყოფა: 1) გარემოებები, რომლებიც უკავშირდება პროცესის მწარმოებელ პირთა (გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის) საქმიანობას; 2) გარემოებანი დაკავშირებული მოწმის, ექსპერტის სხვა მტკიცებულების სიყალბეს. იხ.: В.И.Басков „Возобновление уголовных дел по вновь открывшимся обстоятельствам“. С.131-132.

გამოძიებას ავალებს პროკურორს ან გამოძიებელს. საჩივრის უსაფუძვლოდ მიჩნევის შემთხვევაში პროკურორს ან გამოძიებელს გამოაქვთ დადგენილება წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ერთჯერადად საჩივრდება სასამართლოში სსსკ-ის 242-ე მუხლის შესაბამისად (სსსკ-ის 596-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოებული გამოძიება განსხვავდება წინასწარი გამოძიებისაგან და სპეციალურ ხასიათს ატარებს. მათ პრინციპულად განსხვავებული სამართლებრივი ხასიათი აქვთ. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების დაწყების იურიდიულ საფუძველს პროკურორის მიერ გამოტანილი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის შესახებ დადგენილება წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის შემოწმება წინასწარი გამოძიებისათვის გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით ხდება (სსსკ-ის, 596-ე მუხლის, მე-2 ნაწილი), ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიებას სპეციფიკური მიზნები და ამოცანები ახასიათებს. აღნიშნული გამოძიებით უნდა დადგინდესნამდვილად არსებობს თუ არა შესაბამისი სასამართლოს წინაშე განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატი-სათვის წარდგინებით მიმართვის საფუძველი. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიებისას პირას არ წაყენება ბრალდება, არ გამოიყენება აღკვეთი ღონისძიებანი და არ ღებება საბრალდებო დასკვნა რასაც ამ საქმესთან დაკავშირებით უკვე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების არსებობა განაპირობებს, რომელიც კანონიერად და დასაბუთებულად არის პრეზიუმირებული, ვიდრე არ გაუქმდება.

თეორიაში ერთერთ პრობლემურ საკითხად განიხილავენ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების წარმოების ვადებს. კანონმდებელი არ განსაზღვრავს ამ კონკრეტულ შემთხ-

ვევაში გამოძიების კონკრეტულ ან ზოგად ვადებს. წინასწარი გამოძიებისათვის, თანამედროვე ეტაპზე, დადგენილია „პირობითად განსაზღვრული“ ვადა: სსსკ-ის 271-ე მუხლის თანახმად, წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს ამ დანაშაულისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადისა. არამიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული წესის გავრცელება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების წარმოებაზე და ვფიქრობთ, რომ კანონმდებელმა განსაზღვრული ვადები უნდა დააწესოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გამოძიების ჩატარებისათვის.

სსსკ-ის 596-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები შეეხება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ჩატარებული გამოძიების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეებს. იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების შედეგად ვერ დადგინდა საქმის გადასინჯვის საფუძველი, პროკუროს ან გამოძიებელს გამოაქვთ მოტივირებული დადგენილება წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ამტკიცებს გენერალური პროკურორი. დადგენილების ასლი ეგზავნება მომჩივანს, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩიროს დადგენილება მისი მიღებიდან 10 დღის განმავლობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. თუ გამოძიების შედეგად დადგინდება საქმის გადასინჯვის შემაპირობებელი საფუძველი, გამოძიების მწარმოებელი პროკურორი ან გამოძიებელი ადგენენ მოტივირებულ დასკვნას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ის 596-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გენერალური პროკურორი ამტკიცებს დასკვნას და მისი დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში წარდგინებით მიმართავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატას. წარდგინებასთან ერთად სასამართლოს გადაეცემა გამოძიების მასალები, პროკურორის მიერ დამტკიცებული დასკვნა, გა-

დასასინჯი სისხლის სამართლის საქმე (სსსკ-ის 596-ე მუხლის მე-5 ნაწილი).¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა პროკურორის წარდგინების საფუძველზე საქმეს განიხილავს სსსკ-ის 560-ე-573-ე მუხლების შესაბამისად (იხილეთ ნაშრომის შესაბამისი გვერდები) იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომ საქმის განხილვის დასაწყისში პროკურორი გამოდის მოხსენებით წარდგინებასთან დაკავშირებით.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვა. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.² ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შეტ-

¹ პროკურორის უფლებამოსილებაზე, რომ შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით მიმართოს წარდგინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას საუბარი უკვე გქონდა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების გადასინჯვის სუბიექტების განხილვისას და აღარ გაემუორდებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვისას პროკურორს მიენიჭოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა გადაწყვეტილების შეჩერების უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესის ამ სტადიაზე (იხ: Н.А.Громова „Вновь открывшиеся обстоятельства в уголовном процессе“. Спарк, М., 1999, с.169-172). სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანამდე მოქმედი წესის თანახმად, აპელაციასა და კასაციის სტადიებს ახასიათებდათ გასაჩივრებული განაჩენისა თუ სხვა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თავისებურება და იმ ფონზე, შესაძლებელია, გამართლებული ყოფილიყო საკითხისადმი ამგვარი მიდგომა. მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრების შემთხვევაში გასაჩივრებული განაჩენის აღსრულების შეჩერებას, პირიქით, სსსკ-ის 602-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის კანონიერ ძალაში შედის სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე და მიექცევა აღსასრულებლად და, ამდენად, ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სტადიაზე განაჩენის მოქმედების შეჩერება არ შესაბამეობა საერთო საპროცესო პოლიტიკას.

² „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში (მიღებული 1997 წლის 13 ივნისს) ცვლილებების შეტანამდე საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემა ითვალისწინებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, რომლის სტრუქტურაში მოქმედი პრეზიდენტული უფლებამოსილი იყო განეხილა საჩივრები ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. აღნიშნული

ანილი საჩივარი შესასწავლად გადაეცემა ერთერთ მოსამართლეს, რომელიც გამოითხოვს საქმეს და საჩივრის შემოსვლიდან არა უგვიანეს 30 დღის ვადაში ადგენს დასკვნას და საქმესთან ერთად წარუდგენს პალატას. დასკვნის შედგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა ინიშნება სხდომა საჩივრის არსებითად განხილვისათვის, რომელიც მიმდინარეობს სსსკ-ის 560-ე-573-ე მუხლების შესაბამისად (სსსკ-ის 598-ე მუხლი, 599-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა სახეები. სსსკ-ის 599-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივრის განხილვის შედეგად გადაწყვეტილებას იღებს სსსკ-ის 561-ე მუხლის შესაბამისად (იხილეთ ნაშრომის შესაბამისი გვერდები). სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება, მას ხელს აწერს საქმის განმხილველი ყველა მოსამართლე. სსსკ-ის 599-ე მუხლის მე-ნაწილის თანახმად, მოსამართლეს, რომელიც არ ეთანხმება შემადგენლობის უმრავლესობის აზრს, უფლება აქვს წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს.¹

ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მსგავსი ინსტიტუტები ცნობილია უმრავლესი საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესისათვის (ბელგია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, საბერ-

სასამართლოს რგოლი დღეს აღარ არის გათვალისწინებული საერთო სასამართლოთა სისტემაში, თუმცა, სსსკ-ის მთელ რიგ მუხლებში კვლავაც მოიხსენიება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, რაც უნდა გასწორდეს (ი.ბ.)

1 სსსკ-ის 599-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ ითვალისწინებს იმ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც საქმის განმხილველ მოსამართლეთაგან ერთერთს განსხვავებული აზრი აქვს. ზოგადი წესის თანახმად, მიგვაჩნია, რომ კანონი არ უნდა აკისრებდეს განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეს გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერას (ი.ბ.).

ძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, შოტლანდია ესპანეთი და სხვა) სადაც მას, ხშირად, გასაჩივრების არაორდინალურ ან ექსტრაორდინალურ საშუალებად განიხილავენ და სხვადასხვაგვარად უწოდებენ: რევიზია, კასაცია საბოლოოდ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და სხვა. აღნიშნულ სტადიას სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გარკვეული თავისებურებები ახასიათებს.¹

მაგალითად, დანიაში სპეციალური სარევიზიო სასამართლო (klageretten) მსჯავრდებულის სასარგებლოდ საქმეს გადასინჯავს მხოლოდ ახალი ფაქტების ან მტკიცებულებების აღმოჩენისას. ეს ნორმა იშვიათად გამოიყენება. არ დაიშვება საქმის გადასინჯვა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ სასამართლომ აირჩია ახალი მიმართულება, კანონის განმარტებასთან დაკავშირებით.

სჯავრდებულის წინააღმდეგ საქმის გადასინჯვის მოთხოვნის შეტანისას გაცილებით მკაცრი წესებია დაწესებული.²

გერმანიაში განაჩენის გადასინჯვა მსჯავრდებულის სასარგებლოდ დაიშვება თუ გამოვლინდა ახალი ფაქტები ან მტკიცებულებები. საქმის ხელმეორედ განხილვა განსასჯელის საწინააღმდეგოდ დაიშვება თუ მან აღიარა ჩადენილი დანაშაული განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. თუმცა, სასამართლოები იშვიათად აკმაყოფილებენ ასეთი სახის საჩივრებს.³

საბერძნეთში ახლად აღმოჩენილი ფაქტების გამო საქმის ხელმეორედ განხილვის შესახებ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევები უზენაესი სასამართლოს მხრიდან იმდენად იშვიათად ხდება, რომ მსჯავრდებული პირები ამჯობინებენ პრეზიდენტის შეწყალებას.⁴

1 იხ.: „ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები“. ინგლისურიდან თარგმნა კ.წიქარიშვილმა, თბ., 2002.

2 იხ. იქვე, გვ. 87.

3 იხ. იქვე, გვ.175.

4 იხ. იქვე, გვ.197.

ლუქსემბურგში 1981 წლიდან კანონიერ ძალაში შესულ განაჩენების გადასინჯვის კლასიკურ მაგალითებს დაემატა ახალი: განაჩენის გასაჩივრება იმ საფუძვლით, თუ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, რომ განაჩენი და სასჯელი გამოტანილი იქნა კონვენციის დარღვევით.¹

¹ იხ. იქვე გვ.294.

მონაცემები საქართველოს სააპელაციო სასამართლოების
მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვის
შედეგების შესახებ 2007/წელი

№		სულ		თბილისი		ქუთაისი	
		საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
1	სულ განხილულია სააპელაციო საჩივარი	4477	5688	3209	4161	1268	1527
	მათ შორის დაკმაყოფილდა პროკურორის ძოთხივნა	2125	2684	1502	1917	623	767
	%	47.5	47.2	46.8	46.1	49.1	50.2
2	განხილულია პროკურორის საჩივარი	881	1177	631	838	250	339
	მათ შორის დაკმაყოფილდა პროკურორის ძოთხივნა	225	300	174	226	51	74
	%	25.5	25.5	27.6	27.0	20.4	21.8
3	გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი	3	6	2	3	1	3

მონაცემები საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ	2007 წელი	
	საქმე	პირი
დამთავრდა საქმე საკასაციო საჩივრის გამო	1782	2437
მათ შორის:		
– ცნობილ იქნა დაუშვებლად	1252	1653
მათ შორის პროკურორის საკასაციო საჩივარი	124	154
– დატოვებულია განუხილველად	35	49
– განხილულია არსებითად	495	735
მათ შორის პროკურორის საკასაციო საჩივარი	70	100
– დაკმაყოფილდა	13	16
სულ დამთავრდა საქმე პროკურორის საკასაციო საჩივრის გამო	194	254
– დაკმაყოფილდა	13	16
%	6.7	6.3
გამართლდა (შეწყდა საქმე)	1	1

მონაცემები საკასაციო ფუნქციის განსაზღვრებულ
სისხლის სამართლის საქმეებზე

წლები	დამთავრდა აპელაციაში (აპელაცია, საოლქოს, ავტ. რესპ. და უზენ. სასამართლოს I ინსტანცია)	შემოვიდა კასაციაში (საკასაციო საჩივარი და კერძო საჩივარი)	გასაჩივრების %
2003	1282	485	37.8
2004	1541	590	38.3
2005	1893	904	47.8
2006	3645	1489	40.9
2007	4668	2329	49.9

მონაცემები სააქლაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ				
სააქლაციო ინსტანცია				
განხილულია სააქლაციო საჩივრით: საქმე	4627	3508	1119	31.9
პირი	5863	4303	1560	36.3
მათ შორის (პირი):				
გაუქმდა	42	59	-17	-28.8
%	0.7	1.4		
შეიცვალა	1876	1729	147	8.5
%	32.0	40.2		
სტაბილურია	3945	2515	1430	56.9
%	67.3	58.4		
განხილულია საქმე კერძო სააქლაციო საჩივრით საკასაციო ინსტანცია				
განხილულია საკასაციო საჩივრით (ამნისტის საქმეების გარეშე): საქმე	1711	1029	682	66.3
პირი	2323	1284	1039	80.9
მათ შორის (პირი):				
გაუქმდა	104	74	30	40.5
%	4.5	5.8		
შეიცვალა	192	123	69	56.1
%	8.3	9.6		
სტაბილურია	2027	1087	940	86.5

თაზო XVII

განაჩენის აღსრულება

§ 1. განაჩენის აღსრულების სტადიის ცნება და მნიშვნელობა

განაჩენის აღსრულება სისხლის სამართლის პროცესის დამამთავრებელი სტადიაა. იგი მოიცავს შინაარსის მიხედვით რთულ და დანიშნულებით მნიშვნელოვან საპროცესო საქმიანობას, რაც დაკავშირებულია განაჩენის სისრულეში მოყვანასთან. განაჩენის აღსრულების სტადიის ამოცანაა განაჩენის მიქცევა აღსასრულებლად და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა.

განაჩენის აღსრულების სტადიაზე ხორციელდება მხოლოდ ის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომელიც საპროცესო ხასიათისაა და რეგულირებულია სისხლის საპროცესო კანონით. ყველა სხვა სახის საქმიანობა, რაც დაკავშირებულია განაჩენის ფაქტიურ აღსრულებასთან და რასაც ახორციელებენ სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სისხლის სამართლის პროცესის მიღმაა და არ შედის ამ სტადიის შინაარსში. ეს საქმიანობა რეგულირდება სასჯელ-აღსრულებითი სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის და სხვა დარგების მიერ.

განაჩენი არის მართლმსაჯულების აქტი, რომელსაც აქვს სავალდებულო ძალა. ამიტომ აუცილებელია მისი თავისდროული აღსრულება. განაჩენის აღსრულების სტადიაზე წყდება კონკრეტული ამოცანები, რაც გამომდინარეობს სისხლის სამართალწარმოების ზოგადი ხასიათის ამოცანებიდან.

განაჩენის აღსრულების სტადიაზე სასამართლო მოვალეა უზრუნველყოს განაჩენის მიქცევა აღსასრულებლად მისი კანონიერ

ძალაში შესვლისთანავე დაუყოვნებლივ და გადაწყვიტოს ის საპროცესო საკითხები, რაც წარმოიშობა განაჩენის ფაქტიური აღსრულების პროცესში. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა შეუძლია განაჩენის გამომტან სასამართლოს, სასჯელის მოხდის ადგილის სასამართლოს და მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოს. კანონი ახდენს იმ საკითხების დიფერენცირებას, რომლებიც ცალ-ცალკე გადასაწყვეტად ექვემდებარება აღნიშნულ სასამართლოებს.

განაჩენის აღსრულების სტადიაზე მონაწილეობს სუბიექტების განსაზღვრული წრე. კერძოდ, სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულება, ადმინისტრაცია, სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც აღასრულებენ სასჯელს, მსჯავრდებული, მისი დამცველი, პროკურორი, სასამართლო აღმასრულებელი.

განაჩენის აღსრულების სტადია განსხვავდება სისხლის სამართლის პროცესის სხვა სტადიებისაგან. მართალია, სასამართლოს საქმიანობა ამ სტადიაზე არის მართლმსაჯულების განხორციელების ფორმათაგან ერთ-ერთი, მაგრამ მაინც თავისებური და განსხვავებული. სასამართლო სხდომაზე წყდება განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ მსჯავრდებულის შემდგომ ბედს. თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ განაჩენის აღსრულების სტადიაზე სასამართლო სხდომაზე მიმდინარეობს იმ გარემოებების გამოკვლევა, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგანთან და მოიცავს იმ გარემოებებს, რომლებსაც ადგილი აქვთ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, განაჩენის ფაქტობრივი აღსრულებისას. აღნიშნული გარემოებების წრე მეტად მრავალფეროვანია და აქედან გამომდინარე, განაჩენის აღსრულების სტადიისათვის მტკიცების საგნის ფორმულირება შეუძლებელია.

განაჩენის აღსრულების სტადია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სისხლის სამართლის საქმის შემდგომი მოძრაობის

გაგრძელება. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ 602-623-ე მუხლები წარმოადგენენ განაჩენის აღსრულების სტადიის განსაკუთრებულ საგანს. ეს საკითხები წარმოიშობა არა განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებასთან დაკავშირებით, არამედ განაჩენის სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, განჩინება, დადგენილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირის და მოქალაქისათვის. ამასთან, განაჩენი უნდა აღსრულდეს თავისდროულად. ამ სტადიაზე განაჩენი არ იცვლება, არც დამატებები შედის მასში. კანონი ითვალისწინებს განაჩენის შეცვლას მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის მიერ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების, განაჩენით დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების და სხვა მსგავს შემთხვევებში, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს განაჩენის აღსრულებისას. მოსამართლე არ ცვლის განაჩენს, რადგან აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა არ არის დაკავშირებული განაჩენის უკანონობასთან, უსწორობასთან, შეცდომასთან, დაუსაბუთებულობასთან და ა.შ.

განაჩენის აღსრულების სტადიის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ამ სტადიაზე სრულდება საპროცესო საქმიანობა. იგი ხელს უწყობს სასჯელის ეფექტურ გამოყენებას. იხილავს რა სასამართლო სხდომაზე უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებას ავადმყოფობის ან ზანდაზმულობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების შესახებ, განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ, პირობით ვადამდე მსჯავრდებულის განთავისუფლების შესახებ, განაჩენით დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ – ამით სასამართლო ახორციელებს კონტროლს განაჩენის აღსრულების მიმდინარეობაზე.

განაჩენის აღსრულებით საქმეზე მთავრდება სამართალწარმოება. განაჩენის აღსრულების შეფერხება ნეგატიურად აისახება სასჯელის მიზნების განხორციელებაზე.

§2. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა და მისი აღსასრულებლად მიქცევა

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როგორც წესი, დაკავშირებული იყო კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლასთან. მაგრამ 2006 წლის 28 აპრილს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მისი მიღებისთანავე. კერძოდ, სსსკ 602-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (დადგენილება), სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (განჩინება) ასევე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის ფაქტიურად გამოცხადებისთანავე, ხოლო თუ იგი გამოტანილი იყო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, ძალაში შედის მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერის მომენტიდან.

სასამართლომ განაჩენის გამოცხადებისთანავე სხდომის დარბაზიდან უნდა გაათავისუფლოს პატიმრობიდან გამართლებული; სასჯელის დაუნიშნავად მსჯავრდებული, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებული; მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მისი დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დროს; მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობით ან განაჩენის აღსრულების გადავადებით; მსჯავრდებული, რომელსაც დაენიშნა ისეთი სასჯელი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს იმას, რომ განაჩენმა მიიღო კანონის ძალა და იგი სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა მოქალაქის, თანამდებობის პირს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ასევე სავალდებულოა სხვა სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოსათვის. როგორც ვხედავთ, განაჩენის გასაჩივრება არ აჩერებს მის კანონიერ ძალაში შესვლასა და აღსრულებას.

განაჩენის, განჩინების და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება განაჩენის გამომტან სასამართლოს.

განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა გულისხმობს მოსამართლის მიერ შესაბამის დოკუმენტებთან (სასამართლო გადაწყვეტილების ასლებთან ერთად) განკარგულების გაგზავნას იმ ორგანოში, რომელსაც ევალება განაჩენის აღსრულება. განაჩენის აღსრულების შესახებ მოსამართლის განკარგულებაში უნდა იყოს მითითებული მისი კანონიერ ძალაში შესვლის ზუსტი თარიღი. მას ხელს აწერს სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანი. განაჩენის, განჩინების, დადგენილების ასლები უნდა იყოს დამოწმებული მოსამართლის და მდივნის მიერ და სასამართლოს გერბიანი ბეჭდით დამოწმებული.

განაჩენის აღსრულება ევალება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის სასჯელია დანიშნული მსჯავრდებულის მიმართ.

თუ მსჯავრდებულს განაჩენით დაენიშნა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენი აღსასრულებლად ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელ-აღსრულების დეპარტამენტს; პირობითი მსჯავრის შეფარდებისას განაჩენი ეგზავნება პრობაციის დეპარტამენტს (პრობაციის ბიუროს); დაჯარიმების ან სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად იწრება სააღსრულებო ფურცელი და იგი ეგზავნება იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს

(სააღსრულებო ბიუროს); თუ განაჩენი ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის საპატიო, სამხედრო ან სპეციალური წოდების ანდა სახელმწიფო ჯილდოს ჩამორთმევას, სასამართლო განაჩენის ასლს უგზავნის იმ ორგანოს, რომელმაც მსჯავრდებული დააჯილდოვა, ანდა მიანიჭა მას საპატიო, სამხედრო ან სპეციალური წოდება.

თუ თავისუფლებადაკვეთილ მსჯავრდებულს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი ან კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი და სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გადასცეს იგი მეურვეობის და მზრუნველობის შესაბამის დაწესებულებას, ნათესავებს ან სხვა პირებს, იგი ამის შესახებ აცნობებს ბავშვის ადგილსამყოფელის მიხედვით სამეურვეო ორგანოს, ხოლო მსჯავრდებულის უმეტესწილად დარჩენილი ქონებისა და ბინის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას სასამართლო აკისრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს.

განაჩენის აღმსრულებელი ორგანო ვალდებულია აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გადაწყვეტილების გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საპროცესო კანონი ითვალისწინებს მსჯავრდებულის უფლებათა უზრუნველყოფას განაჩენის, აღსასრულებლად მიქცევამდე უპირველეს ყოვლისა, მსჯავრდებულს უფლება აქვს მიმართოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს განცხადებით განაჩენის აღსრულების გადავადების, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის ასაკის ან გადავადების დროის გასვლის მიზეზით სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების, პირობით ვადამდე განთავისუფლების, სასჯელის ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის, სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში ყოფნის პირობების შეცვლისა და კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნული საკითხების განხილვისას მსჯავრდებულს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაზე, მისცეს ჩვენება, წარადგინოს

მტკიცებულება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, გაეცნოს საქმის ყველა მასალას, შეიტანოს საჩივარი სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გამო.

მსჯავრდებულს შეუძლია თავისი უფლებები განახორციელოს პირადად ან დამცველის დახმარებით. დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია, ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი აქვს, ანდა არ იცის სამართალწარმოების ენა.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია როგორც სასამართლოს, ასევე მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს თუ სად გაიგზავნა მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად, ასევე უნდა აცნობოს მათ სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლის შესახებ.

სასამართლოს ნებართვით პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებულის ნახვის უფლება აქვთ ახლო ნათესაებს, მსჯავრდებულის მეუღლესა და სხვა პირებს. მათ ამისათვის წერილობითი თხოვნით უნდა მიმართონ სასამართლოს თავმჯდომარეს ან მოსამართლეს, რომელმაც განიხილა აღნიშნული საქმე.

საქართველოს სსსკ 606 1-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნის შესახებ ალიმენტის გადახდევინების, სხეულის დასახიჩრებით ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოვალის მიმართ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია ან როცა იგი სპეციალურად თავს არიდებს თავისი მოვალეობის შესრულებას („სააღსრულებო წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი), ან თუ მსჯავრდებული არ ცხოვრობს სასამართლოს მიერ მიღებულ, აღსასრულებლად მიქცეულ, გადაწყვეტილებაში მითითებულ

მისამართზე („არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი).

ძეზნის დასრულებისა და მსჯავრდებულის წარმოდგენის შემთხვევაში სასამართლო განჩინებით წყვეტს დაკისრებული სასჯელის უფრო მკაცრი სახის სასჯელით შეცვლის საკითხს, ხოლო პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაძდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების შემთხვევაში სასამართლო წყვეტს პირობითი მსჯავრის, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაძდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმების საკითხს და შეუძლია დაადგინოს, რომ აღსრულდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი, სასჯელის მოუხდელი ნაწილი ან მსჯავრდებულს სასჯელის მოსახდელად გააგზავნის განაჩენით დანიშნულ ადგილას. აღნიშნული სასამართლო განხილვა შეიძლება ჩატარდეს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე, თუ იგი დაარღვევს პირობითი მსჯავრის პირობებს და თუ მისი ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია.

სასამართლო აღნიშნულ საკითხებს წყვეტს პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინების საფუძველზე. წარდგინება შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ ძეზნის გამოცხადების საკითხს ან მხოლოდ პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და განაჩენით დანიშნული სასჯელის აღსრულების საკითხს ან ორივეს ერთად. სასამართლომ წარდგინების განხილვა უნდა უზრუნველყოს არაუგვიანეს ერთ თვეში.

§3. განაჩენის აღსრულების სტადიაზე სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს უფლებამოსილებაში შედის განაჩენის აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული რიგი საკითხების განხილვა და გადაწყვეტა. კერძოდ, ეს საკითხები შეეხება განაჩენის აღსრულების გადავადებას ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებას, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას.

განაჩენის აღსრულების გადავადება. კანონი ითვალისწინებს შესაძლებლობას განაჩენის აღსრულება იყოს გადადებული უფრო მოგვიანებით იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აბრკოლებენ სასჯელის მოხდას ან მიზანშეუწონელია განაჩენის დაუყოვნებლივი აღსრულება ჰუმანურობის პოზიციიდან გამომდინარე. განაჩენის აღსრულების გადავადება წარმოადგენს განაჩენის სავალდებულო აღსრულების საერთო წესიდან გამონაკლისს. განაჩენის აღსრულების გადავადება დაიშვება სსსკ ნ08-ე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი საფუძვლების არსებობისას.

ა) თუ მსჯავრდებული დაავადდა ფსიქიკურად ან დაავადებულია სხვა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, ამ შემთხვევაში განაჩენის აღსრულება გადაიდება მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

აღნიშნული საფუძვლით განაჩენის აღსრულების გადავადება სასამართლოს შეუძლია სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. უნდა ითქვას, რომ კანონი არ იძლევა სხვა მძიმე დაავადების განმარტებას. ამიტომ ავადმყოფობა მძიმეა თუ არა და არის თუ არა იგი

სასჯელის მოხსნის ხელისშემშლელი ფაქტორი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

ბ) მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტიდან ორსულადაა. ამ საფუძველზე განაჩენის აღსრულება გადაიდება მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე. ორსულობის არსებობა უნდა იყოს დადასტურებული სამედიცინო ცნობით ან ბავშვის დაბადების მოწმობით;

გ) მსჯავრდებულს მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს. ამ შემთხვევაში განაჩენის აღსრულება გადაიდება სანამ ბავშვი 5 წლის გახდება.

მცირეწლოვანი შვილის ყოლის ფაქტი უნდა იყოს დადასტურებული ბავშვის დაბადების მოწმობით. იმავდროულად სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვა გარემოებები, კერძოდ, როგორ ეკიდება დედა მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდას, აქვს თუ არა მას ამისათვის სათანადო პირობები. თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას, პრობაციის ბიუროს წარდგინების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გააუქმოს განაჩენის აღსრულების გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გააგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას;

დ) სასჯელის დაუყოვნებლივ მოხდას შეიძლება მსჯავრდებულისა და მისი ოჯახისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვეს ხანძრის ან სხვა სტიქიური უბედურების, ოჯახის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრის მძიმე ავადმყოფობის, სიკვდილის ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გამო. ამ საფუძველით განაჩენის გადავადება მოხდება სასამართლოს მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა. აღნიშნული გარემოებები უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით.

კანონის თანახმად, სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის დაუყოვნებლივ გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში შეიძლება მისი გადავადება ან განაწილვადება 6 თვემდე ვადით. სამოქალაქო სარჩელის ნაწილში განაჩენის აღსრულების გადავადების

საკითხს სასამართლო წყვეტს მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კანონში ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობისას განაჩენის აღსრულების გადავადება სასამართლოს უფლებამოსილებაა და არა მოვალეობა. საკითხი უნდა იყოს შესწავლილი მოსამართლის (სასამართლოს) მიერ კომპლექსურად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის აღსრულება სასამართლომ შეიძლება გადაავადოს როგორც იმავე განაჩენით, ასევე მისი გამოტანის შემდეგ განჩინებით (დადგენილებით), თუ განაჩენის აღსრულების გადავადების საფუძველი გამოვლინდა განაჩენის გამოტანის შემდეგ.

განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების საკითხი სასამართლომ შეიძლება განიხილოს როგორც მსჯავრდებულის, ასევე მისი დამცველის, კანონიერი წარმომადგენლის, ახლო ნათესავის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით. ამასთან სასამართლომ შეიძლება მსჯავრდებულის მიმართ განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის აღსრულების გადავადება გააუქმოს და მსჯავრდებული გააგზავნოს თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით.

ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად სასამართლოს შეუძლია სასჯელისაგან გაანთავისუფლოს ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. სასამართლოს შეუძლია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს

მიღწეული პირი (ქალები – 65 წლიდან, მამაკაცები – 70 წლიდან), თუ მისჯილი არა აქვს უვადოთ თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

სასჯელის შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლების შუამდგომლობით სასამართლოს შეიძლება მიმართოს მსჯავრდებულმა, ხოლო თუ ის ფსიქიკურად დაავადებულია, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულების დირექტორმა.

მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლება სასამართლოს შეუძლია სამედიცინო ან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე. ასეთი დაავადების ჩამონათვალი დამტკიცებულია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 67-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის განთავისუფლებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ნასამართლობა, სასჯელის მოხდის ადგილებში მისი ქცევა, შრომისადმი დამოკიდებულება, ოჯახური პირობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის განთავისუფლებისას სასამართლოს უფლება აქვს იგი დამატებითი სასჯელისაგანაც გაათავისუფლოს.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქ სასჯელით შეცვლა

სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გაათავისუფლოს თუ მიაჩნია, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა დასაშვებია სასჯელალსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის წარდგინებით. აღნიშნული კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულებით.

„პატიმრობის“ შესახებ საქართველოს კანონის ნმ-ე მუხლის თანახმად, დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობით მიმართავს მსჯავრდებული, მისი დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, ახლო ნათესავი ან სასჯელალსრულების დაწესებულების დირექტორი.

დეპარტამენტის მუდმივმოქმედ კომისიას შეუძლია სასამართლოს წარუდგინოს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის დამადასტურებელი მასალები. აღნიშნული მასალების წარდგენისას მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური პირობები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოხდელი სასჯელი და სხვა გარემოებები, რომლებიც დადებითად ახასიათებს მას. ამასთან კომისიის წარდგინებას სასამართლოში უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.

პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი სააღსრულებო ბიურო.

სსსკ 610-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მსჯავრდებულს რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს მსჯავრდებულის ან მისი დამცველის შეუძღვომლობით.

თუ სასამართლო უარს იტყვის სასჯელის მოხდისაგან პი-

რობით ვადამდე განთავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე ამავე საკითხებზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

სასჯელის მოხდისაგან ან პირობით ვადამდე განთავისუფლებისას სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობა, კერძოდ, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მონიხსლოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი. სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რაც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა.

მსჯავრდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის დროს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. ამასთანავე იგი შეიძლება მთლიანად გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან ქონების ჩამორთმევის გარდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა ფაქტორივად მოიხადა დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა განაჩენის აღსრულებისას უნდა გადაწყდეს სხვა საკითხებიც. კერძოდ, სამკურნალო

დაწესებულებაში ყოფნის დროის ჩათვლა სასჯელის მოხდის ვადაში (სსსკ 613-ე მ.), განაჩენის აღსრულება სისრულეში მოუყვანელი სხვა განაჩენის არსებობის დროს (სსსკ 614-ე მ.), განაჩენის აღსრულებისას გამოვლენილი ბუნდოვანება-უზუსტობათა აღმოფხვრა (სსსკ 615-ე მ.); სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა (სსსკ 618-ე მ.).

კანონის თანახმად, სასჯელის ვადაში ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით იხდის, მოთავსებული იყო სამკურნალო დაწესებულებაში.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მსჯავრდებულის მიმართ არსებობს რამდენიმე აღუსრულებელი განაჩენი, რაც არ იყო ცნობილი ბოლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსათვის. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა გამოიტანოს დადგენილება მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობისა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეჯამებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეესაბამება თავისუფლების შეზღუდვის ორი დღე, გამასწორებელი სამუშაოს ან სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის სამი დღე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი.

თუ აღნიშნული საკითხები წამოიჭრება განაჩენის გამომტანი სასამართლოს საქმიანობის ფარგლებს გარეთ, მათი გადაწყვეტა მოხდება იმავე დონის სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულების ადგილის მიხედვით.

განაჩენის დადგენისას შეიძლება გარკვეული უზუსტობა, ბუნდოვანების დაშვება, რაც განაჩენის აღსრულებისას უნდა გამოსწორდეს. აღნიშნული უზუსტობის აღმოფხვრამ არ უნდა გამოიწვიოს განაჩენის გაუქმება ან შეცვლა. საკითხები, რომლებიც შეიძლება დაზუსტდეს და გამოსწორდეს განაჩენში ჩამოთვლილია

სსსკ 615-ე მუხლში, კერძოდ, განაჩენში შეიძლება დაზუსტდეს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშნისას; შესწორება იყოს შეტანილი პროცესის მონაწილის სახელსა და გვარში; დაზუსტდეს და გადაწყდეს სასამართლო ხარჯები; გადაწყდეს ნივთიერ მტკიცებულებათა საკითხი; განაჩენში შეტანილი იყოს აგრეთვე სხვა შესწორებები და უზუსტობები, რომლებიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისა და სარჩელის თანხის განსაზღვრის შესახებ (სხვა დაზუსტებებში შეიძლება ვიგულისხმოთ ქონებაზე ყადაღის მოხსნა, აღკვეთის ღონისძიების გაუქმება გამამართლებელი განაჩენის დადგენისას და სხვ).

აღნიშნული განმარტებებისა და დაზუსტებების შეტანა შეუძლია როგორც განაჩენის გამომტან სასამართლოს განაჩენში, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებს თავიანთ განჩინებაში.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვას, სასამართლო ამ საკითხს განიხილავს და წყვეტს სასჯელმოხდელი პირის, მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით.

სსსკ 72-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხდის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

§4. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის საპროცესო წესი

განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები წყდება შემდეგი სასამართლოების მიერ: განაჩენის გამომტანი სასამართლოს მიერ; სასჯელის მოხდის ადგილზე მოქმედი სასამართლოს მიერ და მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ. ასეთ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს საპროცესო ეკონომიის პრინციპი. კერძოდ, იმისდა მიხედვით, კონკრეტულად თუ რომელი საკითხი წყდება განაჩენის აღსრულებისას, იგი შეიძლება გადაწყვეტილი იყოს აღნიშნული სასამართლოებიდან ერთ-ერთის მიერ.

სსსკ 616-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების გამომტანი სასამართლო წყვეტს განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსასრულებლად მიქცევისას წამოჭრილ ისეთ საკითხებს, როგორცაა: განაჩენის აღსრულების გადავადება, ჯარიმის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, თავისუფლების შეზღუდვის, გამასწორებელი სამუშაოს სასჯელის სხვა ღონისძიებით შეცვლა, ფსიქიკური ავადმყოფის მიმართ გამოყენებული სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, გაგრძელება ან შეწყვეტა.

იმ შემთხვევაში, როცა განაჩენის აღსრულება ხდება განაჩენის გამომტანი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, მაშინ აღნიშნულ საკითხს წყვეტს იმავე ღონის სასამართლო, ხოლო თუ იმავე ღონის სასამართლო არ არსებობს, ზემდგომი სასამართლო. ყველა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება განაჩენის გამომტან სასამართლოს.

სასჯელის მოხდის ადგილზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები: ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავი-

სუფლება, სასჯელის მოხდის გადავადება, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, პატიმრობის სახით სასჯელის მოსახდელად იმ პირის გაგზავნა, რომელსაც პირობით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა.

მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლო წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორცაა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირება ან გაზრდა; ანდა პირობითი მსჯავრის გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად; იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, რომლის მიმართაც გადავადებულია განაჩენის აღსრულება; განაჩენის აღსრულების გადავადების გაუქმება და მსჯავრდებულის გაგზავნა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოსახდელად.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გამოაქვს დადგენილება.

განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება და წყდება სასამართლო სხდომაზე. სასამართლო განხილვაში მონაწილეობს, უპირველეს ყოვლისა, განსასჯელი, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბრალდებულის ყველა უფლებით, რაც გათვალისწინებულია სსსკ 76-ე მუხლით. ამასთან, მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია, სასჯელის აღმსრულებელი ორგანოს შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით საკითხების სასამართლო სხდომაზე განხილვისას პროცესში მონაწილე პირები იცვლებიან განსახილველი საკითხების შესაბამისად. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე მონაწილეობას ღებულობს სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი იმ შემთხვევაში,

თუ საკითხი ეხება განაჩენის აღსრულებას სამოქალაქო სარჩელის ნაწილში. თუმცა ამ პირთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

სასამართლო სხდომაზე სავალდებულოა მონაწილეობდეს დასკვნის გამცემი საექიმო კომისიის წარმომადგენელი, თუ წყდება საკითხი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან ავადმყოფობის გამო განთავისუფლების შესახებ.

სასამართლო სხდომაზე უნდა მონაწილეობდეს სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელი, თუ სასამართლო განიხილავს სასჯელის მოხდისაგან ხანდაზმულობის გამო ან პირობით ვადამდე განთავისუფლების, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხებს.

სასამართლო სხდომაზე უნდა მონაწილეობდნენ სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს და სამეთვალყურეო კომისიის უფლებამოსილი პირები, თუ მათი ერთობლივი ან შეთანხმებული წარდგინებით განიხილავს სასამართლო საქმეს.

სასამართლო სხდომაზე უნდა მონაწილეობდეს მსჯავრდებულის მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენელი იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო განიხილავს პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირებასთან ან გაზრდასთან, ანდა იმ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომლის მიმართაც გადავადებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულება ან განაჩენით დანიშნული სასჯელის მოსახდელად ამ პირების გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხს.

განაჩენის აღსრულებისას გადასაწყვეტი საკითხების განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოებისათვის დადგენილი პროცედურის მიხედვით. თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მიერ წარდგინების ან შეამდგომლობის წაკითხვით. შემდეგ სასამართლო იკვლევს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც სასამართლოში წარმოადგინეს

სასჯელის აღმასრულებელმა ორგანომ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედმა კომისიამ, მსჯავრდებულმა და მისმა დამცველმა. შემდეგ სასამართლო გადადის პროცესის მონაწილეთა კამათზე. ბოლოს სიტყვით გამოდიან მსჯავრდებული და მისი დამცველი. შემდეგ სასამართლო გადის დადგენილების გამოსატანად.

განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების სასამართლო განხილვის თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ აღნიშნული საკითხების სასამართლო განხილვაში პროკურორი არ მონაწილეობს.

განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სააპელაციო სასამართლოში, ისევე როგორც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში პროკურორი აღნიშნული საკითხების განხილვისას არ ღებულობს მონაწილეობას. ამასთან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვას, როგორც უკვე აღინიშნა ამ საკითხს სასამართლო წყვეტს სასჯელმოხდელი პირის, მისი დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით. ამასთან სასამართლო სხდომაში სავალდებულოა იმ პირის მონაწილეობა, რომლის მიმართაც განიხილავენ შუამდგომლობას ნასამართლობის მოხსნის შესახებ. სსსკ 618-ე მუხლის თანახმად, ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მიერ შუამდგომლობის წაკითხვით, რის შემდეგაც სასამართლო ისმენს გამოცხადებულ პირთა აზრს და გადის დადგენილების გამოსატანად. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება ნასამართლობის მოხსნის ან მოხსნაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო წესით. ნასამართ-

ლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა აღძვრა შეიძლება მხოლოდ 6 თვით შემდეგ.

§5. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს არა მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლობის მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა წარმოებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს განსჯადობის დაცვით მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სასამართლო. საქმე განიხილება მსჯავრდებულის დაუსწრებლად საქმის მასალების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადასინჯოს ან შეცვალოს უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენი. მან მხოლოდ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული განაჩენის საქართველოში აღსრულება და ამისათვის უფლებამოსილია სსსკ 620-ე მუხლის თანახმად გამოიტანოს განჩინება (დადგენილება).

განჩინებაში (დადგენილებაში) უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი რეკვიზიტებია: უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, აგრეთვე განაჩენის გამომტანის დრო; მონაცემები მსჯავრდებულის საქართველოს მოქალაქის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებისა და საქმიანობის შესახებ; იმ ქმედების

კვალიფიკაცია, რომელშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის; სასჯელის სახე (მათ შორის დამატებითიც) და ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხადოს, სასჯელის მოხდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებისა და ზიანის ანაზღაურების წესის მითითებით.

უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულება ხდება იმავე წესითა და იმავე პირობებში, როგორც საქართველოს სასამართლოს განაჩენის აღსრულება საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის.

თუ უცხო სახელმწიფოს სასამართლო საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გადასინჯავს, შეცვლის ან გააუქმებს განაჩენს, ასეთი განაჩენის აღსრულება გადაწყდება საქართველოს სსსკ 620-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს განჩინების (დადგენილების) ასლი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

კანონის თანახმად, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ანდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განაჩენით საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ მსჯავრდების ისეთივე სამართლებრივი შედეგები ღებება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ. ამასთან, საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება როგორც

განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოს მიერ გამოცემული ამნისტიისა და შეწყალების აქტი, ასევე საქართველოს მიერ გამოცემული მსგავსი აქტები იმ პირობებისა და წესების შესაბამისად, რაც დადგენილია აღნიშნული აქტებით. ამნისტიისა და შეწყალების აქტის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პირობები.

თავი XVIII

ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებანი

§1. კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება

სსსკ თავი XII ითვალისწინებს კერძო ბრალდების საქმეთა სამართალწარმოების თავისებურებებს, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ორ დანაშაულს:

1. ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (მუხლი 120), და
2. ცემა (მუხლი 125)

კერძო ბრალდების საქმეთა წარმოება ხორციელდება სსსკოდექსით დადგენილი საერთო წესებით და შემდეგი სპეციფიკური წესების გათვალისწინებით.

სსსკ 27-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე დანაშაულთა ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე და უნდა შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო. შესაბამისად, სწორედ დაზარალებულს ენიჭება უფლება გადაწყვიტოს რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია მისი უფლებების ხელყოფა და მიყენებული ზიანი და სურს თუ არა ბრალეული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის და სასამართლო პროცესის დაწყება.

აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე დაზარალებულის საჩივარი წარმოადგენს, არა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის და პროცესის დაწყების საფუძველს, არამედ იმავდროულად - საბრალდებო აქტსაც, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სისხლის სამართლის დევნა და სასამართლო პროცესი. ამიტომ, განცხადება შეიტანება წერილობით და უნდა შეიცავდეს:

- დანაშაულის შემთხვევის აღწერას,

- ცნობებს დანაშაულის ჩამდენი პირისა და დანაშაულის შესახებ,
- მტკიცებულებათა ჩამონათვალსა და
- თხოვნას, რომ მოსამართლემ განიხილოს საქმე.
- საჩივარს ხელს უნდა აწერდეს დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.

დაზარალებულის საჩივარი შეიტანება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განსჯადობის დაცვით. თუ საჩივარი შეტანილია გამომძიებელთან ან პროკურორთან, მან იგი უნდა გადასცეს განსჯადობის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში საჩივრის შეტანის უფლება ენიჭებათ მის მემკვიდრეებს.

საჩივრის მიღების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს განმცხადებელს პასუხისმგებლობა შეგნებულად ცრუ დასმენისათვის და ჩამოართვას ხელწერილი, გამოიძახოს და გააცნოს საჩივარი იმ პირს, რომლის მიმართაც შეტანილია იგი, მიიღოს განმარტება დაზარალებულისაგან ან იმ პირისაგან, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი; გამოითხოვოს საჭირო დოკუმენტები; განსაზღვროს სასამართლოში გამოსაძახებელ და დასაკითხ პირთა წრე.

კერძო ბრალდების საქმეებზე ბრალდების ფუნქციას, როგორც წესი, ახორციელებს დაზარალებული, რომელსაც კერძო ბრალმდებლის სტატუსი ენიჭება სასამართლოს მიერ მისი საჩივრის მიღების მომენტიდან.. დაზარალებულს სამართალწარმოების ნებისმიერ მომენტში შეუძლია უარი თქვას კერძო ბრალდებაზე.

შერიგება დასაშვებია სასამართლოს (მოსამართლის) სათათბირო ოთახში გასვლამდე, მათ შორის, სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას მაგრამ დაზარალებულის განსასჯელთან შერიგებით არ შეწყდება ის საქმე, რომლის სასამართლო განხილვაშიც პროკურორი მონაწილეობს.

სასამართლო განხილვის დროს შერიგების შესახებ დაზარალებულისა და იმ პირის ზეპირი განცხადებები, რომლის მიმართაც შე-

ტანილია საჩივარი, შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი – დაერთვის საქმეს. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება.

შერიგების შემთხვევაში მხარეები უნდა მორიგდნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე. თუ მორიგება ვერ ხერხდება, ხარჯებს სასამართლო ანაწილებს. სასამართლოს უფლება აქვს სასამართლო ხარჯები დააკისროს ორივე ან ერთ-ერთ მხარეს

ცალკეულ შემთხვევებში სსსკ ითვალისწინებს კერძო ბრალდების საქმეებში პროკურორის ჩაბმას. კერძოდ, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლო გამოძიების დაწყებამდე ჩაებას კერძო ბრალდების საქმეში, თუ:

- ამას წერილობით მოითხოვენ მხარეები, ანდა
- მოითხოვს მხოლოდ დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.
- საქმეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.
- თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესები
- ამას მოითხოვს მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

ასეთ შემთხვევაში საქმე არ შეიძლება შეწყდეს დაზარალებულის განსასჯელთან შერიგებით. იმავედროულად, საქმეში პროკურორის ჩაბმა დაზარალებულს არ ართმევს სსს კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს.

კერძო ბრალდების საქმეზე დასაშვებია შეგებებული სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და განხილვა.

თუ კერძო ბრალდების საქმეზე მხარეები ერთმანეთს ბრალდებებს უყენებენ, მოსამართლე თავისი დადგენილებით დაზარალებულს ცნობს ბრალდებულადაც, ხოლო ბრალდებულს – დაზარალებულადაც.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს:

1) თუ არ არსებობს დაზარალებულის საჩივარი კერძო ბრალდების საქმეთა გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეთა გამო სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს პროკურორი; ან

2) თუ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს კერძო ბრალდების საქმეთა გამო სასამართლო გამოძიების დაწყებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროკურორი ებმება საქმეში 27-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა.

სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) გარდაიცვალა დაზარალებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებულის ახლო ნათესავი ან განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას;

ბ) დაზარალებული არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო განხილვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განსასჯელი მოითხოვს საქმის განხილვას.

როგორც წესი, კერძო ბრალდების საქმეებზე წინასწარი გამოძიება არ ტარდება. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას მოითხოვს:

- დაზარალებული ან განსასჯელი;
- პროკურორი, თუ მხარეები არ არიან ამის წინააღმდეგი;
- მოსამართლე, რომელიც განიხილავს კერძო ბრალდების საქმეს, უფლება აქვს გასცეს განკარგულება წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად. თუ მოსამართლის მიერ საჩივრის შემოწმებისას დადგინდა, რომ ჩადენილია დანაშაული, რომლის შესახებაც საქმე უნდა გამოიძიონ და განიხილონ საერთო წესით, მოსამართლე მასალებს უგზავნის პროკურორს.

დაზარალებულის საჩივარი შეიძლება გაერთიანდეს შემხვედრ საჩივართან ერთ წარმოებად. ასეთი გაერთიანება დაშვებულია სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. სასამართლო განხილვის დროს საქმეთა გაერთიანების შესახებ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება.

შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებაში განხილვისას საჩივრის შემტანი პირები პროცესში ერთდროულად მონაწილეობენ, როგორც დაზარალებული და განსასჯელი. ამ პირთა დაკითხვა მათს საჩივრებში ჩამოყალიბებული გარემოებების შესახებ ტარდება დაზარალებულთა დაკითხვის წესებით, ხოლო შემხვედრ საჩივრებში ჩამოყალიბებული გარემოებების შესახებ — განსასჯელთა დაკითხვის წესებით.

სასამართლოში საქმის განხილვამდე არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა განსასჯელს უნდა გადაეცეს დაზარალებულის საჩივრის ასლი და სასამართლოში გამოძახების უწყება.

განსასჯელსა და მის დამცველს, დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ საქმის ყველა მასალას და აღძრან შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე მოწმეებისა და ექსპერტების გამოძახების შესახებ, გამოითხოვონ და საქმეს დაურთონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებანი. მოსამართლე ვალდებულია საფუძვლიანობის შემთხვევაში დააკმაყოფილოს ასეთი შუამდგომლობა.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ნაწილში თავმჯდომარე დაზარალებულს განუმარტავს მის უფლებას — პირადად ან თავისი წარმომადგენლის დახმარებით მხარი დაუჭიროს ბრალდებას, აგრეთვე უფლებას შეურიგდეს განსასჯელს.

თავმჯდომარე აცხადებს, თუ ვინ უჭერს მხარს კერძო ბრალდებას (სახელი, გვარი, საკლასო წოდება, დაკავებული თანამდებობა) და მხარეებს განუმარტავს, რომ უფლება აქვთ აცილება განუცხადონ პროკურორს სსსკ 105-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით.

სასამართლო გამოძიება იწყება დაზარალებულის საჩივრის საჯაროდ წაკითხვით. საჩივარს კითხულობს დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში — სასამართლო სხდომის მდივანი.

ჯერ ბრალდების, შემდეგ კი დაცვის მხარე წარმოადგენს

მტკიცებულებებს. მხარეებს უფლება აქვთ ჩაატარონ ჯვარედინი დაკითხვა. მოსამართლე შეკითხვებს სვამს ბოლოს.

შემხვედრი საჩივრების ერთ წარმოებად გაერთიანების შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება იმ მტკიცებულების გამოკვლევის შესახებ, რომელიც ეხება თითოეულ ბრალდებას, აგრეთვე მხარეთა კამათში გამოსვლის რიგითობას.

სასამართლო კამათი მოიცავს გამოსვლებს, რომლებსაც რიგითობით წარმოთქვამენ სახელმწიფო ან კერძო ბრალმძებელი (დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი), სამოქალაქო მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი (თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს), სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.

§2. წარმოება არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებს სისხლის სამართლის პროცესში. მათ შორის აღსანიშნავია: გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების მინიმალური წესები (შემდგომში – „პეკინის წესები“), თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესები, გაეროს სახელმძღვანელო მითითებები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით (შემდეგში – „ერ-რიადის სახელმძღვანელო მითითებები“) და შედარებით ახალი – სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დამოკიდებულების შესახებ ვენის სახელმძღვანელო პრინციპები. აღნიშნული დოკუმენტები ქმნიან მართლმსაჯულების განხორციელების სრულყოფილ საერთაშორისო სამართლებრივ

სტანდარტებს მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა სარეკომენდაციო ხასიათისაა ისინი ადგენენ არასრულწლოვანთა დაცვის სამართლებრივ სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი წევრ სახელმწიფოებში ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასებისას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხების მომწესრიგებელი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ (მუხლები 37-40), რომლის მე-40 მუხლის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს, ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილი, ბრალდებული ან მსჯავრდებული არასრულწლოვნებისადმი ისეთი მოპყრობა, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის „ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძობის განვითარებას, განუმტკიცებს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკს და მის რეინტეგრაციას, საზოგადოებაში მისი სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის მიზანშეწონილობას:

გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ცალსახად არის აღნიშნული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისა და განვითარების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვთა ხელშეუვალი სპეციფიური საჭიროებები და მათი უმწეობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს არა სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ დამნაშავეთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.

გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ მოცემულია ოთხი ერთმანეთზე გადაჯაჭვული პრინციპი, რომელიც ეხება როგორც სამართალდამრღვევ ბავშვებს, ისე ბავშვთა ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროს. ეს პრინციპებია:

1. ბავშვის ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობა (მუხლი 3);

2. ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და ეს შეხედულებები სათანადოდ იქნას გათვალისწინებული ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მას ეხება (მუხლი 12).
3. კონვენციით გათვალისწინებული უფლებების გამოყენება ყველა ბავშვის მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე (მუხლი 2)
4. ბავშვი არ უნდა გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი (მუხლი 6)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება გულისხმობს კანონმდებლობის ნორმებს და სტანდარტებს, პროცედურებს, მექანიზმებს და პირობებს, ინსტიტუტებს და ორგანოებს, რომლებიც სპეციალურად არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს ეხება.

იმავდროულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ემყარება პრევენციის, დივერსიფიკაციის და დაცვის პრინციპებს. კერძოდ, პრევენცია გულისხმობს არასრულწლოვნების დაცვას კანონთა კონფლიქტში შესვლისაგან და შესაბამისად მათ დაცვას ფორმალური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისაგან.

დივერსიფიკაცია – უზრუნველყოფს სამართალწარმოების ყველა სტადიაზე არასრულწლოვნების გამოყვანას მართლმსაჯულების განხორციელების ფორმალური სისტემიდან და მათ მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებას, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანთა ქცევის მიზეზების და საზოგადოებრივი ზემოქმედების კონკრეტული ფორმების განსაზღვრისა და ხელახალი მსჯავრდების თავიდან აცილების უზრუნველყოფისკენ.

დაცვა – უზრუნველყოფს სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა ადამიანის უფლებების დაცვას ხელყოფისაგან. ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის ხელახალი ჩადენის თავიდან აცილების, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობაზე.

ამდენად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ფართო ცნებაა და მოიცავს: არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას;

დანაშაულთა სახეებს, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა და შესაბამის სასჯელთა სახეებსა და ოდენობას;

პროცესის მწარმოებელი სუბიექტების მხრიდან არასრულწლოვნებთან მიმართებაში მწარმოებულ სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლო განხილვას;

არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენების აღსრულების და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასრულწლოვანთა სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებებს.

ბეკინურ წესებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არასრულწლოვანთა საქმეებზე სამართალმწარმოების განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სამოქალაქო პაქტის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებთან ერთად. ამ წესების თანახმად არასრულწლოვანთა საქმეთა მწარმოებელ სუბიექტებს უნდა გააჩნდეთ სათანადო კვალიფიკაცია. სასამართლო განხილვა უნდა პასუხობდეს არასრულწლოვნის ინტერესებს და ისეთნაირად წარიმართოს, რომ არასრულწლოვანს ჰქონდეს მასში მონაწილეობის და საკუთარი ჩვენებების თავისუფლად მიცემის შესაძლებლობა. ამ მიზნის მისაღწევად წესები ითვალისწინებენ სპეციალიზირებული – არასრულწლოვანთა საქმეთა განმხილველი სასამართლოების შექმნას.

იმავდროულად აღინიშნება, რომ „არასრულწლოვნის ნებისმიერი საქმე თავიდან ბოლომდე უნდა წარიმართოს ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე. სამართალმწარმოების ყველა ეტაპზე პატივი უნდა ეცეს „არასრულწლოვნის უფლებას კონფიდენციალობაზე არასაჭირო განსაჯაროებით ან რეპუტაციის შელახვით მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

კანონის მხრიდან ჩარევის აუცილებლობის შემცირების და კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდისადმი ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური დამოკიდებულების მიზნით, მინიმალური სტანდარტული წესების ძირითადი მიზნები ეხება ყოვლისმომცველ სოციალურ პოლიტიკას მთლიანობაში. წესები მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ, რამაც მინიმუმამდე უნდა შეამციროს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემის გამოყენების აუცილებლობა და შესაბამისად — ზიანი, რომელიც შეიძლება იქნეს მიყენებული ასეთი ჩარევის შედეგად. კერძოდ, მე-5 წესის თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეებზე, მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი, უნდა იყოს არასრულწლოვნის კეთილდღეობის და არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ზომების სამართალდამრღვევის პიროვნებასთან და სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებებთან თანაზომიერების უზრუნველყოფა.

იმავდროულად, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლებრივი წარმოება პრაქტიკულად იწვევს პირის სტიგმატიზაციას, რაც მეტ-ნაკლები სიმძიმით და სიმძაფრით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზეგავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე (ნა-სამართლობა, არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შესა-ახებ ინფორმაციის საჯაროობა, ფსიქოლოგიური ტრავმა და ა.შ), საერთაშორისო აქტები ითვალისწინებს პროცესის მწარმოებელ პირთა დისკრეციულ უფლებას საქმის წარმოების შეწყვეტაზე სასამართლო განხილვის გარეშე.

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების უმრავლესობა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობაში. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანი ეჭვიმტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის და მსჯავრდებულის მიმართ, შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა ხორციელდება სსსკ დადგენილი საერთო წესების დაცვით და იმ სპეციფიკური წესების გათვალისწინებით,

რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 639-659-ე მუხლებით. სპეციალური ნორმები ერთის მხრივ ავსებენ და აფართოვებენ სსსკ გათვალისწინებულ წესებს და მეორეს მხრივ, ითვალისწინებენ არასრულწლოვანთა უფლებების და თავისუფლებების, მათი ინტერესების დაცვის დამატებით გარანტიებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული არასრულწლოვანად ითვლება 14 წლიდან 18 წლის ასაკამდე.

სსსკ 44-ე მუხლი ანსხვავებს არასრულწლოვანთა ორ კატეგორიას:

1. მცირეწლოვანი – პირი, რომელსაც 14 წელი არ შესრულებია, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 117-ე, 137-ე, 178-ე (გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე და 2381 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – პირი, რომელსაც არ შესრულებია თორმეტი წელი.; და
2. არასრულწლოვანი- პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი.

სსსკ XIII თავით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებანი თანაბრად ვრცელდება ორივე მათგანზე და სსსკ პრაქტიკულად არ ითვალისწინებს მცირეწლოვანთა გასხვავებულ პროცესუალურ სტატუსს სისხლის სამართლის სამართლებრივი მიზნებისათვის.

იმავედროულად სსსკ XIII თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება პროცესის მონაწილის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე. 18 წლის შესრულების შემდეგ, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღებნა და სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად. ამდენად, სისხლის სამართ-

ლის პროცესში მოქმედებს „საპროცესო არასრულწლოვანების“ პრინციპი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ასაკს არა ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს, არამედ – პროცესის წარმოების დროისათვის. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საერთო წესების დაცვით და აღარ გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 639–659-ე მუხლებით დადგენილი სპეციფიკური წესები.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ სპეციფიკურ ნორმებს, რომლებიც ეხება არასრულწლოვნებს და ყურადღებას არ გვაგამახვილებთ სსსკ გათვალისწინებულ საერთო წესებზე, რომლებიც ასევე ვრცელდება არასრულწლოვნებზეც.

მტკიცების საგანი – არასრულწლოვანთა დაცვა დაუსაბუთებელი ეჭვის ან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისაგან, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების გარანტირება საფუძვლად უდევს აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წარმოებას, რაც განაპირობებს და განსაზღვრავს ამ კატეგორიის საქმეებზე მტკიცების საგნის სპეციფიკას. სსსკ თანახმად, არასრულწლოვანთა საქმეზე სავალდებულოა ყველა იმ გარემოების დადგენა, რომელთა დადგენაც სავალდებულოა ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებაში (იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე, 498-ე მუხლები). იმავედროულად, სსსკ 641-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის დანაშაულის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს ასევე უნდა დადგინდეს:

- ა) არასრულწლოვნის ასაკი (დაბადების რიცხვი, თვე, წელი);
- ბ) არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები ოჯახსა და სკოლაში;
- გ) სრულწლოვან წამქეზებელთა არსებობა;
- დ) არასრულწლოვნის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონე;

ე) არასრულწლოვნის პიროვნების ხასიათის თავისებურებები, მოთხოვნილებები და ინტერესები.

პირის ასაკის დადგენისას, პირველ რიგში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ოფიციალურ დოკუმენტს (დაბადების მოწმობას, ამონაწერს (ცნობას) შესაბამისი დაწესებულებიდან, სადაც არსებობს ჩანაწერები დაბადების შესახებ). თუ ასეთი დოკუმენტები არ არსებობს და მათი მოპოვება შეუძლებელია, ასაკის დადგენისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული არასრულწლოვანის ნათესავის (სხვა პირის) ჩვენება, ან დაინიშნოს ექსპერტიზა ასაკის დასადგენად. პირის ასაკი დადგენილი უნდა იქნეს დაბადების რიცხვის და თვის სიზუსტით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს იმის გარკვევა, თუ რა პერიოდის განმავლობაში აქვს პირს სსსკ არასრულწლოვანთა საქმეთა წარმოებისათვის დადგენილი თავისებურებებით სარგებლობის უფლება, რომ არ მოხდეს დაუსაბუთებლად და უკანონოდ მის მიმართ სსსკ-თი სრულწლოვნებისათვის დადგენილი ნორმების გამოყენება.

არასრულწლოვნის ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონე; როგორც სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წინასწარი გამოძიების სტადიაზე, როგორც წესი ინიშნება სასამართლო-ფსიქიატრიული ან/და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

არსებობს არასრულწლოვნის ფსიქიკური დაავადების ან ანომალური განვითარების შესახებ ინფორმაცია. მაშინ მნიშვნელოვანია ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება.

იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას არასრულწლოვანის დაკითხვით, მის შესახებ მოძიებული სამედიცინო და სხვა სახის დოკუმენტებით (მაგ: სკოლიდან მიღებული ცნობებით) გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ არასრულწლოვანს შესაძლებელია:

- ჰქონდეს განვითარების ანომალია;
- ჰქონდეს ფსიქიკური დაავადება;

– არ შესწევდეს უნარი, მთლიანად გაუწიოს ანგარიში თავის მოქმედებას;

– არ შესწევდეს უნარი, ნაწილობრივ გაუწიოს ანგარიში თავის მოქმედებას;

– არ შესწევდეს უნარი, მთლიანად განაგოს თავისი მოქმედება;

– არ შესწევდეს უნარი, ნაწილობრივ განაგოს თავისი მოქმედება- ინიშნება ფსიქოლოგიური ან კომპლექსური ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ექსპერტიზა, როგორც წესი, ტარდება მოზარდთა და ბავშვთა ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის სპეციალისტების, ექსპერტ-ფსიქიატრების მიერ.

არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევისას უნდა გაირკვეს:

ა) არასრულწლოვნის ურთიერთობები და ქცევა სახლისა და სამუშაოს გარეთ; სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური ჯგუფის ან გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა და მისი ურთიერთობა აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრებთან

ბ) ვითარება სკოლაში, ლიცეუმში, სხვა სასწავლებელში ან წარმოებაში, სადაც სწავლობს ან მუშაობს არასრულწლოვანი, მისი დამოკიდებულება სწავლისა და შრომისადმი, საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებისადმი, ურთიერთობა აღმზრდელებსა და დამრიგებლებთან, თანატოლებთან, არასრულწლოვნის მიმართ ადრე გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიების ხასიათი და ეფექტიანობა;

გ) ოჯახური ვითარება, ოჯახის შემადგენლობა, მატერიალური უზრუნველყოფა, საბინაო პირობები, ოჯახის უფროს წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობა, უფროსებისა და ბავშვების ურთიერთობა, თავისუფალი დროის გამოყენების პირობები ოჯახში, მშობლების დამოკიდებულება შვილების აღზრდისადმი, ბავშვების ქცევისადმი მშობელთა კონტროლის ფორმები. კვლევები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირი არსებობს ბავშვობაში ადამიანის

უგულებელყოფას, თუ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და მის სისხლის სამართლის დამნაშავედ ჩამოყალიბებას შორის. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ბავშვის მიმართ ჩადენილი ძალადობა ძალადობრივ სახეს სძენს მის შემდგომ ქცევას. აშშ-ში ჩატარებული კვლევის თანახმად, ბავშვის უგულებელყოფა ან მასზე ძალადობა 53%-ით ზრდის მის არასრულწლოვან დამნაშავედ ჩამოყალიბების ალბათობას, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული კვლევის შედეგად მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მძიმე დანაშაულში მხილებულ არასრულწლოვანთა 72% ბავშვობაში თავად იყო ძალადობის მსხვერპლი.

აუცილებელია დადგინდეს დანაშაულებრივი განზრახვის გამომწვევი მიზეზები, მისი ცხოვრების წესი, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და მიზეზები. ეს შეიძლება ერთის მხრივ იყოს მშობლების კ/წარმომადგენლების ან მისი სასწავლო/სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის მხრიდან ჯეროვანი ყურადღების არ არსებობა, მეგობრების უარყოფითი ზეგავლენა, სრულწლოვან პირთა მხრიდან წამქეზებლობა ნარკოტიკული საშუალებების ან მავნე ჩვევებისადმი ან დანაშაულებრივი ქმედებისაკენ. დანაშაულის ჩადენაში წამქეზებლობის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას, თუ კონკრეტულად რა როლს ასრულებდა არასრულწლოვანი ჩადენილ დანაშაულში, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გადაწყვეტილების ხელშემწყობი გარემოებები. მაგალითად, არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გამოყენება, მისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად, (მაგალითად მოტყუება, მოსყიდვა, დაყოლიება ნარკოტიკული ნივთიერებების ან ალკოჰოლური სასმელების გამოყენებაზე და მათი ზეგავლების ქვეშ ყოფნის პერიოდში დანაშაულის ჩადენა, შეპირება და ა.შ.)

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში სრულ-

წლოვნებთან ერთად, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შესაძლებლობის ფარგლებში გამოყოფილი უნდა იქნეს ცალკე წარმოებად. საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ეს:

1. ხელს შეუწყობს საქმეზე გამოძიების დროულად განხორციელებას;
2. შეამცირებს საქმეში მონაწილე სრულწლოვნების მკვლე ზეგავლენას არასრულწლოვანზე;
3. არსებითი დაბრკოლება არ შეუქმნას საქმის გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

იმ შემთხვევაში, თუ საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფას უარყოფითი გავლენა ექნება საქმის ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიებაზე საქმის გამოყოფა არ ხდება და გამოძიება წარმოებს ყველა ბრალდებულთან მიმართებაში, მაგრამ გამოძიებელმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ზომების გატარება იმისათვის, რომ არ დაუშვას არასრულწლოვანზე სრულწლოვანი ბრალდებულების მხრიდან უარყოფითი ზეგავლენა.

გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში არასრულწლოვნის გამოძახება, როგორც წესი, ხორციელდება:

1. მისი მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის,
2. მისი სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის,
3. სადაც იზრდება არასრულწლოვანი იმ დაწესებულების ადმინისტრაციის, ან
4. არასრულწლოვანის მოთავსების ადგილის ადმინისტრაციის მეშვეობით

პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში.

პროცესის არასრულწლოვანი მონაწილე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს პროცესის მწარმოებელ პირთან. ამასთან, მისი გამოუცხადებლობისას სსსკ ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკის მიხედვით განსახვავებულ მიდგომას და ადგენს,

რომ 14-18 წ. არასრულწლოვნის იძულებით მოყვანა დასაშვებია, ხოლო 12-14 წლამდე მცირეწლოვნის – არა.

არასრულწლოვანის დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას და სასამართლო განხილვისას სავალდებულოა არასრულწლოვანის წარმომადგენლის ან პედაგოგის მონაწილეობა. ამასთან, არასრულწლოვნის პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი მონაწილეობს არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის წარმოებაში არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის პირველი დაკითხვისთანავე.

არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება იყოს:

- მშობელი
- ახლო ნათესავი;
- მეურვე;
- მზრუნველი.

ცალკეულ შემთხვევებში კანონიერ წარმომადგენელსა და არასრულწლოვანს შორის რთული და კონფლიქტური ურთიერთობის არსებობისას, თუ არსებობს საფუძველი, რომ თავისი მოქმედებით იგი ზიანს აყენებდა ან აყენებს არასრულწლოვნის ინტერესებს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, ანდა სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი შეიძლება ჩამოაცილონ საქმეში მონაწილეობას ან შეზღუდონ მისი მონაწილეობა. საქმეში მონაწილეობისაგან კანონიერი წარმომადგენლის ჩამოცილების შემთხვევაში არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა ევალება სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელს.

სსსკ 81-ე მუხლის თანახმად, ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა სისხლის სამართლებრივი დევნის და სისხლის სამართლის პროცესის მთელი პერიოდის განმავლობაში. გამომძიე-

ბელი და პროკურორი უზრუნველყოფენ საქმეში დამცველის მონაწილეობას არასრულწლოვნის პირველი დაკითხვისთანავე. ამ მიზნით არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს განუმარტავენ უფლებას, მოიწვიონ დამცველი საკუთარი არჩევანით, თუ არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს, ან სხვა პირს მათი დავალებითა და მათივე თანხმობით ადვოკატი არ მოუწვევია, ან ხელმოკლეობის გამო არ გააჩნიათ, ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობა, გამომძიებელი ვალდებულია თავისი ინიციატივით უზრუნველყოს საქმეში დამცველის მონაწილეობა. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს მიიღოს არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის უარი დამცველის დანიშვნაზე, მაგრამ არასრულწლოვანს, სათანადო საფუძვლების არსებობისას, გააჩნია ადვოკატის აცილების უფლება.

სსსკ ითვალისწინებს პროცესში ადვოკატის მონაწილეობის პარალელურად არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის შესაძლებლობას, რაც განპირობებულია მათი სს პროცესში მონაწილეობის განსხვავებული მნიშვნელობით-კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობა უზრუნველყოფს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას, ხოლო ადვოკატის მონაწილეობა – სამართლებრივ დახმარებას. ადვოკატის როლია, დეტალურად განუმარტოს ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე არასრულწლოვნის უფლებები და მათი გამოყენების წესი. აგრეთვე, უზრუნველყოს, რომ კითხვები სათანადოდ და სამართლიანად იყოს დასმული და არ იყოს მეტიმეტად მკაცრი.

აღნიშნულის მიუხედავად სს პროცესში მათი მონაწილეობის შესაბამისად მათი სამართლებრივი მდგომარეობაც განსხვავებულია. არასრულწლოვნის ადვოკატს ენიჭება იგივე უფლებები, რაც სრულწლოვანი პირების წარმომადგენლობისას სსსკ (84-ე მუხლი). იმავედროულად, სსსკ 243-ე მუხლი ითვალისწინებს დამცველის მიერ არასრულწლოვნის წინასწარი თანხმობის გარეშე

წინასწარი გამოძიების სტადიაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების (დადგენილების) გასაჩივრებას საგამომძიებო კოლეგიაში.

სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას დაუშვებელია, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, გამოძიებლის (პროკურორის) მიერ, ან სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის (სასამართლოს) მიერ არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის და მსჯავრდებულის დაკითხვა. იმავდროულად, სსსკ ითვალისწინებს არასრულწლოვანი პირის დაკითხვის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის პარალელურად არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის და ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის დასწრებას. მიუხედავად იმისა, რომ კანონიერი წარმომადგენლის და პედაგოგის დასწრებას განსხვავებული მნიშვნელობა და დატვირთვა გააჩნია, სსსკ პრაქტიკულად არ ითვალისწინებს ერთდროულად ორივე მათგანის დასწრების შესაძლებლობას. დაკითხვაში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას ფსიქოლოგიური დატვირთვა გააჩნია, განსაკუთრებით მცირეწლოვნებთან მიმართებაში, რომლებიც აღმოჩნდნენ მათთვის უცხო და საშიშ გარემოში, როდესაც მათ სჭირდებათ მშობლის მხარდაჭერა და მიუხედავად, პედაგოგის და ადვოკატის მონაწილეობისა, იგი ბოლომდე არ ენდობა ან ეშინია კიდევ მათი. მეორეს მხრივ, პედაგოგის მონაწილეობის მიზანია დაეხმაროს გამოძიებელს არასრულწლოვანთან კონტაქტის დამყარებაში. იმავდროულად, გამოძიებლის ან პროკურორის შეხედულებით ან დამცველის შუამდგომლობით, არასრულწლოვანი ბრალდებულის დაკითხვაში, შეიძლება მონაწილეობდეს ფსიქოლოგი, მაგრამ კანონი ამ შემთხვევაში ცალსახად არ არეგულირებს ფსიქოლოგის და ადვოკატის მონაწილეობის პარალელურად, კანონიერი წარმომადგენლის და პედაგოგის მანაწილეობის საკითხს.

სსსკ აღნიშნულის მიუხედავად, ადგენს დაკითხვაში კანონიერი წარმომადგენლის და მეორეს მხრივ ფსიქოლოგის მონაწილეობის განსხვავებულ ფორმატს. კერძოდ, სსსკ თანახმად, დაკითხვაზე ადვოკატის და კანონიერი წარმომადგენლის დასწრებისას მათ ენიჭებათ არასრულწლოვნისათვის კითხვების დასმის უფლება გამომძიებლის თანხმობის გარეშე, ხოლო ფსიქოლოგს – მხოლოდ გამომძიებლის თანხმობის შემთხვევაში. სსსკ საერთოდ არ არეგულირებს დაკითხვის პროცესში პედაგოგის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს; არ ადგენს მისთვის მისი უფლებების და მოწვევის მიზნის განმარტებას ფსიქოლოგისგან განსხვავებით, რომელსაც, გამომძიებელი განუმარტავს უფლებებს არასრულწლოვნის დაკითხვამდე და რის შესახებაც, აღნიშნავს დაკითხვის ოქმში. საერთოდ არ განსაზღვრავს მის უფლებას დაკითხვის დამთავრებისთანავე ოქმის გაცნობაზე და შენიშვნების გაკეთებაზე, მაშინ როდესაც დამცველის, ფსიქოლოგის და კანონიერი წარმომადგენლის აღნიშნული უფლება პირდაპირ არის მითითებული სსს კოდექსში.

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგის მონაწილეობა არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებების და თავისუფლებების დაცვის დამატებითი გარანტიას წარმოადგენს, რამაც ასევე, ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სწორად შერჩევას, პედაგოგებს, ცალკეულ შემთხვევებში არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და ცოტა რამ თუ გაეგებათ თავიანთი როლის შესახებ. მათ უნდა დაიცვან ბავშვის ინტერესები და დაეხმარონ მას, ნათლად გამოხატოს თავისი აზრი, თუ მას ამის სურვილი ექნება. უნდა ურჩიონ ბავშვს გაესაუბროს თავის ადვოკატს და უზრუნველყონ, რომ ბავშვმა კარგად გაიგოს დასმული კითხვების და მისთვის განმარტებული უფლებების შინაარსი, თუმცა სსსკ არ ითვალისწინებს პედაგოგის, კანონიერი წარმომადგენლის და ფსიქოლოგის დაკითხვის დაწყებამდე არასრულწლოვანთან გასაუბრების შესაძლებლობას. მათ არ შეუ-

ძლიათ გაიგონ, თუ რატომ არიან ისინი იქ, გარკვეონ თავიანთი როლი, ან ის, თუ რა მოელის დაპატიმრებულ ბავშვს. საბოლოო ჯამში, ცალკეულ შემთხვევაში მასწავლებლისა და ფსიქოლოგის, კანონიერი წარმომადგენლის დასწრება დაკითხვის პროცესზე, ცალკეულ შემთხვევებში, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

იმავედროულად, სსსკ ანიჭებს გამოძიებელს შესაძლებლობას გამოიტანოს დადგენილება პედაგოგის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრებაზე არღამშეების შესახებ თუ მისი დასწრება ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესებს.

არასრულწლოვანი ეჭვიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა არ შეიძლება შეუსვენებლად გაგრძელდეს 2 საათზე მეტ ხანს, ხოლო მთლიანად დღეში – 4 საათზე მეტ ხანს, თუ არასრულწლოვანი აშკარად დაიღალა, დაკითხვა უნდა შეწყდეს აღნიშნული დროის გასვლამდეც.

ზოგადი წესის თანახმად, ეჭვიტანილის სახით პირის დაკავებისას, პირის მოთხოვნა დამცველის მოწვევის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ, ახსნა-განმარტების მიცემამდე ან, თუ ეს ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება, მაქსიმალურად გონივრულ დროში, რათა ეჭვიტანილს მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება განაზორციელოს თავისი დაცვა, მაგრამ არასრულწლოვნებთან მიმართებით სსსკ ცალსახად კრძალავს არასრულწლოვნის დაკითხვას ადვოკატის მონაწილეობის გარეშე.

აღნიშნულის მიუხედავად, ეჭვიტანილის სახით არასრულწლოვნის დაკავებისას ხშირ შემთხვევაში პოლიციის განყოფილებაში არასრულწლოვნის მიყვანასა და დაკითხვას შორის დროის მონაკვეთი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობლებმა არამხოლოდ შესძლონ დაკითხვის დამთავრებამდე არასრულწლოვანთან გასაუბრება, არამედ მოასწრონ პოლიციის განყოფილებაში მისვლა და დაკითხვის პროცესზე დასწრება, რაც ამ უფლებას სრულიად უაზროს ხდის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატს

და კანონიერ წარმომადგენელს მიეცეს, სულ მცირე, პირისპირ გასაუბრების უფლება არასრულწლოვანთან პოლიციაში მისი დაკითხვის დაწყებამდე.

არასრულწლოვნის უფლებების დაცვის და პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს ასევე, სასამართლო პროცესზე და საგამოძიებო მოქმედებებში მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის უფლება. გამომძიებელს საგამოძიებო მოქმედების წარმოების დროს უფლება აქვს არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლები მოიწვიოს დასასწრებად. თუმცა, იმავდროულად მას შეუძლია არ დააკმაყოფილოს მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების თხოვნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე დასწრების თაობაზე, თუ სარწმუნოების საკმარისი ხარისხით შეუძლია ივარაუდოს, რომ მათი დასწრება უარყოფით გავლენას იქონიებს არასრულწლოვანზე. როგორც წესი, კანონიერი წარმომადგენლების მონაწილეობა სავალდებულოა გონებადაქვეითებული არასრულწლოვნების საქმეთა წარმოებისას, თუ გონებრივი ჩამორჩენილობა არ უკავშირდება სულიერ დაავადებას.

დამნაშავეებად შერაცხულ არასრულწლოვანებს უნდა ჰქონდეთ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40.2 მუხლში გათვალისწინებული სათანადო პროცესის გარანტია. სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი პროცესუალური გარანტიები ისეთი, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, უფლება გაეცნოს წაყენებულ ბრალდებას, უფლება არ მისცეს ჩვენება, უფლება იყოლიოს ადვოკატი, უფლება მშობელთა ან მეურვეთა დასწრებაზე, მოწმესთან პირდაპირი დაპირისპირებისა და ჯვარედინი დაკითხვის უფლება და ზემდგომ ინსტანციებში აპელაციის უფლება.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ წევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის

კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და ის არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედების ან არქმედების მიზეზით, რომლებიც მათი ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით;

ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

I) უდანაშაულობის პრეზუმფცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;

II) მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება – აუცილებლობის შემთხვევაში კი ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით – მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

III) კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) იმისაკენ მიმართული ძალდატანებისაგან თავისუფლება, რომ ბავშვმა მოწმის სახით მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა ან დამოუკიდებლად, ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის

თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;

VI) თარჯიმნის უფასო დანხარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ ლაპარაკობს ამ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

პეკინის წესების 14.2 წესის თანახმად, სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს ურთიერთგაგების ატმოსფეროში, არასრულწლოვანის უმთავრესი ინტერესების დაცვით, რაც საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა პროცესში და გამოხატოს თავისი აზრები. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო“ ასევე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანის შესაძლებლობას დაიცვას თავი და სრულად ხვდებოდეს სასამართლო პროცესის შინაარსს.

იმავედროულად, სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაიყვანოს არასრულწლოვანი განსასჯელი და მის დაუსწრებლად ჩაატაროს ესა-თუ ის სასამართლო მოქმედება, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული სასამართლო მოქმედების, გარემოებების გამოკვლევის განსასჯელის დასწრებით ჩატარებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ მასზე.

არასრულწლოვნის დარბაზში დაბრუნების შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე მას აცნობს მის არყოფნაში მომხდარი განხილვის შინაარსს საჭირო მოცულობითა და ფორმით, აძლევს შესაძლებლობას, კითხვები დაუსვას მისი მონაწილეობის გარეშე დაკითხულ პირებს.

პეკინის წესების მე-8 წესი დეტალურად არეგულირებს სისხლის სამართალწარმოებაში კონფიდენციალურობის საკითხს და ადგენს, რომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვნის უფლებას კონფიდენციალურობაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ზიანის მიყენება არასრულ-

წლოვნის რეპუტაციისათვის. „პრინციპულად არ უნდა იქნას გამოქვეყნებული არავითარი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნებაზე“

როგორც წესი, არასრულწლოვნები განსაკუთრებით მტკივნეულად რეაგირებენ რეპუტაციისათვის ზიანის მიყენებაზე. რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების საკითხთან დაკავშირებული კრიმინოლოგიური გამოკვლევები მოწმობენ ახალგაზრდების მიმართ მუდმივად „სამართალდამრღვევის“ ან „დამნაშავის“ ტერმინების გამოყენების უარყოფით შედეგებზე. რაც თავდაპირველად იწვევს მძაფრ რეაქციას არასრულწლოვნის მხრიდან, ხოლო მოგვიანებით – მისთვის მინიჭებული „სტატუსისადმი“ შეგუებას და შესაბამისად ქცევას.

სსსკ თანახმად, არასრულწლოვნის საქმე, როგორც წესი, განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, რომელზეც დაიშვება კანონით დადგენილი წესით კინო-ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა. მაგრამ სსსკ 16.4 მუხლის თანახმად, საერთო საფუძვლების გარდა, არასრულწლოვნის საქმე მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე შეიძლება განხილული იქნეს მხარის მოთხოვნის შემთხვევაში. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ ღია განხილვამ შეიძლება გამოიწვიოს სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მხრიდან არასრულწლოვანზე უარყოფითი გავლენა (მაგ. დაშინება) ან არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროების თავიდან აცილების და სხვა მიზნით, მაგრამ იმავდროულად, სსსკ 16(7) მუხლის თანახმად, სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება. ამდენად, არ იზღუდება სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ბრალდებული ან მსჯავრდებული არასრულწლოვნების ვინაობის, ან/და ჩადენილი დანაშაულის დეტალების გამოქვეყნება, რაც ეწინააღმდეგება გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მუხლ 40(2)(ბ)(VII)-ს და ჰეკინის წე-

სების მე-8 წესს, რომელთა მოთხოვნითაც სამართალწარმოების ყველა სტადიაზე პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლებას და ამავე დროს არ უნდა გამოქვეყნდეს არავითარი ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება მოხდეს არასრულწლოვანი დამნაშავეის პიროვნების იდენტიფიცირება. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია განაჩენში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ვინაობა მითითებული იქნეს, მისი ვინაობის პირველი ასოების აღნიშვნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული პირის სტიგმატიზაცია და მას და მის ახლო ნათესაებს მიეცეთ ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა.

დისკრეციულ უფლებამოსილება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40-ე მუხლი მოუწოდებს მონაწილე სახელწიფოებს, ბავშვებისათვის თავისუფლების აღკვეთის სანაცვლოდ „ასეთი ბავშვების მიმართ მიიღონ ზომები სასამართლო განხილვის გარეშე“.

არასრულწლოვანთა განსხვავებული განსაკუთრებული მოთხოვნილებების და არსებული ზომების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, აუცილებელია დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისი მოცულობის გათვალისწინება არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის გამოძიების, საქმის სასამართლოში განხილვის, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლის განხორციელებისას. იმავედროულად, ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის ადგენს შემდეგის უზრუნველყოფის აუცილებლობას:

– მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ძირითად დონეზე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების უზრუნველყოფა იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეეძლოთ იმოქმედონ ყოველი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე; და

– კონტროლის ზომების გათვალისწინება დისკრეციული უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი უფლებების გადაჭარბებისას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიშვალდებულება და პროფესიონალიზმი დისკრეციული უფლებამოსილების უმართებულოდ გამოყენების შეზღუდვის საუკეთესო საშუალებაა.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა საქმეებზე გამართივებული წარმოების შესაძლებლობას, რომლის დროსაც პროცესის მწარმოებელ პირს მიენიჭებოდა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ფორმალური სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვნის, რომელმაც:

1. პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, გათავისუფლებას სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მის მიმართ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით როგორცაა მაგალითად გაფრთხილება, ან ქცევის შეზღუდა და ა.შ; ან

2. პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, გათავისუფლებას სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს.

აღნიშნულის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებისათვის კვლავაც საჭიროა სისხლის სამართლებრივი დევნის და სამართლო განხილვის განხორციელება. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ნაკლებად მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენისას არასრულწლოვანი აღიარებს თავის ბრალს და თანახმაა აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყვებული ზარალი, მის მიმართ კვლავაც შეუძლებელია სისხლის სამართლებრივი დევნის და პროცესის შეწყვეტა. ვინაიდან, მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების, გაფრთხილების და ა.შ. გამოყენებისათვის კვლავაც

აუცილებელია სასამართლო განხილვა. პროცესის მწარმოებელ პირს არ გააჩნია საქმის გარემოებებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების და სრულწლოვანთათვის დადგენილი მართლმსაჯულების განხორციელების სისტემიდან არასრულწლოვნის გამოყვანის უფლება.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, პოლიციას არ გააჩნია დისკრეციის უფლებამოსილება პატიმრობაში აყვანილ ბავშვთან დაკავშირებით. მას არ შეუძლია ბავშვის გათავისუფლებისა და მშობლების ან ბავშვთა სახლის მეთვალყურეობაში მისი გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად. გადაწყვეტილებას ამ შემთხვევაშიც სასამართლო იღებს მხარეთა მოსაზრებების მოსმენის და სხვა მტკიცებულებების განხილვის შემდეგ, მაგრამ სსსკ არ ადგენს განსაკუთრებულ წესს არასრულწლოვნებთან მიმართებაში. დისკრეციის უფლებამოსილების უქონლობა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. პოლიციას უნდა მიეცეს გამოძიების დასრულებამდე ბავშვის გათავისუფლების ან სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის უფლებამოსილება.

ზ/ა გამომდინარე პოლიციას და პროკურატურას უნდა ჰქონდეს დისკრეციის უფლება, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვის გამოყვანა მოზრდილთა მართლმსაჯულების სისტემიდან, როგორც გასამართლების ალტერნატიული ზომა. იმავდროულად, ოფიციალური სასამართლო განხილვის ალტერნატივა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებებს, რომლებიც კრძალავს ისეთ ზომებს, როგორიცაა ფიზიკური დასჯა.

სსსკ ითვალისწინებს სსსკ 142-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველის არსებობისას არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით დაკავების გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანის დაკავება დაიშვება, თუ არსებობს შემდეგი საფუძველები:

- ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- ბ) თვითმხილველები, მათ შორის, დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებენ ამ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;
- გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდება ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- დ) პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცირო დაზარალებულმა;
- ე) პირის მიმართ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) ძეხვის წარმოების შესახებ.
- ვ) პირი შესაძლოა მიიმალოს.

პირი დაკავებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და საფუძველზე დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვა პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მისი მიყვანის მიზნით.

დაკავების შემთხვევაში, სსსკ 145-ე მუხლის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია განუმარტოს არასრულწლოვანს მისთვის გასაგებ ენაზე და ფორმით მისი დაკავების საფუძველები და სსსკ-ით მისთვის მინიჭებული უფლებები. კერძოდ, რა დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და ასევე აცნობოს, რომ მას აქვს დამცველის ყოლის, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება და, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ სასამართლოში, სსსკ 73-ე მუხლით ეჭვმიტანილისათვის მინიჭებული უფლებები.

პოლიციელმა, რომელიც ახორციელებს დაკავებას, დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი, თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს პოლიციის დაწესებულებაში არასრულწლოვანი დაკავებულის მიყვანისთანავე.

დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, კანონში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ეჭვმიტანილი, მისი პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ეჭვმიტანილის უფლებების ჩამონათვალი, აგრეთვე შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამო შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე. ოქმს ხელს აწერენ თანამდებობის პირი ან მოქალაქე, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი დამცველი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ეჭვმიტანილის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე დაკავების ოქმს ხელმოწერით ადასტურებს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი.

არასრულწლოვნის დაკავებიდან არა უგვიანეს 3 საათისა გამოძიებელმა და პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინონ არასრულწლოვნის ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთები არ არსებობენ, – რომელიმე ნათესავს ან ახლობელს. შეტყობინების ასლი ან მისი დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი საქმეს თან ერთვის.

სსსკ არ ადგენს არასრულწლოვნების მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს და ადგენს, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებაშიც, დაკავების ვადა დაკავების მომენტიდან ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. აღნიშნული ვადის გასვლამდე არასრულწლოვანს უნდა წაუყენონ ბრალდება და სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაიკითხოს, როგორც ბრალდებული, რის შემდეგაც გამოძიების ორგანოს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ. თუ მომდევნო 24

საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ექვემოტანილი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს, თუ მას დაკავების ვადის განმავლობაში ბრალდება არ წარედგინა.

დაკავება და აღკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ უნდა დაკითხოს არასრულწლოვანი დაპატიმრების გამოყენების აუცილებლობის დადგენის მიზნით. დაუსაბუთებლად და აუცილებლობის გარეშე დაპატიმრების გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს არასრულწლოვანზე, მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე და იწვევს სხვა ნეგატიურ შედეგებს.

თავისუფლებაა აღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესების მე-18 წესის შესაბამისად, სსსკ 136-ე მუხლი ითვალისწინებს დაკავებულის უფლებებს, რომლებიც ასევე ვრცელდება არასრულწლოვან დაკავებულებზეც:

1. პირი, რომლის მიმართაც გამოყენებულია სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, ინარჩუნებს თავის კონსტიტუციურ სტატუსს, მოქალაქეობას, სამართალსუბიექტურობას და სარგებლობს სახელმწიფო დაცვით.
2. დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს აქვს უფლება შეძლებისდაგვარი შრომისა, რომელიც ანაზღაურდება მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. აგრეთვე, უფლება ნორმალური დასვენებისა, რომელიც საკმარისია ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. აღნიშნულ პირს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, კანონმდებლობის შესაბამისად, უნარჩუნდება შრომის სამართლებრივი ურთიერთობა საწარმოსთან, ორგა-

ნიზაციასთან ან დაწესებულებასთან, სადაც ის მუშაობდა დაკავების, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების წინ; საცხოვრებელი ბინის უფლება; საკუთრების უფლება მესაკუთრის ცალკეული უფლებამოსილების დროებით შეზღუდვით; ქონების ანდერძით და მემკვიდრეობით გაცემის უფლება; დაქორწინების უფლება; შემოქმედებითი საქმიანობის უფლება; კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საერთო მოქალაქეობრივი უფლებები; პოლიტიკურ ცხოვრებაში – არჩევნებში, რეფერენდუმებში, პლებისციტში, საყოველთაო-სახალხო განხილვაში მონაწილეობის უფლება.

3. დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანს საშუალება უნდა ჰქონდეს მიიღოს ზოგადი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამით.
4. აღნიშნული პირის განთავსების ადგილის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თავისი ინტერესების დაცვის უნარს. დაკავებულისადმი ან დაპატიმრებულისადმი სასტიკი მოპყრობა, მისთვის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება ისჯება კანონით.
5. დაკავებულ, დაპატიმრებულ ან სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსებულ პირს აქვს ჰუმანური მოპყრობის უფლება. მის მიმართ გამოყენებული შეზღუდვა არ უნდა იყოს იმაზე უფრო მკაცრი, რაც საჭიროა მისი გაქცევის ან სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის მცდელობის თავიდან ასაცილებლად.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ თითოეული არასრულწლოვნის უფლება ღირსეულ მოპყრობაზე. პეკინის წესების და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს ყველა

თანამშრომელმა, რომელიც რეგულარულად იღებს მონაწილეობას არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეთა წარმოებაში, უნდა გაიაროს შესაბამისი მომზადება ბავშვის განვითარებისა და მის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში. სსსკ თანახმად, არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ საქმის წარმოების უფლება ენიჭებათ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

ვინაიდან, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან არასრულწლოვნების უფლებების დარღვევას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, სსსკ თანახმად, მათ ეკისრებათ სისხლის სამართლის პროცესში მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად და ზედმიწევნით განხორციელების ვალდებულება. სწორედ ამიტომ, სსსკ ითვალისწინებს პროცესის მწარმოებელი პირის უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების გასაჩივრების და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას პროცესის მწარმოებელი შესაბამისი პირის ბრალისდა მიუხედავად, ხოლო „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების ან მათი თანამშრომლების მიერ არასრულწლოვნის უფლებათა დარღვევის თაობაზე საჩივრების გამოძიების ეფექტიან და დამოუკიდებელ მექანიზმებს.

მოქმედი სსსკ ითვალისწინებს არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას იმისათვის, რომ:

- თავი არ აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს,
- აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა,
- ხელი არ შეეშალოს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას,
- უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

- პირი მიიმალება, ან
- არ გამოცხადდება სასამართლოზე,
- გაანადგურებს მტკიცებულებებს,
- დაემუქრება პროცესის მონაწილეებს ან
- ჩაიდენს ახალ დანაშაულს-არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი აღკვეთის ღონისძიება:

- დაპატიმრება,
- გირაო,
- პირადი თავდებობა,
- აგრეთვე არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და

- სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ აცნობებენ მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ ასეთი არ არის, – სხვა ნათესავებს.

სსსკ არ ადგენს განსაკუთრებულ წესს არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ ზ/ა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, რის გამოც ჩვენ არ განვიხილავთ აღკვეთის ღონისძიებების ამ სახეებს და მათ ზოგად დახასიათებას.

სსსკ 140.17 მუხლის თანახმად, ბრალდებულს, მის დამცველს, პროკურორს უფლება აქვთ, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართონ სასამართლოს, გამოძიების ადგილის მიხედვით. დამცველის მიერ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა დასაშვებია მხოლოდ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არასრულწლოვანია,

პეკინის წესების მე-13 წესის თანახმად, „წინასწარი პატიმ-

რობა გამოიყენება მხოლოდ როგორც განსაკუთრებული ზომა და დროის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში“. წინასწარი პატიმრობა სასამართლომდე შეძლებისდაგვარად უნდა შეიცვალოს სხვა ალტერნატიული ზომებით, ისეთი, როგორცაა მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოები ანდა ოჯახში ან აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. იმავდროულად, სასამართლო უფლებამოსილია აღკვეთის ღონისძიების სახით პირს შეუფარდოს პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით“. მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს სპეციალურ მითითებას იმაზე, რომ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენება არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ გამოიყენებოდეს უმოკლესი ვადით.

აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება, როგორც წესი, არ გამოიყენება არასრულწლოვნის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1. მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე მეტი ვადით, სხვა აღკვეთის ღონისძიება კი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას,
2. მას ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წელზე ნაკლები ვადით და არასრულწლოვანმა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

არასრულწლოვან ბრალდებულს არ შეიძლება შეეფარდოს წინასწარი პატიმრობა ან აღკვეთის სხვა ღონისძიება, თუ უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლითა და 159-ე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება, უნდა მოათავსონ სრულწლოვანი პატიმრებისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით.

არასრულწლოვანს, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებულია დაპატიმრება, უფლება აქვს შეხვედეს თავის ახლო ნათესავებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ბრალდებულს და მის ახლო ნათესავებს უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთან შეხვედრაზე უარი.

არასრულწლოვნის გადაცემა სამეთვალყურეოდ. არასრულწლოვანი შეიძლება მეთვალყურეობისათვის გადაეცეს მშობლებს, მეურვეებს, მზრუნველებს ან დახურული საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას, თუ არასრულწლოვანი იქ იზრდება, ანდა სასამართლო ბრძანებით მოთავსდეს სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში.

არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემა ნიშნავს, რომ აღნიშნულ პირთაგან რომელიმემ წერილობით უნდა იკისროს ვალდებულება, უზრუნველყოს :

— არასრულწლოვნის გამოცხადება გამომძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში,

— ბრალდებულის იმ სხვა ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც ჩამოთვლილია სსსკ -ის 74-ე და 77-ე მუხლებში.

სწორედ ამიტომ, სსსკ თანახმად, მშობლების, მეურვეების, მზრუნველების ან სხვა პირთათვის არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემა დაიშვება მხოლოდ მათი და თვით არასრულწლოვნის თანხმობით.

არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემის წინ გამოძიებელმა, პროკურორმა, სასამართლომ უნდა გაარკვიონ მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველების პიროვნება, არასრულწლოვანთან მათი ურთიერთობა და დარწმუნდნენ, რომ ისინი ჯეროვან მეთვალყურეობას გაუწევენ მოზარდს.

მშობლებს, მეურვეებს, მზრუნველებს უფლება აქვთ ნებისმიერ მომენტში უარი თქვან არასრულწლოვნისათვის მეთვალყურეობის გაწევაზე:

- ავადმყოფობის,
- მოუცლელობის,
- მასთან ურთიერთობის გაუარესებისა
- სხვა მიზეზით მისთვის ჯეროვანი მეთვალყურეობის გაწევის უზრუნველყოფის შეუძლებლობის გამო.

ვინაიდან, სსსკ 650-ე მუხლის თანახმად თუ ბრალდებული არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, იმ პირებს, რომლებიც მას მეთვალყურეობას უწევენ:

– სასამართლომ შეიძლება დააკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების ათ მინიმალურ ოდენობამდე სსსკ 206-ე მუხლით დადგენილი წესით, და

– უფლება არა აქვთ თავი იმართლონ იმ საბაბით, რომ არ ჰქონდათ ბრალდებულის ქცევის კონტროლის შესაძლებლობა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დაამტკიცებენ დაუძლეველი ძალის მოქმედებას),

ამიტომ პროცესის მწარმოებელმა პირმა არასრულწლოვნის სამეთვალყურეოდ გადაცემის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა აცნობონ ბრალდების არსი, რომლის გამოც არჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს, და მათი პასუხისმგებლობა, თუ არასრულწლოვანი ჩაიდენს ქმედებას, რომლის თავიდან ასაცილებლად გადაცემულია იგი სამეთვალყურეოდ. ეს მონაცემები აისახება სამეთვალყურეოდ გადაცემის ოქმში ან სასამართლო სხდომის ოქმში.

არასრულწლოვნის მოთავსება სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 651-ე მუხლით გათვალისწინებულია არასრულწლოვნის მოთავსება სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ბრალდებულის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამო, მისი დატოვება ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე შეუძლებელია. სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში არასრულწლოვნის მოთავსების საფუძველია მოსამართლის ბრძანება ან სასამართლოს განჩინება.

პირი, რომლის მიმართაც გამოყენებულია ეს ღონისძიება, უნდა მოთავსდეს იმ სხვა არასრულწლოვანთან განცალკევებით, რომლებიც სპეციალურ დახურულ საბავშვო დაწესებულებაში სხვა საფუძველზე იმყოფებიან.

სსსკ თანახმად, პეკინის წესების და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად, არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ საქმის წარმოების უფლება ენიჭებათ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, პროკურორებს და გამომძიებლებს, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში.

ბავშვის უფლებათა გაეროს კონვენციის მე-40 მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვა ალტერნატიული ზომებით შეცვლის შესაძლებლობას. შეცვლა გულისხმობს სასამართლო განხილვასთან არ დაკავშირებული ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას პირის პროცესუალური გარანტიების და ადამიანის უფლებების დაცვის პარალელურად. კერძოდ, „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ 40.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრი სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ განახორციელონ „ზომები სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვნების მიმართ გაფრთხილების და სხვა აღმზრდელითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას, იგი აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს სასამართლოს მიერ და შესაბამისად არ ადგენს არაფორმალური მართლმსაჯულების პრინციპებს და ფორმებს მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია არ უკავშირდება მხოლოდ საზოგადოების დაცვას. მისი მთავარი ამოცანაა არასრულწლოვანთა დახმარება, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები და განახორციელონ თავიანთი პოტენციალი. რაც პირველ რიგში გულისხმობს არასრულწლოვნის სასამართლოსთან და სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან კონტაქტის მინიმუმადე შემცირებას.

სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ კანონმდებლობაზე საუბრისას მთელ მსოფლიოში აღინიშნება ორი ძირითადი მიმართულება:

1. ალტერნატიული გამოყენების შემთხვევების და სახეების მკაფიო და ცალსახა რეგლამენტირება.
2. ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების მხოლოდ სავალდებულო და დაუშვებელი შემთხვევების რეგლამენტაცია, და მათი სანიმუშო ჩამონათვალი.

სამართალდარღვევის ჩამდენ არასრულწლოვნებთან მიმართებით, როგორც წესი, გამოიყენება სამი მიდგომა:

1. სადამსჯელო მოდელი (სასჯელი) – როგორც წესი სამართალდამრღვევის მაქსიმალურად ობიექტური დასჯა. რაციონალური მოდელი, რომლის საპროცესო ნორმები დაწვრილებით არის გაწერილი, რაც თვითნებური და ზედმეტად მკაცრი სასჯელების გამოყენების თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა იმავდროულად ის კონცენტრირებულია სამართალ-
დამრღვევზე და პრაქტიკულად ჯეროვანი ყურადღების მიღმა
ტოვებს დაზარალებულის ინტერესებს.

2. სარეაბილიტაციო მოდელი (დაცვა) – სამართალდამრღვე-
ვის დახმარება, რომ იგი იქცეს კანონმორჩილ პირად, რაც
ემყარება არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის
პრინციპს, მისი პრობლემების გადაჭრაში დახმარებას მაგრამ არ
ითვალისწინებს არასრულწლოვნის დელინკვენტურ ქცევას და
სამართლებრივი პრინციპების (უდანაშაულობის პრეზუმფციის
პრინციპის) პატივისცემას.

3. აღდგენითი მოდელი – ჩადენილი ზიანის გამოსწორება.
აღნიშნული მოდელი უპირატესობას ანიჭებს საზოგადოებრივად
სასარგებლო შრომის გამოყენებას. მოსამართლეს ენიჭება დისკრე-
ციული უფლებამოსილება, შეარჩიოს კონკრეტულ შემთხვევაში
ყველა მხრისათვის მისაღები გადაწყვეტილება და უზრუნველყოს
მხარეთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა.

პროგრესული კრიმინოლოგია უპირატესობას ანიჭებს სასჯე-
ლის ისეთი ზომების გამოყენებას, რომლებიც არ არის დაკავ-
შირებული გამასწორებელ დაწესებულებებში არასრულწლოვნის
მოთავსებასთან. დადგენილია, რომ უკეთეს შემთხვევაში, გამას-
წორებელ დაწესებულებაში მოთავსებით მიღწეულ შედეგებს
მხოლოდ უმნიშვნელო უპირატესობა აქვთ სასჯელის ალტერნა-
ტიული ზომების გამოყენებასთან შედარებით. პიროვნებისათვის
მრავალრიცხოვანი უარყოფითი შედეგები, რომლებიც, სავარაუ-
დოდ გარდუვალია ნებისმიერ გამასწორებელ დაწესებულებაში
მოთავსებისას, ვერ გაბათილდება გამასწორებელი საბუშაოებით.
ეს დებულება განსაკუთრებით სამართლიანია არასრულწლოვანთა
მიმართ, რომელნიც ადვილად ექცევიან უარყოფითი გავლენის ქვეშ.

ამას გარდა, თავისუფლების აღკვეთასთან და საზოგადოებისაგან
იზოლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგები არასრულ-
წლოვანების მიმართ უფრო აშკარად იჩენს თავს (წესი 19).

სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუშალოს და თავიდან აიცილოს სამართალდამღვევი არასრულწლოვნების დამნაშავეებად ფორმირება. რაც გულისხმობს, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას და სასჯელის განსაზღვრისას პროცესის მწარმოებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი გარემოებები როგორცაა მაგ. სილატაკე, შიში, და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს

- ა) ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
- ბ) არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
- გ) შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;
- დ) უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;
- ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით;
- ვ) უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;
- თ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა ოდენობით;
- ი) გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;
- კ) სამოქალაქო სარჩელის ან/და ქონების ჩამორთმევის საკითხს;
- ლ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;
- მ) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება;
- ნ) ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები და რა ოდენობით;

ო) დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა.

არასრულწლოვანი განსასჯელის მიმართ განაჩენის დადგენისას, აღნიშნული საკითხების გარდა, მოსამართლე ვალდებულია განიხილოს:

– გამოიყენოს თუ არა არასრულწლოვნის მიმართ ისეთი სასჯელი, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან

– გამოიყენოს თუ არა არასრულწლოვნის მიმართ ისეთი სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან

– საჭიროა თუ არა, პირობითი მსჯავრდების შემთხვევაში, არასრულწლოვანს დაენიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელი.

– გადავადონ თუ არა განაჩენის აღსრულება.

არასრულწლოვანის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, მის მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების, ან სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ის გარემო, რომელმაც გავლენა მოახდინა არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა.

გადავადების შემთხვევაში განაჩენის გაცხადების შემდეგ მოსამართლე განსასჯელს განუმარტავს გადავადების არსს და პირობებს და მისი დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

პირობითი მსჯავრის ან გადავადების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დროულად გადაუგზავნოს განაჩენის ასლი შესაბამის თანამდებობის პირს/ორგანოს არასრულწლოვანზე ჯეროვანი კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სასჯელისაგან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მის მიმართ უფრო მიზანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, რომელსაც სსკ 91-ე მუხლის თანახმად მიეკუთვნება:

- გაფრთხილება,
- საზედამხედველოდ გადაცემა,
- ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება,
- ქცევის შეზღუდვა, ან
- სპეციალურ აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

იმავედროულად, კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვნის მიმართ ერთდროულად აღმზრდელობითი ზემოქმედების რამდენიმე იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას.

აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განაჩენი საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და აღმზრდელობითი ხასიათი იძულებითი ზომების გამოყენების შესახებ. სასამართლოს განაჩენი აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი სისტემატურად დაარღვევს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით გაუქმდება და მასალები გადაიგზავნება სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოში არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე (ბ) მუხლის თანახმად, ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელ-

დება კანონის შესაბამისად და განიხილება მხოლოდ უკიდურეს ზომად, ისიც რაც შეიძლება მცირე დროით“.

შესაბამისად, არასრულწლოვნისათვის თავისუფლების აღკვეთა და გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსება განიხილება მხოლოდ უკიდურეს ზომად და ისიც რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში“, ხოლო სასჯელი, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას- შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერ შემთხვევაში. „თავისუფლების აღკვეთის განაჩენი არ გამოიტანება, თუ არასრულწლოვან დამნაშავეს ბრალი არ ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში (ძალადობის ან სხვა სერიოზული დანაშაულის ჩადენის მცდელობაში) და არსებობს მისი დასჯის სხვა გზა.

ასეთ შემთხვევაში ძირითადი ფაქტორი არასრულწლოვანი დამნაშავის კეთილდღეობაა“.

დაკავებულ არასრულწლოვნებს ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც სრულწლოვნებს. ეს არის ადამიანურად მოპყრობის, მშობლებთან კონტაქტის შენარჩუნების, დაკავების მიზეზის ცოდნის, იურიდიული დახმარების და დაკავების სამართლიანობაში ეჭვის შეტანის უფლებები. გარდა ამისა, მათ აქვთ ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლში გათვალისწინებული უფლება, არ მოათავსონ ერთ საკანში უფროსებთან ერთად, აგრეთვე უფლება ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ესაჭიროება მათი ასაკის ადამიანებს.

დაპატიმრებულ არასრულწლოვან დამნაშავეებზე უნდა ვრცელდებოდეს ის ღონისძიებები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობის შენარჩუნებას, განავითარებს მათში პასუხისმგებლობის გრძნობას, ჩამოუყალიბებს სხვადასხვა უნარჩვევას, რაც საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს მათი, როგორც საზოგადოების წევრების, სრული პოტენციალის განვითარებას“. გაერო-ს თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან დამნაშავეთა

დაცვის წესებში“ პრიორიტეტი ენიჭება არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაციის საკითხს.

ICCPR-ის მუხლი 9-ს მიხედვით, პენიტენციალურ სისტემაში პატიმართა მოპყრობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მათი გარდაქმნა და სოციალური რეაბილიტაცია. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მუხლი 40(1)-ში აღნიშნულია, რომ ბავშვებისადმი მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში მათ მიერ სასარგებლო როლის შესრულებას.

§3. საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹-ე მუხლის მიხედვით „საპროცესო შეთანხმება“ საფუძველია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისა. მაგრამ, როგორ მიიღწევა თვით „საპროცესო შეთანხმება“? „საპროცესო შეთანხმების“ საფუძველად მიჩნეულია „შეთანხმება ბრალზე“ ან „სასჯელზე“. ე.ი. მიღწეულ, რომ იქნას „საპროცესო შეთანხმებამდე“, მანამდე შეთანხმება უნდა მოხდეს „ბრალზე“ ან „სასჯელზე“. რაც, იურიდიული აზროვნებიდან გამომდინარე არასწორად მიგვაჩნია. ეს საკითხი უფრო სწორადაა გადაწყვეტილი, როგორც ანგლოსაქსური ისე რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობით, სადაც „საპროცესო გარიგების“ დადების საფუძველია პირის გამოცხადება ბრალის აღიარებით და გარიგება წარდგენილ ბრალდებაზე (ბრალდებებზე) და არა ბრალზე. „პირის ბრალის აღიარებით“ გამოცხადება და „გარიგება წარდგენილ ბრალდებაზე (ბრალდებებზე)“ სრულიად სხვა შინაარსობრივი დატვირთვისანი არიან ვერ გაუტოლდებიან შინაარსობრივად „ბრალზე“ გარიგებას, ბრალი სრულიად სხვა შინაარსობრივი აზრის მტვირთველია. ბრალი და ბრალდება ერთი

და იგივე არ არის. „ბრალთან“ მიმართებაში უამრავი თეორია არსებობს, ბრალის ბუნებას ისინი სხვადასხვაგვარად ხსნიან, ასე მაგალითად, „ფსიქოლოგიური თეორიის“ მიხედვით „ბრალი არის — პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი“; ხოლო „ნორმატივისტული თეორიის“ მიხედვით: „ბრალი არის პირის ინდივიდუალური გაკიცხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების განზრახვან გაუფრთხილებლობით ჩადენის გამო“; ე.წ. „ბრალის შერეული თეორიის“ (ნორმატივისტულ-ფსიქოლოგიური) მიხედვით: „ბრალი არის პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისადმი და ამ ქმედებით გამოწვეული შედეგისადმი“. საინტერესოა, კანონმდებელმა „ბრალზე“ არსებული რომელი თეორია დაუდო საფუძველად „საპროცესო შეთანხმების“ ისეთ საფუძველს, როგორიცაა „შეთანხმება ბრალზე“? სწორი იურიდიული და ლოგიკური მსჯელობიდან გამომდინარე, ბრალზე არსებული ზემოთ ხსენებული თეორიების შენაარსიდან გამომდინარე არ არის მართებული გამოვიყენოთ გამოთქმა — „შეთანხმება ბრალზე“ საფუძველია „საპროცესო შეთანხმებისა“, რამეთუ თვითონ „ბრალის“ ბუნება გამორიცხავს მასზე შეთანხმებას. გარდა ამისა პირის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა. არ შეიძლება ეს უფლება, თუნდაც იშვიათად გადაეცეს პროკურორს. არადა თუ ვაღიარებთ, რომ პროკურორი ბრალდებულს ურიგდება ბრალზე, გამოდის ის ადგენს კიდევ მის ბრალეულობას და სასამართლოს დასადგენი არაფერი რჩება. სასამართლო რგოლი იმის მაგივრად, რომ ძლიერდებოდეს, სუსტდება და მთელი დატვირთვა გადადის სასამართლომდელ წარმოებაზე.

სულ სხვაა თუ ვისაუბრებთ, რომ „პირის ბრალის აღიარებით“ გამოცხადება საფუძველია „საპროცესო შეთანხმებისა“. რატომ? უპირველეს ყოვლისა ამ გამოთქმაში იგულისხმება ის, რომ პირი სავარაუდოდ უშვებს, რომ მან ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო

ქმედება (დანაშაულია თუ არა ქმედება – სასამართლოს განსჯადია ეს სფერო), რასაც ინანიებს, განიცდის და მზად არის დაეხმაროს სამართალწარმოების ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში და აგოს პასუხი ჩადენილი ქმედებისათვის; მეორეს მხრივ, პირი შეიძლება არ ინანიებდეს, სულაც არ განიცდიდეს ჩადენილ ქმედებას, პირიქით ამართლებდეს საკუთარ თავს, მაგრამ მიაჩნდეს, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება და მზად არის, დაეხმაროს კიდევ გამოძიებას და პასუხიც აგოს ჩადენილი ქმედებისათვის. აი, ეს მოქმედება „ბრალის აღიარებით“ გამოცხადება წარმოჩნდება, როგორც პირის (ე.ი. საზოგადოებისათვის ნაკლები საშიშროების მქონე) შემამსუბუქებელი გარემოება და ნიადაგის შემზადებად გარიგება მოხდეს ბრალდებაზე (ბრალდებებზე) და არა ბრალზე. ეს კი გულისხმობს იმას, რომ პირს ბრალდებაზე გარიგებით პროკურორმა მოუხსნას უფრო მძიმე ბრალდება (ბრალდებები) და წარუდგინოს ნაკლებად მძიმე ბრალდება (როგორც ამას ადგილი აქვს მაგ. აშშ).

რაც შეეხება „შეთანხმებას სასჯელზე“ სრულიად ზედმეტად გვეჩვენება (თუმცაღა მის შინაარსში შეინიშნება სწორი იურიდიული მსჯელობის მარცვალი, როგორიცაა ბრალდებული (განსასჯელი) არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას. მართებულადაა გაკეთებული აქცენტები ბრალდებაზე და არა ბრალზე). საინტერესოა, რას გულისხმობს კანონმდებელი გამოთქმაში ბრალდებული (განსასჯელი) არ ეწინააღმდეგება წაყენებულ ბრალდებას. თუ ვიფიქრებთ, რომ მხედველობაშია პირის ბრალის აღიარებით გამოცხადება, ლოგიკა ასეთია, რომ იგი ცნობს წაყენებულ ბრალდებას და ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ე.წ. „შეთანხმება ბრალზე“, ხოლო თუ ბრალდებული (განსასჯელი) ინარჩუნებს დუმილის უფლებას (ე.ი. არ ცნობს წარდგენილ ბრალდებას), მაგრამ მის მიმართ წარდგენილი ბრალდება გამყარებულია იმ მტკიცებულებათა ერთობლიობით,

რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, რატომ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ბრალდებულს (განსასჯელს) შეუთანხმდეს პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად განთავისუფლებაზე?! ლოგიკურია, თუ დავასკვნით, რომ სასჯელის ზომაზე შეთანხმება მოხდება ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ, ამაზე მეტყველებს მომდევნო პირობა „ან მისგან სრულად განთავისუფლება“. ჩნდება კითხვა: რა სარგებელს იღებს ამ გარიგებით პროკურორი? თუ იმ სარგებელზეა ლაპარაკი, რაზედაც საზოგადოების წევრები საუბრობენ – „ხდება ბრალდებულის (განსასჯელის) მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე გარკვეული რაოდენობის თანხების გადახდა, ეს ცუდია. ცუდია იმდენად, რამდენადაც ბრალდებულს (განსასჯელს) ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის სასჯელის სახით გარკვეულ თანხას ახდევინებენ (რაც არ არის გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობით), ეს კი იმოქმედებს ბრალდებულის (განსასჯელის) არა გამოსწორებაზე, სულიერ აღზრდაზე, არამედ სტიმულიატორის როლს ითამაშებს – ის თანხა, რომელიც მან გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, კვლავ შეივსოს და მეტიც მიიღოს, როგორ, რა გზებით, ისევ და ისევ დანაშაულებრივი გზით (ეს ხომ მის პროფესიადაა ქცეული), თუ კიდევ მისცემენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ისევ ფულადი თანხების გადახდით იყიდის თავისუფლებას. ამით კი, იმის თქმა გვინდა, რომ ასეთი ფორმით „საპროცესო შეთანხმების“ გამოყენება მიგვიყვანს იქამდე, რომ დაიკარგება არა მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის მიზანი, არამედ გაუფასურდება სასჯელის მიზანიც. მართალია კანონმდებელმა, საზოგადოებაში მორალური ხმების გასაფანტად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლში ჩადო, რომ: „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება სასამართლოს შეუძლია დანიშნოს არა მხოლოდ შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის

ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი, არამედ გასცდეს კონკრეტული მუხლის სანქციას და დანიშნოს უფრო მსუბუქი სასჯელი“, მაგალითად ჯარიმა და ამ ჯარიმის დანიშვნით სამართლებრივად გაამყაროს ბრალდებულის (განსასჯელის) მხრიდან გადახდილი თანხა. კანონმდებელმა თითქოს სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცია ბრალდებულის (განსასჯელის) მხრიდან თანხის შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში უფრო მსუბუქი სასჯელის ანდა სულაც სასჯელისაგან განთავისუფლების მიზნით, მაგრამ ამით, ვფიქრობთ, დააკანონა უსამართლობა.

ბუნდოვანია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹-ე მუხლის მე-ნ ნაწილის შინაარსიც, სადაც საუბარია იმაზე, რომ: „...პროკურორი უნდა ითვალისწინებდეს საჯარო ინტერესს, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს და ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხს“. ე.ი. კანონმდებელი საუბრობს არა მართო ბრალეულობის, არამედ მართლწინააღმდეგობის ხარისხზეც, საინტერესოა, კანონმდებელი „ქმედების მართლწინააღმდეგობის“ რა ხარისხზე ლაპარაკობს? მართლწინააღმდეგობას ხარისხი არ ახასიათებს, შეიძლება ვისაუბროთ ბრალის ხარისხზე და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, ხოლო ქმედება შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო ან არ იყოს ასეთი. ვფიქრობთ, „ქმედების მართლწინააღმდეგობისა“ ეს სიტყვები აღნიშნული მუხლის ნაწილში ზედმეტია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ხაზგასმით არ აღნიშნავს თუ, რომელი კატეგორიის დანაშაულის ჩადენის დროს შეიძლება იქნას გამოყენებული „საპროცესო შეთანხმება“. 679¹-ე მუხლის მეექვსე ნაწილის შინაარსიდან იკვეთება მხოლოდ ის, რომ პროკურორმა „საპროცესო შეთანხმების“ დადების დროს უნდა გაიაზროს „საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე და ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხი“,

რაც ზოგად განაცხადად მიმაჩნია, ამასთანავე შესაძლებლობას იძლევა გამოყენებული იქნას ნებიერი კატეგორიის დანაშაულის ჩადენის დროს. ვფიქრობთ, „საპროცესო შეთანხმების“ „ინსტიტუტი“ საქართველოს სახელმწიფოს სინამდვილეში შეძლებს მუშაობას, თუ მას ადგილს დაუთმობთ გარკვეული კატეგორიის დანაშაულში. კერძოდ კი, მხედველობაში გვაქვს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული და სამეწარმეო და საფინანსო სფეროში ჩადენილი დანაშაული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით საპროცესო შეთანხმება იდება ბრალდებულს (განსასჯელსა) და ზემდგომ პროკურორს შორის წინასწარ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. საპროცესო შეთანხმების დადებისას დამცველის უშუალო მონაწილეობა სავალდებულოა. საპროცესო შეთანხმების დადების ინიციატივით, შეიძლება გამოვიდეს, როგორც ბრალდებული (განსასჯელი), ისე პროკურორიც. კანონმდებელი ნებას რთავს სასამართლოსაც (მოსამართლეს) სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, ვიდრე დაიწყებოდეს სასამართლო კამათი შესთავაზოს მხარეებს წერილობითი საპროცესო შეთანხმების დადება.

საპროცესო შეთანხმების დადების დროს, პროკურორი ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული (განსასჯელი), რომ იგი აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე არ თავისუფლდება სამოქალაქო ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. რომ, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, მას შეიძლება შეუმცირდეს სასჯელი ან დანაშაულთა ერთობლიობისას შეუმსუბუქდეს ბრალდება, ან ნაწილობრივ მოეხსნას იგი. განსაკუთრებულ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ბრალდებულს (განსასჯელს) მოეხსნას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაც, თუ ამის თაობაზე სასამართლოს მიმართავს საქართველოს გენერალური პროკურორი ან მისი მოადგილე.

საპროცესო შეთანხმება ბრალდებულსა (განსასჯელსა) და

ზემდგომ პროკურორს შორის, იმის თაობაზე, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე იქნეს განაჩენი გამოტანილი უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ საჯარო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების მნიშვნელოვანი საფუძველი. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს პროკურორი. შუამდგომლობაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ შეთანხმება ფორმდება ბრალდებულის (განსასჯელის) მხრიდან ნებაყოფლობით დამცველისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ. ბრალდებული (განსასჯელი) სრულყოფილად აღიქვამს შუამდგომლობის შინაარსს და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს. შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველი და ბრალდებული (განსასჯელი).

სასამართლო (მოსამართლე) ვიდრე დაამტკიცებდეს საპროცესო შეთანხმებას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, უნდა დარწმუნდეს, რომ: ა) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაც ბრალდება; ბ) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს; გ) ბრალდებულისთვის (განსასჯელისთვის) ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ; დ) ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიაწვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას; ე) ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი კონსტიტუციური უფლებები: დაცვის უფლება; უფლება უარი განაცხადოს შეთანხმებაზე ბრალის აღიარების შესახებ; უფლება სასამართლოს

მიერ საქმის არსებით განხილვაზე; ვ) საპროცესო შეთანხმება არ არის შედგეგი ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს; ზ) ბრალდებული (განსასჯელი) ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს; თ) ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში; ი) ბრალდებული და მისი დამცველი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია უშუალოდ ბრალდებულისაგან მოისმინოს, რომ მის მიმართ პოლიციელების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან ადგილი არ ჰქონია წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების ირგვლივ მიიღებს რა სასამართლო (მოსამართლე) დადებით პასუხს, მოსამართლე უფლებამოსილია კანონის საფუძველზე და აუცილებლად შექმნილი შინაგანი რწმენის საფუძველზე დაამტკიცოს პროკურორსა და ბრალდებულს (განსასჯელს) შორის მიღწეული შეთანხმება, და აქედან გამომდინარე გამოიტანოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ. მას შემდეგ, რაც სასამართლო (მოსამართლე) მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი პირის მიმართ წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად, ხოლო მოთხოვნილი სასჯელი კანონიერია, მას გამოაქვს განაჩენი პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან 15 დღის ვადაში. განაჩენს ხელს აწერს საქმის განმხილველი მოსამართლე (სასამართლო შემადგენლობა).

თუ სასამართლო (მოსამართლე) ჩათვლის, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს პირის ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი ან საპროცესო კანონ-

მდებლობის მოთხოვნათა დარღვევითაა შედგენილი პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, იგი საქმეს უბრუნებს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად. თუმცაღა სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, ვიდრე პროკურატურას დაუბრუნებს საქმეს, მანამდე მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. მხარეებს უფლება აქვთ განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. თუკი განაჩენის გამოტანამდე ბრალდებული (განსასჯელი) უარს იტყვის საპროცესო შეთანხმების დადებაზე, მას არ სჭირდება დამცველის თანხმობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

კანონმდებელი სასამართლოს (მოსამართლეს) ანიჭებს უფლებას, თუ იგი პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევს, შეუძლია შეამსუბუქოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებას. თუმცა, მსჯავრდებულისა და პროკურორის მიმართ გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებს ითვალისწინებს, ასე მაგალითად, მსჯავრდებულს უფლება აქვს განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ:

- ა) საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით;
- ბ) ბრალდებულს (განსასჯელს) შეეზღუდა დაცვის უფლება;
- გ) საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით;
- დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ (მოსამართლემ) უგულებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათ-

ვალისწინებული არსებითი მოთხოვნები საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.

რაც შეეხება პროკურორს, მას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე მაშინ აქვს, თუ ბრალდებული (განსასჯელი) დაარღვევს საპროცესო შეთანხმებაში ასახულ პირობებს. საჩივარი პროკურორს შეაქვს დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

სისხლის სამართლის საქმეში, რომელზედაც განაჩენი დადგა საქმის არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, დაზარალებულს ფაქტობრივად არ გააჩნია საპროცესო უფლებაუნარიანობა. იგი ინფორმაციას საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ იგებს პროკურორისაგან. მას არა აქვს უფლება გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენი. არის მოსაზრება დაზარალებულს მიეცეს გასაჩივრების უფლება აღნიშნული წესით გამოტანილი განაჩენისა. მაგრამ ამასთან დაკავშირებით კითხვაც ჩნდება, რას მისცემს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება? და დაზარალებულისათვის საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების მიცემის უფლება, დაუტოვებს ბრალდებულს ინტერესს საპროცესო შეთანხმების დადებისა? პირველ კითხვასთან დაკავშირებით პასუხი ასეთი იქნება, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება დაზარალებულს არაფერს შემატებს, ბრალდების მხარედ პროკურორი მას არ ეყოლება, პროკურორმა თავისი ნება გამოხატა საპროცესო შეთანხმების დადებით, თუ დაუშვებთ იმას, რომ დაზარალებული დაუჭერს მხარს ბრალდებას, მისი ბრალდება სამართლებრივად არ იქნება გამყარებული, იგი მხოლოდ და მხოლოდ ემოციებზე და შურისძიებაზე აიგება და მას დაზარალებულისათვის წარმატების მოტანა ნაკლებად შეუძლია. გარდა ამისა, დაზარალებულისათ-

ვის საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების მიცემის უფლება, ბრალდებულს აღარ დააინტერესებს დადოს საპროცესო გარიგება, სათუოდ, საალბათოდ არ გაიხდის თავის სამართლებრივ მდგომარეობას, აღარ მოისურვებს ითანამშრომლოს გამოძიებასთან და გარკვეულწილად გამოძიებაც შედარებით გაჭიანურდება და მართლმსაჯულებაც ვეღარ იქნება სწრაფი და ეფექტიანი. გამოსავალი ის კი არ არის, დაზარალებულს მიეცემა თუ არ მიეცემა საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება, არამედ, დაზარალებულმა რეალურად იგრძნოს მინიჭებული უფლება. ასეთი უფლების, და პიროვნული ღირსების არსებობას იგრძნობს დაზარალებული, თუ საპროცესო კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების დადების ერთ-ერთ პირობად გათვალისწინებული იქნება დაზარალებულის თანხმობა. (ყველაზე კარგი წინადადება კი, რომელიც საპროცესო შეთანხმებას საქართველოს სინამდვილეში აამუშავებს გახლავთ, მისი გავრცელება ნაკლებად მძიმე კატეგორიის და სამეწარმეო და საფინანსო სფეროში ჩადენილ დანაშაულზე).

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს სამოქალაქო სარჩელის ნაწილში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე გამოყოფს განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომელთა არსებობისას, ბრალდებული სასჯელისაგან შეიძლება სრულად გაათავისუფლონ. ეს შემთხვევებია: როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები. აღნიშნული შემთხვევებიდან ერთ-ერთის სახეზე არსებობისას საქართველოს გენერალურ პროკურორს შეუძლია სასამართლოს მიმართოს

შუამდგომლობით ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი თავისუფლდება სასჯელისაგან, მაგრამ ნასამართლევად ითვლება.

საქართველოს გენერალური პროკურორი ბრალდებულთან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე აფორმებს წერილობით შეთანხმებას, სადაც ბრალდებული დებს პირობას, რომ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, თუ ბრალდებულმა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები დაარღვია შეთანხმება ჩაითვლება ბათილად.

§4. საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს

იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება ჩვენი ქვეყნის სინამდვილისათვის სიახლეს წარმოადგენს. იურიდიული პირის, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად ყოფნა და მისთვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე დავას არ იწვევს. მაგრამ, სრულიად ლოგიკურია დისკუსია, აზრთა სხვადასხვაობა და დიდი ნაწილი მეცნიერებისათვის მიუღებლობა-იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

მაგრამ, რამდენადაც ფაქტის წინაშე ვდგავართ, კანონმდებელმა შემოიღო საქმის წარმოება იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს, უნდა დავინტერესდეთ იმ საპროცესო ნორმებით, რომლებიც ადგენენ აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ საქმის წარმოების

წესს. თუმცა, ძნელია კომენტარი გაუკეთო ნორმებს, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში, ჯერ არ ამოქმედებულა, გამოცდა არ ჩაუბარებია (საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში მიმდინარე ეტაპზე იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არ გამოვლენილა. იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი უცხო არ არის ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკისათვის, მათ რიცხვს შეემატა საფრანგეთიც).

თუ, დადგა იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმის წარმოება მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებისა და იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომელიც გადმოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV²-ე თავში. იურიდიული პირის მიმართ, რომ დაიწყოს საქმის წარმოება, გახსნილი უნდა იყოს იურიდიული პირის არსი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹¹-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: იურიდიული პირი ნიშნავს სამეწარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მის უფლებამონაცვლეს).

მოდით ახლა დავინტერესდეთ, რა შეიძლება გახდეს იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების საფუძველი. ასეთად შეიძლება მოგვევლინოს, როგორც სსსკ-ის 679¹²-ე მუხლის პირველ ნაწილშია შენიშნული: გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს გამოვლენილი მონაცემები, რომლებიც იძლევა იურიდიული პირისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XVIII¹ თავით გათვალისწინებული სისხლისსამარ-

თლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. თუ, გამოვლინდა აღნიშნული მონაცემები ვინ არის უფლებამოსილი დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა იურიდიული პირის მიმართ? ასეთი უფლებამოსილებით კანონმდებელმა, თუ დავ-ესესხებით სსსკ-ის 679¹²-ე მუხლის პირველ ნაწილს აღჭურვა გამომძიებელი და სასამართლო (მოსამართლე), რომელთაც მისცა შესაძლებლობა დამოუკიდებლად გამოიტანონ დადგენილება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე, რითაც იგი წინააღმდეგობაში მოვიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ საერთო წესებთან, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის წარმოების წესს. კერძოდ, გამომძიებელი „გამოვლენილი მონაცემების“ საფუძველზე იწყებს, როგორც ეს შენიშნულია საქმის წარმოებას (მაგრამ არ ჩანს რა ჰქვია საქმის ამ წარმოებას: გამოძიება თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება? ვფიქრობთ, კანონმდებელი უფრო „სისხლისსამართლებრივი დევნისკენ“ იხრება. ეს ჩანს 679¹⁶-ე და 679¹⁷-ე მუხლების შინაარსიდან, რაც აფართოებს სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის განმახორციელებელ სუბიექტთა წრეს, იხილეთ სსსკ-ის 55-ე მუხლი), საქმის ამ წარმოების დაწყებას, გამოძიების დაწყება თუ ჰქვია, მაშინ გამომძიებელი, რატომ არაა ვალდებული შეატყობინოს პროკურორს დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყების თაობაზე? თუ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ჰქვია, აქაც სადაა პროკურორი? მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ფუნქციას, განსაკარგავად დამოუკიდებლად აკუთვნებენ გამომძიებელს? ან თუნდაც სასამართლოს (მოსამართლეს) გაუფართოვეს უფლებამოსილება, მიენიჭათ გამოძიების თუ სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციები? ეს და ამგვარი სხვა კითხვები ჩნდება სსსკ-ის 679¹²-ე მუხლის შინაარსის მისამართით. ხსენებული მუხლის

მეორე ნაწილში შენიშნულია, რომ იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამ იურიდიული პირის დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) ან/და ხელმძღვანელს (ხელმძღვანელებს), საქმის წარმოებაში მონაწილეობისათვის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. წარმომადგენელი (დამცველი) საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვება გამომძიებლის, სასამართლოს (მოსამართლის) მიერ იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის წარმოების დაწყების თაობაზე დადგენილების გამოტანისთანავე. მას უფლება აქვს გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების მასალებს; გაასაჩივროს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს (მოსამართლის) მოქმედება და გადაწყვეტილება, განაცხადოს შუამდგომლობა.

იწყება რა, საქმის წარმოება იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, სსსკ-ის 112-ე მუხლით განსაზღვრულ მტკიცების საგანთან დაკავშირებულ გარემოებებთან ერთად, დადგენილ უნდა იქნეს კიდევ შემდეგი:

ა) დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია თუ არა ამ იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ;

ბ) არის თუ არა აღნიშნული ეჭვიმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან/და იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.

ასევე, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, მაგრამ დადგენილი არ

არის დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირი.

იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, უზრუნველყოფილი, რომ იყოს მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი სახის სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება, როგორცაა ყადაღის დადება იურიდიული პირის ქონებაზე.

იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს, თუკი გამოვლინდება, რომ არ არის საფუძველი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, გამოტანილი დადგენილება უნდა გაუქმდეს. ასევე, თუ სახეზე იქნება სსსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველები, საქმის წარმოება უნდა შეწყდეს იურიდიული პირის მიმართ. თუ სახეზე არ იქნება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი, მაშინ გამოძიებელი იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე. გამოძიებელი იღებს რა ხსენებული სახის გადაწყვეტილებას, ამის შესახებ აცნობებს იურიდიული პირის წარმომადგენელს (დამცველს), აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს და განუმარტავს მათ უფლებას საქმის მასალების გაცნობის შესახებ. რომელთაც უფლება აქვთ საქმის წარმოების შესავსებად განაცხადონ შუამდგომლობით. მას შემდეგ, რაც გამოძიებელი საქმის მასალებს გააცნობს პროცესის მონაწილეებს და გადაწყვეტს მათ მიერ წარდგენილი შუამდგომლობების ბედს, შეადგენს დადგენილებას იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე. გამოძიებელი შედ-

გენილ დადგენილებას, სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად დასამტკიცებლად გადასცემს პროკურორს. პროკურორი კი, საქმის მასალების გაცნობის საფუძველზე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ;

ბ) დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების შესახებ;

გ) გამოძიებლის დადგენილების დამტკიცებისა და საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად სისხლის სამართლის საქმის დაბრუნების შესახებ გამოაქვს დადგენილება.

გავიხსენებთ რა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679¹²-ე მუხლის შინაარსს, თუ ვინაა უფლებამოსილი სუბიექტი, დაიწყოს საქმის წარმოება იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, გამოძიებელთან ერთად წარმოჩნდება სასამართლო (მოსამართლე), და აქვე, ჩნდება კითხვაც პროცედურულად სასამართლო (მოსამართლე) როგორც უფლებამოსილი სუბიექტი, როგორ ანხორციელებს და დაასრულებს სისხლისსამართლებრივ დევნას, ვის გადასცემს სისხლის სამართლის საქმეს იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად წარმოებაში? პასუხს ვერ ვკითხულობთ იმ საპროცესო ნორმებში, რომელიც განკუთვნილია იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის საწარმოებლად.

პროკურორის მიერ დამტკიცებული გამოძიებლის დადგენილება, სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, იურიდიული

პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნება სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. სასამართლო განხილვა ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესების დაცვით (457-ე – 516-ე მუხლები).

სასამართლო გამოძიება იწყება პროკურორის მიერ იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე დადგენილების წაკითხვით; შემდეგ ჩვეულებრივ, როგორც ყველა სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ხდება მხარეების მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენა და მათი გამოკვლევა. მტკიცებულებებს ჯერ წარმოადგენს ბრალდების მხარე, შემდეგ დაცვის მხარე; სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე, ადგილი დაეთმობა რეპლიკასაც. მხარეთა სიტყვების მოსმენის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) გადაის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში უნდა აღინიშნოს:

ა) იურიდიული პირის დასახელება, იურიდიული პირის მისამართი;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის საფუძველზედაც იურიდიულ პირს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;

გ) სასჯელის სახე და ზომა, რომელიც იურიდიულ პირს დაენიშნა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, და ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასჯელის აღსრულება (ლიკვიდაციის დანიშნვის შემთხვევაში – ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები));

დ) სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა.

სასამართლოს განაჩენი იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საერთო წესით. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა

გამოქვეყნდეს, იგი ქვეყნდება მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯით.

იურიდიული პირის მიმართ მისი ბუნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადგეს არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, რომელიც ეფექტურად მუშაობს გერმანიაში, სამოქალაქო სამართლებრივი და სანქციის აღსრულებაც მოხდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით (სასჯელთა სახეების შინაარსიც ამის დასტურია).

ტექნიკური რედაქტორი რ. ჭანტურია
კორექტორი: ი. ნავროზაშვილი

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24,5
საბეჭდი ქალაქი №1, 60X84 1/16
ბეჭდვა ოფსეტური

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „სამართალი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 45.

სტამბა შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“,
გრ. რობაქიძის ქ. №7^ა

სისხლის სამართლის პროცესი

გამომცემლობა „სამართალი“
თბილისი 2008

УГОЛОВНЫЙ ПРОЦЕСС
(На грузинском языке)

Издательство „Самартали“
Тбилиси 2008

CRIMINAL PROCEDURE
(in GorGian)

samartali publishers
Tbilisi 2008